

# გვიჩვინი

გრ. რობაქიძე: ურთა რუსთაველი.—მის. წერეთელი: სუფი.  
რული და ქართული.—სოქოლაძე: რედაქტორს მუშა, თარგმ.  
გერმანულით კვთ. ქართველი.—ალ. შანშიაშვილი: მუშა.  
გერმანი.—სამ. ურცხალაძე: ლამე.—სამ. ურცხალაძე:  
გლოვის ჯარი.

1912

სტამბა სპ. ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ. საკ. სახ. № 5.

ტ ფ ი ლ ი ს ი.

ამ წიგნს ვუძღვნიტ ქუზია მიქელაძის ძვირფას ხსოვნას

შ. ლაიბე.  
მის წეხედა  
ქ ქავანტ  
ა. მანძიაშვილი

სამ. შიხვალიაძე

ბრ. რობაქიძე

ზოთა რუსთაველი

## დამწვარ გულს

შენ ხელოვანი არ იყავ, მკედარ მარმარილოს სხეულად რო  
აცოცხლებს; არც უტეხი ნება ყოფილხარ, ზღვის ტალღებში რო  
მთავრობს; შენ სულ სხვა იყავ.

შენში ფეთქდა ქალწული პიროვნება, რომელიც არც სიტყვად  
ითქმის და არც სახედ იშლების, პიროვნება უსაშვალო, პირისპირ  
მოქმედი, მატყვევებელი.

განა გამოითქმის ცეცხლი?! და ცეცხლი იყო სწორეთ შენი  
გული, აღ-ნაკადულით ავსილი, რომელიც ცივს ქვასაც აღნობდა  
და ზღვის მკერდსა სწვავდა.

შენში იწვოდა იგი და შენც დაიწვი მით; მაგრამ ცეცხლი  
იგი, რომელიც სიცოცხლეა თვითონ, ფერფლად არ იქცევა,—და  
შენც მასთან იქნები მარადის.

გიყვარდა სულმნათი შოთა ფრიად,—და აჰა, მიიღე ჩემგან  
სიტყვა ჩემი, რომლითაც მხოლოდ-ლა ლანდი ავსახე ღვთიური  
მგონისა.

გრიგოლ რობაქიძე

## შოთა რუსთაველი

ესკიზი

\* \* \*

„ივლიანემ აღაპყრო მკრთალნი თვალნი, მიეყრდნო კედელს, ჩაიკლა სუნთქვა და—განაბა სული. ეს იყო იგი. თავ-ახდილს ცის ქვეშ ტაძრის შუა გულს იდგა ახლად შევებული ქაფისაგან, ცივი, თეთრი აფროდიტა-ანადიომენა მთელი თავის ურცხვი სიტიტვლითა. ღმერთქალი თითქო ღიმილით გასცქეროდნა ცასა და ზღვას, უკვირდა მისი მშვენება და ჯერ არც იცოდა, რომ იგი მისი საკუთარი მშვენებაა, ცასა და ზღვაში, ვით მარადს სარკეთა შორის, აღსახული. საცმელის შეხება არ ურაცხპყოფდა მას. ასეთი იდგა იგი, სრულიად უმანკო და მთლად ტიტველი, როგორც ეს მუქ-ლურჯი ცა, მის თავ ზემო გადაშლილი. ყრმა ჯცქერდა მოწყურებული... დრო შეჩერდა. და იგრძნო მან უეცრივ, რომ ტანში თავყანების ჟრუანტელმა გაურბინა, და დაეცა იგი მუხლებით აფროდიტას წინაშე: თავი მაღლა ასწია, ხელნი გულს მიიკრა. შემდგომ სულ ასე შორი-ახლო, სულ ასე კრძალვით, მისჯდა იგი სვეტის საფეხურს, თვალს არ აცილებდა მას, ლოყა შეეხო ცივს მარმარლოს. მყუდროება სულში ესვენებოდა. და მოერია მას რული, მაგრამ ძილშიაც გრძნობდა იგი ქალის სიახლოვეს: იგი ჩამოდიოდა მასთან ახლო და ახლო; წვრილი, თეთრი ხელნი მას ყელს ეხვეოდენ. ყრმა მიეცემოდა უვნებო ღიმილით უვნებო ხვევნასა“ (მერეჟკოვსკი: „ივლ. განდგომილი“)...

აი, რა იგრძნო ივლიანე განდგომილმა, ჯერ კიდევ უმწიფო ყრმამ, როცა მან პირველად იხილა მხიბლავი ქანდაკება მშვენიერი აფროდიტასი, ელლინთა გრძნეული მითოლოგიური წარმოდგენით, აქაფებული ზღვის ტალღისაგან შევებულისა. გულისხმიერი მოვლენა აღწერებით აღუღებელი ქაფი სადაფში აბურთდა და ნელი ნელ იქცა

ღმერთქალის ვნებულ სხეულად; ვნებით აღძრული სხეული შეაჩერა შემოქმედმა ხელოვანმა და გამოჰკვეთა იგი ცივსა და თეთრს მარმარილოში. და უცქერს იმა სხეულს ყოველი რაღაც უცნაური გაღმერთებით, ვით ქაბუკი ივლიანე, და გრძნობს მარმარილოში იღუმლად შევებულს სილამაზეს. აქ ჩამოისხა ელლინთა შემოქმედი გენია: მან გაგვიშალა, თუ როგორ ისხმის ვნებული სული მშვენიერ სხეულად; მან დაგვანახვა; თუ როგორ იშვის შეთამაშებული ხალხი გარდამქნელ ფორმაში. სხეული, როგორც გარეგანი სახე ყოველის სულიერისა და ფორმა როგორც გარდამქმნელი ძალა ყოველის ხაოტიურისა, — აი ელლინთა ღვთაებრივი ინტუიცია.

\* \* \*

— და სწორეთ ეს ელლინური ნიჭი, აფროდიტას მითში სახული, მიღგება თვალწინ, როცა შევსცქერი რუსთაველის შემოქმედ მხატვრობას: აქაც სხეულის სულდგმულობა, აქაც ფორმის გაღმართება. შეხედეთ ნესტან-დარეჯანს! განა, ეს მხიბლავი ასული იგივე მატყვევებელი აფროდიტა არ არის?!. იგი უმანკო და ქალწულია, ვით ცივი და თეთრი ქანდაკება ღმერთ-ქალისა; იგი უვნებოა, ვით უძრავი მარმარილო, მაგრამ ვნების აღძვრელი, ვით ტყვე მქნელი აფროდიტა. და შეჭურფინავს მას ხომ მისი ტარიელი, სწორედ ისე, როგორც ყრმა ავლიანე შესტრფოდა მშვენიერს მარმარილოს: „პირისპირ მიჯდა იგი მზე, ვისთვისცა გული კვდებოდა, მალვით ვუქვრეტდი, მიჭვრეტდა, სხვად არად მეუბნებოდა, თვალნი მოვსწყვიტნი, სიცოცხლე ამითა მეარმებოდა“ (ტაეპი 467). დიახ, „თვალნი მოვსწყვიტნი“, — ამ ორ სიტყვაში სავსებით იხატება ვნება ტარიელის ხელისა...

საკვირველია: მთელი ქმნილება რუსთაველისა სხეულის სილამაზით არის აღძრული, მაგრამ მასში არ მოიძებნება არც ერთი ხაზმოსმა, სადაც იჭრებოდეს ცხოველური გრძნობა. ერთი მხრით: ნდომით ფრენილი ოცნება და ტკბობით აღვისილი ნაღველი: „შო-

რით ბნედა, შორით კდომა, შორით დაგვა, შორით აღვა“ (ტ. 12); მეორის მხრით კი სრული უარყოფა ცხოველური სქესისა: „იგი სხვაა, სიძვა სხვააა, შუა უზის დიდი ზღვარი“ (ტ. 9)... და სწორეთ ესაა ელლინური გრძნობა სხეულისა. რუსთაველის ინტუიციით სხეული არ არის უბრალო ხორცი: იგი ცოცხალი სახეა სულისა, იგი თვითონ ხილული სულია... სწორეთ ისე, როგორც ფორმაში მოყვანილი მარმარილო: იგიც ხომ სულდგმულია მშვენიერებაში გაქვავებული ვნებითა... დიახ, სულდგმული მარმარილო, — აი მხატვრული ქმნილება რუსთაველის მიერ გრძნეული სხეულისა!.. და, რასაკვირველია, ამგვარი სხეულის სიყვარული (რუსთაველის აზრით) უბრალო ცხოველობით ყოვლად შეუძლებელია. მაგრამ, თუ ერთი მხრით უსულო სიყვარული უარყოფილია, მეორის მხრით, არც უსხეულო სიყვარულია შესაძლებელი: იგი არ არის რაღაც განყენებული, უვნებო, ვით სიყვარული რომელიმე იდეისა; პირიქით, იგი ვნებულია, სისხლითა და ხორციით შესხმული. ხორცსხმული სული და სულდგმული სხეული, — აი, რას ეტრფის სიყვარულით ადამიანი. და აქ რუსთაველმა უკანასკნელი სიღრმით იგრძნო მქნეძალა ეროსისა, მსოფლიოს ცხოველმყოფელი: მძღაფრად გაშლილი ფრთები, უსაზღვრო სივრცის გარდამლახავნი; ღრმად ჩაჭრილი ნაღველი, მშვენიერებით უკვდავებას ზიარებული... აქ მან ჭეშმარიტად პლატონურად იგრძნო სიყვარული... თუ სიყვარული უბრალო ცხოველობაა, მაშინ იგი არ არის ლამაზი, მშვენიერი; თუ იგი უსხეულო ვნებაა, მაშინ იგი არაა ცოცხალი, ხორცსხმული... იგი ერთსა და იმავე დროს მშვენიერი სულის სურვილიცაა და ლამაზი სხეულის წყურვილიც. მშვენიერი სული, ლამაზი სხეულისათვის ლტოლვილი, და ლამაზი სხეული, მშვენიერი სულისთვის ვნებუ-ლი, — აი უშრეტელი წყარო სიყვარულისა. და ასეთი სატრფიალო არსი ცივ სიმბოლოდ იჭრება სულდგმულ მარმარილოში. მარმარილო ლამაზი სხეულია, მაგრამ უძრავი, მკვდარი; სული ცხოველია, მაგრამ უსხეულო. მარმარილო სიცოცხლეს სულში ეძებს, სული სხეულს მარმარილოში ეძებს. და იქმის სულდგმული ქანდაკება,



სიმბოლო მშვენიერი სულის და ლამაზი სხეულის ხორციელებისა; იქმის ის გულისხმიერი და იღუმალი განცდა, რასაც პლატონი „მშვენიერებაში შვებას“ უწოდებს; იქმის ნამდვილი სიყვარული... ასეთია რუსთაველის მიერ ნაგრძნობი ეროსი: ლამაზი სხეული, მშვენიერ სულით შვებული, ვნებული... „მე სიკვდილი აღარ მიმძიმს, შემოგვედრებ რადგან სულსა“ (ტ. 1282); „სული ჩემი შეივდრენ, ზეცით მომხვდენ ნუ თუ ფრთენი“ (ტ. 1279),—აი რასა სწერს მზის ასული ნესტანი ველად მისთვის გაჭრილს ტარიელსა...

\* \* \*

ღიახ, სიყვარული „შვებაა მშვენიერებაში“ და სიყვარულით ანთებული ეტრფის მხოლოდ მშვენიერს, შეჭფრფინავეს მხოლოდ ლამაზს... და რუსთაველი—მხატვარიც ჰქმნის ტყვეჰქნელ სატრფოსა და წარმტაც მოტრფიალესა. ისარი ეროსის, ამ ვნების ღმერთის, მკვეთრია, ვით მოქნილი და მკრელი ფოლადი; მაგრამ ამასთანავე იგი ცხოველ-მყოფელიცაა, ვით მბრწყინავი და მათბობი მზის სხივი... და აი, მზეს გულუხვად აფრქვევინებს სხივებს რუსთაველი. მხატვარი დაშლის იმა სხივებს სამხატვრო ფერადებათ. მზე—ეს ცხოველ-მყოფელი ყოველის არსისა, რუსთაველის მხატვრულ გრძნობაში თვითონაც კოცხალი არსია, ცხოველი. როგორც ესთეტი, რუსთაველი „მშვენიერების ცეცხლთაყვანისმცემელია“, და რადგან იგი მშვენიერება მზის სხივებით ცხადდება, ამისთვის ჩვენი მხატვარი მზის თაყვანისმცემელი გამოდის... როცა ზღვის ცხოველი სვეტი, ზღვაში ჩასვენებული, ლივლივა ტალღებში ტანს იბანს, მაშინ იქმის ლტოლვა, მაშინ იშვის ვნება. სხივი ჭავლ-გამჭირვალი და ჭავლი სხივ-ათამაშებული, —აი ტრფობის ნაპერწკალი, აი ვნების ისარი... და რუსთაველიც, ჯადოსანი მშვენიერებისა, ყოველს მშვენიერს მზეს უწოდებს ან და მზეს. ზიარებულსა... მზის ასული ნესტანი „მზესა სიტურფედ ეყოფის“ (ტ. 1109); „ანუ მზე იყო ქვეყანად, ან მთვარე პირ-გავსებული“ (ტ. 522); „მისთა შუქთა შვე-

ნებანი ნათლად მადგის გულსაფენით“ (ტ. 403);—ამბობს მისგან დამწვარი ტარიელი. „ვისთა შუქთაგან უკუნსა ჰგვანდის სინათლი დლისისა“ (ტ. 370), ასე ხასიათდება ნესტანის სილამაზე... და ტარიელიც, მისი სიყვარულით შექირვებული, მზის ტოტის ნაკვეთია. იგი ემგზავსა „მზესა თვალად, ლომსა ნაკეთად“ (309); და ამბობს თვითონ: „მზესა მე ვჯობდი მშვენებით, ვით ბინდსა ჟამი დილისა“ (311); და მშვენიერი ნესტანიც, ქაჯეთს დამწყვდეული გრძნობს ამას:

„მზე უშენოდ ვერ იქნების, რადგან შენ ხარ მისი წილი, განალამცა მას იახლე, მისი ეტლი არ თუ წბილი! მუნა გნახო, მანდვე გსახო, განმინათლო გული ჩრდილი, თუ სიცოცხლე მწარე მქონდა, სიკვდილიმცა მქონდეს ტკბილი“ (1281). ნესტანი და ტარიელი შეხვდებიან ერთმანერთს და მგოსანი იტყვის: თითქო: „მზისა შესაყრელად გამოეშვა მთვარე გველსა“ (ტ. 1396); და აჰისთვის მოტრფიალეთა გაშორებაც ძნელია: „რა ღრუბელი მიეფარვის, მზე ხმელეთსა დააჩრდილებს, მის მოყვრისა მოშორება კვლავ აბინდებს, არ აღილებს“ (695). ან და: „მთვარე მზესა მოეშოროს, მოშორება განანათლებს, რა იახლოს, შუქი დასწვას, გაეყრების, ვერ იახლებს, მაგრამ ვარდსა უმზეობა გაახმობს და ფერსა აკლებს“ (ტ. 811). და ტარიელ: „ლორჯათ სჩანს შუქი მთვარისა, მზისაგან შუქ ნაკრთომისა“ (1322)...

მზე ცხოველმოყოფელია, სიცოცხლის მწვევი,—და მისი სხივნი ფერად ყვავილებად იშლებიან. და რუსთაველიც აღმოაცენებს მრავალფერ ყვავილთ, სიყვარულის ნარნარ გრძნობათა გამოსათქმელად. სიყვარული მისთვის სურნელოვანი ყვავილია და მისი თანმყოფნი გრძნობანი სხვა და სხვა ყვავილნი: „ცხელნი ცრემლნი ასველებდეს ნარგიზნთაგან ვარდსა ზრულსა“ (151); „ვარდისა ბაღსა მოგუბდა ცრემლისა საგუბარია“ (240); „შესცვალა ვარდი ზაფრანად, ლაყვარდის ფერად იანი“ (1125); „დაგჯიდა დენა ცრემლისა, ნარგისთა ნაკუბარისა“ (397); „არცა გახლიჩა ბაგეთად თავი ვარდისა კონამან“ (ტ. 89); თვითონ სიახლოვეც ლამაზი სხეულის ყვავილოვან-სურნელოვანია:

„გუნოსა (ავთ.) სული აღვისა, ქართაგან მონატაცისა“ (223); კიდევ უფრო ნარნარია ყვავილოვანი სიახლოვე ნესტანისა: „აღვისაგან სული მოჰქრის, ყორნის ფრთადათ მონაბერი“ (1286). რუსთაველმა ისიც კი იცოდა, რომ ყოველს ხმას თავისი ფერი აქვს: „ავთანდილი ბრუნდება, შეხვდება ტარიელს,— და უკანასკნელს: „ხმა შაქრის ფერად გაუხდა ვარდსა, ხშირ-ხშირად ჰობილსა“ (1311).

რუსთაველის მიერ ქმნილის სხეულის ფერადობა ვარდყვავილოვანია, ხოლო სხეულის ნაკვეთი ობოლი თვალია, თვით შობილი და არა ხელქმნილი ქვა. და ამშვენებენ ერთი მეორეს ყვავილი და თვალი... „ბროლსა და ლალს ამშვენებს მუნ ჩრდილი წარბ-წამწამისა“ (1483); „ბროლსადათნი მარგალიტსა ლალის ფერსა სცვენ და ბურვენ“ (836); „თეთრთა კბილთა გამოკრთების თეთრი ეღვა ვითა კვირი“ (135); „ზაფრანის ფერად შესცვალა ბროლი ცრემლისა ბანამან“ (946)...

ასეთია რუსთაველის მხატვრობა; მისი საგანი მხოლოდ და მხოლოდ ლამაზი სხეულია, ელლინური გრძნობით ნაგრძნობი: სხეული, მშვენიერებით სულდგმული და მზის სხივებში ცხოველყოფილი. და ამ სხეულის სიყვარული რუსთაველით ქეშმარიტად პლატონურია: მოტრფიალეს უყვარს თავისი სატრფო, მაგრამ მისი ტრფილი აროდეს არ გადადის ცხოველურ ვნებათტკობაში.

\* \* \*

— მშვენიერია ნესტანი: მსოფლიო მხატვრულ სახეთა შორის იგი გვერდს უზის ბეატრიჩესა და სოლვეიგს. მარტო მისი წერილი რად ღირს, ქაჯეთის ციხიდან ტარიელისადმი მინაწერი! ხოლო არა ნაკლებ მშვენიერია მისთვის ველად გაქრილი ტარიელი: იგი ნამდვილი ვნებული დიონისია... მას უყვარს სტიქიური სიყვარულით ნესტანის სხეული, მას სწყურია მსოფლიო წყურვილით დაეწაფოს იმა სხეულს, რომ მასში დაიპიროს მისი უხილავი სული, გადაექსოვოს და საუკუნოდ ესხეულოს მას,—და აი, სტაცებენ მას

მშვენიერს ნესტანს, გადაჰკარგავენ მას ქაჯეთის ციხეში... და გაიჭრება ველად გმირი ტარიელი, და დაეძებს იგი მისთვის შობილს სატრფოს... გულისხმიერია მისი ველად გაქრა! „საწუთრო და სოფელს ყოფნა, კაცი უჩნსო, ვით ნადირსა, ოდენ ხელი მხეცთათანა იარების, მინდორს სტირსა“ (680). ღრმა აზროვანი სიმბოლოა! სტიქიურად შეყვარებულს ტარიელს მხოლოდ ერთი რამ ახსოვს, მშვენიერი ნესტანი, მარტო მისი მოგონება აცოცხლებს მას,— და ცნობს რა, რომ იგი ამ სოფლითგან მოტაცებულია და სადღაც სხვა ქვეყნად გადაკარგული, თვითონაც სცილდება სოფლად ყოფნასა. „სევდათ მექცა კაცთა ნახვა, ცეცხლი უფრო გავიალე“ (265),— ეუბნება იგი ავთანდილს. ესეც ღრმა ქემშარიტებაა! მარტოობა მყუდრო ჩრდილია სიყვარულისა, რომლის ქვეშ ისვენებს სიყვარულით აძგერებული გული,— და აი, ტარიელიც სცილდება ყოველს, რომ მარტოობაში მხოლოდ ერთად ერთს ფიქრს, ნესტანისკენ გაფრენილს, ეკუთვნოდეს; და თუ მან კაცი დაინახა, მისი კიახლოვე მას ნესტანის სიშორეს უცხოველებს, და შავი სევდა მოიცავს მას... ასეთია ტარიელი: იგი კაცს არ იკარებს... სტიქიურია მისი სიყვარული... ავთანდილი მიუტანს მას ნესტანის წერილს, და ხედავს, რომ მას „სულნი გაექცნეს“... დიახ, მისი სული სწორეთ რომ „გაქცეულია“, მის არსებითგან გამოსული და სადღაც სხვა ქვეყნად სხვა არსების მძებნელი... აი კიდევ შესანიშნავი სურათი! იგი ხედავს: ლომი ვეფხვს ებრძვის. მშვენიერი ვეფხი „ვეფხის ტყაოსანს“ ტარიელს ნესტანს აგონებს... იგიც გადაიჭრება და მოჰკლავს ლომსა, და შემდგომ: „ხმალი გავტყორცე, გადვიქერ, ვეფხი შევიპყარ ხელითა; მის გამო ჰკოცნა მომინდა, ვინ მწვაეს ცეცხლითა ცხელითა“ (891). ამას იქით სიყვარულის სტიქიონი ველარც კი წავა: ნესტანით აცხოველებული იგი ვეფხს ეხვევა... ქემშარიტად შეპყრობილია ტარიელი ნესტანის არსებით, მისგან ესრე ქირვეულია... იგი ნამდვილი ვნებული დიონისოა: დიონისო, ეს წამებული ღმერთი, რომელიც სიკვდილში ნახულობს სიკოცხლეს, ეს ვნებული ზეარსი, რომელიც თვით ვნებაში ნახულობს

ერთგვარ ტკობასა; იგი მუღმივი მსხვერპლია და უკვდავი მსხვერპლის მწირველი: იგი თავს ივიწყებს, რომ ემპირიულ „მეს“ გარე იპოვოს თავის ნამდვილი თავი; იგი მსოფლიოს ერთვის თავდავიწყებით, რომ მის წიაღში მონახოს თავისი „ატმანი“; იგი მუღმივი შევება: გაქრობა და წარმოშობა: იგი ზღვის ალივლივებული ქაველია, რომელიც ყოველ ფორმაში გადადის, მაგრამ არც ერთში არ ჩერდება; მასში თამაშობს ძველი ხაოსი, ჯერ კიდევ ფორმაში არ გარდაქმნილი: მასში ღვივის ბნელი ბუნი; ჯერ კიდევ გონით არ განათებული... და სწორეთ ეს დიონისური ვნება ტარიელის სიყვარული. იგიც მთვრალია სიყვარულის მსოფლიო გრძნობით, იგიც ვნებულია მისის სტიქიონით, იგიც თვალახვეულია მისი ბნელით, იგიც ხელია, შმაგი, გიჟი... და როცა ავთანდილი ნახულობს იას შავს შამბში ღრმად მიძინებულს, იგი, განა ნამდვილს მძინარე დიონისოს არ გვაგონებს?!.

\* \* \*

ასე უყვარს ტარიელს ნესტანი. მაგრამ რუსთაველი ამ სიყვარულზე არ შეჩერებულა. მას სწაღდა—სხვაგვარი სიყვარული გადაექსოვებია იმა სიყვარულს, და წადილი აღასრულა კიდევ: ეს არის სიყვარული ავთანდილისა და თინათინისა, რომელიც შოთამ მეგობრობით დაუკავშირა ტარიელისა და ნესტანის სიყვარულს. რუსთაველი აქ პირველი ხელოვანია, რომელმაც სიყვარულს საუცხოვო და თავშეწირული მეგობრობა წარმოაშობინა. მშვენიერია ტარიელი, ნესტანის სიყვარულით ველად გაჭრილი; მაგრამ არა ნაკლებ მშვენიერია ავთანდილი, ტარიელის მეგობრობით ნესტანის საძებნად წასული... ავთანდილს უყვარს თავის თინათინ, მაგრამ მას ტარიელიც უყვარს: „იადონი მაშინ მოჰკედეს, ოდეს ვარდმან იდამკენაროს; ჰხამს, უძებნოს ცვარი წყლისა, მისთვის თავი ყოვლგნით აროს“ (749). და ავთანდილი, ეს ნელი და ნათელი იადონი, გარს ევლება და ცვარს უძებნის ტარიელს, ვარდსა უმზეოდ

ქნობილსა. აქ ისახება მათი სხვადასხვაობა. თუ ტარიელი დიონისური ვნებით არის მთვრალი, ავთანდილი აპოლოლონური მზეობით არის სხივ-შეჩერებული: იგი ფორმას აძლევს ტარიელის ვნებას; იგი თვალს უხსნის ტარიელის სტიქიონსა; და სიყვარულიც სხვა-და-სხვა გვარია მათი: ტარიელის სიყვარული მთით მოხეთქილი ჩქერია, ხოლო ავთანდილის სიყვარული ზღვას ჩაშვებული მზის სვეტი. ამ მხრივ ავთანდილი ნამდვილი ბრძენია, რომელმაც კარგათ იცის, თუ რა არის წარმავალი სოფელი და რა არის წარუვალი განგება,—და იგიც მიენდობა მხოლოდ და მხოლოდ განგებასა, რომელიც, მისი აზრით, მშვენიერებით გამარჯვებული სიყვარულია... მარტო მისი ანდერძი რად ღირს, რომელშიაც რუსთველმა სავსებით გადმოგვიშალა თავისი სხივ-მოსილი მსოფლმხედველობა! და უყვარს რუსთველს ავთანდილი ტარიელთან ერთად, უყვარს ავთანდილური სიყვარულით: იგი უცქერს მას, ნესტანის საძებნად გაქრილს, უმზერს მას მომღერალს, რომლის „სმენად მხეცნი მოვიდიან“ (947)... და ტარიელიც საუცხოვო პასუხს აძლევს მისთვის თავშეწირულ ავთანდილსა: „ვითა მზე მთისა წყარომან, მორწყე ყვაილი ბარისა, დამწყვიდე დენა ცრემლისა, ნარგისთა ნაგუბარისა“ (1329)... ქეშმარიტად გარდაქმნის ქვეყანას ასეთს მშვენიერებაში წარმოშობილი სიყვარული...

\* \* \*

ასეთია მშვენიერებით სულდგმული სხეული და მისი უზენაესი სიყვარული რუსთაველის შემოქმედებაში... იგი სხეული ლამაზია და იგი სიყვარული მშვენიერი,—და რუსთაველის ქმნილება მართლაც რომ სრულ-ქმნილია... სხეული ფორმაა ბუნებისა,—და შემოქმედი, რომელიც სწვდება სხეულის სილამაზეს, ჰქმნის მოძიბლველ მხატვრულ ფორმასა. ელინთა გენიამ იგრძნო უკანასკნელი სიღრმით იგი სილამაზე სხეულისა, და მან შეჰქმნა სრული ფორმანი ჯადოსნური შემოქმედებისა... რუსთაველმაც იგრძნო იგი სილამაზე, იგრძნო ელინური გრძობით, და მანაც შეჰქმნა ყოვლად

სრული მხატვრული ფორმა... ღვთაებრივი ხელოვანია იგი ფორმისა... ადამიანის ტრალიზმს სხვათა შორის ისიც შეადგენს, რომ მისი შინაგანი განცდა ვერ ჰპოულობს შესაფერ გარეგან სახეს: ფორმა ძვირად ეთვისება შინა-არსა. იღუ თხოულობს სხეულ-სახეს, მაგრამ მონახავს იგი თუ არა იმა სხეულს, მასში სახე მისი მახინჯათ ეჩვენება, და ამსხვრევს იგი იმა სარკეს, და ეძიებს იგი ახალს სახეს. ღმერთი სახიერდება, მაგრამ სახე მისი ხშირად კერპად იქცევა და ერთხელ სათაყვანებელი ეხლა შერცხვენასა და ზიზღს იწვევს,—აი ერთგვარი ტანჯვა ადამიანის სულისა. ჭეშმარიტი შემოქმედი არის ის, ვინც იღუას სრულად ასახიერებს, ვინც ნამდვილ ფორმაში ასახამს შინა-არსა. რუსთაველი ამ მხრივ ნამდვილი შემოქმედი: მის აზრს სწორედ თვისი სიტყვა ღოუნახავს, მისი სიტყვა სწორედ თავის ხორცში ჩამოსხმულა. რუსთაველი ბრინჯაოს ჩამომსხმელია და მარმარილოს მკვეთელი: ლექსი მისი ფოლადის მტკიცე ნაქედია და მარმარილოს სრული ნაკვთი. დიახ, რუსთაველი სიტყვის მქანდაკე-ბელია: თვით ბენვენუტო ჩელონინიც ვერ გამოჰკვეთდა მარმარილოში ისეთს სხეულის ნაკვთს, როგორიც არის რუსთაველის კვეთილი სიტყვა და სხმული ლექსი... ჭეშმარიტად განსაცვიფრებელია რუსთაველის მადლიანი შემოქმედი ხელი...

\* \* \*

სწორეთ აქ არის რუსთაველი ნამდვილი გენიოსი... მაგრამ ამას „მაგრამს“ უკეთებენ მრავალნი... ამბობენ: ეს მხოლოდ ფორმაა, შინაარსი კი გაღმოდებულია, არაკი ნათარგმანებია... ამ შენიშვნით უნდათ მოსპონ რუსთაველის შემოქმედებითი ორიგინალობა... მაგრამ სცდებიან და სცდებიან ძლიერადაც... არაკის აღება სრულებით არ სპობს მხატვრობის ორიგინალობას: პირიქით, მრავალ გენიოსურ ქმნილებათა არაკნი ხალხურ თქმულებათაგან არიან აღებულნი... ჰომიროს პოემანი თავითგან ბოლომდე ელინთა მატყვევებელი მითოლოგიური თხრობანით არიან აღძრულნი და

ამეტყველებულნი; არც ერთი მსოფლიო ღრამა შექსპირისა არაკის მხრივ არ არის საკუთრად მის მიერ ნააზრი... მაგრამ ვის შეუძლია უარპყოს ჰომიროსის ან შექსპირის ორიგინალობა და გენიოსობა!! აქ საქმე სულ სხვა რამეშია... გენიოსი იღებს (და კიდევ უნდა იღებდეს) ხალხთა მიერ საუკუნოებში ნაზრახს არაკს (მითს, ლეგენდას, ზღაპარს), მაგრამ იღებს არა როგორც მღვქსავი მონა, არამედ როგორც თავისუფალი შემოქმედი: იგი ერთი მადლიანი ხაზმოსმით სრულიად სცვლის, ან უკეთ რომ ვთქვათ, სრულიად გარდაქმნის არაკსა... ავიღოთ მაგალითი! ბიბლიური მოთხრობით, ოროდეს ცოლის შთაგონებით მოითხოვს სალომე მოკვეთილს თავს იოქანაანისას; ხოლო ოსკარ უაილდის მხატვრული ინტუიციით, თვითონ უარყოფილი სალომე თხოულობს უარყოფელის თავის მოკვეთას. ამით სრულიად იცვლება თვითონ აღმოსავლეთით აღებული არაკი ამ შესანიშნავი ღრამისა. მეორე უფრო თვალსაჩინო მაგალითს ვაგნერის „ტრისტანი და იზოლდა“ წარმოადგენს. მრავალი ხალხური თქმულება უთხრობდა ტრისტანისა და იზოლდას სიყვარულს, მრავალი მგოსანნი აკენესებდენ ჩანგს ამ შეყვარებულთა ტრალიზმითა; მაგრამ მხოლოდ ვაგნერმა შესძლო სამუდამოდ ჩამოესხა ეს მრავალჯერ თხრობილი არაკი... (იხ. ამის შესახებ ფრანგელის წერილი: ჟურნალი „აპოლონი“, 1909 წ.). ესევე ითქმის შესახებ გიოტეს მსოფლიო ქმნილების „ფაუსტისა“. რაღა შორს წავიდეთ: ავიღოთ „გველის მქამელი“ ვაჟა ფშაველასი; ხალხური თქმით, მინდია მხოლოდ აქიმია, რომელმაც იცის სხვა-და-სხვა მცენარეთა უცნაური წვენი; ჩვენი მგოსნის ინტუიციით კი, მინდია — გულთმისანია და სულთა მხილავი, რომელმაც იცის ყოველი უსულოს ენა და უენოს სიტყვა; ამით თვითონ არაკი, ხალხის გულისთქმითგან აღებული, — მგოსნის მიერ სრულიად გარდაქმნილია (იხ. ჩემი წერილი Рус. Мысль-ში, აგვისტო, 1911). ასეთია სინტეტიური ძალა მგოსნური მქნელობისა! საზოგადოთ: ხალხი ჰქმნის საუკუნოებით რომელიმე თქმულებას, რომ შემდგომ, ან ბოლოს, მისმა ნიჭიერმა შვილმა საუკუნოდ განამტკიცოს იგი... ესევე უნდა



ითქვას რუსთაველის შესახებაც: მას სრულიად უნდა გარდაეკმნა აღებული არაკი, რადგან იგი ნამდვილი შემოქმედია... რუსთაველის ორიგინალობის მოწინააღმდეგენი მხოლოდ მაშინ იქნებოდნენ მართლნი, თუ მას დაამტკიცებდნენ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ამბავი, რუსთაველამდე თბრობილი და შემდგომ რუსთაველის მიერ ვითომ „ნათარგმანები“, თავის დამახასიათებელ მუხლებში უცვლელია და განმეორებული... მაგრამ ამას ვერასოდეს ვერ დაამტკიცებენ. ვერ დაამტკიცებენ, რადგან ფორმა რუსთაველის ქმნილებისა არ არის უბრალო „გალექსვა“ უკვე ქმნილისა, არამედ შემოქმედი ენერგია გარდასაქმნელისა...

ვეფხისტყაოსნის არაკი, რუსთაველამდე თბრობილი, ეს მხოლოდ ცივი მარმარილოა, რომელიც მქანდაკებელს სრულს ფორმაში ჩამოუსხამს: იგი ფორმაა, რომ სულს უდგამს მარმარილოს, უძრავსა და მკვდარს; თორემ თავისთავად იგი უბრალო ნივთიერების პეტს არას წარმოადგენს.

\* \* \*

ასეთია რუსთაველის ქმნილება! რვა საუკუნემ საშინელი სისასტიკით გადაურბინა მას თავს, მაგრამ ვერარამ შესძლო მისი დამსხვრევა: იგი ამაყ სალ კლდეთაა ამართული, რომელსაც ტყვილა ასკდება ჭაფმორეული ტალღა დროთა უღმობელი ტრიალისა... რვა საუკუნის განმავლობაში ქართველობა სწორეთ ამ სასწაულმომქმედი ქმნილებით იღვამდა სულს: იგი ხომ უზენაესი გამოთქმაა ქართველთა გენისა, და აი, ქართველობაც ნახულობდა მასში თვისი სულის ყოველნაირ გამოძახილს: ტანჯვას და შეებას, გმირობას და სიყვარულს, ტარიელობას და ავთანდილობას... და მისგან ცხოველყოფილი, იგიც, ქართველობაც, ცოცხლად ინახავდა „ხელისხელ საგომანებელ მარგალიტს“: ცალ ხელში ხმალი ეჭირა მტერთა მოსაგვრებლად, მაგრამ მეორე ხელში კალამი ეჭირა, რომლითაც იგი თაობითგან თაობას გადასცემდა იმა ქმნილებას და მით

იცავდა მას გაქრობისაგან... დიახ, რუსთველით იქმნებოდა ისტორიული ტრადიცია საქართველოს სულიერი მთლიანობისა: ქართველის სული რუსთველის გენიით განაგრძობდა სიცოცხლეს... ამით თვითონ რუსთაველიც ცხოველი და უკვდავი ჩნებოდა ქართველში... დღეს კი ბნელი ბურუსი გვიდგას წინ და საშინელი ფიქრი მოიცავს სასოკვეთილს სულს: ვაი, თუ რუსთაველი, ისედაც ობოლი, კიდევ უფრო დაობლდეს და გახდეს მხოლოდ საისტორიო მასალად: მოდიოდეს ვინმე უცხო ფილოლოგი და ჩვენ ნანგრევებში ეძიებდეს ცხოველმყოფელ სიტყვას, რომლითაც რუსთაველი ველად გაქრილ ტარიელს ლექსს უმღეროდა... ნუ იქმებიან ესე!

**გრიგოლ რობაქიძე**

P. S. ეს ესკიზი წაკითხულია ლექციად 1910 წ.: თბილისში—8 მაისს, ქუთაისში 8 ივნისს.





მის. წარმომადგენელი

სუმერული და ქართული



## სუმერული და ქართული

### I

ქართველები როცა ჩვენს დიად წარსულზედა ვლაპარაკობთ, ეს უბრალო ტრაბახი და ბაქი-ბუქი არ არის. დიადი იყო ჩვენი წარსული ჩვენის ცხოვრების ისტორიულ ხანისა, ე. ი. იმ დროისა, რომლის განმავლობაშიაც ქართველი ერი ისტორიულად სცხოვრობდა, ჰქონდა თავისი პოლიტიკური ცხოვრება, სარწმუნოება, მწერლობა და სხვ.—მაგრამ კიდევ უფრო დიადია წარსული იმ რასისა, რომელსაც ქართველი ერი ეკუთვნის. ეს რასა, რომელსაც თამამად შეგვიძლია ქართული რასა ვუწოდოთ, დიდი, მრავალრიცხოვანი იყო, უძველესი კულტურის დაწყების მხრით სემიელებზედ და არიელებზედ წინა აზიაში, და ამასთანავე ისეთი ნიჭითა და შემოქმედებით დაჯილდოებული, რომ სადაც კი მოიკიდებდა ფეხს მისი რომელიმე ნაწილი,—ბაბილონიაში, ელამის ქვეყანაში, არმენიაში, მთელს მცირე აზიაში თუ კავკასიაში,—ყველგან ჰქმნიდა უდიდესსა და უორიგინალესს კულტურას,—სახელმწიფოებრივ ცხოვრებას, სარწმუნოებას, ხელოვნებას, მწერლობას—ყოველისფერს, რასაც კი კაცობრიობის დიდება ეწოდება და რაიცა დაწერილია მის ისტორიის ფურცლებზედ.

დღეს ქართველები და ვართ დაშთენილნი ამ ერთ დროსუდიდისისა და მრავალრიცხოვანის რასიდან. ათას წელთა ისტორია ჰქონდა ამ რასას, მრავალ ალაგას შეჰქმნა მან კულტურულ-ეროვნული ცენტრები, მაგრამ ამავე დროს ათასწლობითი რბევაც გამოუვლია ჯერ სემიელებთან და მერე არიელებთან. ყველგან შთაინთქა და დაიღუბა ამ რასის ნაწილები მტერთაგან, მხოლოდ კავკასიაში და შერჩა მისი ერთი დიდი ნაწილი ქართველ-ქან-მეგრელ-სვანები—ე. ი. ქართველი ერი, მას ორიათასი წლის ისტორიული სიცოცხლე და კულტურული შემოქმედება კიდევ არგუნა ბედმა და დღესაც

არ მომკვდარა საქართველო.—და განა ქართველ რასის სხვა ადგილებში განცდილი ბედი იმას ამტკიცებს, რომ ეს რასა სუსტი იყო და ადვილად ამოჟლიტეს მტრებმა?—სრულიადაც არა. პროცესი ქართველ რასის ელემენტთა სხვებისაგან შთანთქმისა იგივე იყო, რასაც ჩვენ ყველა რასათა ისტორიაში ვხედავთ: ერთი რასის ელემენტები ჰქმნიან კულტურას, მეორე რასის ელემენტი საუკუნეთა განმავლობაში ებრძვის მას და ან ითვისებს მის კულტურასა და ენას და თვით ჰკარგავს თვის რასიულ თვისებებს, ან თვით ისევს დაპყრობილ რასასა. ხშირად ნარევი რასა და ეროვნება ჩნდება,—ახალი შემომკმედი ხალხი.—ქართველმა რასამაც ბევრი თვითონ დაჰკარგა საუკუნეთა განმავლობაში სხვა რასებთან მიხლა-მოხლით, ბევრიც სხვას შესძინა,—ბევრს შეერია და ბევრიც მან შეირია; მაგრამ მისი უდიდესი ღვაწლი ის არის, რომ არასოდეს არ დაუკარგავს მის ნაწილთაგან შემდგარ ერებს საკუთარი ეროვნული სახე სხვებთან შერევითა, სხვათა მიერ დაპყრობითა ან სხვათა გავლენით, სანამ უკვე შექმნილი არა ჰქონდათ საკუთარი, დიდ დროის განმავლობაში შემუშავებული ეროვნული კულტურა. ამას მარტო ჩვენი საქართველო კი არ ამტკიცებს, რომელმაც დიდი კულტურაც შექმნა და არც მომკვდარა, არამედ ის „საქართველოებიც“, რომელნიც კაი ხანია აღარ არიან, მაგრამ მათ მიერ შექმნილ კულტურათა შესწავლა შეადგენს სწორედ დღევანდელ მეცნიერების ერთ უდიდეს საგანს.

მას შემდეგ რაც აღმოაჩინეს და შეისწავლეს ლურსმულ წარწერათა მწერლობა, ეგრედ წოდებულ არა-სემიელთ და არა-არიელთ ენათა და მოდგმის პრობლემა მსოფლიო ისტორიის ერთ უდიდეს პრობლემად ითვლება.—ვინ იყვნენ ეს არა-არიელები და არა-სემიელები წინა-აზიაში? რა ენანი არიან მათნი ენანი? რა ენაა სუმერული ენა, ენა იმ ხალხისა, რომელმაც მოიგონა ლურსმული წერა და შექმნა უპირველესი კულტურა ბაბილონიისა და ერთის მხრით მთელი კაცობრიობისაც? რა ენაა სუზურ-ელამური, ახალ-სუზური ან მედიური? რა ენაა ეგრედ წოდებული ურარტის ანუ ქალდეის

ენა, რომელზედაც სომხეთში ნახული ლურსმულია დაწერილი? — რა ენაა ეს ჯერ კიდევ წაუკითხავი იეროგლიფებით ნაწერი ხეთური ენა, რომლის ნიმუშებიც ლურსმულადაც მოიპოვება და მასასადამე წაკითხულიც არის? ვინ იყვნენ ეს ხალხები, ამ ენებზედ მოლაპარაკე, რომელთა ნადგომზედ არქეოლოგიური კვლევა მათ უდიდესს კულტურას აჩენს და ზოგიერთ მათგანს კაცობრიობის კულტურის დამწყებადა ხდის? — აი ეს პრობლემები და კიდევ ბევრი სხვა მათთან ვიწროდ შეკავშირებულნი, რომელნიც აღელვებენ თანამედროვე მეცნიერებსა და რომელთა გადასაწყვეტად ნახევარი საუკუნე მეთიარაც მუშაობენ საუკეთესო ასსიროლოგები, არქეოლოგები, ისტორიკოსები, ენათმეცნიერები, ანთროპოლოგები და სხვ.

თავიდანვე ბევრი მეცნიერი თურანულ რასას მიაწერდა იმ ძველის ძველ ენათა და კულტურათა, რომელნიც არც არიულნი იყვნენ არც სემიურნი წინა აზიაში. ბევრმა კი მყისვე დაინახა იქ ქართული რასის კვალი. ლენორმანმა ურარტუს ენა შეადარა ქართულსა და მას მიემხრო სეისი, გრასი, შემდეგ კი ახალი მკვლევარები ამ ენათა — ბელკი და ლემანი. — მაგრამ ჯერ კიდევ ლენორმანსა და შემდეგ ბელესა და ლემანსაც ქართველებიც თურანელები ეგონათ, რადგან ურარტუს თურანელობა მათთვის ექვს გარეშე იყო. — ფრიც ჰომმელმა ქართული შეადარა ელამურსა და ალაროდისულს (**ქალდურს**), ეს უკანასკნელი კი სუმერულს, სუმერული თურანულ ენათა ჯგუფს და შემდეგ მოინდომა ყველა მათი დაკავშირება ეტრუსკულთან, ბასკურთან, კელტურთან და სხვ. და ამგვარად შექმნა დიდი ჰიპოტეზა უძველეს თურანელთ მონათესავე რასისა, რომელსაც ერთ დროს მთელი წინა-აზია უნდა სჭეროდა და რომელთა ნაწილი ევროპაშიაც უნდა ყოფილიყო გადასული. ეს ჰიპოთეზები და შედარებანი არ არიან კემარიტებსა მოკლებულნი, რომ თან მათ ინიციატორებს და განსაკუთრებით მათ ახალ-გაზდა მიმდევრებს ჰქონოდათ შესწავლილი ზედ-მიწევნით ქართული ენა და საზოგადოდ საქართველო, გაერჩიათ კარვად ქართული და თურანული ერთი-ერთმანეთისაგან; ამგვარად არ აერიათ ერმანეთში ქართველობა და თუ-



რანელობა წინა აზიის კულტურის შემქმნელ ძველის რასისა, რადგანაც ქართველობა და თურანელობა ურთი-ერთის გამომრიცხველი მოვლენაა, რამდენადაც ამას ამტკიცებს მეცნიერება. —

ჩვენი მიზანია ამ წერილით გავაცნოთ მკითხველს თუ როგორ ენათესავენ ქართული სუმერულს, იმ ხალხის ენას, რომელმაც მოიგონა ლურსმული წერა, იმ ძველის ძველის ხალხის ენას, რომელთა მწერლობითმა საბუთებმა ჩვენს დრომდის მოახწია 4000 წლ. ქრისტეს წინითგან. საბუთები ქართველობისა და სუმერიელობის ნათესაობის დასამტკიცებლად ანთროპოლოგიურიც არის და ლინგვისტიურიც, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ამ უკანასკნელ მხარეს მივაქცევთ ყურადღებას. ამასთანავე სავსებითა და დაწვრილებით ამ წერილში ვერ მოვუთხრობთ მკითხველს ამ ენათა ნათესაობის შესახებ. მხოლოდ ჩვენ საზოგადო შეხედულებასა ვსწერთ გრამატიკისა და სიტყვების შესახებ. — ხოლო უფრო ვრცელი შრომის დაბეჭდვას ვსცდილობთ ინგლისურ ენაზედ და კიდევ უფრო დაწვრილებითა და დალაგებით ქართულ ენაზედაც, თუ გარემოებამ ხელი შეგვიწყო. — ქართულ ენისა და რასის ნათესაობა უძველეს გამქრალ ენათა და ხალხებთან მსოფლიო პრობლემებიაო, სთქვა პრ. მარმა თავის უკანასკნელ სააკადემიო სიტყვაში, და ბევრის მხრით არის იგი მსოფლიო პრობლემები, ბევრი სხვა და სხვა სპეციალობის მეცნიერის მუშაობაა საჭირო, აგრეთვე ბევრ კულტურათა და ხალხთა წარსულის კვლევა, ხოლო ჩვენ ამ დიდი რასის ერთი ხალხი ავიღეთ, აგრეთვე მისი ენის მხრით მარტო, და მას ვაღარებთ ქართულსა. ჩვენ ამითაც კმაყოფილი ვართ, რადგანაც მარტო სუმერიელებსაც კი აქვთ თავის თავად ეს მსოფლიო მნიშვნელობა.

## II

მეცნიერებს დღესაც ვერ გადაუწყვეტიათ საკითხი, თუ რომელ ენათა ჯგუფს ეკუთვნის სუმერული ენა. უმეტესი ნაწილი ენათმეცნიერთა ახლაც იმ აზრისაა, რომ ეს უძველესი ენა თურანულ

ჯგუფს უნდა ეკუთვნოდეს. რაულინსონი<sup>1)</sup> პირველი იყო, რომელმაც გამოსთქვა დიდი და საზოგადო ჰიპოთეზა ეგრედ წოდებულ „სკვითთა“ შესახებ, რომელთაც უნდა ეცხოვრათ უძველეს დროიდან იმ ადგილებში, სადაც შემდეგ დამკვიდრდნენ სემიელები და შემდეგ არიელები. სუმერიელები მისი აზრით ამ „სკვითებს“ ეკუთვნოდნენ. შემდეგ რაულინსონმა სუმერიელებს „აკადები“ უწოდა, როგორც მეორე ნიქიერმა ირლანდიელმა ასსირიოლოგმა ჰინქსმა. ოპპერტი, გრადერი, სეისი და სხვანი რაულინსონის აზრისანი იყვნენ და სუმერიელებს აღიარებდნენ არა-სემიურ და არა-არიულ ტომად. რულინსონისავე აზრით, სხვა არა-სემიური და არა-არიული ენები, აღმოჩენილი ლურსმულ ნაწერებში, აგრეთვე უძველეს „სკვითთა“ ენათა ჯგუფს ეკუთვნოდნენ.—ოპპერტი და სხვა ასსირიოლოგები ამასთანავე ნახულობდნენ ამ პირველ-ყოფილ სკვითურ ენათა და თურანულ ენათა შორის ნათესაობას. ამიტომაც ოპპერტი<sup>2)</sup> უწოდებდა ძველ სუმერულ ენას—„კამლო-სკვითურს“, ხოლო ასემენიდთა წარწერების მეორე დაფის ენას—„მელო-სკვითურს“. ოპპერტმა ბოლოს შესცვალა სახელ-წოდება სუმერულათ და თვითვე მოიგონა და დაამტკიცა კიდევ კანონიერობა ტერმინის „სუმერ“-ისა, რომელიც სახელსდო უძველეს ხალხს, ლურსმულ წარწერათა მომგონს. ხოლო სიტყვა „აკადური“, მოგონილი ჰინქსისაგან და რაულინსონისგან დარჩენილი იყო დიდ-ხანს ინგლისის სკოლის მეცნიერთა შორის და ამავე ტერმინს ხმარობდა გამოჩენილი ფრანგი ასსორიოლოგი ფრ. ლენორმანი.

ოპპერტის<sup>3)</sup> ახალს ტერმინს შედარებით მცირე წინააღმდეგობის შემდეგ (ლენორმანი<sup>4)</sup> იყო მისი წინააღმდეგი, ამტკიცებდა

---

1) H. Rawlinson, Journal of the Royal Asiatic society, 1855, Art II. Notes on the Earey History of Babylouia

2) J. Oppert, Expédition en Mésopotamie, II, 1859.

3) Observations sur l' origine des chaldéens, compte rendu de la soc. fr. de numism. et d' archéol. 1869. შემდეგ Journal Asiatique, 1875.

4) Etudes Accadiennes, 1873.

რომ „აკკადური“ უკეთესი ტერმინია). ყველა მეცნიერი მიემხრო. ეხლა უკვე დამტკიცებული ფაქტია მეცნიერებში, რომ ის ხალხი, რომელმაც ლურსმული წერაც მოიგონა და არც სემიური შთამომავლობისა იყო, სუმერიის ხალხი იყო; ეს ხალხი სცხოვრობდა სამხრეთ ბაბილონეთში, სპარსეთის კუთხედან მოკიდებული შუა-მდინარემდის, ხოლო „აკკადები“ სემიელები იყვნენ, იმავე შთამომავლობისა, როგორისაც ბაბილონელები და ასსურელები, და სცხოვრებდნენ სუმერიელთა ჩრდილოეთით.

როგორც კი აღმოჩნდა ამ ძველი სუმერიელების ენაზედ დაწერილი ლურსმული ტექსტები, მყისვე მიაქციეს ყურადღება იმ გარემოებას, რომ ენა სუმერიელთა სრულიად არ ჰგავდა ბაბილონურ-ასსურულს, რომელიც თვალ-ნათლივ სემიური იყო. გაიგეს შინაარსიც სუმერულ წარწერათა, რადგანაც აღმოჩნდა ორ ენაზედ დაწერილი ტექსტები—სუმერულად და ასსურულად: ერთი-თარგმანი იყო მეორისა. და რადგანაც ასსურული ტექსტების თარგმნა შესაძლებელი იყო, სუმერულის შინაარსიც გაიგეს. ასირ-ბანიპალის წიგნთ-საცავში კი მთელი ლექსიკონი და გრამატიკა აღმოაჩინეს სუმერულ-ასსურული. ამ წამითგანვე დაიბადა საინტერესო საკითხი, თუ ცოცხალ ენათა რომელ ჯგუფს ეკუთვნოდა სუმერული ენა. ოპერტმა იგი აღიარა თურანულ ენად უკვე 1869 წელს და მას შემდეგ, მიუხედავად ბევრი წინააღმდეგობისა, ბევრი მეცნიერი დღესაც ამ აზრისაა. სულ უკანასკნელადაც კი დაბეჭდა უნგრელმა გულგოციმ წერილი Z A-ში (Zeitschrift f. Assyriologie, 1911), სადაც ის სუმერულს ადარებს უნგარულ ენასა. საზოგადოდ თითქმის ყველა თურანული ენა შეადარეს სუმერულსა. ჩვენ აქ არ მოვეყვებით ამ ფრიად საინტერესო ისტორიას, ამას შემდეგისათვის გადავდებთ, მაგრამ უნდა ვსთქვათ კი, რომ ისეთი შესანიშნავი ასირიოლოგი, როგორიც ფრ. ლენორმანი იყო, და რომელმაც თითქმის საფუძველი ჩაუყარა სუმერიოლოგიას, მხურვალე მიმდევარი იყო იმ აზრისა, რომ სუმერული თურანულ ენათა ჯგუფს ეკუთვნო-

და<sup>1)</sup>). ლენორმანის შედარებათა ზოწინააღწევენი ბევრნი გამოჩნდნენ, მაგრამ დღესაც ბევრია სუმერიელთა თურანიზმის მომხრე, თუმცა შესანიშნავი ასირიოლოგებიც არის ასეთები, რომელთაც არა სწამსთ ეს თურანიზმი. ასეთია სხვათა შორის ინგლისელი კანგი, — ინგლისელივე სტევენ ლენგდონი<sup>2)</sup>, რომელსაც ამ რამოდენიმე წლის წინად სუმერული ინდო-ევროპიული ეგონა, ეხლა კი აღიარებს ვერ შეესძელ გამორკვევა, რა ჯგუფს ეკუთვნის სუმერული ენაო.

წინადავე თვით ოპპერტი არ იყო ისეთი მხურვალე დამკველი თურანიზმისა, როგორც ლენორმანი. იგი სამართლიანად ამბობდა, რომ სუმერული ენა სკოცხლობდა ქრისტეს წინად 4000 წლებში, აგრეთვე თურანულ ენათა აუარებელ ნაწილს არც მწერლობა აქვსთ და ვერც მათი ისტორიული გრამატიკის შეგნება შეგვიძლია ხერხიანად, და ამ მიზეზთა გამო ცოტა ფრთხილად უნდა მოვეპყრათ სუმერულისა და თურანულის შედარებასაო. სეისიც, თუმცა მომხრე იყო იმ აზრისა, რომ სუმერულს ჰქონდა კავშირი თურანულთან, დიდ ყურადღებას აქცევდა თურანულ ენათა განსაცვიფრებელ ცვალებადობას, რაიც აძნელებდა მათს შედარებას სუმერულთან და ამ გარემოებაზედ უთითებდა ლენორმანს, თუმცა მეორე მხრით იგი ხედავდა რაღაც ერთობას სუმერულ ენებთა შორის (სხვათა შორის ქართულ ენის შორის) და თურანულ შორის. ამ იბერულ-თურანულთან უნდა ჰქონოდა კავშირი მისი აზრით სუმერულსა და სხვა არასემიურ და არა არიულ ლურსმულ წარწერათა ენებსა.—<sup>3)</sup> ა. დელატრი<sup>4)</sup> სრულიად უარ-ჰყოფდა თურანულთა არსებობას იმ ადგილებში, სადაც რაულინსონისა, ოპპერტისა და ლენორმანის აზრით

<sup>1)</sup> იხ. განსაკუთრებით მისი Etudes Accadiennes, 1873, და უფრო კიდევ საინტერესო La langue Primitve de la Chaldée, 1875.

<sup>2)</sup> Bablyoniaca, I, II,

<sup>3)</sup> A. B. Sayce: On an Accadian seal, journal of philology, vol. III, 1871.

<sup>4)</sup> A. Delattre: Le peuple et l'empire des Mèdes jusqu'à la fin du règne de Cyaxare, 1883, Bruxelles.

უნდა ეარსებნათ არა-არიელ და არა სემიელ ხალხებს (თურანელთა შთამომავლობას, ან სკვითებს) უძველეს დროიდან, და საშინელ კრიტიკას უწევდა განსაკუთრებით ამ სამს ბუმბერაზ წარმომადგენელს მაშინდელის ასსირიოლოგიისას. მაგრამ სხვათა შორის, დელატტრის სუსტი მხარე კიდევ ის იყო, რომ იგიც გაიტაცა ე. ჰალევის თეორიამ—არავითარი სუმერიელები და არავითარი სუმერული ენა არ არსებობდა ბაბილონიაში, ეს მხოლოდ მოგონილია ასსირიოლოგთა მიერ, რადგანაც მათ სემიელთაგან იდეოგრაფიულად დაწერილი წერილი ფონეტიურად წაიკითხეს და ამგვარად შეცდომით შექმნეს მთელი არასოდეს არ-არსებული რასა და მთელი ენაო.

ცოტა შევჩერდეთ და ჰალევის შესახებ ორიოდ სიტყვა ვსთქვათ. ორიოდ სიტყვა მეთქი. რადგანაც ჰალევისაგან აღძრული საკითხის ისტორიის მოყოლა ძლიერ შორს წაგვიყვანდა და აქ ჩვენ ეს არ შეგვიძლია. ამავე დროს შეუძლებელია ლაპარაკი ასსირიოლოგებზედ და მერმედ სუმერიელთა ენის შესახებ, თუ ეს უცნაური ამბავი ეოზ. ჰალევისი არ მოვიხსენიეთ:

ეოზეფ ჰალევი დღესაც ცოცხალია, იგი გამოჩენილი პედაგოგი იყო სემიურ და თურანულ ენებისა და ბევრი დეაწლი მიუძღვის საფრანგეთის მეცნიერების წინაშე განსაკუთრებით სემიურ ეპიგრაფიის შესწავლაში. მაგრამ იგი ტომით ურია არის, და ამ გარემოებას აურია გზა და კვალი, როდესაც ასსირიოლოგებს შეებძოდა სუმერულ ენის არსებობის შესახებ და შესთხზა სუმერულთა და მათ ენის არ-არსებობის დასამტკიცებლად ორი ერთმანეთზედ უფრო უაზრო და სასაცილო თეორია. როგორც კი უკვე საბუთიანად, დაიწყეს ლაპარაკი სემიელებზედ უძველესი ხალხის შესახებ, რომელსაც უნდა შეექმნა კულტურა ბაბილონიისა და მოეგონებინა ლურსმული წერა, მაშინვე ალაპარაკდა ჰალევის ტომობრივი პატრიოტიზმი, და მან მთელის თავისი ძალ-ღონით გაილაშქრა ამ ახალ თეორიის წინააღმდეგ და ცეცხლსა ჰყრიდა თვალთაგან თავის ნაწერებში: როგორ? ბაბილონიაში სემიელებზედ უფრო წინად სხვა

რასა სცხოვრობდა და ისიც თურანელები! მათ შეუქმნიათ ბაბილონის კულტურა? მათ მოუგონიათ ლურსმული წერა, მათი შექმნილია ბაბილონის სარწმუნოება, ხელოვნება?! მაგრამ სად არის, მაგალითად, ხელოვნება თურანელთა საზოგადოდ მაშინ, როდესაც სემიელთა ხელოვნებას ათას-წლოებითი ისტორია აქვს, — თვისი განსაკუთრებული სახე! მათ მოიგონეს ლურსმული? — მაგრამ ეგრედ წოდებული სუმერული ენა რომ უბრალო იდეოგრაფიზმია ბაბილონურისა და ასსურულისა და სხვა არაფერი! არ არსებობდნენ არც სუმერიელები, არც არავითარი შტო თურანელთა ბაბილონიაში და არც რაღაც სუმერული ენაო! — ასეთის რიხით გამოვიდა ჰალევი და დაიწყო კიდევ მტკიცება თავის თეორიისა. 1874 წელს გამოვიდა ჰალევი ამ თეორიით პირველად და დიდი სენსაციაც მოახდინა. ეს მისი პირველი შრომა სუმერიელების არ-არსებობის შესახებ დაიბეჭდა Journal Asiatique-ში. იგი პირდაპირ აყენებდა საკითხს თავის წერილში: 1) ეკუთვნის თუ არა აკადური ენა (ე. ი. სუმერული, რადგანაც მაშინ კიდევ ბევრი ხმარობდა ტერმინს „აკადურს“), კიდევაც რომ არსებულიყო, თურანულ ენათა ჯგუფს? 2) შესაძლებელია თუ არა, რომ ბაბილონის მიწაზედ ოდესმე თურანელები სახლებულიყვნენ? 3) ეგრედ წოდებული აკადური ტექსტები ასსურულ ენისაგან განსხვავებულ ენაზედ დაწერილი ტექსტებია, თუ ერთგვარი იდეოგრაფიული სისტემაა, რომელიც ასურელებმა მოიგონეს ფონეტიურ სისტემასთან ერთად? — რასაკვირველია ყველა ამ საკითხებზედ იგი იძლეოდა სემიტისების სასარგებლო პასუხებსა და ამბობდა, არავითარი მსგავსება აკადურსა და თურანულს შორის არ არის, არც გრამმატიკაში, არც სიტყვებში, ბაბილონის ხელოვნებას არავითარი თურანული ბეჭედი არ აზის, არავითარი ისტორიული ტრადიცია და გეოგრაფიული სახელებიც არ გვიჩვენებენ, რომ როდესმე ბაბილონიაში ყოფილიყვნენ თურანელები; ლურსმული კი სემიურია, ფანეტიური ექვივალენტები ლურსმულ სილლაბთა ნაშდვილი სემიური სიტყვებია, და ეგრედ წოდებული „აკადური“ (სუმერიული) ტექსტებიც მხოლოდ ასსურულ

ხელოვნულ ილევოგრამებით არის დაწერილი; ეს ილევოგრამები მხოლოდ თვალს ელაპარაკებიან და არა ყურსაო.—

ფრანსუა ლენორმანმა აიღო კალამი ხელში პირველად და ყველაზედ უფრო მძლავრად ჰალევის შესამუსრავად <sup>1)</sup> მან დაამტკიცა პირდაპირ თვით ასსურელთა მოწმობით, ასსურ-ნაზირ-პალის წიგნთ-საცავში ნახულ ასსურულ-სუმერულ გრამატიკითა და ლექსიკონით, რომელიც ასსურულთათვის იყო დაწერილი სუმერულის სასწავლებლად, რომ სუმერული ენა არა თუ არსებობდა, არამედ იგი მისი სიკვდილის შემდეგაც წმინდა და სამეცნიერო ენა იყო ბაბილონელთათვის საუკუნეთა განმავლობაში, როგორც ლათინური ევროპიელთათვის საშუალო საუკუნოებში და შემდეგაც. მან აგრეთვე დაამტკიცა, რომ გეოგრაფიული სახელები, თვით სახელები ტიგრისა (იდიგნა) და ეფრატისა (ბურანუნ), აგრეთვე ღმერთების სახელებიც მოიპოვება დარჩენილი, რომელიც სუმერულია და არა სემიური. მან აგრეთვე პირდაპირ გააწბილა ჰალევი ერთი ბერძნული ციტატის ყალბ-თარგმანში: ეს ციტატა ბეროზის თხზულებიდან არის დარჩენილი და პირდაპირ სწერია, ბაბილონიაში პირველად უცხოელები სცხოვრობდნენ, ე. ი. არა-სემიელებიო, ჰალევიმ კი ეს ციტატა თავის სასარგებლოდ გამოიყენა, <sup>2)</sup> და სხვ. და სხვ. მაგრამ ყველაზედ უარესი ის იყო, რომ ლენორმანმა პირდაპირ დაუმტკიცა ჰალევის რომ იგი არ იყო ასსირიოლოგი და ტყვილა ჰყოფდა ხელს ისეთს საგანში, სადაც ცოტა გაეგებოდა, და აღნიშნა მის თხზულებაში აუარებელი შეცდომა, უცოდინარობა

---

<sup>1)</sup> იხილე მისი: *La langue primitive de la Chaldée etc.* 1875.

<sup>2)</sup> ციტატა ასეთია: Ἐν δὲ τῇ Βαβυλωνίῳ πρὸς πλῆθος ἀμφράπων γενέσθαι ἀλλοειθῶν κατσεικησάντων τῆν Χαλδαίαν: ეს ნიშნავს: „ბაბილონიაში იყო მრავალი ადამიანი, უცხო მოღვათა, რომელნიც ესახლნენ ქალდიაში“. — ჰალევი ყალბად სთარგმნიდა ამას: „ბაბილონია დასახლებული სხვა და სხვა თემთა მრავალი ხალხით, რომელნიც ქალდეველნი იყვნენ“. - -

ლორსმულის გარჩევისა და ხშირად ტყუილის მოგონებაც კი საკუთარ თეორიის გასამართლებლად.—ლენორმანმა, მართლაც ამ გენიოსმა ასსირიოლოგმა, რამდენიმე თვეში შეადგინა ეს გვირგვინი დიდი წიგნი და დაბეჭდა, მთლად მტვრად აქცია ჰალევის თეორია, მაგრამ ამასთანავე სუსტი მხარე ამ წიგნის სწორედ ის იყო, რომ ლენორმანი დადებითად ამტკიცებდა—სუმერიელები თურანელები იყვნენ და მისი ენაც თურანული იყო.

ლენორმანს მიჰყვნენ შრედერი, დელიჩი და ოპპერტი ჰალევის წინააღმდეგ. მაგრამ ჰალევიმ ისარგებლა ლენორმანის თეორიის — სუსტი მხრით, მისი თურანიზმით, და მხოლოდ მას ებრძოდა თავის პასუხში, დანარჩენში კი იმეორებდა პირველად დაწერილ უსაფუძლობას. (J. Halévy: La prétendue Langue d' Akkad est-elle touranienne?—)

1883 წლამდის გრძელდება ამ ნიადაგზედ ბრძოლა ჰალევისა და ასსირიოლოგთ შორის. არც ერთი არგუმენტი ჰალევისა მართალი და მეცნიერული არ გამოდგა. ამას გარდა ბევრი იმდენი ახალი აღმოჩნდა ამ დროის განმავლობაში მეცნიერულ კვლევის წყალობით, რომ სუმერიელთა და სუმერულ ენის არსებობა უეჭველ ფაქტად დაესახა თვალ-წინ მეცნიერებს. დამტკიცდა საბოლოოდ, რომ სახელი ამ ხალხისა მართლაც სუმერი იყო და არა აკადი. ოპპერტმა (შემდეგ საბოლოოდ ბეცოლდმა) ეს საკითხი უკვე გადასწავიტა მეცნიერულის საბუთებით. აღმოჩნდა „დიდი ექტები“ თვით სუმერულ ენაში თეოფილ პინჩისა (1878 წელს) და განსაკუთრებით ჰაულ ჰაუპტის \*) (1880 და შემდეგ გამოცემული შრომები) კვლევათა წყალობითა, აკრეთვე სხვა ასსირიოლოგები ამდიდრებდნენ მეცნიერებას თავიანთ გამოკვლევებით სუმერიელთა შესახებ. ამავე

---

\*) Ueber einen Dialect der Sumerischen Sprache. Nachrichten von d. Königl. gesell. d. Wissenschaften d. G. A. Univers. zu Göttingen, № 17, 1880.



დროს საფრანგეთის ექსპედიციამ დე-სარზეკის მეთაურობით აღმოაჩინა მრავალი ნაშთი ძველ სუმერიელთ კულტურისა და ენისა ტელლოში (სამხრეთ ბაბილონიაში). აღმოჩნდა ათასობით ტაბლეტები სუმერულ ენაზედ წარწერილი, ძველის ლურსმულით, რომელიც იმ პირველ-ყოფილ იეროგლიფებს წააგავდა, საიდგანაც წარმოსდგა შემდეგ ლურსმული. ამ წარწერათა გადასათარგმნელად იშრომეს მრავალი ამიომ, ოპერტმა, იენსონმა, ციმმერმა, — ნათელ-ჰყვეს სუმერულ გრამატიკისა და საერთოდ ენის თვისებანი. მაგრამ ჰალევიზედ ყოველივე ამან ვერავითარი გავლენა ვერ იქონია: იგი, ცხადია, არ იყო დაინტერესებული მეცნიერული ჭეშმარიტებით, არამედ სემიური პატრიოტიზმით, და ამიტომაც სრულიადაც არ მოერიდა შემდეგ არა-კეთილ-სინილისიერ საქმეს: როდესაც ნათლად დაინახა, რომ ძველი იდეოგრაფიზმის თეორიის დაცვა ყოვლად შეუძლებელი იყო, მან გამოსცვალა ეს თეორია და სხვა მოიგონა, მაგრამ ისე კი რომ ამ ცვლილებაზედ თვითონვე არა უთქვამს რა. ნელ-ნელა შეაპარა ეს ცვლილება. მან 1878 წელს წაიკითხა პარიზის „წარწერათა აკადემიაში“, ხოლო 1882 წელს დაბეჭდა თვისი შრომა: *Etude sur les documents philologiques Assyriens*, აგრეთვე წაიკითხა ამავე აკადემიაში 1882 წელს: *Les nouvelles inscriptions Chaldéennes et la question de Sumer et d' Accad*, და სხვ. აქ შესცვალა მან თვისი თეორია და იდეოგრაფიზმის მაგიერად შესთხზა იდეოფონიის თეორია, კიდევ უფრო სასაცილო და შეუწყნარებელი და უაზრო ვიდრე პირველი. რა არის ეს „იდეოფონია“ ჰალევისა, ანუ „ალოგრაფია“, როგორც თვით ავტორი უწოდებს აგრეთვე თავის თეორიას? — ეს არისო, ამბობს ჰალევი, ერთი განსაკუთრებითი წესი წერისა, სადაც იეროგლიფიზმი რებუსთან არის შეერთებული, აგრეთვე იმ სიტყვებთან, რომელიც ხალხის ჭკუა-მახვილობას ამორჩეული აქვს და უყვარსო. — ამგვარად სუმერული ლურსმული მარტო იდეოგრამები კი არ არიან, რომელნიც თვალს ელაპარაკებიან და არა ყურსა და რომელთა გადაწერა ასსურულად მყისვე შეიძლება, არამედ ეს რაღაც ხელოვნური რებუსებია, რო-

მელთა გამოთქმაც და მოსმენაც შეიძლება, მაგრამ ისინი მაინც იმ  
ენას ვკუთვნიან, რომლიდანაც არიან წარმომდგარნი, ე. ი. სემიურ-  
სა.—1902 წელში ჰალევი იქამდისაც კი მივიდა, რომ ამბობდა,—  
ის ილიოტური აზრი, ვითომც სუმერული წერილი მხოლოდ იკით-  
ხებოდა და არ გამოითქმოდა, ფიქრადაც არ მომსვლიაო, მაგრამ  
ფაქტი ის არის, რომ ასე შესცვალა მან თვისი თეორია.—პრინცი-  
პი ასეთის წერისა იყო შემდეგი: ფონემები არიან ლურსმული  
ნიშნების სახელები, რომელნიც ერთად გამოითქმიან, როგორც  
Paris=ᑯᑦ, a, erre, i, esse, მაგრამ ნამდვილად უდრიან Paris-ს. ნა-ბუ-  
კუდურ-უსურ-ის დაწერა შეიძლებოდა ამ წესით ან-პა-სა-დუ-ხის,  
მაგრამ ეს სიტყვა ნამდვილად ნაბუკუდურ-უსურად გამოითქმის, და  
სხვ. წინააღმდეგ, ჰამფრაბი არ არის ნამდვილი სახელი მეფისა,  
როგორც ნაბუქოდონოსორის სახელი არ არის ან-პა-სა-დუ-ხის,  
არამედ კიმტა-რა-პასტემ (!) (ე. ი. მრავალ-რიცხოვანი ოჯახი) და  
სხვ.—მთელი სისტემა ახსნა ჰალევამ ამ პრინციპზედ. რაც რამ იყო  
ლურსმულ წერის მექანიზმში ისეთი, რომ ამ სისტემას აბსურდად  
ხდიდა, საშინელი ფანტასტიური კომბინაციებით მოიშორა იგი თა-  
ვიდან, და ასეთის ნაძალადევის „მეცნიერებით(?)“ მან ისეთი რამ უც-  
ნაური სისტემა შეიბუშავა, რომ მისი მსგავსი არც ერთს მეცნიერებას  
არა უნახავს რა. ჩვენ აქ ძლიერ შორს წავგიყვანს ამ სისტემის  
ახსნა და გარჩევა. არც შეადგენს აქ ეს ჩვენს მიზანს. ვიტყვი მხო-  
ლოთ, რომ საკვირველია სწორედ, თუ რად მიენბრუნ ჰალევის ისე-  
თი შესანიშნავი ასირიოლოგები, როგორნიც იყვნენ სტ. გიარი  
და დელიჩი, თუმც ისიც მართალია, რომ არც ერთი არ იყო  
არასოდეს ჰალევის აბსურდულ სისტემის სრული მოძხრე, განსა-  
კუთრებით დელიჩი. გიარი უკვე 1882 წელს მისი მოძხრე იყო.  
დელიჩი გადავიდა მის მხარეზედ 1885 წელს; მაგრამ ვერც გიარმა  
და ვერც დელიჩმა ვერ გაამართლეს ჰალევიზნი. გიარი მოკვდა მა-  
ლე და თან წაიღო ეს საშინელი შეცდომა, ხოლო დელიჩი ჯერ-  
ერთი არასოდეს არ იყო მიმდევარი ჰალევის „იდეოფონების“ თეო-  
რიისა, არამედ „რედოგრაფიზმისა“. მაგრამ მან ეს თვის შეცდო-

მაც აღიარა ბოლოს, და 1896 წელს ისევ ირწმუნა სუმერული ენა და ეხლა უკვე მსკოვანი ასსირიოლოგი პროფესორი ბერლინის უნივერსიტეტისა მთელს სემესტრს ლექციებსაც კი კითხულობდა (ზამთრის სემესტრი 1911/12) სუმერულ გრამმატიკაზედ.—აგრეთვე მან 1910 მშვენიერი პოპულიარული წიგნი გამოსცა: „Handel und Wandel in Balylonien“, სადაც იგი სუმერიელებს აწერს მთელის ბაბილონიის კულტურის დაარსებასა, არა თუ მარტო ლურსმული წერის გამოგზნებასა.—ძველ შრომებში კი (მაგ. Wo lag das Paradies?) იგი მხურვალე „აკადისტი“ იყო, რასაკვირველია.

ჰალევის ახალ თეორიას ებრძოდენ ასსირიოლოგები კიდევ დიდხანს. ებრძოდენ შრადერი, ჰაუპტი, ჰომმელი, ოპპერტი, პინჩის, ამიო და სხვანი. ზოგი გაკვრით, რადგანაც მოსწყინდათ ქარის წისქვილებთან ბრძოლა, ზოგი კი ძლიერად და სისტემატიურად. ყველაზედ უფრო მედგარი ბრძოლა გამოუცხადა მეორე ხანში ჰალევის გერმანელმა ასსირიოლოგმა კარლ ლემანმა\*) თვის „შამაშუმუკინ“-ში, და როგორც პირველ-ხანაში ლენორმანმა გააქარწყლა მისი პირველი თეორია, ისე ლემანმა მთელი თეორია ჰალევისა პირდაპირ არა-რათ-ჰყო. მაგრამ ჰალევი დღესაც არა სტყდება, მიუხედავად იმისა, რომ აღარც ერთი მომხრე აღარ ჰყავს სერიოზული და მცოდნე. არა სტყდება მიუხედავად იმისა, რომ 1902 პინჩისმა პირდაპირ აღმოაჩინა ტაბლეტები ბერძნულ ენაზედ. სადაც ბერძნულად არის გადაწერილი ფონეტიურად სუმერული სიტყვები. აქ თვალ-ნათლად სჩანს, რომ ბერძენი სწავლობდა უკანასკნელად ბაბილონიაში კიდევ დარჩენილ სუმერულ ენას, რომელიც ძველ ისტორიის უკანასკნელ ხანამდის იყო სამღვთო და წმინდა ენად მიჩნეული ბაბილონიაში. ჰალევი აქაც კი გაჯიუტდა და სთქვა: ეს აღბად ბაბილონელ ჰელოენისტთა მიერ დაწერილი ტაბლეტებია. მათ აღბად სურდათ გაეადვილებინათ ლურსმულის კითხვა, განსაკუთრებით ილეოკრაფებისა, ბერძნული ანბნით გადაწერი-

---

\*) C. Lehmann: Samassumukin, 1892.

თო! — ჰალევი დღესაც განაგრძობს თავის უაზრო თეორიის დაცვას „Revue Sémitique“-ის ფურცლებზე!

ხოლო მეცნიერება კი, მიუხედავად ჰალევის ბრძოლისა, წინ მიდიოდა. სუმერული ენის შესწავლა განსაკუთრებით იენსენმა და ციმმერნმა მეცნიერულ საფუძველზე დააყენეს ლენორმანს შემდეგ. არქეოლოგებმა დე-სარზეკმა და სხვებმა (ფრანგთა შორის) (1877—1902) აუარებელი ტაბლეტები აღმოაჩინეს ტელლოში, სუმერულად დაწერილი. ეს ტექსტები არ იყო ორ ენაზედ, არამედ ერთზედ, სუმერულად დაწერილი, ეკუთვნოდნენ იმ დროს, როდესაც სამხრეთ ბაბილონიაში სუმერიელი მეფეები მეფობდნენ და სუმერული კულტურა ყვაოდა. ამიო ჰ შემდეგ ტიურო-დანეენი პირუპირ განსაცვიფრებელი ნიჭითა და მხნეობით მუშაობდნენ, რომ წაეკითხათ ეს წარწერები, და სწორედ ამ უკანასკნელს, ტიურო-დანეენს, უნდა ვუმაღლოდეთ, რომ დღეს სუმერიელთა მეფეების მრავალი წარწერა გადაწერილია საუცხოოდ, გადათარგმნილი და განმარტებული. \*) — შემდეგ პენსილვანიის უნივერსიტეტის ექსპედიციამ (1888—1890) ქ. ნიპპურში აღმოაჩინა სხვათა შორის კიდევ აუარებელი, ათასობით ტაბლეტები სუმერული წარწერებითა, ამერიკელმა ასსიოლოგმა ჰილპრებტმა და სხვებმა ბევრი იშრომეს მათ გამოცემაზედ, თარგმნაზედ და განმარტებაზედ, და ჯერაკ არ არის დამთავრებული მათ მიერ შესწავლა და გამოცემა ამ აღმოჩენილ ტექსტთა. ყოველი ამის წყალობით უკვე გამოირკვა ისტორია და ეთნოგრაფია „სუმერეთისა“. გამოირკვა აგრეთვე დაახლოვებით ქრონოლოგია. იციან დაახლოვებით როდისა და სად მეფობდა სუმერიელი მეფე, ანუ „პატესი“. გამოირკვა რელიგიური, ეკონომიური და არტისტიული ცხოვრება მათი, რომელიც განსხვავდებოდა ასსურელებისაგან და ბაბილონელთაგან. (იხილე ისტორიის შესახებ:

---

\*) F. Thureau—Daujin: Les inscriptions de Sumer et d' Akkad, Paris, 1905, გაუმჯობესებული გამოცემა გერმანულად: Die Sumerischen und Akkadischen Königsinschriften. 1907.

L. W. King: A History of Sumer and Akkad, 1910. London.—ხოლო რელიგიის შესახებ ძველი: F. Lenormant: La magie chez les Chaldéens etc. 1874, ახალი: ჰ. ციმმერნი: Die Keilschriften und das Alte Testament, II). ენის კვლევის მხრით ყველა გამოჩენილმა ასსირიოლოგმა შეიტანა თვისი წვლილი სუმეროლოგიაში. ახალთა შორის ყველაზედ უფრო შესანიშნავნი არიან ციმმერნი და იენსენი, მაგრამ მეტი ღვაწლი მიუძღვისთ კიდევ ფრ. ტიურო-დანჟენს გადაწერაში, გადათარგმნაში და მრავალ გრამმატიკულ მოვლენათა აღმოჩენაში, და აგრეთვე სტ. ლანგდონს, რომელმაც ახალი, შვენიერი და სრული გრამმატიკა შეადგინა სუმერული ენისა: Stephen Langdon: «A. Sumerian Grammar», Paris, 1911.—და სხვ. და სხვ.—ჩვენ აქ ვერ ჩამოვთვლით რაც გაკეთებულია უკვე ამ მეცნიერებაში. და ჰალევი დღესაც კი იბრძვის გამწარებული, დატოვებული თვის მიმდევართაგან, იბრძვის ისე, რომ აღარავინ ყურადღებას აღარ აქცევს, რადგანაც თვით მის თეორიის დედა-აზრს რომ თავი დავანებოთ, პირდაპირ სიგიჟეა იმის წარმოდგენაც კი, რომ საუკუნეთა განმავლობაში მეფეებს რებუსებით ეწეროსთ ისტორიული წარწერები, ბრძანებანი, სამართლის კანონები, რომ მღვდლებს ლოცვები ეწეროსთ და საგალობელნი აგრეთვე რებუსებით, რომ საქმის წერილები ეკონომიურ, ყოველ-დღიურ ცხოვრებაში რებუსებით ყოფილიყოს ნაწერი! ჰალევი სიცოცხლეშივე მოკვდა თავის თეორიით. იგი სემიელობამ დაჰლუპა, მაგრამ ღვაწლს მისას მაინც აქვს ერთი მნიშვნელობა: მისმა კრიტიკამ ბევრი რამ შეასწორებია ასსირიოლოგებს და ამისი ზადლობელი მაინც არიან ასსირიოლოგები ჰალევის წინაშე.

ეს არის, მიკლედ რომა ვსთქვათ, „სუმერული საკითხი“ და „ჰალევიზმი“ \*). მგონი არც ერთს მეცნიერებაში არ დახარჯულა

---

\*) იხილე ამის შესახებ შესანიშნავი წიგნი: F. H. Weinbach: Die Sumerische Frage, 1898. აგრეთვე: Ch. Fossey: Manuel d' Assyriologie, I, l. III; 1904.

ამდენი კჳუა-მახვილობა და ცოდნისა და ლოღიკის ძალის გამოჩენა, როგორც ამ „სუმერულ საკითხში“. მაგრამ ჰალევის დამარცხება თუ იყო აუცილებელი შედეგი ამ ბრძოლისა, სამაგიეროდ არც ასსირიოლოგთა თურანიზმია წმინდა სიმართლე. ჰალევი მართალი იყო, როდესაც თურანიზმს უარს ჰყოფდა, მაგრამ უბედურება მისი ის იყო, რომ იგი მეცნიერული ჳეშმარიტებისათვის არ იბრძოდა, მას სემიელთა პირველობის პრობლემა აინტერესებდა მხოლოდ და ამის დასამტკიცებლად სთხზავდა უმსგავსო თეორიებს და სიცრუესაც კი არ ერიდებოდა, ამიტომაც არც მისმა თურანიზმის კრიტიკამ გამოიღო ნაყოფი.

ლენორმანის შედარება 1875 წელს გამოცემულ წიგნში სუმერულისა და თურანულისა მეცნიერულ ნიადაგზედ კი იყო დამყარებული, მაგრამ საუბედუროდ ყოველისფერი არ მართლდება რაც მეცნიერულ ნიადაგზედ ჰგონიათ დამყარებული. ამ შედარებამ ვერ გაუძლო კრიტიკას. მართლაც კარგი მცოდნე თურანულ, განსაკუთრებულ ფინნო-ალტაურ ენათა, ჰალქვისტი ამტკიცებდა, რომ ლენორმანის შედარებანი სუმერულისა ფინურთან უკეთესნი არ იყვნენ ვიდრე ძველი შედარებანი ბერძნულისა და ფინნურისა.—აგრეთვე ვენგრიელი ფილოლოგი უჯფელევი არ იყო ლენორმანის მომხრე და ამბობდა, არავითარი კავშირი და მსგავსება არ არსებობს სუმერულსა და ფინნო-ალტაურ ენათა, ან ფინნო-უნგრულ ენათა შორისო.—ლენორმანმა პროტესტი განაცხადა—მე არასოდეს არ მითქვამს სუმერული (აკადური) ფინნო-უნგრული ენა არისო, არამედ ვსთქვი, რომ მისი შორეული ნათესავია, რომ სული ამ ენისა საზოგადოდ თურანული არისო.—ალტაისტები მაინც არ დარწმუნდნენ და პირდაპირ განაცხადეს: აკადური არ არის ურალო-ალტაის ენა, ხოლო რადგანაც იგი ავგლუტინანტური ენაა, ამ მხრით შეიძლება მხოლოდ იგი იყოს თურანული, და არა იმ აზრით რომ იგი ურალო-ალტაურს, ან თათრულს ეკუთვნოდესო.—სრულ ჳეშმარიტებას ამბობდნენ ამით ალტაისტები. სუმერული მართლაც არ არის თურანული, თუმცა იგი თურანულ ენებსავით ავ-

გლუტინანტურია. ხოლო თუ მაქს მიულლერის ტერმინოლოგიით აზი-ის მრავალ აგგლუტინანტურ ენათათვის ვიხმართ „თურანულს“, მა-შინ სუმერულიც თურანული ენაა და ქართულიც, რადგანაც ეს უკანასკნელიც აგგლუტანტიურია, და აკი ბევრი და მათ შორის თვით მაქს მიულლერიც შეიყვანა შეცდომაში ამ გარემოებამ,— ქართული მონათლეს თურანულად.—ამგვარად არც ოპპერტის ჰიპოთეზამ, რომელმაც სუმერული უნგრულს შეადარა და რამოდენიმე სიტყვაც კი მოიყვანა ამის დასამტკიცებლად, არც სეისისამ, რომელმაც ურალო-ალტაური და ბასკურ-იბერიული ერთ დიდ შტოდ აღიარა, რომ სუმერულიც შიგ ჩაემწყვდია, როგორც აგგლუტინანტური, არც ლენორმანისამ, რომელიც ტყვილა აცხადებდა პროტესტს არ მითქვამს სუმერული უნგრო-ფინურს ეკუთვნისო და ნამდვილად კი სცდილობდა (*La langue primi. etc.*) სუმერული სიტყვები შეედარებინა ფინურთან, ჩუვაშურთან, ოსტიაკურთან და სხვ. აგრეთვე ოსმალურთან,—არც ერთ ამ მეცნიერთა ჰიპოთეზას ნაყოფი არ მოუტანია. მხოლოდ ერთი ქეშმარიტება დარჩა თვალსაჩინო: ის რომ სუმერული არც სემიური ენა იყო, არც ინდო-ევროპიული, როგორც თავიდანვე ჰინქსს ეგონა და ბოლოს დროს ლენგდონს, არამედ განსხვავებული ამ ენათგან და აგგლუტინანტური.

1884 წელში გერმანელმა მეცნიერმა ფრ. ჰომმელმა სცადა ხელ-ახლად დაეკავშირებინა სუმერული თურანულისათვის. ეს ერთის მხრით ოპპერტის თეორიის ხელ ახალი განხორცილა იყო, რადგანაც ჰომმელივით ოპპერტიც ჰხედავდა ნათესაობას სუმერულსა და თურანულის მონათესავე მედო-სკვითურს შორის.—სუმერული ოპპერტის აზრით იყო ძველი სკვითური, მედური (ახემენიდების წარწერათა მეორე დაფის ენა) კი ერთი შტო საზოგადოდ სკვითურისა,—თურანულის მონათესავისა.—ჰომმელმაც სცადა აღენიშნა ნათესაობა სუმერო-აკკადურსა და თათრულ ენათა შორის ერთის მხრით. მეორე მხრით იგი უფრო შორეულ ნათესაობას ეძებდა სუმერულსა და „ალაროდულ“ ენათა შორის. ეს ნათესაობა ძველია, მაშინ-

დელი, როდესაც სუმერო-აკკადური და თათრული ენები არც კი იყვნენ ურთი-ერთისაგან განცალკევებულიო. ალაროდული ენა იყო მისთვის აგრეთვე „მედური“ ენა, რომელიც მან დაუნათესავე ქართულ ენას იმავე 1884 წელს<sup>1)</sup>. ქართულსავე უკავშირებდა იგი სუზურ ენას, ელამურს, ვანურს და კოსსელურს, აგრეთვე ხეთურს. დასავლეთშიაც ჰქონდა შტო მისი აზრით ალაროდულ ენას: ეს იყო ლიგურიელების ენა და ეტრურიელებისა, აგრეთვე ბასკური, ჩვენ დროს კიდევ დაშთენილი ამ ძველი დროიდან. უძველესი მოსახლეობა საბერძნეთისა აგრეთვე ამ შტოს ენათესივებოდა. ასე რომ ეს ალაროდული ჯგუფი ენათა, მონათესავე სუმერულისა და თათრულისა, კავკასიის სამხრეთიდან ელამამდის ჩამოდიოდა, გავრცელებული იყო მთელს მცირე აზიაში და სამხრეთ ევროპაში<sup>2)</sup>. — ჰომმელის წინააღმდეგ ილაპარაკეს დელიჩმა, ციმმერნმა და ბეცოლდმა და სცილობდნენ დემტკიცებინათ, რომ ჯერ-ერთი ნაადრევი და ძნელი იყო სუმერულის შედარება თათრულთან, რადგანაც სუმერული ენის ფონეტიკა არ იყო სავსებით გამორკვეული, მეორე—თვით შედარების საბუთები ვერ იყო მაგარი და მეცნიერული ღირებულებაც მათი არ იყო ანგარიშში ჩასაგდები. ქართულთან შედარება ჰომმელისა გაარჩია ივ ჯავახიშვილმა<sup>3)</sup>. — საერთოდ კი, როგორც შემდეგ გამოიჩინა როგორც მოწინააღმდეგეთა კრიტიკიდან, ისე სუმერულ კითხვის გაუმჯობესებიდან, მხოლოდ რამდენიმე საეჭვო სიტყვა დარჩა მსგავსი სუმერულსა და თათრულს შორის, როგორც მაგალითად სუმერული დონგირ ძველი თათრული ტონგრა=ღმერთი, და კიდევ რამდენიმე სხვა. — მაგრამ შესაძლებელია (და მგონი ეს ასეც უნდა იყოს) რომ ეთიმოლოგია ამ სიტყვებისა სულ სხვა და სხვა იყოს, მათ ძირებს არაფერი საერთო

1) იხ. Osterr. Monatschr. f. d. Orient, 10, 60, 1884.

2) იხ. Z K, I, 1884. აგრეთვე Archiv f. Anthropologie, 15, Suppl. p. 167, 1885.

3) Ж. М. Н. II. 1908.



არა ჰქონდესთ ურთი-ერთ შორის და მხოლოდ გარეგნულად ემს-გავსებოდნენ ერთმანეთს.—დღეს როგორც ვსთქვით, შესა-ნიშნავ ასიურიოლოგებს, როგორც კინგია და სტ. ლენგდონი, აღარც ეს თურანიზმი სწამთ და კინგი, მაგალითად, ძლიერ საე-ქვოდ აღიარებს სუმერულის თურანელობას, ლენგდონი აზბობს—ჩემმა გამოკვლევებმა დამარწმუნეს, რომ არც თურანელთან, არც კავკასიურთან, არც არიულთან და არც სემიურთან შედარებამ სუ-მერულისამ ნაყოფი არ მოიტანაო. თუმცა ამ რამოდენიმე წლის წინად იგივე სტ. ლენგდონი, როგორც ზემოდ ვსთქვით, ამტკი-ცებდა, რომ სუმერული ინდო-ევროპიული ენა არისო \*).

კიდევ ბევრს შეუდარეს სუმერული ენა და სუმერული კულ-ტურა: ბოსკავენმა ეგვიპტურთან 1879 წელს, ტერრიენ-დე-ლა-კუ-პერიმ ჩინურთან 1894 წელს, ტეილორმა ეტრუსკულთან 1874 წელს, ჰაიდ-კლარკმა აფრიკულებთან და ამერიკულებთანაც კი, 1879 წელს: ზოგი იეროგლიფებსა და ლურსმულს ადარებდა, ზოგს სუ-მერული ცივილიზაციიდან გამოჰყავდა ჩინური კულტურა, ზოგის ფანტაზია იქამდის მიდიოდა, რომ ამერიკულ ენებს უნათესავებდა სუმერულსა, მაგრამ არავითარი ნაყოფი არ გამოუღია ამ შედარე-ბებს მეცნიერულ ჰემარიტების საბოლოოდ გამორკვევის მხრითა. —

### III

მიუხედავად ასეთის წმინდა მეცნიერულის მხრით უნაყოფობი-სა, ბევრი რამ გამოირკვა მაინც სუმერიელების შესახებ ამ შედა-რებათაგან. ჯერ ერთი ის, რომ, როგორც არა ვსთქვით, სუმერუ-ლი ენა არ იყო არც ინდოევროპიული და არც სემიური. ამგვა-რად თითქმის გამართლდა დიდი ჰიპოთეზია რაულინსონისა სკვითთა შესახებ, თუქცა რაულინსონის ტერმინი „სკვითი“ არ იყო კანონიე-რი ტერმინი.—მეორე—თუმცა ლენორმანისა, ჰომმელისა და სხვათა

\*) *Babyloniaca*, I, pp 225 f. 230, 284 ff.; II p. 99 f.

შედარება სუმერულისა თურანულთან და ალაროდელთან სუსტი იყო მეცნიერულის მხრით, მაგრამ მათ საერთო აზრები სიმაართლის ნაწილი მაინც იყო. ლენორმანი, მაგალითად, მოსხებს, ტიბარენებს, ურარტელებსა და სხვათ ერთ მონათესავე ხალხად სთვლიდა და აგრეთვე სუმერიელებთანაც უნდა ჰქონოდათ მათ ნათესავეური კავშირი მისი აზრით. და ეხლა ხომ ვიცი, რომ ეს მოსხებუ და ტიბარენები ქართველები იყვნენ. ხოლო მათი თურანელობა კი არ გამართლდა. — აგრეთვე ჰომმელის შედარება „ალაროდელთა“ და ქართველთა და მათი დაკავშირება სუმერიელებთან მეცნიერულის შედეგის მხრით ყოველად უნაყოფო იყო, მაგრამ ექვს გარეშეა, რომ რაღაც ნათესაობის სუნი მაინც მოუვიდა ამ მეცნიერს და არა თუ მისი ჰიპოთეზა ამ ნათესაობის შესახებ, არამედ თვით მისი დიდი ჰიპოთეზა უძველეს ალაროდელთა რასის შესახებ, რომელსაც ერთ დროს მთელი მცირე აზია, მესოპოტამია და დასავლეთი ევროპის სამხრეთი უნდა სჭეროდა, არ არის სავსებით მოკლებული სიმართლესა. მის „თურანიზმზედ“ კი იგივე ვერ ითქმის. მაგრამ ამ მის თურანიზმსაც მოეთხოვება ბოდიში, როგორც საზოგადოდ სხვათა თურანიზმს: საქმე იმაშია, რომ რაც სემიური და არიული არ არის, მას თურანულად სთვლიან, თუ მისი ენებიც ავგლუტინანტური ხასიათისა არიან, რადგანაც ის საერთო თვისება თურანულისა და ქართულისა, რომ ორივე ჯგუფის ენები ავგლუტინანტური ხასიათისა არიან, ბუნებრივად აფიქრებებს ქართულის არა მკოდნეს, რომ ქართულსა და თურანულ შორისაც არის რაღაც მსგავსება. აქედან წარმოსდგება ის რომ ჰომმელი შესაძლებლად სცნობს ქართული დაუკავშიროს ოსმალურს სუმერულის საშუალებით! აქედან წარმოსდგება აგრეთვე ის რომ ვ. ბელკი, როდესაც იგი იკვლევდა ურარტელების ენასა და არქეოლოგიას მეოთხმოცდაათე წლებში, პირდაპირ და დიდის რიხით სწერდა—მესხები, რასაკვირველია თურანელები იყვნენ და... ამასთანავე ქართველებიო. ხოლო ამ მეცნიერთ ერთხელაც არ მოსვლიათ აზრათ შეესწავლათ საფუძვლიანად ქართული ენა, გაეგოთ მისი ბუნება და სული და ისე შეედარე-

ბიათ ქართული თურანულთან. სადაც თურანიზმია, იქ ქართულის ნაუესაობაზედ სხვა ხალხებთან შეუძლებელია ლაპარაკი, რადგანაც ქართული არ არის თურანული.

საზოგადოდ ლინგვისტიური მასალაც არა ჰქონიათ ბევრი თურანისტებს: რამოდენიმე გრამმატიკული ფორმა და ცალკე სიტყვები. მაუ შორის ისიც ბევრი საექვე. ჰომმელის საბუთები მისი თეორიის დასამტკიცებლად 1904 წელში გამოცემულ წიგნში: Grundriss der Geographie und Geschichte des Alten Orients, იგივეა, რაც მან გამოაქვეყნა 1884 წელს.

აგრეთვე ძველ სუმერიელთა ტიპი, სარწმუნოება \*) და ხელოვნება არ არის ამ მეცნიერთა გამოკვლევით არც სემიური და არც ინდოევროპიული, არამედ თურანულს უფრო ჰგავსო. ამიტომ დღესაც ბევრია დარწმუნებული, რომ სუმერიელები, დამაარსებელნი ბაბილონიის კულტურისა — თურანელები იყვნენ. — ხოლო ბერძენი კი აღარა სწამს მათი თურანელობა, ყოველ შემთხვევაში საეჭვოდ მიაჩნია. ენას რაც შეეხება, უკვე ვსთქვით, რომ ახალი მეცნიერთა შორის ლანდონმა დაანება თავი თვის ინდო-ევროპიულ თეორიას. თურანიზმსაც არ ემხრობა და ამბობს, — არ ვიცი რა ჯგუფს ეკუთვნოდა სუმერული ენაო. — კინგმა კი პირდაპირ დაამტკიცა აუარებელი არქეოლოგიური მასალით, რომ სუმერიელების კულტურა და კერძოდ ხელოვნება არ არის სემიური, მაგრამ ამავე დროს იმ გარემოებასაც საეჭვოდა ხდის, რომ იგი თურანული იყოს. იმას არც ის მიაჩნია სიმართლედ, ვითომც სუმერიელები თურქესტანიდან მოსულიყვნენ. ამერიკელების ექსპედიციამ ჰუმპელოდის მეთაურობით ბევრი რამ საყურადღებო აღმოაჩინა თურქესტანში, მაგრამ პირდაპირი საბუთი იმისი, რომ სუმერიელები იქ-დან იყვნენ მოსულნი ბაბილონიაში, ჯერ არ მოუცია არქეოლოგიასაო, და კიდევ დიდი და ხანგრძლივი არქეოლოგიური კვლევა საჭირო, რომ სუმერიელთა უძველეს სამშობლოს საკითხი საბოლოოდ გადაწყდესო. ის არ-

---

\*) Lenormant: La Magie chez les Chaldéens.

ქეოლოგიური მასალა, რომელიც აღმოჩენილა თვით „სუმერეთში“ ნათლად გვიმტკიცებს, რომ არავითარი მსგავსება სუმერულებს არა ჰქონიათ სემიელებთან და ამასთანავე არც მონღოლებთან და თურანელებთან. 1902 წელს თეოფილე ჰონჩისმა <sup>1)</sup> შეადარა სუმერულის გამომეტყველება ჩინურს, მაგრამ ამ შედარებით არა მტკიცდება რა. შესაძლებელია ერთ ცულად გაკეთებულ ქანდაკებას გამომეტყველება ჰგავდეს რომელიმე რასის ტიპსა, მაგრამ საერთოდ სუმერულ ნახელოვნარ ქანდაკებათა გამომეტყველებაში სრულიად არა არის რა არც მონგოლური, არც თურანული <sup>2)</sup>. კიდევ უფრო შეუძლებელია მათი არიელობაო, ამბობს კინგი. და თუ სუმერულ ენაში მართლაც გვხვდება რამდენიმე გრამმატიკული ფორმა და სიტყვა არიულის ან თურანულის მსგავსი, ეს შეიძლება შემთხვევითი მოვლენა იყოს, მეცნიერულ სამეთოდოდ არ გამოდგებაო. საზოგადოდ სუმერული ენის შედარება რომელიმე ცოცხალ ან მკვდარ, მაგრამ გამორკვეულ ენასთან მაშინ შეიძლება, როდესაც სუმერული კითხვა ფანეტიურად სრულიად სწორი იქნება, ჯერ კი ამას ვერ მიაღწია სავსებით ასსირიოლოგიამ, და ამიტომ ცოტა ფრთხილად უნდა ვიყოთ ამ შედარება ა დროს, თორემ არავითარი მეცნიერული ნაყოფი მას არ მოჰყვებაო. ამბობს ლ. ვ. კინგი. — ციმმერნიც, <sup>3)</sup> როდესაც იკვლევს ძველ სარწმუნოებას სუმერიელთა და ბაბილონელთა და უკავშირებს მას თვით დაბადების სარწმუნოებას, აღარ ადარებს მას თურანელთა სარწმუნოებას, როგორც ამას სჩადიოდა ლერონმანი <sup>4)</sup>.

ამგვარად, თუმცა უკეთესი ჰიპოთეზის უქონლობის გამო ბევრსა სწამს დღესაც სუმერიელთა თურანიზმი, მაგრამ მეცნიერულ კე-

<sup>1)</sup> Proceedings of thie Society of Biblical Archaeology.

<sup>2)</sup> იხ. ამ ქანდაკებათა სურათები: L. W. King-ის წიგნში: A. History of Sumer und Akkad. აგრეთვე დელიჩის წიგნში: Wandel und Handel in Babylonien.

<sup>3)</sup> Die Keilschriften und das Alte Tertament.

<sup>4)</sup> La Magie chez les Chaldéens.

შმარიტებად იგი არასოდეს არა ყოფილა აღიარებული და დღესაც კიდევ მეტის იქვის თვალთ უყურებენ მას.

ჩვენის ფიქრით კი სუმერული ქართულის მონათესავეა და შესაძლებელია ძველ ასსირიოლოგთა ჰიპოთეზა. — რაულინსონისა, ლენორმანისა და ჰომმელისა — სრული ქეშმარიტება იყოს იმ მხრით, რომ ერთი განსაკუთრებული რასა დიდი უძველესი უძლოდა წინ არიელებსა და სემიელებს წინა-აზიაში. ეს რასა არც სკვითების იყო, არც თურანელების, არამედ იგი იყო — ქართული (სხვა უფრო სწორი ტერმინის უქონლობის გამო ამას ვხმარობთ). რასაკვირველია მრავალი საბუთია საკირო ამის ყოველ-მხრივ მეცნიერულ დამტკიცებისათვის, მაგრამ ჩვენ ამის პრეტენზია არა გვაქვს. ჩვენ მხოლოდ ერთ მხარეს გვინდა მივაქციოთ ყურადღება — ლინგვისტიურს, და ამ წერილში მხოლოდ სუმერულისა და ქართულის მსგავსებაზედ გვინდა მივაქციოთ მკითხველის ყურადღება. საერთოდ კი ჩვენის ფიქრით, ქართულის შედარება შეიძლება ყველა არა-არიულ და არა-სემიულს ლურსმულ წარწერათა ენასთან.

#### IV\*

ქართულის შედარებამ არიულ და თურანულ ენებთან არავითარი ნაყოფი არ მოიტანა. არც არის საფიქრებელი რომ ქართულს რაიმე გენეტიური ნათესაობა ჰქონდეს თურანულთან. ხოლო მეორე მხრით ჰიპოთეზა ქართულისა და სუმერულის მსგავსებისა სიმართლეს შეიცავს. თუ ეს ვერ დაამტკიცეს აქამდის ასსირიოლოგებმა, ეს უფრო მათ მიერ ქართულის უცოდინრობით აიხსნება. ფრიც ჰომმელსაც ქართული არც კი შეუდარებია პირდაპირ სუმერულთან, არამედ მან ქართულსა და სუმერულს შორის იმდენად ნახა ნათესაობა, რამდენადაც ქართულის მსგავსი ენები ალაროდული ჯგუფისა სუმერულის მონათესავეთ მიაჩნდა, სუმერული კი თურანულ ენად. მაგრამ რადგანაც ქართულს არავითარი მსგავსება არა აქვს თურანულთან, ამიტომ სუმერულსაც არ ჰქონია მსგავსე-

ბა თურანულთან, თუ ქართული და სუმერული ერთმანეთს ემსგავსება: ორში ერთია: ან სუმერული თურანული ენაა, მაშინ იგი ქართულთან არ არის ნათესაობით დაკავშირებული, ან და თუ სუმერულსა და ქართულს შორის არის ნათესაობა, მაშინ სუმერული არ ყოფილა თურანული. ჩვენ მეორე მიგვაჩნია ქვეშარიტად და არა პირველი.

მაგრამ ამგვარივე საკითხი იბადება სხვა სფეროშიაც: ქართული ენა პროფ. ნ. მარრის აზრით სემიურთან არის შეკავშირებული გენეტიურის ნათესაობით.\*) ნ. მარრის თეორია ქართულის ენის ნათესაობისა ერთად-ერთი მეცნიერული თეორიაა. ეს ასეც უნდა იყოს, რადგანაც ნიკოლოზ მარრმა არამც თუ ქართული ენა იცის ზედ-მიწევნით როგორც თავის სამშობლო ენა და თანაც საგანი თავის სპეციალურ მეცნიერებისა, არამედ იგი ამავე დროს საუცხოვოდ მკოდნეა სემიურ ენათა. ამასთანავე ძლიერ საყურადღებოა, რომ მარრიც სხვა მეცნიერთან ერთად ძველ არა-არიულ და არა-სემიურ ლურსმულ წარწერათა ენას არა თუ ქართულს უნათესავეებს, არამედ იმავე იათეტურ ჯგუფის ენებად სთვლის, რომელსაც ქართული ეკუთვნის: ურარტუს ენა, ელამის ენა, ენა ახემენიდების წარწერათა მეორე დაფისა (და მაშასადამე მიტანის ენა, ურარტულის მონათესავე, აგრეთვე „ხეთური“ ენა, აღმოჩენილი მცირე აზიის ლურსმულ წარწერებში) მარრის აზრით იმავე იათეტურ ჯგუფს ეკუთვნიან. სუმერულსაც რომ თავი დავანებოთ, აქაც ჩნდება ერთი საკითხი: თუ კი ეს ენები და ქართული ერთის ბუნებისანი არიან ერთის მხრით და მეორე მხრით ქართული გენეტიურად სემიურს ენათესავება, აუცილებლად მაშასადამე ასევე ლურსმულ წარწერათა ენებიც უნდა ენათესავებოდენ სემიურს გენეტიურად. ეს მათი ნათესაობა სემიურთან კიდევ უფრო თვალსაჩინო უნდა იყოს, ვიდრე ქართულისა, რადგანაც იმ უძველეს დროს აუცილებლად უფრო

---

\*) იხ. Н. Марръ: Основныя таблицы къ грамматикѣ Древе-Грузинскаго языка, предварительныя сообщенія.

ახლოს უნდა მდგარიყვნენ იგინი სემიურთან, ვიდრე შედარებით ახალი დროის ქართული, რომლის უძველესი მწერლობითი ნაშთი არ ვიცით მეხუთე საუკუნემდე და რომელიც, მეგრულთან, ქანურთან და სვანურთან ერთად, რასაკვირველია გამოიცვლებოდა საუკუნეთა განმავლობაში და უფრო განშორდებოდა სემიურსა. ხოლო მთელი მეცნიერება ასსირიოლოგთა და სემიტოლოგთა სულ წინააღმდეგს გვეუბნება: სრულიად არის უარ-ყოფილი რაიმე ნათესაობა სემიურისა და არა-არიულ და არა-სემიურ ლურსმულ წარწერათ ენათა. აქაც სამში ერთია: ქართული ან სემიურს არ ენათესავება გენეტიურად, ან და ზემოხსენებულ ენებთან არაფერი საერთო არა აქვსთ რა, ან და ასსირიოლოგები სცდებიან და სემიურთან აქვსთ რაიმე კავშირი ამ ენებსა.—ნ. მარჩის თეორია უდიდესი აღმოჩენა იქმნებოდა მეცნიერებაში, რომ დაამტკიცებდეს ქართულისა და სემიურის ნათესაობის გარდა სემიურისა და ამ უძველეს ლურსმულ წარწერათა ენების გენეტიურს ნათესაობასა. ასსირიოლოგიას მაშინ სულ სხვა მიმართულება მიეცემოდა და ბევრი ისტორიული და კულტურული მსოფლიო საკითხი სხვაფრივ გადასწყდებოდა.—იგივე ითქმის კერძოდ სუმერულზედ. ბევრია იმის მომხრე, მართალია, რომ სუმერიელების არც რასა და არც ენა ელამისას და ურარტუსას არ ჰგავს. კინგი, მაგალითად, დარწმუნებულია, რომ ელამსა და სუმერს შორის არ იყო ნათესაობა სისხლისა და ენისა. მაგრამ ამასთანავე არ მოიპოვება ეხლა არც ერთი ასსირიოლოგი და თვით სემიტოლოგიც, რომ სუმერული და სემიური შეადაროს ერთმანეთსა და მათი რაიმე გენეტიური ნათესაობის ცდა დაიწყოს. სუმერული სრულიად არა-სემიურ ენად არის აღიარებული ყველასაგან. ამიტომაც აკი აღიარებენ მას თურანულად, რადგანაც თურანული ენებიც და სუმერულიც ავგლუტინანტური ენებია, მაშინ როდესაც სემიური—ფლექსიონურიაო.—

**მაგრამ ამასთანავე სუმერული ქართულსა ჰგავს ძლიერ. ჩვენ გვგონია, რომ ერთ უძველეს ენათა შტოს უნდა ეკუთვნოდენ სუმერულიც და ქართულიც. ვეცდებით ამის საბუთები ქვე-**

ვით მოვიყვანოთ.—მაგრამ ამით კიდევ უფრო რთულდება ქართულის სემიურთან ნათესაობის საკითხი. ან სემიური არ არის ქართულთან დანათესავებული, ან ქართულს სუმერულთან არაფერი აქვს საერთო, ან და მარჩის თეორია მართალია, და სემიურს ქართულთანაც და სუმერულთანაც აქვს ნათესაობა. თუ ესეც დაამტკიცა პროფესსორმა მარჩმა, ეს კიდევ უფრო დიდი აღმოჩენა იქნება, შემცველი მთელი თანამედროვე ასსირიოლოგიისა, რადგანაც სუმერული ენისა, რასისა და კულტურის საკითხს პირველი ადგილი უჭირავს ასსირიოლოგიაში. მაგრამ, თუ კი სუმერული ქართულსა ჰგავს და ქართული კიდევ სემიურს, სუმერული და სემიური 4000 წ. ქრისტეს წინად ნაკლებად უნდა ყოფილიყვნენ ურთი ერთისაგან დაშორებულნი, უფრო უნდა ჰგვანებოდნენ ერთმანეთს, ხოლო ფაქტი კი ის არის, რომ თანამედროვე ქართულის შედარება სემიურთან კიდევ შეიძლება და 4000 წლის ქრისტეს წინად არსებულ სუმერულის შედარება კი სემიურთან ყოველად შეუძლებელია, — ყოველ შემთხვევაში—ასსირიოლოგების აზრით. აიხსნება ეს მოვლენა სემიელთა გავლენით ქართულზედ საუკუნეთა განმავლობაში?— მაგრამ მაშინ გონეტიურ ნათესაობაზედ კი აღარ არის ლაპარაკი ქართულსა და სემიურს შორის, როგორც პროფ. მარჩი ამბობს, არამედ სემიურ ელემენტებზედ ქართულში. ეს კი სულ სხვა მოვლენაა, ვიდრე გენეტიური ნათესაობა.

ჩვენის ფიქრით კი არ არსებობს გენეტიური ნათესაობა ქართულსა და სემიურთა შორის და ეს სხვათა შორის მითიკ მტკიცდება, რომ ქართულს აქვს ნათესაობა სუმერულთან (და აგრეთვე სხვა არა-სემიურ ლურსმულ წარწერათა ენებთან). შეიძლება არსებობდეს გენეტიური ნათესაობა ქართულისა და მის ლურსმულ მოძვე ენებისა სემიურთან ისე, როგორც თურანულთან, შეიძლება ინდოევროპიულთანაც, მაგრამ თუ ასე მივყევით მაშინ იტალიელ მეცნიერის აღფრედო ტრომბეტის თეორიას უნდა დავადგეთ,—



ყველა ენათა წარმოშობის ერთობის თეორიას \*). მაგრამ ეს თეორია ყოველ მკვიდრ საფუძველს აკლის მეცნიერს და თვით ტრომბეტტის წიგნებიც, მიუხედავად აუარებელ მასალისა და აუარებელ შედარებათა, სრულიადაც ვერ არწმუნებს კაცს ყველა ენათა წარმოშობის ერთობაში. ეს თეორია ტრომბეტტის ხელში პირდაპირ მიზანს ასცდა ჩვენის ფიქრით და ვერ დაამტკიცა რაც უნდოდა.

ხოლო, რასაკვირველია, მარრი არ არის ისეთ სუსტ საფუძველზედ დამდგარი, როგორც ტრომბეტტი. პირიქით იგი მტკიცე საფუძველზედ სდგას და თვის შედარება ქართულისა და სემიურისა ენათ-მეცნიერების კანონებზედ აქვს დამყარებული. იგი აგრეთვე სამართლიანად ამბობს, რომ ქართული მხოლოდ ნათესავია სემიურისა და არა მკვიდრი ძმა, **იგი სემიური არ არის ამიტომაც; იგი იაფეტურია**; იაფეტური ჯგუფი როგორც ცალკე ჯგუფი, ენათესავება სემიურ ჯგუფსა. ძალა არ შეგვწყვეს ჩვენს ბუმბერაზ მეცნიერთან კამათისა, მაგრამ მაინც არ შეგვიძლია ვირწმუნოთ მისი თეორია ორის მიზეზით: ერთი ის არის, რომ ჩვენის ფიქრით სემიურისა და ქართულის შორის განსხვავება გაცილებით მეტია, ვიდრე მსგავსება და განსხვავება ისეთი, რომ შეუძლებელ ჰყოფს მათს **გენეტიურ** ნათესაობას. მეორე მიზეზი უკვე ზემოხსენებულია: ნათესაობა ქართულისა სუმერულთან, რომლის შედარება სემიურთან და ნათესაობის აღმოჩენა ყოველად შეუძლებლად მიაჩნია თანამედროვე ენათ-მეცნიერებსა და კერძოდ ასსირიოლოგებს \*\*).

მარრის მიერ აღნიშნული მსგავსებანი ქართულსა და სემიურ შორის ვერ არიან დამარწმუნებელნი. სახელ-არსებითა ბრუნვების ხმოვანი ხასიათი (სახლ. **ი** ძველი უ, ნათესაობითი **ი**, მიცემითი **ა**)

\*) A. Trombetti: *L'Unità d'origine del linguaggio*. Bologna, 1905, აგრეთვე მისი მეორე წიგნი: *Come si fa la critica di un libro*, 1907.

\*\*) Ball-ის წერილი: „*Semitic und Sumerian*“. *Hilprecht Anniversary volume*, 1901, p p. 34—59, ჯერ ერთი იმ მიზნით არის დაწერილი, რომ აჩვენოს, თუ რა გავლენა ჰქონია სუმერულ ენას სემიურზედ, მერე კიდევ მისი შედარებანი დიდი ღირებულებისანი არ არიან ჩვენის ფიქრით.

რაიცა უდრის სემიურ ენათა ამავე მოვლენას, დიდ საბუთად არ გამოდგება, რადგანაც შეიძლება უბრალო შემთხვევითი მოვლენა იყოს ეს იგივეობა. მით უმეტეს რომ რაც შეეხება უხმოს, რომელიც ამ ხმოვანს შემდეგ არის ქართულში, ე. ი. ს-ს, იგი სრულიადაც არ ეთანხმება ურიულში უკვე გამქრალ უხმო ხასიათს შემასმენლობითის ბრუნვისას. ასსურულში (სადაც აგრეთვე სახელობითი თავდება უ-ნით, ნათ.—ი, შემასმენლ. ა-ნით)—სულ არ არის უხმო ხასიათი.— აგრეთვე სირიულში სულ სხვა წესით არის გამოხატული შემასმენლობითი და ნათესაობითი ვიდრე ქართულში. არაბულში მხოლოდ წყვილ სიტყვებთა დაბოლოვება: სახელ.— ანი, ნათეს. და შემასმენ.: იუნი, მრავლობითში: სახელ.: უნა, ნათეს.— შემასმენ. ინა. მდედრ. სქეს. სახელ.: ატუნ. ნათეს. შემასმ. ატინ. ხოლო რაც შეეხება არაბულ მხოლოდობითს, ეგრედ წოდებული ტრიპტოტა სახელ-არსებითნი, როდესაც გაურკვეველნი არიან, იღებენ განურკვეველ ნაწილას ნ-ს (ნუნაცია) ბრუნვის დაბოლოვების შემდეგ, და ამიტომაც არის სახელ.—უნ, ნათესაობ. ინ, შემასმენ. ან.— მაგრამ, ჩვენის ფიქრით, ეს სულ სხვა მოვლენაა, ვიდრე ქართული ნათეს. ისა, მიცემ. სა. უფრო საფიქრებელია, რომ ქართული სა წარმომდგარია რომელიმე პირველ-ყოფილ სახელ-არსებითისაგან. გადაქცეული შემდეგ ბოლოსდებულად და შემდეგ კი ბრუნვის დაბოლოვებად ამ ქართულ ს-ს არც ურიულ ჰ-სთან აქვს არაფერი საერთო და არც არაბულ ი-თან. იგი არც ნაცვალ-სახელიდან არის წარმომდგარი. შესაძლებელია მისი წარმოშობა იგივე იყოს, როგორიც ნეგრულის შა (ს)-ისა: ქართ. ში, შიგ. მართლაც ქართულში, მეგრულში, ქანურში და სვანურში არის ისეთი ბრუნვები, რომელთა წარმოშობა ცხადია და რომელნიც შესდგებიან სახელ არსებითისგან + ბოლოს-დებული: მაგ. ქართ. კაცად=კაც+ად. ად (და) აქ ბოლოს-დებულია. ვინ იცის რა მნიშვნელობა ჰქონდა მას, როცა ის თვით იყო სახელ-არსებითი ოდესმე. მე ფიქრობ, რომ აგრეთვე ქართული კაცით=კაც+ით ამგვარადვე არის წარმომდგარი და თ(თა) ოდესმე ყოფილა სახელი არსებითი, შეიძ-

ლება იგი იყო თან თავდაპირველად, როგორც ბოლოს-სართი, ხოლო როგორც სახელი-არსებითი კი უძველეს დროში უდრიდა ცალს. აგრეთვე შესაძლებელია სვან.—**შჷ-ს** ოდესმე არსებით-სახელობა. და ქანური განყოფილებითი—**შე** და მიმართულებითი **შა** = მეგრ. **შა(ხ)?**—ამ უკანასკნელზედ მაინც შეიძლება კაცმა სთქვას, რომ მას მსგავსება აქვს ქართ. **შიხ**, მეგრ. **შქა**-სთან, რომელსაც ერთ დროს ჰქონია არსებითი სახელის მნიშვნელობა, რასაც ამტკიცებს სუმერული **šag** = გული, **შუა-გული**, **ცენტრო**.—სრულიად ადვილი შესაძლებელია მაშასადამე, რომ ქართული ნათესაობითი (**ი**)**სა** და მიცემითი **სა** ამავე წესით იყვნენ წარმომდგარნი, აგრეთვე ქანური **ში**, მეგრ. **ში**, სვან. **აშ** და სხვა. შესაძლებელია, რომ სწორედ ამ **შიგ**, მეგრ. **შა(ს)** სუმ. **šag**-თან ჰქონდესთ მათაც დამოკიდებულება. რაც შეეხება მარჯვს აზრს, რომ სუფიქსები ბრუნვისა ქართულში, მეგრულში, ქანურში და სვანურში იგივეა რაც პრეფიქსები ზმნიდან წარმომდგარ სახელ-არსებითთა: ქართ. **სა**, **სი**, მეგრ. **ლაზ**. **ო**, **ე**, ანუ **ში**, **შე**, **შა**, სვან. **ლე**, **ლი**, **ლა**, რაიცა აგრეთვე პრეფიქსებია ზმნათა გვარებისა,\*)—ეს თეორია არ არის პირდაპირი დამამტკიცებელი საბუთი ქართულისა და მაგ. არაბულის ბრუნვათა სუფიქსების ნათესაობისა:—საჭიროა დამტკიცება — იგივე ისტორია აქვს თუ მსგავსი მაინც არაბულ **ნ**-სა? ასსურული მიმაცია აგრეთვე **am**, **im**, **am** ბრუნვებში არ ჩაითვლება ბრუნვათა უხმო ხასიათად.

— შემდეგ, მართალია რომ ნაცვალ-სახელებისგან წარმომდგარი პრეფიქსები ობიექტიურ აგებულების ზმნებში ქართულისა და სემიურ ენათა ერთმანეთსა ჰგავს: 1 პირი: **ქ**, **შ**, სემიურ. **ნი**, 2 პირი: **ქ**, **გ**, სემიურ. **მამრ**. **კა**, მდედრ. **კი**, 3 პირი: **ქ**, **ს**, სემიურ. **ჰუ** (ასსურ. **შუ**), მდედრ. **ჰა** (ასსურ. **ში**), მაგრამ ამისათვის საჭიროა ჩვენება, რომელი ნაცვალ-სახელებისაგან არიან წარმომდგარნი

\*) Извѣстія Им. Акад. наукъ, 1911: Гдѣ сохранилось сванское склоненіе?

ეს ნაწილაკები და როგორ. მაგალითად ებრაული კეთალა-ნი==მე მ-კლავ-ს; აქ-ნი სუფიქსი, რომელიც უდრის ქართულს პრეფიქს მ-ს, არის წარმომდგარი ებრაულ ანოსი-დან, ანუ ანი-დან==ქართ. მე, მაგრამ ამ ორი ნაცვალ-სახელის შედარება ყოველად შეუძლებელია. აგრეთვე არაბული ზმნის სუფიქსი ნი წარმომდგარია ნაცვალ-სახელ ანა-სგან, რაიცა ნიშნავს მე. ასსურ. ანნი, ანი, ნი წარმოსდგება ნაცვალ-სახელისაგან ანაკუ==მე, მაგრამ არც ამ ნაცვალ-სახელებს აქვს არავითარი მსგავსება ქართულ მეს-თან.—შემდეგ. მესამე პირის ძირი ქართულად არ არის ს, არამედ შ, როგორც მარტი თვითონ იკვლევს. შ, ს, გ—(ეს, ის, იგი) გადმოტანილია ჩვენებით ნაცვალ-სახელებიდან ქართულში. ჩვენებითი ნაცვალ-სახელები კი არიან ებრაულში ზეშ, მდედრ. ზოტ, არაბ. ჯა, დი, ასსურულად ṣātu, ṣiatī=ეს; anu, anitu=ის. არც ეს ჩვენებითი სემიური ნაცვალ-სახელები ჰგვანან ქართულ არც პიროვნულ ნაცვალ სახელს მ-ს და არც ქართულს ჩვენებითს ეს, ის, იგი-ს. ხოლო სემიურად პიროვნული ნაცვალ-სახელნი არიან (მესამე პირის): შუ, ში (მამრ. მდედრ.), არაბულ. შუა შია, ასსურ. ṣu, ṣi. ამ უკანასკნელთაგან არის წარმომდგარი ზმნის სუფიქსები მე-შ პირისა. შეიძლება მაშასადამე ქართული ჩვენებითი ნაცვალ-სახელები ჰგვანდნენ სემიურ პიროვნულსა და ზოგიერთი პრეფიქსი, მაგალით. ს, ი (ჰი), ა (ჰა) იყოს ქართულში გადმოტანილი ჩვენებით ნაცვალ-სახელთაგან და მაშასადამე მსგავსი სემიურ პიროვნულ ნაცვალ-სახელთა და ზმნის სუფიქსთა, ხოლო ქართული შ, უ-ს, რომელნიც ქართულ შ პირის პიროვნულ ნაცვალ-სახელისაგან არიან წარმომდგარნი, არა აქვსთ რა საერთო სემიურ შ პირის ნაცვალ-სახელთან და ზმნის სუფიქსებთან.—რაც შეეხება ქართ. მ-2 პირის პრეფიქსს გ-სა და სემიურ ka, ki-ს, ეს მართლაც ძლიერ დამაფიქრებელია, მხოლოდ სანამ არ გამოირკვევა საიდან გაჩნდა ქართული გ მეორე პირისათვის, პირდაპირ იმისი თქმა რომ სემიური კა და ქართული გ ერთი და იგივეაო, უხერხულია.—

მარტი ადარებს ქაროულს მ-ს, მიმღობათა და მომქმედ სახელთა პრეფიქსს, სემიურ მ-სა, რომელიც აგრეთვე იხმარება მიმღობათა და მომქმედ სახელთა პრეფიქსად. მაგრამ აქაც არის განსხვავება: ქართულ ენაში პრეფიქსი მ უფრო მოქმედებით ან მდგომარეობის გამომხატველ მიმღობის ფორმაში გვხვდება: მაგ. მ კვლელი, მ-კვლარი. ხოლო ვნებით მიმღობას არა აქვს ეს პრეფიქსი: მაგ. კლულ-ი, კრული და სხვ.—(სევანურში ვნებითსაც აქვს პრეფიქსი და მოქმედებითსაც, მართალია). ხოლო სემიურ ენებში ჯერ ერთი ყველა ფორმას არა აქვს მიმღობაში ეს პრეფიქსი: ებრაულში და ასსურულში მაგალითად ფორმა ka+ის მიმღობა უპრეფიქსოდ არის, აგრეთვე ებრაულ Nifal-ს აქვს თავის პრეფიქსი Ni და არ სპირდება მ. აგრეთვე არაბულში I ფორმას არა აქვს პრეფიქსი მიმღობაში სწორედ მოქმედებით ფორმისას, მაშინ როდესაც ვნებით ფორმაში აქვს, წინააღმდეგ ქართულისა. სირიულში აგრეთვე Peal-ის ფორმას არა აქვს არც ვნებითისა და არც მოქმედებითი მიმღობის პრეფიქსი.—ამასთანავე ეს პრეფიქსი მ სემიურ ენებში ბევრ ფორმას აქვს სახელ-ზმნებში: განსაკუთრებით სირიულში ყველა ფორმას აქვს ეს მ. ხოლო ქართულში იგი არ არის სრულიად.—რაც შეეხება nomen agentis,—სირიულში მაგალითად იმ ფორმებს აქვს პრეფიქსი მ, რომელთაც მიმღობაში აქვსთ იგივე მ, Peal-საგან წარმომდგარს მომქმედ სახელს კი არა აქვს მ. არაბულში კი მა ემატება ადგილის აღმნიშვნავ სახელებს წინააღმდეგ ქართულისა, აგრეთვე nom. instrum.—ში, აგრეთვე წინააღმდეგ ქართულისა, სადაც ამის მაგივრად არის სა, მეგრ. ო, სვან. ლე აგრეთვე სირიულში მიმღობით სახელებს აქვსთ მ პრეფიქსი, აგრეთვე nom. loci, nom. instrum. და სხვ. ასსურულშიაც პრეფიქსები m (და n, როდესაც ძირში არის h, m, p) არ ეთანხმებიან სავსებით ქართულ პრეფიქსის მ-ის მნიშვნელობას: მაგალ., გარდა მიმღობათა (ka-ს გარდა ყველა ფორმისა) m, n იხმარება შემდეგ ნაირად: მაშკანუ=ადგილი, წარმომდგარია შაკანუ=„დადგმა“-საგან; ნალაკუ=გზა—ალაკუ=სიარული; ნარამუ=სიყვარული—რა-

მუ=ყვარება და სხვ. ცხადია, აქაც რომ ეს ასსურული *ma, na* ეთანხმება ქართულ *სა, სი-ს* და არა *მ-ს*. გარდა ამისა სწორი და სრულიად დასარწმუნებელი გამოკვლევაა საქირო, რა არის პირველ-ყოფილი მნიშვნელობა ქართული პრეფიქსის *მ-*ისა და ერთსა და იმავე წყაროდან გამომდინარეობენ თუ არა ქართული *მ* და სემიური *მ*.

აღვნიშნოთ ეხლა განსხვავებანი სემიურსა და ქართულს შორის:

1) ზმნის აგებულება სემიურში სულ სხვაა, ვიდრე ქართულში: მართალია სემიური ენები ხმარობენ ნაცვალ-სახელთა ელემენტებს ზმნის სუბიექტიურ და ობიექტიურ პრეფიქსებით და სუფიქსებით, მაგრამ სულ სხვა გვარად, ვიდრე ქართული. ა) ქართული სარგებლობს სუბიექტიური პრეფიქსებით ყველა დროში, უამისოდ შეუძლებელია ქართული კანკლედობა, სემიური კი ზოგ დროში სარგებლობს ამით, ზოგში არა. მაგ. ებრაული არ სარგებლობს *Perfectum*-ში, ხოლო სარგებლობს *imperfectum*-ში, ასსურული სარგებლობს *Preterite*-ში, *Present*-ში, ხოლო *Permanisve*-ში არა. სირიული მხოლოდ *Perfectum*-ში, *imperfectum*-ში არა. არაბული აგრეთვე *Perfectum*-ში სარგებლობს, *imperfectum*-ში არა \*). ბ) ქართული ობიექტის გამოსახატავად ხმარობს პრეფიქსებსა და ინფიქსებს, ხოლო სემიური სუფიქსებს. ეს არის ერთი პრინციპიალურ განსხვავებათაგანი ქართულსა და სემიურს შორის; ამით განსხვავდება აგრეთვე სუმერული ზმნა სემიურ ზმნისაგან, რაც შეეხება ობიექტის გამოხატვას ნაცვალ-სახელისგან წაომომდგარ ელემენტითა. ყველა სემიურ ენებში ნაცვალ-სახელობითი სუფიქსი ბოლოში იხმარება: ებრაულად კეთილანი=მე მკლავს იგი:— ნი=მე. ქართ. მკლავს.— სულ ურთი-ერთის მოწინააღმდეგე სულს აღნიშნავს ორი ენისას ეს

---

\*) სემიურ ენებისათვის ვხმარობთ ამ ლათინურ ტერმინებს *Perfectum*, *Imperfectum* და სხვა, რადგანაც ამ ენების დროები ჩვენსას არ შეესაბამება და მათი სახელები არ გადმოიციემა ჩვენებურად იმ აზრით, რაც მათ აქვსთ.

მოვლენა. ეგვევა ყველა სემიურ ენებში წინააღმდეგ ქართულ ჯგუფის ყველა ენებისა. მი-კლავს, მა-კლავს—ასეთი ფორმები კი სულ არ მოიპოვება სემიურში. — ვ-ჰ-კლავს=მე+მას+კლვა=სუბიექტი+პირდაპირი ობიექტი+ზმნა, ან ვ-[ჰ]-[ჰ]ა+კლავს=ვ-ა-კლავს=მე+მას+მას (მაზედ)+კლვა=სუბიექტი+ობიექტი პირდაპირი+ობიექტი არა-პირდაპირი+ზმნა—ეს ისეთი ფორმაა, რომ პრინციპიალურად ეწინააღმდეგება სემიურის სულს, და როგორც ქვემოთ დავინახავთ, ნამდვილი სუმერული ფორმებია. 0) დროები ზმნათა. სრულიად სხვა კონცეპცია აქვს ქართულ ენას დროთა შესახებ, და სრულიად სხვა გვარადა ჰსახავს იგი ამ დროებს, სხვა და სხვა ფორმებითა: აწმყოს, მყოფადს უსრულსა და სრულსა, ნამყოს უსრულსა და სრულსა, ხოლო სულ სხვაგვარათ იქცევა სემიური ენები: ებრაულში, არაბულში და სირიულში მხოლოდ ორი დროა: Perfectum და Imperfectum, რომელნიც იხმარებიან აგრეთვე წარსულსა და მყოფადის გამოსახატავად, ხოლო ასსურულში— მართალია სამი დროა: წარსული, აწმყო და ეგრედ წოდებული Permansive, ე. ი. რომელიც მდგომარეობას გამოჰხატავს, მაგრამ მათი სული და მნიშვნელობა მაინც დიდად განსხვავდება ქართულ აწმყოდან, მყოფადიდან და წარსულიდან, რომელთაგან ამ ორ უკანასკნელს სრული და უსრული ფორმები აქვსთ.—აგრეთვე წარმოება ქართულ ნამყო და მყოფად დროისა სულ სხვაგვარია, ვიდრე ასსურული Present-ისა და Permansive-ისა.—d) ქართულმა არ იცის სემიური ფორმები ზმნისა, რომელნიც განსხვავდებიან სამ უხმო-მარცვლოვან ძირის ცვალებადობით და აგრეთვე განსაკუთრებულ პრეფიქსების ნიმატებით: ებრაულში: კალ, ნიფალ, ჰიფელ, პუალ. ჰიფილ, ჰოფილ, ჰიტფაელ: არაბულში თერთმეტი ფორმაა ასეთივე ხასიათისა; სირიულში: პეალ, ეტფეალ, პაელ, ეტფაალ, აფელ, ეტტაფალ და სხვ. ასსურულში: კალ, პიელ, შაფელ, ნიფალ, იფტეალ. იფტაალ, იშტაფალ, იტტაფალ, იფტანეალ, იტტანაფალ. ეს სახელები თვით ზმნის ფორმებია და სწორედ ამ სახელთა ფორმები გვაძლევენ წარმოდგენას, თუ როგორ იცვლება

სემიური ზმნა და რა და რა ფორმებს იღებს, რომ გამოჰხატოს აზრი მოქმედების ან მდგომარეობის გაძლიერებისა, ვნებითი მდგომარეობისა, იძულებისა, ორი საგნის ურთი-ერთზედ გავლენისა და სხვ. ამის მსგავსი არ არის რა ქართულში და პირდაპირ პრინციპიალურად ეწინააღმდეგება ასეთი სული სემიური ზმნისა ქართულისას. მ) სახელ-ზმნისა და მიმდგომის სუფიქსაცია ნაცვალ-სახელის ელემენტებითა, როგორც ეს გვხვდება სემიურში, ქართულში წარმოუდგენელია. —

2) პროფესორი მარრის აზრი საზოგადოდ ქართული ძირები სამ უხმო ასოიანია. ჩვენის ფიქრით ეს საზოგადო კანონი არ არის და აქაც დიდად განსხვავდება ქართული სემიურისაგან. ქართულში ბევრი სიტყვაა, მართალია, სამ-უხმო-ასოიანი, მაგრამ ბევრია აგრეთვე ორ-უხმო და ერთ-უხმო ასოიანიც, აგრეთვე ორი უხმო ასო+ერთი ხმოვანი ან ერთი უხმო ასო+ერთი ხმოვანი შეადგენენ ძირს. ჩვენ აქ მივაქცევთ ყურადღებას მხოლოდ ორ უხმო-ასოიან ძირებს, რადგანაც უმეტესი ნაწილი სუმერულ სიტყვებისაც ასეთის ძირებისაა: — სხ-მა, წყ-ალ-ი, კაც-ი, ქალ-ი, ვაჟ-ი, გოჭ-ი, ღორ-ი, სა-ხლ-ი, ყურ-ი, ხარ-ი, ცე-ცხ-ლი, ნა-შხირი, მ-ზერ-ა, კრ-ა, წერ-ა, ტყ-აე-ი და სხვ. და სხვ. მრავლის უმრავლესი სიტყვა ქართულში ისეთია, რომელშიც ვერ ვნახავთ დაკარგულ ძირეულ მესამე უხმო ასოს. ის ძირებიც კი, რომელიც დღეს ქართულში გვეჩვენება როგორც ორ უხმო ასოიანი+ერთი ხმოვანი, ნამდვილად ორ უხმო ასოიანია, როგორც ესა სჩანს სუმერულთან შედარებით. მაგ. ქართ. თქუ (თქ-მა)=სუმ. dug; ქართ. ტყვ (ვ>უ)=სუმ. dug; ქართ. ჭკუ (ჭკუ-ა)=სუმ. აგრეთვე dng, ან შეიძლება sig და სხვ. ამასთანავე შეიძლება ბევრი ქართული სიტყვა სამ უხმო ასოიანად მოგვეჩვენოს, მაგრამ ესეც შეცდომა იქნება: მაგალ. სვანური ღვაჟ-ი (ქართ ვაჟ-ი), აქ კი ვა=სუმ. u: სუმ. mus (E K gis), ქართ. კვეთ-ა (ვე=u)=სუმ. kut, და სხვ.—

3) სემიური ენები არჩევენ სქესებს არსებით სახელებში, ნაცვალ-სახელებში, ზმნებში, ხოლო ქართული არ ამჩნევს. პროფ.



მარჩის აზრი, ვითომც ქართულში სახელ-არსებითა დაბოლოვება **აღ-ი**, **არ-ი** მოასწავებდეს უძველეს დროიდან დარჩენილ მდებრობით სქესის დაბოლოვებას, ჩვენის ფიქრით ვერ არის დამარწმუნებელი საბუთი ორის მიზეზით: **ა**) მართალია, ძნელია ყოველთვის იმის გაგება, თუ რა იყო თავდაპირველი მიზეზი, რომ რომელიმე ენაში უსულო საგნები მდებრობით სქესად აღიარეს და შესაფერი ფორმა მისცეს, მაგრამ სულიერ საგანთა შესახებ ამავსე თქმა არ შეიძლება: საზოგადოდ ბუნებრივია, რომ დედალი არსებანი მდებრობითის სქესისად იყენენ დასახულნი, მამალნი მამრობითად. ისიც ბუნებრივია, რომ ალბად ცოცხალ დედალ-მამალთა გარჩევისგან წარმოსდგა საზოგადოდ სქესობრივი გარჩევა უსულო საგანთა. ამიტომაც შესაძლებელია რომ მაგ. ხრმ-**აღ-ი** მართლაც მდებრობითის სქესისა იყოს. აქ შეუძლებელი არა არის რა **აპრობირულად**. ხოლო შეუძლებელია რომ მამ-**აღ-ი** მდებრობითი სქესისა ყოფილიყოს ოდესმე, ან ჯუბ-**[აღ]-ი** (ძმა) რომ მდებრობითის სქესისა ყოფილიყოს, ან სხვა რომელიმე ასეთი მამალი არსებანი, რომელთაც ბევრს აქვს ეს დაბოლოვება **აღ-ი**. ქართული **განურჩევლად სქესისა** ხმარობს ამ დაბოლოვებას ცოცხალ არსებით სახელთათვის, და მაშასადამე არა-ცოცხალ არსთათვისაც არ შეიძლება იგი მდებრობით სქესის დაბოლოვებად აღვიაროთ. უფრო საფიქრებელია, რომ ეს **აღ-ი** სულ სხვა წყაროდან მომდინარეობს და არაფერი საერთო არა აქვს რა მდებრობით სქესთან.—ეს დაბოლოვება აქვს აგრეთვე ბევრ ზედშესრულ სახელსა და მიმღეობას, აგრეთვე **არ-ი**, **ურ-ი**, **ელ-ი**, **ულ-ი**, **ილ-ი**, **ერ-ი**, **ირ-ი**, და ადვილი შესაძლებელია ისევ ზმნასთან **არს-ება-სთან** ჰქონდეს მას რაიმე დამოკიდებულება. გამოცდილ ფილოლოგებისათვის მიგვიჩვენია ამის გამოკვლევა. ჩვენ ვერას ვიტყვი. ხოლო ძლიერ და ძლიერ საეჭვოა, რომ იგი მდებრობითი სქესის მაჩვენებელი იყოს.—**ბ**) რომ ქართულს მართლაც ჰქონოდეს ოდესმე გარჩევა სქესთა, ეს გარჩევა უსათუოდ დარჩებოდა არსებით-სახელთა გარდა ნაცვალ-სახელებში და ზმნებში, როგორც ეს არის სემიურში, ხოლო **არავითარი**

კვალი ამ გარჩევისა ქართულ ზმნებში და ნაცვალ-სახელებში არ მოიპოვება. საერთოდ სქესთა გარჩევა ენის გართულების მომასწავებელია და ეს შედეგი განვითარებისა არა ჰქრება შემდეგაც, რადგანაც სქესთა გარჩევა ისეთი დამახასიათებელია ენის მთელის აგებულებისა, რამ მთლად ერთიანად არის საქირო ენის ფსიხიკისა და აგებულების შეცვლა, რომ იგი უკვალოდ დაიკარგოს ზმნებში, ნაცვალ-სახელებში და არსებით-სახელებში. ერთში მაინც უსათუოდ დარჩება. ქართულს კი არ ეტყობა, რომ უძველეს დროიდან მისი ბუნება ასე ძირიანად შერყეულიყოს. ყოველ შემთხვევაში დამტკიცებაა საქირო, სად და როდის მოხდა ეს ძირითადი ცვლილება ქართულ ენის ფსიხიკისა. კიდევაც რომ შერყეულიყოს, კიდევ ვიმეორებთ, ნაცვალ-სახელებში მაინც დარჩებოდა გარჩევა სქესთა. სქესთა გარჩევა კი დიდს განხსვავებას ჰბადებს ენათა შორის, და ამით სემიური სრულიად შორდება ქართულსა, რომელიც ამაშიაც სუმერულსა ჰგავს: სუმერულიც არ არჩევს სქესთა.

4) თანდებულები, ბოლოს-დებულები და ბოლო-სართები. აქ სრული წინააღმდეგობაა ქართულსა და სემიურს შორის. ყველა სემიური ენა ხმარობს თანდებულსა იქ, სადაც ქართული და სუმერული ხმარობენ ბოლოს-დებულთა და ბოლო-სართებს: მაგალითად ასსურულად: ana ṣir ṣamaí=გულსა შინა შამაშისა, ina tutulti=შემწეობი-თ-ა, და სხვ. ეს კანონია სემიურ ენებში, რომ თანდებულები ახმარონ ასეთ შემთხვევებში, ხოლო ქართულში და სუმერულში სულ წინააღმდეგი კანონი მეფობს. ეს კი ისეთი განხსვავებაა, რომ ამ ორ ჯურის ენათა სრულიად სხვა და სხვა სულს გვისახავს თვალის წინ.

5) რაც შეეხება სიტყვათა მსგავსებას, რასაკვირველია, მრავლის-უმრავლესი სიტყვა მოიპოვება სემიური ქართულში (წინააღმდეგ, შეიძლება სემიურშიაც მოიპოვებოდეს ქართული სიტყვები, თუ ანდენი არა, რაც სემიური ქართულში, ცოტაოდენი მაინც), მაგრამ ქართულში რომ ისეთი სიტყვებიცაა მრავლის-უმრავლესი, რომელიც ნამდვილი ქართულია და არაფერი მსგავსება არ აქვს სემიურ-

თან, ხოლო დიდი მსგავსება აქვს სუმერულთან, ჩემის ფიქრით ესეც ფაქტია.—აგრეთვე პრ. მარრის მიერ მოყვანილი სიტყვები, ჩემის ფიქრით, ყველა არ არის ნაყოფი ქართულის სემიურთან სწორის შედარებისა. მაგალითად: თუ სემიური *smas* და ქართული მზე. ჩემის ფიქრით, არა თუ მზე არ აიხსნება სემიურ სამ-უხზმო-ასოიან ძირითა, არამედ თვით მ არ ეკუთვნის აქ ძირსა. უნდა იყოს მ-ზე, მაგრ. კან. ბ-ჟა (ლაზ. ბ-ჟორ-ა), სვან. მუ-ჟ. აქედან არის წარმომდგარი ქართული ზე, ზე-და, მეგრ. ჟი, კან. ჟი-ლე და სხვა ბევრი სიტყვა, რომელიც ამტკიცებს, რომ მ-ზე-ში მ არ არის ძირეული. პირდაპირი დამამტკიცებელი საბუთი ამისი არის სვანური ლე-ჟ=აღმოსავლელი, ჟა-ბე=აღმოსავლური. აქ ცხადათა სჩანს ძირი ჟ (>ზ). შეიძლება ამ ძირს ჰქონდეს დაკარგული მეორე უხზო ასო, სახელდობრ რ, და ლაზური ბ-ჟორ-ა იყოს სრული ფორმა მისი; ამასთანავე შეიძლება ამას ჰქონდეს რაიმე დამოკიდებულება ზმნასთან მ-ზერ-ა, მეგრ. ძირა-ფა.—სამხარს არაფერი დამოკიდებულება არა აქვს არც მზესთან, არც *smas*-თან. იგი წარმოსდგება ძირისაგან მხ რაიცი ნიშნავს ქართ. შიმშილს და კანურად კამას. ქართულად იტყვიან მო-მე მხ-ა=მომშიდა, კანურად ვი-მხორ=ესკამ. ნაშასადამე სამხარი=სა-მხ-არ-ი=დრო კამისა, იჯრა განსაზღვრულ დროზედ, როგორც სა-დოი-ი, სა-უზმ-ე. (შეიძლება სამხარი=სა-მ-ხარ-ი, წარმოსდგებოდეს მზის გადა-ხრ-იდან, რადგანაც ამ დროს იციან სამხრობა, მაგრამ სა-მ-ხარ-ი მაშინ არა ჩვეულებრივი ფორმა იქნებოდა და ჩვენც ეს უკანასკნელი ახსნა საეკვოდ მიგვაჩნია).—6) სიმამრი, სიძე, რძალი. ამ სიტყვებსაც არავითარი კავშირი არა აქვს სემიურ ექვივალენტებთან სიმამრი=სი-მამ-რი (ფორმა სიმაური ქვემო იმერული დიალექტური ფორმა)=სამამო, მამის ნაცვალი. ანალოგიურად სი-დედ-რი=სადედო, დედის ნაცვალი. წარმოსდგებიან მამ-ისგან და დედ-ისგან. აგრეთვე სი-ძ-ე=საძეო, ძის ნაცვალი, ს-ძ-ალი=საძეო (მდედრობითის სქესისა), ქალის ნაცვალი. ძირი არის ძ, რომლისგანაც არის წარმომდგარი მრავალი სიტყვა ქართულ-მეგრულ-კანურ-სვანურად

(ქან. >ჯ, მაგალ. ოხორ-ჯა=„დიასახლისი“, პირდაპირ რომ გადავთარგმნოთ); აგრეთვე ამავე ძირისაა **ღედა**, **ღია**, **ღიაცი** და სხვ. (ღ>ძ>ჯ). შეუძლებელია ამ სიტყვებში: სიძე, სძალი, სიმამრი და სხვა ს ძირეულად აღვიაროთ. ეს არის **სი**—ჩვეულებრივი ქართული პრეფიქსი. **ე) სახლი**. აქ პრ. მარტი პირდაპირ შემცდარია. სემიური აქ არაფერია: ასსურული **ekallu** სრულიადაც არ არის სემიური სიტყვა, არამედ ნასესხები სუმერულიდან. სუმ. **é-gal** ნიშნავს **სახლი+დიდი**=სასახლე. აქედან წაიღეს ეს სიტყვა ასსურელებმა და სხვა სემიელებმა. მაგრამ სუმერულად **სახლი** მარტო **é** კი არ არის, არამედ აგრეთვე **gal** (ამ **gal**-ს არავითარი დამოკიდებულება არ აქვს **e-gal**-თან, რომლის **gal**-იც ნიშნავს დიდს), და ქართულს სახელსაც აქა აქვს ძირი. ძირი სახლისა არის **ხლ**, სუმერული **gal**. **gal** ნიშნავს აგრეთვე ცხოვრებას სუმერულად, უეჭველია, ასეთი იყო მნიშვნელობა ქართულ ძირის **ხლ**-სიც. ამიტომაც **სახლი**=**სა-ხლ-ი**=**საცხოვრებელი** ადგილი. შემოკლებულადაც გვხვდება ეს ძირი ქართულში: წავიდა **სახიდ**. აქედან არის წარმომდგარი **მ-სა-ხ-ურ-ი**, და არა სე<sup>ნ</sup>. <sup>სმას</sup>-იდან (ფრანგულადაც: **domestique**). შორსა სდგას იგი სემიური ძირებიდან.

ასეთი მაგალითების ამოკრეფა მარტის შედარებებიდან ბევრისა შეგვეძლო, მაგრამ ერთობ გაგვიგრძელდებოდა წერილი და ძალაუნებურად აქ უნდა შევსწყვიტოთ. ვიტყვით მხოლოდ, რომ მიუხედავად ქართულში მრავალ სემიურ ელემენტთა არსებობისა, ქართული არც თვისი სულითა და არც სიტყვებით არ არის გენეტიურად სემიურთან დაკავშირებული. სემიტოზმები ქართულს გრამმატიკაში და სიტყვებში ალბად ბევრი სხვა მიზეზით აიხსნება, განსაკუთრებით სემიურის გავლენითა ქართულზედ, მაგრამ არა გენეტიურის ნათესაობით. ხოლო ქართული ისე ჰგავს **სრულიად არასემიურ** სუმერულს, რომ მასთან კი უეჭველად უნდა ჰქონდეს ქართულს გენეტიური ნათესაობა და ჩვენც შემდეგ თავებში პირდაპირ შევადაროთ სუმერული და ქართული.

V

სუმერულის შედარება ქართულთან ძლიერ ძნელია განსაკუთრებით იმიტომ, რომ სუმერული ტექსტების კითხვა იყო და ეხლაც არის ძლიერ გაძნელებული. მხოლოდ ამ უკანასკნელ დროს გახდა შესაძლებელი შედარებით სწორი ტრანსკრიპცია და თარგმანი სუმერულ ტექსტთა. ასურ-ბანი-პალის წიგნთ-საცავში რომ არ აღმოჩენილიყოს თვით ასსურელთა მიერ შედგენილი გრამმატიკა, ლექსიკონი და საზოგადოდ წესები სუმერულის სწავლისა, აგრეთვე რომ არ აღმოჩენილიყო მრავალი ასსურულ-სუმერული ტექსტი, ურთი-ერთის თარგმანი,—ვინ იცის როგორ გაძნელებოდა კითხვა და გაგება სუმერულისა.—

ლურსმულ წარწერათა ენები და წესები წერისა ბევრია. ენათა შორის ერთი არიულია—სპარსული ახემენიდების დროისა, ერთი სემიურია—ასსურულ-ბაბილონური, ერთი და იგივე ენა მცირე დიალექტიური განსხვავებით. ხოლო დანარჩენი ენები ლურსმულ წერისა არა-არიული და არა-სემიურია, რომელიც უნდა იყოს ქართულის მონათესავე და რომელსაც ასსირიოლოგები თურანულ ენებათა სთვლიდნენ და ეხლაც ბევრი სთვლის. ეს ენებია: 1) **სუმერული**,—ენა უძველესი ბაბილონიისა; ამ ენაზედ გაჩნდა პირველად ლურსმული წერილი, წარმომდგარი პირველ-ყოფილ იეროგლიფებიდან. 2) **ელამური**, რომელსაც ელამისა და სუზის ქვეყნებში ლაპარაკობდნენ; 3) **ახალ-სუზური** (წინად რომ მედიურს ეძახოდნენ შეცდომით, ე. ი. ენა ახემენიდების წარწერათა (ბაპისტანში აღმოჩენილ წარწერათა) მეორე სვეტისა; 4) **ქალდური**, ანუ ურარტული, ანუ ალაროდული, ენა უსომხო არმენისა; 5) **მიტანური**, მსგავსი ქალდურისა, მაგრამ უძველესი ქალდურზედ. 6) **ხეთური**, ბოლაზ-კოის ლურსმული, არცაევას ენა, და სხვ.—ხოლო წესი წერისა სამია: 1) სუმერული, ე. ი. წერა სილლაბრული, იდეოგრაფიული და მხოლოდ ოდნავ ანბანური ერთმანეთში არეული. ამ

წესს ხმარობდნენ სემიელეები, რომელთაც სუმერიელთაგან იხსენებს წერა; იმავე სისტემის ლურსმულს, მაგრამ გამარტოვებულის სახით ხმარობდნენ მიტანები, ურარტელები და ხეთელები, რომელთაც უეჭველად ასსურელთაგან გადმოიღეს ლურსმული წერა, თუმც ხეთელებს საკუთარი იეროგლიფური სისტემაცა ჰქონდათ წერისა. 2) ელამურ-სუზური, თუმცა წარმომდგარი სუმერულ-ასსურულ ლურსმულისგან, მაგრამ გადასხვაფერებული: სხვა ფორმები ლურსმულნი შანთა, ძლიერ ძვირად პოლიფონია და ჰომოფონია.—3) სპარსული—თითქმის სრულიად ანბანური—(ანუ უკეთ ვსთქვათ, სილლაბური=1 უხმო+1 ხმოვანი: 2 უხმო+ა; 4 უხმო+ი, 7 უხმო+უ). ძლიერ ცოტა, ოთხიოდე იდეოგრაფია\*). - სპარსულის წაკითხვა და გადათარგმნა უფრო ადრე მოხდა; რაულინსონი, ეს მამათმთავარი ასსირიოლოგიისა, პირველი იყო, რომელმაც მთლად წაკითხა წარწერები, გადასთარგმნა, და ამასთანავე შეადგინა სრული გრამმატიკა ამ ძველის სპარსულის ენისა.—გროტეფენდის, ბიურნუფისა, ლასენისა და სხვათა შრომები ვერ წაართმევდნენ რაულინსონს პირველობას, მიუხედავად იმისა, რომ მათი შრომები მის შრომაზედ უფრო მალე გამოვიდა, რადგანაც რაულინსონი თითქმის მათგან სრულიად დამოუკიდებლად მუშაობდა ამ წარწერათა წასაკითხავად და გადასთარგმნელად თვით ადგილზე\*\*).—უფრო გაძნელდა წაკითხვა და გადათარგმნა ბაბილონურ-ასსურულ წარწერათა, მაგრამ აქაც მალე სძლიეს ამ დაბრკოლებას ჰინქსმა, იმავ რაულინსონმა და ოპპერტმა. გარდა ამისა ასსურულის წაკითხვა და გადათარგმნა უფრო და უფრო ადვილი გახდა, რადგანაც მალე გაიგეს, რომ ასსურული სემიური ენა იყო. სემიური ენები კი საშინლადა ჰგვანან ერთმანეთს. არც ერთი ჯგუფის ენები არ ემსგავსებიან ერთმა-

\*) იხ. F. H. Weissbach. Die Keilinschriften der Achämeniden. Vorderasiatische Bibliothek, 1911. Leipzig.—Einleitung.

\*\*) იხ. მისი The Persian Cuneiform Inscription at Behistun etc. Journal of the Royal Asiatic Society. t. X. (1846—1851 წლებში შეასრულა რულინსონმა ეს შრომა).

ნეთს ისე, როგორც სემიურები, და ამიტომაც ასსურულის ებრაულ-თან და სხვა სემიურ ენებთან შედარებამ დიდი როლი ითამაშათვით ასსურულის წაკითხვაში და თარგმნაში. ოპპერტმა განსაკუთრებითი მეთოდიც კი შექმნა ასსურულის გარჩევის დროს, მეთოდი ფილოლოგიურ აუცილებლობისა<sup>1)</sup>: მაგ. ოპპერტმა თუ იცოდა ლურსმულად დაწერილი სიტყვის ერთი ნაწილი, მეორესაც იკვლევდა, მესამესაც და სხ. ფილოლოგიურის აუცილებლობით, მიუხედავად იმისა რომ ლურსმულ ნიშნებს სხვა და სხვა ფონეტიური მნიშვნელობა ჰქონდათ, რადგან სხვა სემიურ ენებში შეიძლებოდა მონახვა სრულიად მსგავსი სიტყვისა და გრამმატიკულ ფორმისა, რომელიც აზრით იგივე უნდა ყოფილიყო, როგორც ასსურული გამოხარკვევი ლურსმულად დაწერილი სიტყვა. — ხოლო გაძნელდა უკანასკნელ დრომდის ელამურის წაკითხვა, რადგანაც მასალაც ცოტა იყო და აგრეთვე ამ ენის მსგავსი რამ ვერა ნახეს რა ცოცხალენათა შორის, — ისეთნაირად მსგავსი როგორც ასსურულისა ებრაულია, რომ მეთოდი ფილოლოგიურ აუცილებლობისა აქაც ეხმარათ. — ხოლო უბრალო თეორია თურანულთან ამ ენის მსგავსებისა ვერ დაეხმარებოდა მკვლევარს ელამურის წაკითხვაში. გაძნელდა აგრეთვე — შედარებით — წაკითხვა ურარტულისა, მიუხედავად იმისა, რომ სილლაბარი მისი გამარტოვებული ასსურული სილლაბარი იყო. გაძნელდა ეს საქმე აგრეთვე დიდი მასალის უქონელობის გამო და მჭიდრო მონათესავე ენათა არ-არსებობის გამო. მაგრამ ამ დაბრკოლებასაც სძლიეს — ურარტულს სეისმა<sup>2)</sup>, და ელამურ-მიდიურს ნორრისმა, სეისმა, ოპერტმა და სხვებმა, ხოლო საბოლოოდ გერმანელმა მეცნიერმა ვეისბახმა<sup>3)</sup>. —

თუ კი ასე გაძნელდა შედარებით ადვილ ლურსმულ წარწერათა კითხვა, რალა უნდა ყოფილიყო სუმერულის წაკითხვა და გადა-

<sup>1)</sup> იხ. მისი Expédition en Mésopotamie, II.

<sup>2)</sup> იხ. მისი The Cuneiform Inscription of Van, J. R. A. S. v. XIV. 1882.

<sup>3)</sup> იხ. მისი Die Achämenideninschriften zweiten Art. 1890.

თარგმნა. მართლაც დიდი შრომა და გონებრივი ძალა დასჭირდა. ასსიერიოლოგებს, სანამ ამ დიდ მეცნიერულ საქმეს შეასრულებდნენ. — დღესაც კი არ არის საბოლოოდ დადგენილი ფონეტიკა სუმერულიისა, არ არის შემუშავებული საბოლოოდ გრამმატიკა და განმარტებული ბევრი სიტყვა. ამიტომაც ძნელია მისი შედარება რომელიმე ცოცხალ ენასთან, და ჩვენი შედარება ქართულისა და სუმერულიისა იგივე არ არის, როგორც შეიძლება იყოს შედარება ორ კარგად ცნობილ ენისა. — შეცდომები ამ შედარებაში აუცილებელია და ჩვენც გვეპატიება ეს შეცდომები შეიძლება უფრო მეტად, ვიდრე შეცდომები, გამოწვეულნი ჩვენის გამოუსდებლობისგან მეცნიერულ კვლევაში.

სუმერიელები იყვნენ ლურსმულის მომგონნი, როგორც არა ერთხელ ვსტკვით. ხოლო ლურსმული წარმოსდგა იეროგლიფებისაგან. უპირველესად ამ იეროგლიფებს საგნის გამოხატვა ედვათ მიზნად, შემდეგ კი მათგან წარმომდგარმა ლურსმულმა ნაშთებმა მიიღეს ფონეტიური ექვივალენტები, რომელნიც იყვნენ სახელნი ერთ დროს იეროგლიფულად გამოხატულ საგანთა სუმერულ ენაზედ. ეს პროცესი რასაკვირველია ძლიერ რთულად და ნელა ხდებოდა, და ჩვენ ძლიერ შორს წაგვიყვანდა აქ მისი სავსებით შოთხრობა — ერთსა და იმავე ნიშანს შეეძლო გამოეხატა მრავალი საგანი და ამგვარად მიეღო ფონეტიური ექვივალენტები ამ საგანთა სახელისა. აქედან წარმოსდგა პოლიფონია ანუ მრავალ ხმოვანობა სუმერულ ლურსმულისა. — ერთსა და იმავე საგანს შეიძლება მრავალი სახელი ჰქონოდა ერთსა და იმავე დროს, ან დროთა ვითარებაში შეიძლება ნიშანი საგნის გამომხატველი იგივე დარჩენილიყო, ხოლო სახელი შეცვლილიყო, — და ეს იყო უმთავრესი წყარო პირველ-ყოფილ პოლიფონიისა. — პირიქით, ერთი და იგივე საგანი შეიძლება გამოხატულიყო მრავალის ნიშნით, ამიტომაც ერთსა და იმავე ფონეტიურ ექვივალენტს, ანუ საგნის სახელს უძრიდა სხვა და სხვა ლურსმული ნიშანი. აქედან წარმოსდგა ჰომოფონია, ანუ ერთ-ხმოვანება ლურსმულისა. — ეს პოლიფონია და ჰომოფონია ძლიერ აძ-



ნელებს სუმერულ კითხვასა, და თვით ასსურული მისთვისაც არ იყო იგი ადვილი.

ამიტომაც ჩვენის შედარების დროს ჩვენ არა გვაქვს საკუთარი წესი სუმერულის კითხვისა; ყოველი ახალი წესი სუმერულ სილლაბთა და სიტყვათა კითხვისა საექვო და სადავოა, და ამიტომ ჩვენ ავიღეთ სუმერული ისე, როგორც იგი არის დღეს ყველა მეცნიერთაგან საერთოდ შემუშავებული, და ამ სუმერულს ვადარებთ ქართულს, და არა ნამდვილ სუმერულსა, რომელზედაც ჯერ წარმოდგენაც არ შეიძლება ვიქონიოთ და ვინ იცის ოდესმე ვიქონიებთ თუ არა.—

სუმერულთან შედარების დროს ჩვენ ვიხმართ რასაკვირველია ახალ გრამმატიკებს, რომელთაგანაც სტეფენ ლენგდონის გრამმატიკა ყველაზედ უფრო სრულია და აგრეთვე სუმმა იმ გამოკვლევათა, რომლითაც მეცნიერებმა გაამდიდრეს მეცნიერება ამ უკანასკნელ დრომდის. ამიტომაც აქ უყურადღებოდა ვსტოვებთ ფრ. ლენორმანის *Etudes Accadiennes* (1873 წ.), მისავე *La langue Primitive de la Chaldée* (1875 წ.), პ. ჰაუპტის „*Die Akkadische und Sumerische Keilschrifttexte* (1881 წ.) და ბევრ სხვა გამოკვლევებს სხვა მეცნიერთა და განსაკუთრებით იმავე პ. ჰაუპტისა სუმერიოლოგიის დარგში. ხოლო საინტერესოდ მიგვაჩნია სულ უპირველესი გამოკვლევა ავილოთ ოპპერტისა (*Expédition en Mésopotamie II*, 1859) და აქაც კი ვაჩვენოთ, თუ როგორ თვალ-ნათლივ სჩანდა მსგავსება ქართულ და სუმერულ სიტყვათა. მას უკან ბევრი გამოიკვცა, ბევრი შესწორდა, და საინტერესოც ის არის, რომ რამდენადაც უფრო ირკვეოდა ხასიათი სუმერულის ენისა, იმდენად უფრო ჰგავდა იგი ქართულსა. ჩვენ შეგვეძლო ეს პროგრესი სუმერულის ენის გამოარკვევისა და მისი უფრო და უფრო მსგავსება ქართულთან გავეთვალისწინებინა ჯერ ოპპერტის, მერე ლენორმანის, ჰაუპტისა და თანამედროვე სუმერიოლოგთა გამოკვლევათა შედარებით, მაგრამ ეს აქ მოუხერხებელია.

პოლიფონია წმინდა სუმერულ სილლაბარსაც ახასიათებდა, რად-

განაც ერთსა და იმავე სუმერულ ლურსმულ ნიშანს მრავალი ფონეტიური ექვივალენტები აქვს. მაგრამ როდესაც ასსურელებმა გადმოიღეს ეს ანბანი სუმერიელთაგან, პოლიფონია კიდევ უფრო გაძლიერდა, რადგანაც ასსურელებმა სუმერული პოლიფონიაც დასტოვეს და ამავე დროს თავიანთ ენაზედ საგანთა სახელებიც მიუმატეს ლურსმულ ნიშნებსა. და საკვირველი რამ არის, რომ აიღოთ ახსურული სილლაბთა, ლურსმულ ნიშანთა სუმერული ფონეტიური ექვივალენტები ქართულ სიტყვებსა ჰგავს, ასსურული ექვივალენტები კი რასაკვირველია ასსურული სიტყვებია, — სემიური. საინტერესო იქნებოდა ამგვარად მთელი სილლაბარის განხილვა, მაგრამ ესეც არ შეგვიძლია აქ, ძლიერ შორს წაგვიყვანდა. ამის მაგივრად შემდეგ პირდაპირ შევადაროთ სუმერული და ქართული სიტყვები. ეხლა კი რამოდენიმე მაგალითი მოვიყვანოთ ჯერ კიდევ ოპპერტის დროს ცნობილ სილლაბარიდანს იმის საჩვენებლად, რომ ამ გამოურკვევლობის დროსაც კი, როდესაც ოპპერტს ეს სუმერული ფონეტიური ექვივალენტები თურანული სიტყვები ეგონა, იგინი ქართულ სიტყვებსა ჰგვანან. — მართლაც, როდესაც სემიელებმა გადმოიღეს სუმერიელთაგან ლურსმული ნიშანი, მაგ., გამომხატველი სახლისა, მათ მიიღეს აგრეთვე მისი სუმერული ფონეტიური ექვივალენტები, მარცვალი ვალ (პოპპერტით, ნამდვილად კი ეხლა ეს მარცვალი იკითხება ვალ). ეს ვალ (ვალ, ოპპ.) კი ნიშნავდა სუმერულად „სახლს“. ასსურელებმა ამას მიუმატეს თავიანთი ფონეტიური ექვივალენტი ბიტ, რაიც ასსურულად ნიშნავს აგრეთვე სახლს. ამგვარად ლურსმულ ნიშანს სახლისას აქვს ექვივალენტები: ვალ, ბიტ (და სხვ.), რომელთაგანაც ერთი ძველია (ვალ) — სუმერული, მეორე ახალი (ბიტ) — სემიური. ხოლო ეს ვალ იგივე ძირია, როგორც ქართ. ხლ, საიდანაც წარმოსდგება ქართული სა-ხლ-ი. — ლურსმული ნიშანი თავისა გამოითქმოდა სუმერულად საგ, საკ, ასსურულებმა კი მიუმატეს ფონეტიური ექვივალენტი რის, რადგანაც ასსურულად თავსა ჰქვიან რეშუ. ხოლო სუმერული საგ იგივე ძირია, რაც ქართ. ცხ, ძღ, შეიძლება სკ: აქედან წარმოსდგება

კონ-ცხ-ი, ცხ-ვირ-ი, ძღ-ოლა. სახ-ე (?), თხე-მი (ს>თ).—ნიშანი შვილისა, რაიც ნიშნავს ასსურულად ჰაბლუ-ს, გამოითქმოდა სუმერულად ტურ=შვილი. ამავე დროს ეს სიტყვა ნიშნავდა სუმერულად პატარას.—ქართული წულ ი=შვილი, კან. წულ-უ=პატარა.—ნიშანი ბრწყინისა იკითხება სუმერულად ბარ (მზე=ბაბ-ბარ>პარ-ბარ).—ქართული სიტყვა ვარ-ვარი. ამავე ნიშანს აქვს ექვივალენტი დაღ=ქართ. დღე. ამავე ნიშანს აქვს ექვივალენტი თუ (ტუ)=ქართ. ძირი ნა-თ-ელი, მ-თ-ვარე, თეთრი, თვ-ალი და სხვ. ამავე ნიშანს აქვს ექვივალენტი უდ, აქედან უდ-დე=როდესაც, იმ დღეს, როდესაც. ქართ. ოდ-ეს, და სხვ ხოლო სემიური ექვივალენტები ამ ნიშნისა, როგორც იდევგრაამისა, სულ სხვაა: შამშუ=მზე, უშუ=დღე.—ნიშანი მუქისა იკითხება სუმერულად შუ=ხელი.—სვან. ში, შინ=ხელი.—სემიურად არის კატ.—ნიშანი მთისა—სუმერულად კურ, სემიურად შადუ. —ქართ. გორა. - ნიშანი „სიარულისა“ იკითხება დუ, ასსურ. ალაკუ.—ქართ. დენა, დავდი-ვარ. ძირი დ.—ნიშანი ჭრისა არის სუმერულად კუდ, ტრ, ხას და სხვ. ასსურ. ნაკასუ.—ქართული ჭრ-ა, კვეთ-ა, კვეც-ა, კოდ-ვა, ხოც-ვა და სხვ.—საკვირველია, რომ სუმერულად კუდ ნიშნავს აგრეთვე სიმარჯლის გადაჭრას, ქართულადაც ხომ იხმარება ეს ზმნა და აგრეთვე ზმნა კვეთა: რუსთველის სიტყვა: 839,4: „თვარე ბედი აზომ თურქე მიკვეთს, ღმერთსა რალა ვკადრო“.—ნიშანი ხისა—გიბ, ასსურ. ისსუ.—ქართ. ხე ხეშ\*) და სხვ. ასზედ მეტის სიტყვის მოყვანა შეიძლება ასსურულ სოლლაბარიდან, სადაც სუმერული ექვივალენტები დიდად ჰგვანან ქართულ სიტყვებსა, ხოლო იქვე მყოფი ასსურული ექვივალენტები კი სრულიად არა. სილლაბარის სრული შედარება მშვენიერ სურათს დაგვიხატავდა, თუ როგორ არის დაშორებული ქართული სემიურისაგან და როგორ უახლოვდება იგი სრულიად არა-სემიურ სუმერულს, მაგრამ ჩვენ აქ იძულებული ვართ ამ რამოდენიმე მაგა-

\*) Н. Марръ: Еще о словѣ „Челеби“, Зап. Вост. Отд. Имп. Русск. Арх. Об. т. XX, 1911.

ლითით დავკმაყოფილდეთ და ამის მაგივრად ქვემოლ შევადაროთ უფრო სისტემატიურად სუმერული და ქართული ჯერ გრამმატიკა, შემდეგ სიტყვები.

VI

გრამმატიკის ელემენტები.

ბოლო-სართები და ბოლოს-დებულები.

სუმერული ბოლო-სართები რა, შუ, და, ტა, რა-ს გარდა, ემსგავსებიან ქართულ, ქანურ, მეგრულ და სვანურ ბრუნვათა და ბოლოვებათა და ბოლოს-დებულებს. მართლაც ქართულში რა-დენივე ბრუნვა წარმოსდგება სახელი-ბოლოს-დებული-დან: მაგალ. მიმართულებითი ბრუნვა (მარრი): კაცი—კაც+ად, ქალაქი—ქალაქ+ად. მაგრამ არის აგრეთვე ქალაქი—ქალაქი+ი(ა). ჩემის ფიქრით ეს თ უნდა იყოს შემოკლებული თან. ძლიერ ახლოს არის ქკუასთან, რომ ქართულში სხვა ბრუნვებიც ისევეა ნაწარმოები. ავიღოთ ეხლა ქართულ-ქანურ-მეგრულ-სვანური ბრუნვები და მათი დაბოლოვებანი შევადაროთ სუმერულ ბოლოსართებს. როგორც გარეგანი ფორმა, აგრეთვე სწინელობა სუმერულ ბოლო-სართებისა შუ, და, ტა ემსგავსება ქართულ ბრუნვათა დაბოლოვებას:

ქართული	მეგრული	ქანური	სვანური
სახ. ლმერთ-ი	სახ. ლორონთ-ი	სახ. ლორმთ-ი	სახ. ლერბეთ
ნათ. ლმერთ-ისა	ნათ. ლორონთ-იში	[მთათ. ლორმთ-ი-ქ]	ნათ. ლერთ-აშ
მიც. ლმერთ-სა	გან. ლორონთ-იშე	ნათ. ლორმთ-ი-ში	მიც. ლერბეთ-ს
[მთათ. ლმერთ-მან]	მაშ. ლორონთ-ი-შა(ბ)	გან. ლორმთ-ი-შე	მთათ. ლერბეთ-დ
მოქ. ლმერთ-ით	მიც. ლორონთ-ი-ს(ს)	მოქ. ლორმთ-ი-თე	მაშ. ლერბათ-თე
მიმ. ლმერთ-ად	[მთათ. ლორონთ-ი-ქ]	მაშ. ლორმთ-ი-შა	მოქ. ლერბათ-შუ.
	მოქ. ლორონთ-ით	მიც. ლორმთ-ი-ს	

როგორც არა ვსთქვით, ქართული ნათ. და მიც. ბრუნვათა დაბოლოვებანი სხვათა მსგავსად რომელიმე ბოლოს-დებულისა (პირველ ყოფილ რომელიმე სახელიდან) უნდა იყოს ნაწარმოები. მართლაც, არის ქართულში ერთი ასეთი ბოლოს-დებული: ში, ში-ნა, შიგ, შიდ. აქედან წარმოსდგა ქართული შუა, აგრეთვე მეგრ.—ქანური შქა, სვანური ისგა=შიგ და სხვ. ძირი ამისა არის შგ. სუმერულად კი ერთის მხრით მეგრულ-ქან. განყოფილებითს უდრის შუ, ხოლო მეგრულ-ქან. განყოფილებითი ნაწარმოებია ნათესაობითიდან, მეორე მხრით ძლიერ საფიქრებელია, რომ ეს სუმ. შუ არის წარმომდგარი სახელისგან შაგ=გული, შუა გული. (სუმ. შაგ=ქართ. ძირ. შქ, შგ). მეგრული კი მიმართულებითი ბრუნვა, რომელსაც აგრეთვე კავშირი უნდა ჰქონდეს ნათესაობითთან და მიცემითთან და განყოფილებითთან, არის—შა=შახ—იგივე ძირი რაიცა ქართ. შიგ, ში, სუმ. შაგ, შუ.

განვიხილოთ ესლა, როგორ იხმარება სუმერული შუ და აგრეთვე და, ტა.

A. ṣu (სუმ.)

I. ṣu=უჩვენებს მიმართულებას, ქართ. —კენ,—ში, შიგან: იდ-და-შუ ბა-ან-სუმ-შუ=წყალ-ს(ა) უნდა მისცენ იგი, ანუ: მდინარე-ში უნდა გადაადგონ იგი. მეგრულშიც ამ შემთხვევაში იხმარება მიცემითი ბრუნვა: გურ-ს ქობოფხვადუ=გულ-ში მოხვდა.—ქან. ოხარ-ი-შა ველურ=ქ. საბლ-ში მივიღივარ; ქ. ქალაქ-ს მივიღივარ. და სხვ.—აქ ნათლადა სჩანს, რომ სუმერული შუ=ქართ. მეგრ. მიცემითსა და ქანურ მიმართულებითსა, რაიც მეგრულად არის შა(ხ): ქალაქ-ი-შა(ხ)=ქალაქ-ში, ქალაქი-საკენ.

II. ṣu სუმერული—ინსტრუმენტალურიკა—რით? უდრის სვანურს მოქმედებითსა—შუ, კარა-აშ=დან-ით, შუ-შუ=ხელ-ით. სვან. ღერთა-შუ=ღვითთ, ში-შუ=ხელით და სხვ.

III. ṣu=ქართ.—მდე-ში, უდრის ქართულს მიცემითსა, ანუ ქართულს ბოლოსდებულს ში, შინა, მეგრულ მიმართულებითსა შა, შახ, აგრეთვე ქანურ მიმართულებითსა.—სუმ. უდ-კურ-შუ

სხვა დღე-ს, სხვა დღესა შინა, (მას ეამსა შინა), კან.-მეგრ. ქალაქი-შა(ხ)=ქალაქმდე, ქალაქ-ში. მეგრულ. ძირათა-შა(ხ)=ნახვამდის.—კან. გალა-შა=მდე.

IV.  $\text{sa}$ —ზმნისზედის ფორმა.--სუმ. ზიდღე-შუ=მართლად, უდ-ღე-ეშ=დღიურად. დუგ-გი-ეშ=კარგად. მეგრ. ას: სქემ-ას=ლაშაზად, მალ-ას=მალე და სხვ. იხ. ზმნის-ზედანი.

V.  $\text{sa}$ —განყოფილებითი: ქართ.—გან.—მეგრ. კან.—შე: აბა ბილგიმ-შუ ინში-მამ=იყიდა აბაბილგიმისაგან; ზურ-ზურ-რა-ზურ-ნი გუ-ღე-ა-აშ შუ-ბა-ში-ტი=მიიღო თხოვნა გუღეასაგან; მაგრ. მუმა-შე=მამისაგან, დიდა—შე=ღედისაგან. კან. კოჩი-შე=კაცისგან, და სხვ.

B. Da (სუმ.).

I.  $\text{da}$ —თან. ზა-და ა-ბა-ა ინ-ნა-ბალ-ე=ვინ იომებს შენ-თან (შენს წინააღმდეგ)—ქართ. ჩვენ-თანა არს ღმერთი, და სხვ. აქ სუმ. და უდრის ქართულ ბოლოს-დებულ თან-სა.

II. სუმერულში  $\text{da}$  იხმარება მსგავსად ქართულის მიერ-ისა როცა სულიერი საგანია მომქმედი პირი ქართულში იგი უდრის მოქმედებით ბრუნვას (-თა), მაგრამ როდესაც უსულო საგანია მომქმედი: სუმ. უტულ-და ე-და-სიგ=მოიკლა მწყემსის მიერ.—ქართ. მოიკლა ხელი-თა ჩემი-თა და სხვ.

III. მაგრამ სუმერული და იხმარება აგრეთვე როგორც ინ-სტრუმენტალური ბოლო-სართი აგრეთვე მსგავსად ქართულის მოქმედებითისა: სუმ. შე-ნი-და მუ-ნა-და-დიბ-ე=მოიღო ბრძანები-თა მისი-თა; ქართ. წიგნი დავსწერე ხელი-თა ჩემი-თა. კან. ცხენი-თე=ცხენი-თა, ბიგა-თე=ჯოხი-თა, და სხვ.

IV.  $\text{da}$  მიზნის გამომატველი იხმარება განუსაზღვრელი კი-ლოთი მსგავსად ქართულისა; ქართულში უდრის იგი მიმართულე-ბით ბრუნვასა დ-ით: სუმ. ე-აზაგ-დუ-ღე (აქ დე=და)=აღსაშენებლ-ად, ანუ აღშენებ-ად წმ-ნდისა სახლისა.—სუმ. ა ენ-ით სუმბუ-და=მიწოდება-დ წყალისა უფალისათვის. მეგულებს მე საქმე საშინე-

ლი მითხრობად და უწყებად თქვენდა“. (Mappx, Г. P. IX, а, 13)—სვან. ლაგენა-თე=სატირლად, და სხვ.

V. და გარემოებითი უდრის ქართულ ზმნით-ზედით და-სა (მიმართულებით ბრუნვაში) აგრეთვე თ-სა (მოქმედებით ბრუნვაში): სუმ. შუ-გან-გან-და ხე-ენ-და-აბ-საგ-ეშ=მშვიდობით წარგიძღვენ შენ იგინი. ქართ. ნებსი-თ და უნებ-ლი-ე-დ. სუმ. გუდე-დე-და ურ-გიგ-ა ნუ-უნ-შედ-დე=ტირილით დღე და ლამ არ ისვენებდა. და სხვ.

VI. და ადგილის გამომხატველი. სუმ. ედინ-და ე-და-ტაგ-ტაგ=დასტოვა მინდვრად — ქართ. მიმართულებითი.

VII. და მიმართულებითი=ქართ. მიმართულებითი ბრუნვა დ. სუმ. ე-და ზე-ენ-და-აბ-გი-გი=დაგაბრუნოს შენ მან წყალისადმი.— ქართ, მოვედ ჩემ-და. მოვიდა ქართლ-ად, წავიდა ქალაქ-ად, და სხვ.

C. Ta (სუმ.) უდრის ქართ. მიმართულებით და-სა და მოქმ. თა-სა, როგორც ქართულში, ზოგიერთ შემთხვევაში, და და თა სუმერულშიც ურთი-ერთის ნაცვლად იხმარება.

I. ტა განყოფილებითი. ქართ. მოქმედებით-განყოფილებითი თ. სუმ. ე-ტა ე-ა-ნი=გამოვიდა სახლითგან. ქართ. წამოვიდა ცი-თ, წარმოვიდა იერუსალიმ-ით (=ითგან). სუმ. ა აბ-ბა სიგ-გა-ტა იდი-გნა ბურანუნ-ბი იგი-ნიმ-მა-შუ=ქვედა ზღვით (—ითგან) ტიგრზე-და და ევრატზედა (გადმოვლით) ზედა ზღვად-მდე. აქ სიგ-გა-ტა უდრის ქართულს:—ზღვით. ხოლო იგი-ნიმ-მა-შუ მეგ. მიმართულე-ბითსა--შა(ხ)=ზულა-შა(ხ).—სუმ. ბაბბარ-ე-ტა ბაბბარ-შუ-შუ= აღმოსავლეთით-თ დასავლეთადმდე (მეგრ.— შა(ხ)).

II. ტა ადგილის მაჩვენებელი უდრის სუმერულად და-ს-ად-გილის მაჩვენებელსა=ქართ. მიმართულებითი ადგილის მაჩვენებელი: მინდვრ-ად იყო, და სხვ.

III. ტა ინსტრუმენტალური უდრის შუ ინსტრუმენტალურს სუმერულში. მსგავსადვე ქართული მოქმედებითი ინსტრუმენტალური თ უდრის სვანურ მოქმედებით ინსტრ. შუ-ს. სუმ. უსან-ტა=

მათრახი-თა: შუ-ელ-ა-ნი-ტა=ხელი-თა წმიდი-თა მისი-თა. სვან.  
ში-შუ=სუმ. შუ-შუ=ქართ. ხელი-თა.

IV. ტა საშუალებითი და მიზეზობითი=ქართ. მოქმედებ. თა.  
სუმ. იბ-ბა-ბი-ტა სურ-რა-ბი-ტა... ანნა ბა-ან-ე-ნე=წყრომითა და  
რისხვითა მისითა... აღვიდნენ ცათა შინა. სუმ. ა ნინა-ტა=ძალი-  
თა ნინისა-თა; განგები-თა ღვთისა-თა, დასხვ.

V. ტა დროებითი=ქართ. მიმართულ. ად (ა) დროებითი. სუმ.  
უდ-ბი-ტა=ამ დროს. ქართ. კვალ-ად, მარ-ად და სხვ.

VI—VII. ტა გარემოებითი=და გარემ.

VIII. ტა შედარებითი=ქართულ ბოლოს-დებულ თან-სა. სუმ.  
ა-ზუ-ტ ა ნუ-მუ-უნ-და-ღა=ვერა ძალა შეედრების შენსა ძალასა.—  
ქართულად შეიძლება აგრეთვე: ვერა რა მოვა შენ ძალას-თან;  
ქართ. შენის-თან-ა.--სუმ. შაკ-კა-ნა-ტა კი-ტა იმ-მი-ინ-რიგ=კუპ-  
რი „შაკანაკუს“-თან დავსდე.

IX. ტა=და გამომხატველი კავშირისა და სიახლოვისა=ქართ.  
თან. სუმ. და-და-ა-ტა ნამ-ბა-და-აბ-ბალ-ე=ბოროტ-თან დაგაბამ  
შენ.

X. ტა=და მიმართულებითი. — ქართ. მიმართულებითი ად,  
სვან. მიმართულ. თე. სუმ. ე-კურ ტა მულუ ესირ მადლა იმ-ტურ-  
რა-ნე=(ოდეს) ფეხ-გაუხდე-ლად (ფეხ-საცმლიანად) შევიდა იგი  
„ეკურ“-ში=ეკურ-ად. ქართ აგრეთვე მოვიდა სახლ-ად (=ში);  
სვან. მარან-თე=მარან-ში. ქორ-თე=სახლ-ში (წავიდა, ჩავიდა შე-  
ვიდა და სხვ.).—

ასეთია მსგავსება სუმერულ ბოლო-სართებისა და ქართულ  
ბრუნვის დაბოლოვებათა და ბოლოს-დებულთა. ნიმუში ამ შედა-  
რებისა თუ გნებავთ ეს არის: სუმ. გირ-სუ-(კი)-ტა უმმა-(კი)-შუ...  
ე-გინ=მოვიდა ლაგაში-თა უმმა-ში! - (მეგ. უმმა—შა(ხ)). რაც შე-  
ეხება სუმერულ ბოლო სართს რა-ს, იგი გამოჰხატავს მიცემით  
ბრუნვასა და აგრეთვე შემასმენლობითსა. სტეფენ ლენგდონის აზ-  
რით იგი უნდა წარმოსდგებოდეს არა=სიარულისაგან, მაგრამ ძლი-  
ერ საექვოა ამ სიტყვის ასეთი ახსნა. შეიძლება იგი უდრიდეს ია-



ფეთურ შესაძლებელ მიცემით ბრუნვის დაბოლოვებასა არ. ეს შესაძლებელი ფორმები მარსს აქვს გამოკვლეული თავის მოხსენებაში: Гдѣ сохранилось сванское склонение? (Изв. Импер. Акад. наукъ, 1911).—სუმ. ა-ა-ნი-ირ (=რა) ბა-ან-ტეგ=მიუახლოვდა მამასა თვისსა.—ქართულში ეს რა=ად, და: მოვიდა ჩემ-და.—აგრეთვე სუმერულში იხმარება რა როგორც მაჩვენებელი შემასმენლობითის: გადუ-რა უსსა=შეკვრა კაცისა. (ქართულად: მე შევეკარ კაც-ი; კაცი=შემასმენლობითი).—მხოლოდ ეს რა არის საეჭვო, დანარჩენი ბოლო-სართები კი უეჭველად ჰგვანან ქართულსა და წესი მათის ხმარებისა იგივეა როგორც ქართულში: ბოლოში იხმარებიან როგორც ბოლო-სართები წინააღმდეგ სემიურ ენათა, რომელნიც ამათ მაგივრად თავ-სართებსა ხმარობენ.

### მრავლობითი რიცხვი.

სუმერულში მაჩვენებელი მრავლობითი რიცხვისა (განუსაზღვრელისა) არის ბოლო-სართი ნინი=ენე=ნე. ქართულში აგრეთვე მაჩვენებელი მრავლობითი რიცხვისა არის ნი. სუმ. დანგირ-ენე=ქართ. ღმერთ-ნი, აგრეთვე კაც-ნი და სხვ. ქართულში აგრეთვე მრავლობითი რიცხვის ნიშანი ნათესაობით ბრუნვის დაბოლოების შემდეგ დაისმის, როგორც სუმერულში. სუმ. ნუ-შარ ბაუ-გენე=ქართ. მემტლე-ნი ბაუსა-ნი აგრეთვე ვიეთნიმე მათგან-ნი და სხვ. სუმერულში ეს ნი არის პიროვნული (პ პირ.) ბოლო-სართი და აქედან არის წარმომდგარი მრჩობლი ნი-ნი (მრავლობითი)=ენე=ნე, ხოლო ქართულშიც იგივე უნდა იყოს ეთიმოლოგია ნი-ისა.—განსაზღვრულ მრავლობით რიცხვის მაჩვენებელია სუმერულში მე. იგია ქართული ებ (>ბი), ქანური ფე (>ფე), მეგრული ეფ (>ფი). სუმ. ღუპშარმე=მწერლ-ებ-ი. ლუ კი-ენიმ-მე=მოწმ-ებ-ი. აგრეთვე ქართ. კაც-ებ-ი, ქან. კოჩ-ეფ-ე, მეგრ. კოჩ-ეფ-ი.

### სახელთა წარმოება.

სახელთა წარმოება არის სუმერულში მსგავსად ქართულისა თავ-სართებისა და ბოლო-სართების შემწეობით. მივაქციოთ აქ ყუ-რადღება მხოლოდ თავ-სართებს, რადგანაც ბოლო-სართებში არა სჩანს მსგავსება ქართულისა და სუმერულისა.—სუმერული ხმარობს ხმოვან თავ-სართებს: ა, ე, უ: ანირ=ა+ნირ=ტირილი, ზმნა ნირ=მღერა. ეტუდლა=ე+ტუდ-ლა=ბავში, ზმნა ტუდ=წარმოშობა შთამომავლობისა. — უდუგგა=უ+დუგ-გა=სიკეთე, ზედ-შესული სახელი დუგ=კარგი. — თავ-სართები ნამე (ნა=კითხვითი ნაცვალ-სახელი+მე) და ნიგ (=ნივთი, საგანი), იხმარებიან განყენებით სახელთა საწარმოებლად: ნამ-ნუნ=სიდიდე (ნუნ=დიდი) ნიგ-ხულ=ბოროტება (ხულ=ცუდი, ბოროტი) და სხვ.—თავ-სართი გიმ: გიმ-ნიგ-გა=საკუთრება.—თავ-სართი კა: კა-ლალ=წონა, (ლალ=წონა), და სხვ.—[ბოლო-სართებია: დუგ=დუ=და=დი: დუმუ-დუგ=შთამომავლობა: —დუმუ=შვილი. ამ-დუ=მცენარის ამოსვლა, ლი-დუ, ლი-დი=სიმღერა და სხვ.—]. —სუმერული აწარმოებს სა-ხელთ აგრეთვე: a) სახელი არსებითი+სახელი ზედ-სართავი: ე-გალ=სახლი+დიდი=სასახლე. b) სახელი ზედ-სართავი+სახელი არსე-ბითი: გალ-ტურ=დიდი ეზო. c) სახელი+ზმნა=ა+აგ(გა)=სასა-კული (=ხელი+კეთება). —პირდაპირი ნათესაობითი დამოკიდებულე-ბა და არა პირდაპირი სახელთა —აგრეთვე გამოდგება როგორც წესი სახელთა წარმოებისა: ამ-ზალ=ადგილი ცეცხლისა=თონე. სუ-მუგ=სხეულის+ავედმყოფობა=სწეულება სხეულისა, სისუსტე. —ბოლოს, გამრჩობლობა ძირისა აგრეთვე წყაროა სახელთა წარმოებისა: ბა-ბზარ (=ბარ-ბარ)=მზე, წარმოსდგება ბარ=ბრწყენა, შუქები —საგან.—ასეთია სახელთა წარმოება სუმერულში. თავ-სართებით სა-ხელთა წარმოება მარტო სემიურ ენათა დამახასიათებელი არ არის, იგი არა-სემიურ სუმერულსაც ახასიათებს და რადგანაც ქართულს სხვა უფრო ღრმა ნათესაობა აქვს სუმერულთან, ეს თავ-სართებიც

სუმერულისა შეედარების ქართულისას, მიუხედავად იმისა, რომ ფორმითა და ეთიმოლოგიურადაც ქართულ-სუმერული თავსართები შეიძლება ერთმანეთს არა-ჰგავდნენ: მართლად, ავილოთ თავსართი ქართული **ა**) **სა**, მეგრ. **ქან**; **ო**, სვან. **ლა**, **ლჳ**. ესენი გამოჰხატვენ მნიშვნელობას ადგილისას და მიზნისას. ქართ. **სა-ხლ-ი** (ზმნის ძირი **ხლ**, **ხ**), მეგრ. **ო-ღეჯ-ე=სა-ღორ-ე**, ქან. **ო-ქოთუმ-ე=სა-ქათმ-ე**, სვან. **ლა-მურყეამ=სა-ციხე**, **ლე-ხანდრე=სახანდრაო**. და სხვ. ქართ. **სა=აგრეთვე** მეგრ. **ქან**. **ღა**, **ღო**: **ღო-ქირ-ონი=საქირო**, **ღა-ჩხირი=ცე-ცხ-ლი**, და სხვ. **ხ**) **ქ**. **მ=მეგრ**. **მ=ქან**. **მ=სვან**. **ლე** (**ლა**, **ლე**, **ლი**), **მე**, **მუ**, **მჳ**.—ეს **მ** ქართულ-მეგრულ-ქანურში უპირველეს ყოვლისა მომქმედ სახელს აღნიშნავს და ამიტომ მოქმედებით მიმღეობასაც ერთვის ხოლმე თავს, საზოგადოდ კი ყოველ-ნაირ სახელსა: ქართ. **მ-გელ-ი**, მეგრ. **ნ-გერ-ი (=მ-გერ-ი)**, ქან. **მ-გერ-ი**, სვან. **მუ-შგვრ-ი=სტუმარ-ი**. ქართული **მ** და სვანური **ლჳ** აგრეთვე აღნიშნვენ რომელიმე ერისადმი კუთვნილებას: ქართ. **მ-ვევიპტელი**, სვან. **მუ-დიჩხჳმ=ლეჩხუმელი=ქათველი**. სვან. **აგრეთვე მ-მრეთ=იმერელი**, და სხვ.—**ც**) თავ-სართი **ნა** (ქარ.)=**ლაზ**. **ნა=მაგრ**. **ნა=ქან**. **ნო=სვან**. **ნა**. ამ თავ-სართიან სიტყვებს აქვს ვნებითი მნიშვნელობა, ან მდგომარეობისა: **ნა-ფოტ-ი** (ზმნიდან **ფოტ-ვა?**), **ნა-პარე-ვი**, **ქ**. **ნო-ცქი-პოლ-ე=ნაფოტი**, მეგრ. **ნო-ხირი-უ=ნაპარევი**.—**ნაბატონარი=მეგრ**. **ნა-პატონუ სვან**. **ნა-რდჳ=ნა-მყო**. და სხვ. **ძ**) **სი** (ქართ.)=**მეგრ**. **სი>ზი=ქან=დი>ძი>ზი=** (სვან. **ზი**)=**სვან**. **ლი**. ქართ. **სი-სხ-ლი=მეგრ**. **ზი-სხ-ირ-ი=ქან**. **დი-ცხ-ირ-ი=სვან**. **ზი-სხ**. ქართ. **სი-ყვარ-ულ-ი=სვან**. **ლი-ლატ** და სხვ. ეს თავ-სართები აღნიშნავენ აგრეთვე განყენებულ საგანთა.—ყველა თავ-სართების აღნიშვნას ქართულ-მეგრულ-ქანურ-სვანურში აქ არ გამოვეუდგებით, საყურადღებოა მხოლოდ კიდევ, რომ სვანურში სახელ-ზმნა თავ-სართით **ლი**-თა სწარმოებს: **ლი-მშავე=მუ-შაობა**, და სხვ. როგორც არა ვსთქვით, ძნელია ეთიმოლოგიითა და ფორმით ამ თავ-სართების სუმერულ თავ-სართებთან შედარება, მაგრამ მნიშვნელობა ბევრი ამ თავ-სართისა კი ერთი და

იგივეა ქართულში და სუმერულში: მაგალ. თავ-სართი ქართ. სი, განყენების მნიშვნელობით შეად. სუმ. ნამ, აგრეთვე თავსართები ნა, ნო შეად. სუმ. ნიგ. მართლაც სუმ. ნამ-ტარ=წერა, რაც გადაკრილია ბედითა, ქართ. სი-კე-თე=რაც კარგია, კეთილი. ქართ. ნა-ქერ-ი=რაც გადაკრილია, მოკრილი, სუმ. ნიგ-სულ=რაც ბოროტია, ბოროტება, ნივთი რამ არა-კეთილი. ნა-ხში-რ-ი > ნა-შხ-ირი=რაც დამწვარია; ძირი შხ=წვა.—რაც შეეხება რთულ სიტყვებს, ქართულში იგინი ხშირად გვხვდება მსგავსად სუმერულისა: თი-ხჩე=თავი+თეთრი, (Марръ, грузинскія приписки греческ. Евангелія Изъ Кородіи): წყალ-შავი, შავ-ბალახ-ა, თხა-პარია, ძალ-ყურძენა, აგრეთვე მრჩობლი ძირისაგან წარმომდგარი სიტყვები: იგივე სუმერული ბაბბარ, შეად. ქართ. ვარ-ვარ-ი=სიცხისგან სინათლე, ბრწყენა, წამ-წამ-ი, კან. ფიმ-ფილ-ი (=ფილ-ფილ-ი) და სხვ.

### ნაცვალ-სახელები.,

ქართული ნაცვალ-სახელები მსგავსად სუმერულისა არ არჩევენ სქესებს. აქ არის უმთავრესი მსგავსება სუმერულ და ქართულ ნაცვალ-სახელოთა შორის.—გარეგანი ფორმით პიროვნული ნაცვალ-სახელნი სუმერულისა ყველაზედ უფრო ჰგვანან ქართულსა: 1 პ. სუმ. მე-ე=ქართ. მე, მეგრ. კან. შა. სვან. ში. მეორე პირი: სუმ. ზა-ე=ქართ. შენ, მეგრ.-კან. სი, სვან. სი. რაც შეეხება მესამე პირს, სუმერულს არა აქვს ნაცვალ-სახელი მესამე პირისა მსგავსად ქართულისა. ჩვენებითი ნაცვალ-სახელი იხმარება სუმერულში ნაცვალად პიროვნული მე-3 პირისა. სუმ. ნი, ნა პიროვნებათათვის, ბი, ბა ნივთათთვის ქართ. ის, იგი, მეგრ. ენა, თენა, კან. მუ-ქ, სვან. აჯა, ეჯა, ალა, ალ. მაგრამ ქართულში და მეგრულ-ქანურ-ში არის დარჩენილი ძირი მესამე პირის ნაცვალ-სახელისა, რომელიც სხვა ბრუნვებშია შენახული, გარდა სახელობითისა: ეს ძირი არის მ:—ნათ. მ-ის-ი, მეგრ. მ-უ-ში და სხვ. კან. მ-უ-ქ (სახელ.), ნა-

თეს. მ-უ-ში და სხვ.—აი ეს ძირი მ ჰგავს სუმერულ ბი, ბა-ს. აგრეთვე დარჩენილია მეორე ძირი მ პირის ნაცვალ-სახელისა—ნ. (სუმ. ნი, ნა). ქართულშიაც იგია დარჩენილი. როგორც ბოლო-სართი ზნის მე-სამე პირისა. მხოლ. რიცხვში და მრავლ. რიცხვ-ში: არ-ნ (=არ-ს), იყავ-ნ ნება შენი, აგრეთვე არი-ან და სხვ. ქანურში—ხ-ენ=ზის, ეს ბოლო-სართი არის დარჩენილი როგორც ნაცვალ-სახელეებითი ელემენტი მე-მ პირისა. რ-ენ=არის და სხვ. აგრეთვე ქან. ნა=რომელი, ნამუ=ნა+მუ=რომელი. მრავლობითი რიცხვი სუმერულისა სახელთა და ზმნათა მე-მ პირ. არის ნინი=ენე=ნე.—ქართულში იმავე მოვლენასა ვხედავთ: კაც-ნი, ჩუ-ენ, ისი-ნი, აგრეთვე ზმნებში: არი-ან, წერ-ენ და სხვ. ქან. ქარუმ-ან და სხვ. ბოლოს მეგრ. ნაცვალ-სახელი ენა, თენა, ინა, თინა, რომელიც შეიცავს აგრეთვე ელემენტს ნ-ს, უახლოვდება სუმერულ ნი, ნა-ს. ამგვარად ამ ნი, ნა-საც აქვს ქართულში ექვივალენტი მე-მ პირის ნაცვალ-სახელისა —ნ.—სხვა ნაცვალ-სახელე-ბიც ჰგვანან ქართულსა სუმერულში, თუმცა ისე არა, როგორც პიროვნულნი. მაგალ. ჩვენებითი სუმ. რ-ლ (ერუ ანუ ურუ)=სვან. ალა-ალ. სუმერული კითხვითი აბა=ვინ, ძირი ბ.=ქართ. ვინ=მეგრ. მი=ქან. მი. (თუმცა ქართული ვინ და სხვ. სემიურს უფრო ჰგავს: მაგ. ასსურ. მანნუ=ვინ, მანუ=რა?). სამაგიეროდ სუმ. ანა (=ნა)=რა? არის ქართული რა? (ნ>რ). სუმ. მე-ე? (განუ-საზღვრელი)=მეგრ. მუ?=ქან. მუაა?=სვან. მა, იმ?=რა? სუმ. ნა-მე=რომელი; ეს ქართული რომელიც შესდგება ორი ძირისა-რ+მ, მეგრ. ქან. ნა+მუ=ნამუ=რომელი. აგრეთვე განუსაზღვრ. სუმ. ნა-მე=რომელი+მე და სუმ. ნა-მე=რა-მე პირდაპირ უღრიან ერთმანეთსა. —

### რიცხვი.

რიცხვნი ყველაზედ უფრო არიან დაშორებულნი ურთი-ერთი-საგან სუმერულში და ქართულში. მაგრამ შეიძლება ბევრ სხვა მიზეზთან ერთად ეს იმით აიხსნებოდეს, რომ არც სუმერული რიცხვე-

ბია ჯერ-ჯერობით ხეირიანად წაკითხული და არც ქართულ რიცხვთა ეთიმოლოგიაა კარგად გამორკვეული. ჩვენ მაინც ვეცდებით შევეადაროთ რამოდენიმე რიცხვი ქართული და სუმერული. — ავიღოთ ჯერ რიცხვი ერთი. ჩვენის ფიქრით ეს სიტყვა რთულია და შესდგება ერთითი. 1-ს გამოხატავდა ალბად სიტყვა ერ, მეგრ. არ(+თი), ჰან. არ(+თი), სვან. ეშ(+ხუ). ხოლო რა არის ერთი — არ ვიცით; ძლიერ ადვილი შესაძლებელია, რომ იგი იყოს შემოკლებული თი-თი, მეგრ. ჰან. კი-თი, (აგრეთვე სვან. ფხულე (ფ+ხუ+ლე?) და აქედან არის ეშ+ხუ??). რომ ეს-თი რალაც შემადგენელი სიტყვა და რიცხვის გამომხატველ ძირს არ ეკუთვნის, ამას კიდევ ის გვაფიქრებინებს, რომ სხვა რიცხვებსაც აქვს ასეთი დაბოლოებები: ხუ+თი, შვი+დი, ა+თი. მაშასადამე შესაძლებელია, რომ არ=1. ხოლო სუმერულად ჩვენა გვაქვს აშ=1. და რადგანაც ხშირად სუმერულ-ქართულში შ>რ, სუმ. აშ=ქართ. (მეგრ. ჰან.) არ=1. — სუმერულად ექვსი არის აგრეთვე აშშა (ასსირიოლოგები ამბობენ თითქოს ეს აშშა=ია(5)+აშ(1)=6, მაგრამ ეს დაუმტკიცებლად შეგვიძლია აღვიაროთ). ჰან. აში=6, ქართ. ექვსი, სვან. უსგვა, სუმ. უ=10. ჰან. ვი-თ=ვი=10. ქართ. ა-თი. საინტერესოა, რომ სუმერულში აგრეთვე ა=10, ეს ა არის ვარიანტი უ-ისა. სვან. იე-შდ. — რაც შეეხება ასსურულ *isten*=ერთი (ეშთი?) რომელიც ასე ჰგავს ქართულსა, შესაძლებელია აქ შემთხვევითი ფონეტიური მსგავსება იყოს ქართ. ერთ-თან (ეშთი). — გარდა ამ რიცხვთა ჩვენ შეგვიძლია შევეადაროთ აგრეთვე სუმ. შირ=სრული, სავსებითი, ქართ. ს-რ-ულ-ი. სვან. სურუ=ძლიერ ბევრი. — აგრეთვე სუმ. მაშ=ნახევარი, რომელსაც, ძლიერ შესაძლებელია, რომ კავშირი აქვს სუმერულსავე ბარ-თან, რომელიც აგრეთვე ნიშნავს გვერდს, ნახევარს. ხოლო მეგრულად 1/2=გვერდი, ეს სიტყვა კი იგივეა, რაიცა ქართული გვერ-დი=სუმ. ბარ, იმავე ეთიმოლოგიისა რაიცა ქართული ფერ-დი, ფარ-დი და სხვ. (მართლაც სუმ. ბარ=ქართ. ფარ-დი ფორმითაც და მნიშვნელობითაც იგივეა: სუმ. ბარ პირდაპირ ნიშნავს სხვათა-შორის ქართულ

ფარ-დ-ს!). შევნიშნათ აგრეთვე რომ სუმერული 11—19, 20—29 და სხვ. მეგრულ-ქანურ-სვანურად სთვლის: უ-აშ=10+1=11 და სხვ. ქან. ვით-დო-არ=10+1, აქ მხოლოდ ჩამატებულია კავშირი დო. მაგრამ სამაგიეროდ სვანურად ვეშდ ეშხუ (სუმ. უ-აშ)=10+1=11, უკავშიროდ.

### ზ მ ნ ა.

ზმნის აგებულება სუმერულისა საზოგადოდ ძლიერ ემსგავსება ქართულისას. თუმცა რასაკვირველია განსხვავებაც ბევრია სუმერულსა და ქართულ ზმნათა შორის. მაგრამ მსგავსება უფრო არსებითია და უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე განსხვავება.—ჩვენც ამ მნიშვნელოვან მსგავსებას აღვნიშნავთ და არ გამოვეკიდებით აქ იმ წვრილმან მსგავსებას, რომელიც აგრეთვე არსებობს სუმერულსა და ქართულ ზმნათა შორის:

I. სუმერულ და ქართულ ზმნათა მიმოხრას ახასიათებს უპირველეს ყოვლისა ნაცვალ-სახელობითი თავ-სართები და ბოლო-სართები სუბიექტიური და ობიექტიური. სუმერულსა ჰქონია როგორც თავსართიან, ისე ბოლო-სართიანი უღვლილება.

ა) რომ ბოლო-სართიანი უღვლილება უნდა ყოფილიყო ოდესღაც სუმერულში ამას ამტკიცებს ნაშთები დარჩენილი კლასიკურ სუმერულში: ზიგ-ზიგ-ზუ=შენ სწყრები; ანუ-ნაგ-ა-შუ=მე წყალს არა ვსვამ. აქ—ზუ პირველ ფრაზაში=შენ, მუ მეორე ფრაზაში=მე. მაგრამ განსხვავება კიდევ ის არის რომ სუმერულში მსგავსად ქართულისა არ მოიპოვება ერთსა და იმავე დროს თავ-სართები და ბოლო-სართები უღვლილებაში. აგრეთვე შემდეგ სუმერულში თავ-სართიანმა უღვლილებამ სრულიად განდევნა ბოლო-სართიანი უღვლილება. თავდაპირველად კი, როგორც სჩანს ყოველთვის იხმარებოდა თავსართიანი უღვლილება მსგავსად ბოლო-სართიანისა.—ქართულში არის დარჩენილი აგრეთვე ბოლო-სართიანი მიმოხრა, მაგ-

რამ თავ-სართებთან ერთად: მაგ.—წერ-ს==ჰ ჰ.==იგი, ის+წერ. ჰ ჰ. მრავლ. წერ-ენ==იგინი, ისინი+წერ.. ჰან. ჰრუმ-ს, ჰრუმ-ან. მეგრ. ყვოდუნ-ს, ყვოდუ-ნა და სხვ. აგრეთვე ჰ ჰირი მხოლ. არ-ნ, ჰან. რე-ნ: შიად. სუმერული: სიგ-ნი==არქობს (ნ); სიგ-ენე==არქობ-ენ.

სუმერულში არის ერთი შემთხვევა, როდესაც ბოლო სართი აქვს თავსართიან უღვლილებას მსგავსად ქართულისა, მაგრამ ეს ბოლო-სართი აღნიშნავს დამოკიდებულ წინადადებას. ამისი წმინდა ანალოგია არის მეგრულ ენაში. ეს ბოლო სართია ნი, ნა==რომ, რომელიც. სუმ. 1 მაშ ნინ-გირ-ზუ ბა-გა სალ გირ-ზუ (კი)-ტა ტუმ-ნი ნი-გუმ==ერთი თიკანი ნინგირზუზათვის, რომელიც მოყვანილი იყო გირსუს ქალის „ბაგა“-დან, არის აქ. სუმ. სიგა უ-შუმ-ბა მუ-ნი-გრ-ია-ნი ბაბბარ იშ-და-ხულ==აგურისათვის, რომელიც მან გა-აკეთა ქურაში, (ღმერთი) ბაბბარი (მზე) მხიარულ იყო.—ასეთივეა მეგრული: კოჩქ ცხენს გებედუ-ნი ცხენიშე გეგლანთხუ==კაცი, რომელიც ცხენზედ იჯდა (ცხენზედ რომ იჯდა), ცხენიდან გადმოვარდა. ჰანურში და ქართულში ეს ნი==ჰან. ნა==ჰართ. რომ (ჰართ. რომ==რ+მ; ეს რ კი==სუმ. ნ). მაგრამ ნა და რომ დამოუკიდებელი კავშირებია: ჰან. კოჩი, კორსი ლაზური ნენა უშქუნ ნა==კაცი, კარგი ლაზური ენა რომ იცის.—უფრო ახლო არის ეს ჰანური წინადადება სუმერულ-მეგრულზედ, რადგანაც ნა ჰმნის ბოლოშია: უჩქუნ ნა, ხოლო უფრო დაშორებულია ქართული, სადაც რომ ჰმნის წინ არის:—რომ იცის.—ამავე კათეგორიისა არის, ჩვენის ფიქრით ქართული დროის კავშირი რა: რა ტარიელ ჰნაზა, იცნა, გამოულო, შემოვარდა („ვეფხ. ტყაოს.“) ხოლო ეს რა სულ დამოუკიდებლად იხმარება, და არა როგორც ბოლო-სართი. მეგრულ-სუმერული ნ ამ ხასიათისა გვხვდება ქალღურ დამოკიდებულ წინადადებებშიაც==ნი.

ბ) უფრო მნიშვნელოვანია სუმერულ უღვლილებაში თავსართები, მსგავსად ქართულისა. ელემენტები თავსართად სახმარი სუმერულში არის: ე, მუ, მი, მე, მა; ნი, ნე, ნა; ბი, ბა.—ეს ელე-



მენტები სტეფენ ლენგდონს არ მიაჩნია ნაცვალ-სახელობით ელემენტებად, სამაგიეროდ ტიურო-დანჟენი, რომელსაც მიუძღვის უმთავრესი ღვაწლი მათ გამორკვევაში \*), აღიარებს მათ ნაცვალ-სახელობით ელემენტებად (ძველად ამავე აზრისა იყვნენ ლენორმანი, ჰაუპტი, ე. ბერტენი). ქართულში აგრეთვე ნაცვალ-სახელებითი ელემენტები იხმარება ზმნის თავ-სართებად. მსგავსად სუმერულისა, ეს თავსართები (პრეფიქსები და ინფიქსები), სუბიექტიური და ობიექტიური, გამოჰხატვენ როგორც სუბიექტს, ისე პირდაპირსა და არა პირდაპირ ობიექტთა, და ამაშია უმთავრესი მსგავსება ქართულ და სუმერულ ზმნათა. ეს შეადგენს მათ სულსა და გულსა. ქართულში ეს ელემენტები განირჩევიან პირთა მიხედვით, სუმერულში კი არა. აქ არის განსხვავება, თუმცა კარგად ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული—იქნებ სუმერულიც არჩევდა პირებსა. ქართულში აგრეთვე წინააღმდეგ სუმერულისა, განირჩევა რიცხვი ამ ელემენტთა, მაგრამ ეს განსხვავება ქართულში, ქანურში და მეგრულში სრულიად უმნიშვნელოა, ხოლო სვანურში კი მნიშვნელოვანი ბევრ შემთხვევაში.—მაგრამ სამაგიეროდ სუმერულში მსგავსად ქართულისა ეს ელემენტები არჩევენ ბრუნვას, პირდაპირსა და არა პირდაპირ ბრუნვას. სუმერულში მუ, მი, ნე, ბი აჩვენებენ სუბიექტსა და ობიექტს. მაგრამ ობიექტისათვის თითქმის ყოველთვის იხმარება ბი, ნე, არა-პირდაპირ ბრუნვაში: მა, ნა, ბა. ქართ. ნათესაობ. ში, გი, უ, მიცემ. მა, გა, ა. მუ აჩვენებს სუბიექტს, ნა, მრავლ. ნე—ობიექტს მიცემით ბრუნვაში, ნი—ობიექტს შეცნობილობით ბრუნვაში: მაგალითად მუ-დუ=ის+ზმნა-„შენება“=აშენებს (იგი). მუ-ნა-დუ=ის+მას+ზმნა „შენება“=უშენებს (ის მას); მუ-ნე-დუ=ის+მათ+ზმნა „შენება“=უშენებს (ის+მას); მუ-ნა+ნი+დუ=ის+მას+მას (მაგალ. სახლს)+ზმნა „შენება“=უშენებს (ის+მას+მას (სახლს მაგალ.)—ეს არის საზოგადო სურათი სუმერულის ზმნის თავ-სართიან უღვლილებისა. ქართულსაც

\*) Zeitschrift für Assyriologie, Vol. XX.

საზოგადოდ აქვს შერჩენილი ეს სული: მაგ. ვ-კლავ, ვ-არ, ხ-არ და სხვ. აგრეთვე მეგრულსა და ქანურს. სვანურში სუბიექტიური პრეფიქსი სრულად არის შენახული მაგ. ხვა-რი, ხა-რი ა-რი. აგრეთვე მხოლოდობით რიცხვ.; ხვა-რ-ი-დ, ხა-რ-ი-დ, ა-რ-ი-ს. ეს ფორმა ქართულ მიმოხერისა უდრის სუმ. მუ-დუ, სადაც მუ არის სუბიექტიური პრეფიქსი, ე. ი. ფორმულას: სუბიექტი+ზმნა. ავიღოთ ეხლა ფორმულა: სუბიექტი+არა-პირდაპირი საგანი+ზმნა: სუმ. მუ-ნა-დუ=(ის+მისთვის+აშენებს): ქართ. ვ-უ-წერ=სუბიექტი+არა-პირდაპირი საგანი (მას)+ზმნა.—უ-წერ,— უ-წერ-ს და სხვ. ვ-ა-წერ (იგივე, მხოლოდ არა-პირდაპირი საგანი მიცემით ბრუნვაშია) და სხვ. მი-წერ-ს(ნათეს.) მა-წერსა(მიცემ.) და სხვ...—ფორმულა: სუბიექტი+შემასმენლობითი (პირდაპირი საგანი): სუმ. მუ-ნი-ინ-დუ (ნი-ინ=იხმარება ნი-ს მაგვირად): ქართ. ვ-პ-კლავ=სუბიექტი+პირდაპირი საგანი+ზმნა. სვან. ხვ-ო, ხ-ო, ხ-ო=მე+მას, შენ+მას, ის+მას, და სხვ.—ფორმულა მუ-ნა-ნი-დუ=სუბიექტი+არა-პირდაპირი საგანი+პირდაპირი საგანი+ზმნა: ქართ. ვ-ა-კლავ=ვ-[პ]-[პ]-კლავ=სუბიექტი+პირდაპირი საგანი+არა-პირდაპირი საგანი+ზმნა. აგრეთვე წმინდა სუმერული რიგით: ვაკლავ=ვ-[პ]ა-[პ]-კლავ=სუბიექტი+არა-პირდაპირი საგანი+ზმნა. — ასეთია ეს უღვლილება, გამოკვლეული თვით პროფ. მარრისაგან მის შესანიშნავ „Освожня таблицы“-ში. როგორც ვხედავთ თავ-სართების ხმარების მხრივ ქართული და სუმერული უღვლილება ერთი და იგივეა. არის ერთი მოვლენა სუმერულში, რომელიც სავსებით არ ეთანხმება ქართულში ანალოგიურ მოვლენას, შეიძლება იგი სულ სხვა ხასიათისა იყოს, მაგრამ მაინც საყურადღებოა: იგივე ელემენტები მ, ნ, ბ გამოჰხატვენ ადგილსა და მიმართულებას, როგორც ქართული მო და მი. სუმ. ე-ნე-ბალ=აღ-უ-წონ-ა. აქ ე (სუბიექტი) ნიშნავს აგრეთვე იმას, რომ აღმწონელი კაცი ერთ ადგილზეა. ამ როლს ასრულებს ქართული ა, აღ, რაიც აღნიშნავს მიმართულებას ძირიდან ზემოდ, მაგრამ ერთსა და იმავე ადგილზედ. სუმ. მუ-ნა-ბალ=მო-უ-წყო, ანუ მო-უ-ზღ-ო, აქ სუმერული მუ აღნიშ-

ნავს სუბიექტს, რომელიც მოქმედებს გარედან და აქეთ არის მომართული მისი მოქმედება. სუმ. ბა-ტუმ=მი-ი-ლო=წა-ი-ლო, ე. ი. მომქმედი პირის მოქმედება მიმართულია აქედან—იქით, განსაზღვრული ადგილიდან გარედ.—ეს ქართული მო, მი, მეგრ. მუ-მე, ქან. მო-მე არ გამოიხატავენ იმავე დროს სუბიექტსა, მსგავსად სუმერულისა,—მაგრამ მსგავსება სუმერულ მ ბ-სა და ქართ. მო-მი-სა ადგილისა და მიმართულების აღსანიშნავად მაინც საინტერესოა და იმიტომ აღვნიშნეთ იგი.

მსგავსად ქართულისა სუმ. მა ბა-ს (არა-პირდაპირი ბრუნვა.) შეუძლიათ გამოიხატონ ვნებითი და თვით-ვნებითი მდგომარეობანი: ბა-შუმ=იგი გადაკლებულ არს. ქართ. ვ-ი-კლ-ვი. ზიგ-გა ბა-ნი-გარ=გადასახალი მი-ი-ლ-ო, ა-ი-ლო. (ი=მისთვის, თავისთვის). — აგრეთვე ი-ფიც-ავ-ს (ი=მისთვის, თავისთვის), და სხვ. სუმ. ნამ-ნი მა-ნი-კუბ-ლუ=ფიცი მი-ი-ლო, წინააღმდეგ; სუმ. ნამ მუ-ნა-კუდ-და=უ-ფიც-ა (მას)=შეჭყიყა. — ქართულშიაც ეს, ი, უ არა-პირდაპირი ბრუნ.

II. ინფიქსები: ra, 'su, da, ta.

ესევე ბოლო-სართი, რომელთა მსგავსებაზედ ქართულ ბოლო-სართებთან ზემოდ ვილაპარაკეთ, სუმერულში იხმარება იმავე დროს, როგორც ზმნის შუა-სართები, ანუ ინფიქსები, აგრეთვე რა-ს გარდა. ხოლო საკვირველია, რომ ეს რა, რომელიც იხმარება ინფიქსადაც, იხმარება მეორე პირის გამოსახატავად ნაცვალ-სახელშიაც: სუმ. ზა-რა მა-რა-ან-დლუგ=შენ გეუბნება. სუმერული ზა-რა ჰგავს ქართულ შენ-და-ს, ზმნაში აგრეთვე სუმ. რა=ქართ. გ-ს, გე-უბნება, სუმ. ზე-რი-პად=ქვეშარიტად და-გ-წყველი შენ, და სხვ. ეს ქართული და, და გ სულ სხვა და სხვა ძირისანი უნდა იყვნენ და სხვა და სხვა სახელთაგან უნდა წარმოსდგებოდნენ.—ხოლო რაც შეეხება დანარჩენ ინფიქსებს, ქართულში მათ ეთანხმება პრეფიქსები იმავე ძირისა - თ, დ, შ, იმ განსხვავებით, რომ იგინი არასოდეს არ იცვლებიან როგორც ინფიქსები. არამედ ყოველთვის როგორც პრეფიქსები,—წინ უძღვიან ყოველთვის თვით სუბიექტის მაჩვენებელ პრეფიქსს.—სუმერულ შუ-ს ეთანხმება ქართული თავ-

სართი შე, კან. შე, მეგრ. შე, ეშე=ე+შე, მიშე=მი+შე. სუმ. აბ ამარ-ბი-შუ იგი გალ-ლა-ლიმ ე-შუ ტე-ტე-მა იმ-ში-ტუმ=ვითარ-ცა ძროხა, რომელიც თავის ხბოს შეჰყურებს, მან მიმართა (=შე-მართა) თვალი. თვისი სიყვარულით ტაძრისაკენ. ქართ. კაცი სახლ-ში შე-ვიდა, ანუ კაცი ხეზე შე-ვიდა. სუმ. ლუგალ-ზა-რა გი-ნარ უ-მუ-სა ან შუ-დუნ-ურ უ-ში-ლალ=შენი ბატონისთვის მოამზადე ეტლი და შიგ ვირი შე-აბი და სხვ. ამგვარად სუმ. იმ-ში-ტუმ, ქართ. შე-მარ-თა, სუმ. უ-ში-ლალ, ქართ. შე-ა-ბი. სუმერულში სუბიექტს შემდეგ არის ინფიქსი, ქართულში სუბიექტის წინ.— სუმ. და, ტა ადგილობითი, ქართ. და. სუმ. გიშ-კა-ნა-ტა ბა-ტა-დურუნ=ქართ. „გიშკანად“ (ნაწილი იყო სუმერულის ტაძრისა) და-ასვენა.—ამგვარად სუმ. ბა-ტა-დურუნ=ქართ. და-ასვენა.

III. რთული ზმნები.—მსგავსად ქართულისა სუმერულშიც არის რთული ზმნები: მაგ. იგი-გარ=თვალი+ხმარება=ხედვა, შუ-ტებ=ხელი+გაშალა=წავლება და სხვ.—ქართ. ხელ-ყოფა, ხელ-ხდა და სხვ. მსგავსად ქართულისა, სუმერულშიაც მხოლოდ მეორე ნაწილს, ე. ი. ზმნას ემატება თავ-სართები და არა პირველ ნაწილს, სახელსა.—სუმ. იგი-იმ-მა-ან-სიგ=დაჰხედა (გადაავლო თვალი),—პრეფიქსები სიგ-ის წინ არის და არა იგი-ის წინ. ქართ. ხელ-ვ-ყავ, ლაღად-ვ-ყავ და სხვ.

IV. სუმერული დამხმარე ზმნა მე=ყოფნა.—ამ ზმნის ელემენტი მ (ამ) ემატება ხოლმე ზმნას ბოლოს სუმერულში აზრის განსაძლიერებლად.—ქართულში მას უდრის ჩვენის ფიქრით უკვე გამ-ქრალ ზმნის ძირი ბ/ვ, მ/ფ, რომელიც ემატება ხოლმე ბოლოში მსგავსად სუმერულისა, ქართულ ზმნას, და რომელსაც მარჯის აზრით უნდა ჰქონოდა „კეთების“ მნიშვნელობისა. მაგრამ ჩვენის ფიქრით ამ ზმნას ყოფნის მნიშვნელობაც უნდა ჰქონოდა. მეორე ქართულ ზმნასაც ყოფა, ყოფნა აგრეთვე ორი მნიშვნელობა აქვს—კეთებისა და ყოფნისა, მოქმედებისა და მდგომარეობისა. აგრეთვე ბევრჯან არის ჩვენის ფიქრით ეს ბ/ვ, მ/ფ (აგრეთვე უ) დარჩენილი ქართულში (და ქანურ-მეგრულში): ვ-ასხ-ამ, ვ-კლა-ვ, და

სხვ. განუსაზღვრ. კილო სხ-მა, კლ-ვა, მეგრ. ყილ-უა და სხვ. ვნებითი ფორმები: ვკეთდ-ებ-ი, ვკვდ-ებ-ი და სხვ.-ქან. განუსაზღვრ. კილო მაგ. ორდა-ფუ და სხვ.—ქან.-ქართ. — ობა: კაც-ობა, კოჩ-ობა, აქაც სჩანს სხვათა შორის მისი მნიშვნელობა, როგორც უოფნისა, მდგომარეობისა. აგრეთვე მიმღეობ. მ-კლ-ავ-ი, აგრეთვე სახელნი: სა-კლ-ავ-ი, უბრალო სახელი, უპრეფიქსოდ ტყ-ავ-ი და სხვ.—ასე რომ „მიმღეობითი“ უღვლილება სუმ. დუგ-იმ-მე=დუგ-ამ=ის ლაპარაკობს, მხოლოდ ამ სუფთიქსითა ჰგავს ქართულსა: ვ-ლაპა-რა-კ-ობ. სუმერულში ამ ელემენტმა ემფატიური ხასიათის გამოხატ-ვაც იკისრა და ამგვარად არის სუმ. იბ-გარ-რა-ამ=გააკეთა, აკე-თებს. ქართ. ვასხ-ამ, ქან. ქარ-უმ-ს და სხვ.

V. კილო. კილოები არა ჰგვანან სუმერული და ქარსული ერთმანეთსა, როგორც სხვა გრამმატიული მოვლენები. ეს არც გა-საკვირველია: ქრისტეს წინეთ ათასი წლები იყო განვლილი უკვე, როდესაც სუმერული და ქართული ჯგუფები აღბად ერთმანეთს გამოეყვნენ, და რასაკვირველია ისეთი განვითარებული ნაწილი ზმნის აგებულებისა, როგორც კილოებია, განსხვავდებოდნენ ხან-გრძლივ განვითარების შემდეგ. მაგრამ ცოტაოდენი მსგავსება მაინც კიდევ არის დარჩენილი. ა) ბრძანებით კილოში: სუმერულში შე-საძლებელია უბრალო ზმნის ძირითაც გამოიხატოს ბრძანებითი კი-ლო როგორც ქართულშია. სუმ. ზაგ-სალ=ადიდე! ქართ. კალ! (მოჰკალი!). აგრეთვე სუმერულში ხშირად ზმნის ბოლოში ზის ა ბრძა-ნებით კილოში: გარ-ბი კურ-ა=სქამე ქამადი მისი. შეიძლება ეს ა შეედარებოდეს ქართულ წად-ი, ნახ-ე, თუძკა სრულიადაც არ ვიცი ერთისა და იმავე წარმოშობის არიან ეს ქართული ი, ე და სუმერული ა თუ არა.—შემდეგ სუმერული ხმარობს აგრეთვე ნა-ცვალ-სახელთა ელემენტებს ბრძანებით კილოში მსგავსად ქართუ-ლისა, მაგრამ ეს ელემენტები სუმერულში ზმნის ძირის შემდეგ დაისწის და თავსართებად არ იხმარება, როგორც ქართულში: მაგ. სუმ. გარ-მუ-უნ-რა-აზ=დააბრუნე იგი. — ქართ. კი: ვ-ჰ-კლ-ათ! მო-ჰ-კალ! და სხვ.—აქ სრული წინააღმდეგობაა ამ მხრით ქართულსა

და სუმერულ შორის.—ხ) ნატვრითი კილო და მყოფადი ემფატიური გამოიხატება სუმერულში თავსართით: ხენ, ხე. ქართულს სპეციალური ფორმები აქვს ნატვრით კოლისათვის. აგრეთვე მყოფადისათვის. მაგრამ სუმერულ თავსართ ხენ, ხე-ს საოცარი მსგავსება აქვს ქანურ-მეგრულ ქო-სთან, რომელიც აგრეთვე ემფატიური ძალის მქონეა, აგრეთვე იხმარება თავ სართად ზმნისა. სუმ. ე-ა-ნ-ი... ხუ-მუ-ნა-დუ=მის ტაძარს ქეშმარიტად აღვაშენებ. ეს ხუ (=ხე) გამოიხატავს აქ ჭეშმარიტად-ს. მეგრ. ქო-ვ-ორ-დი=მე ვიყავ, ქი-ვ-ყი-დე=ვყოფილიყავ, და სხვ.—(აქაც მსგავსად სუმერულისა, ქი=ქო, ჰარმონიაა ხმოვანისა, სუმერულში ხუ, ხე-ს მაგივრად (ხუ-მუ-ნა-დუ)—მუ-ს გავლენით, მეგრულში ქი, ქო-ს მაგივრად ქი-ვ-ყი-დე,—ქი-ს გავლენით).—მეგრულად აგრეთვე მა-ღვენუ=მექნება, ქო-მა ღვენუ=ქეშმარიტად მექნება, და სხვ.—ეს მეგრული ქო (აგრეთვე ქანური) და სუმერული ხენ, ხე უდრის ქართულ კი-ს: კი წავალ=ქეშმარიტად წავალ, აგრეთვე ქვე, ქე მაგრამ იგინი იხმარებიან დამოუკიდებლად — სუმერულში ამავე ხენ, ხე-თი გამოიხატება აგრეთვე პირობითი კილო.—მეგრულში და ქანურში უ-ქო-ოდ არის ფორმები ამ კილოთა, მაგრამ თვითოეულ მათგანს ქო აძლევს ემფატიურ ხასიათსა და მხოლოდ აქ ღაა დარჩენილი მსგავსება სუმერულის ხენ—ხე-ს და ქო-ს შორის.—ხოლო რაც შეეხება ხენ=ხე-ს ეთიმოლოგიას, ასსირიოლოგებს ჰქონიათ იგი წარმომდგარი ხენ=უხვი-საგან, მაგრამ ძლიერ საეჭვოა, რომ ეს მართალი იყოს. თუ კი ეს მართალია, მაშინ ბევრი სიტყვაა ქართულში, რომელიც შეედრება სუმ. ხენ—ხე-ს, როგორც სვან. ხეა=ბევრი, ქართული ხეავი, უხვი და სხვ. მაგრამ სამაგიეროდ ქართული ხო, კი, ქვე, მეგრ. ქო, ქან. ქო არ გამომდინარეობენ ცნება უხვი-საგან. ყოველ შემთხვევაში ასეთი შედარება სახიფათოა. ე) არა-პირდაპირი წინადადება გამოიხატება სუმერულში აგრეთვე წინადადებას ბოლოში ა-ს მიმატებით.—ქართულში მას უდრის—ო. მეგრულში ა, თუმცა აქაც არ ვიცით სუმერული ა და ქართული ო. მეგრ. ა ერთისა და იმავე წარმოშობის არიან თუ არა: სუმ. უდ-კურ-შუ

ლუ ლუ-რა გე ნუ-მა-მა ნე-ა ინ-პად-დე-ემ—მომავეალში კაცი კაცს აღარ უჩივლებს-ო—შეჰფიცეს. ქართ. აღრე მოდი-ო, გიბრძანებს, დაუყოვნებლად ხანისად (შ. რ.) და სხვ.—d) დამოუკიდებელი პირობითი გამოიხატება სუმერულში კავშირით უდ-და. ქართულში მას პირდაპირ ეთანხმება ოდეს, რომელსაც უმთავრესი მნიშვნელობა აქვს დროისა, მაგრამ ამასთანავე მნიშვნელობა პირობითი. მაგ. ოდეს მოვიდა—ოდეს მოვიდეს=თუ მოვიდეს. საკვირველია, რომ სუმერულში უდ-ის ლურსმულ ნიშანს აქვს აგრეთვე ფონეტიური ექვივალენტი, tu რაიცა გარეგნულ-ფონეტიურად პირდაპირ ქართული თუ - ა!—სუმ. უდ-და მუ-შუ-სამ... ლალ-მა უ-ნა-დუმ=ოდეს ყიდულობდეს (თუ ყიდულობდეს)—ათქმევინე — მომეცი ფასი თქო!— აგრეთვე წმინდა პირობითი: უდ-და ენიმ-ბა შუ-ნი-ბალ-ე შუშ-გალ ენ-ლილ-ლა... ღე-მუშ=თუ გასტეხოს ეს ფიცი... დაეცეს მას თავზედ დიდი ბადე ღმერთის ენლილისა! და სხვ.

VI. დრონი. დრონი სრულიად განუვითარებელნი არიან სუმერულში, ხოლო ქართულში ძლიერ განვითარებულნი. ამიტომაც მხოლოდ დაბოლოვებაში თუ ვნახავთ მსგავსებასა: სუმერულში აწმყონისათვის და მყოფადისათვის იხმარება დაბოლოვება მე-3 პირის მრავლობითისა ენე=ნე, ხოლო ნამყოსათვის—ეშ. ქართულშიაც აწმყოში და მყოფადში უმეტეს ნაწილად იხმარება ენ, ხოლო უმეტეს ნაწილად აორისტში ეს: სხვა დროებშიაც. სუმ. კალაგ-რა მე-უნ-გი-გი-ნე კი-ელ მუ-უნ-დუბ-დუბ-ბუ-ნე=კაცებს ურტყამ-ენ, ქალებსა სცემ-ენ.—ან-ნა ან-ნი-ბი-დე იბ-მა-ან-სი-რ-ი-ეშ=მალლა ცაში იმოგზაურ-ეს, და სხვ. ქართ. კლვ-ენ, მო-3-კლ-ეს, მეგრ. ყვო-ლე-ნა, ლოყვოლ-ეს, ჰან. ქარუმ-ან, ქარ-ეს და სხვ.—სუმერულშიაც და ქართულშიაც ენე=ნე, და ენ, ნა, ან ნაცვალ-სახელისგან არიან წარმომდგარნი, ხოლდ სუმ ეშ-ის ისტორია არ არის გამორკვეული. ყოველ შემთხვევაში მისი მსგავსება ქართულ—ეს-თან საყურადღებოა.

VII. უარ-ყოფითი ნაწილაკები: a) ნუ, უდრის ქართულ ნუ-ს, მეგრ. ნუ-ს, ჰან. მო-ს, სვან. ნომ, ნუმ-სა. ნუ-საგან წარმოსდგე-

ბა აგრეთვე სუმერული ნა, ნამ (=სენ. ნომ, ნუმ).—სუმ. ნუ იხმარება როგ. ქართული ნუ და აგრეთვე როგ. ქართ. არა: სუმ. დი-კულ-ა-ნა-შუ-ნუ-ბალ-ე=არ უნდა შესცვალონ მისი გადაწყვეტილება=ნუ შესცვლიან მის გადაწყვეტილებას. სუმ. ნუ-მუ-ზუ=არ ვიცი. სუმ. იგი-ნა-ში-ბარ-რი=ნუ შეჰხედავს, და სხვ. ქართულში ნუ უფრო ბრძანებით კილოში იხმარება, თუმცა ბრძანებითი კილო ბევრ შემთხვევაში არა-თაც გამოიხატება ხოლმე. მეგრულში კი ამბობენ ნუ მილუდ-კო=არ მქონოდა, და სხვ.- სუმერულში ნუ იხმარება როგორც თავ-სართი და ხშირად შუა სართი. ქართულში და მეგრულ-ქანურ-სევანურში იგი დამოუკიდებელია, — აქ არის განსხვავება.—d) ბარა იგივეა რაც ქართული არა, ვერ, მეგრ.-ქან. ვარ.—სუმ. ბარა წარმომდგარია სიტყვისაგან ბარ=გვერდი, გარედ, შემდეგ მან მიიღო მნიშვნელობა—უ (მაგ. უ-კულ-ო), გარდა, შემდეგ არა. ქართული სიტყვაც გვერ-დი, ფარ-დი, რომელიც ჩვენის ფიქრით იგივეა, რაც სუმერული ბარ, იმავე ძირის არის რაიც გარ-ედ, გარ-და, და აქედან უნდა იყოს აგრეთვე წარმომდგარი უკუთქმითი ნაწილაკები არა, ვერა, მეგრ.-ქან. ვარ, აგრეთვე—უ, სენ. ურ, და მათგან წარმომდგარი სხვა სიტყვები: უარი > ვარ-ი (თუმცა შეიძლება ეს სიტყვა იყოს=უ+არი=no+est), და სხვ. სუმ. კი-სურ-რა...ბარა—მუ-ბილ-ე=არა გადასცილდნენ საზღვარსა, და სხვ. ბარა-ც სუმერულში არ იხმარება დამოუკიდებლად, როგორც ქართული არა, ვერ, ქან.-მეგრ. ვარ.

### კავშირნი.

a) და. სუმერულ ბოლო-სართს და-ს აქვს ძალა კავშირისა, მაგრამ იგი აგრეთვე იხმარება როგორც ბოლო-სართი, მაშინ როდესაც ქართულში (ქართ. და, მეგრ.-ქან. და) მან მიიღო დამოუკიდებლობა და დაისმის სიტყვათა და წინადადებათა შუა მათ შესაკავშირებლად: სუმ. სა-ტარ ან-კი-და შე-ენ=შენა ხარ მსაჯული ცისა და ქვეყანისა. (სუმ. ან=ცა, კი=ქვეყანა, და=და). b) უდ,



უღდა=ქართ. ოდეს, თუ. ძირი სუმ. უღ-ისა და ქართული ოდ-  
ესა ერთი და იგივე უნდა იყოს. სუმ. უღ ენლილ... ნამ-ლუგალ  
კალამ-მა ენა-სუმ-მა-ა=ოდეს ენლილმა მოანიქა მას მეუფეება ქვეყ-  
ნის. c) ენ-უღდა=ვიდრე. მეორე ნაწილი სუმ. ენ-უღდა-სი უღ-ის  
ძირისაა (ქართ. ოდ-ეს), მაგრამ ამათ ორივეს აქვს დამოკიდებუ-  
ლება ქართულ ძირთან ვიდ (ვიდ-ოდა, და სხვ.), ამიტომაც არის  
ფორმა ქართულის კავშირისა: ვიდ-რე=სუმ. en-udda. სუმ. ენ-ე  
უღ-და აღ-ტილ-ლა ნამ-მახ-ზუ ხე-იბ-ბი=ვიდრე ცოცხალ არს, ამ-  
ბობდეს იგი დიდებასა მისსა.—ვიდრე ცოცხალ ვარ გეყოფი სა-  
ტირლად და სატკივარად. (შ. რ.). d) ენნა-ენნა=ქართ. ან-ან,  
ან-უ. სუმ. ლილ-უღ-ტრ-ენ-ნა კალ-ლილ-ლა-ენ-ნა კი-ელ-ლა-ენ-ნა=  
ანუ დემონი „ლილ-უღ-ტრ“, ანუ კალ-ლილლუ, ანუ ქალ-წული  
(ქარისა).—აქაც განსხვავება იმაშია, რომ სუმ. ენნა იხმარება სუფ-  
ფიქსად, ქართული ან კი დამოუკიდებლად და ზმნის წინ ან სახე-  
ლის წინ.

### ზმნისზედანი.

დაბოლოვება ჩვეულებრივ ზმნისზედისა არის სუმერულში შუ, რო-  
მელიც ბოლოს ერთეის ზედ-შესრულ სახელსა: ბურ-ე-ეშ (ეშ=შუ)=  
წყნარად, თავ-მდაბლად. ქართულში ამას უდრის დაბოლოვება-ად,  
ხოლო მეგრულში ო-ს გარდა ას. სქევამა=ლამაზი, სქევამ-ას=ლამა-  
ზად. ქანურში აგრეთვე ამბობენ დიდ-ო=დიდ-ად, მაგრამ პროფ.  
მარჩის გამოკვლევით ეს არის მიცემითი ბრუნვა პირველ-ყოფილ  
თუბალ-კაინურისა, ხოლო უხმო ხასიათი მისი კი არის შ. მაშა-  
სადამე სრული ფორმა მიცემითი ბრუნვისა უნდა იყოს შო. და თუ  
ზმნის ზედის საწარმოებლად იხმარება მიცემითი ბრუნვა მხოლოდ  
ხმოვანი ხასიათით, აუცილებლად უნდა ვიფიქროთ. რომ პირველ-  
ყოფილი თუბალ-კაინური სრული ფორმა ზმნის ზედისა ყოფილა  
შო. ამასვე ამტკიცებს მეგრ. ას, აგრეთვე ქანური ძალ-ას=მალ-ე  
და სხვ. ეს კი პირდაპირ ეთანხმება სუმ. შუ (=ეშ, აშ და სხვ.).—  
დამოუკიდებელ ზმნის ზედათა შორის აღსანიშნავია სუმ. შე?==სად,

როდის?—სვან. იშე—სად?—მაგრამ, როგორც არა ვსთქვით, ამაზედ უფრო საყურადღებო არის ზემოდ მოყვანილი სუბ. შუ: ხულლი-ეშ, ულლ-ეშ—მხიარულად, მეგრ. მანგარ-ას—მაგრად, გვალ-ას—სრულად და სხვ.—საყურადღებოა ეს უხმო შ, რომელიც ჩვეულებრივად აღნიშნავს ზედ-შესრულ სახელთაგან წარმომდგარ ზმნის ზედათა მსგავსად ქანურ-მეგრულ შეს-ა.

ასეთია მსგავსება სუმერულ და ქართულ გრამმატიკულ მოვლენათა. იძულებულნი ვიყავით ბევრი გამოგვეტოვებია.—ბევრიც საეჭვოა ჩვენს შედარებაში, მაგრამ სამაგიეროდ ბევრი ისეთი მსგავსებაა, რომელიც უეჭველად ხდის ქართულისა და სუმერულის მსგავსებას.

შევადართ ეხლა სიტყვები, რომლის მსგავსებაც კიდევ უფრო საგულისხმიერო და ექვს გარეშეა.

## VII

### სიტყვები სუმერული და ქართულ-მეგრულ-ქანურ-სვანური.

ამ სიტყვათა შედარების დროს ვსარგებლობდით იმ ლექსიკონით, რომელიც შეადგენს სტ. ლენგდონის წიგნის დამატებას: A Sumerian Grammar, აგრეთვე ჯ. დ. პრინსის: Materials of a Sumerian Lexicon. როგორც მკითხველი დაინახავს პრინსს ჩვენ ბევრში არ ვეთანხმებით — შევნიშნავთ აგრეთვე, რომ ყველა სიტყვათა მოყვანა აქ შეუძლებელია ადგილის უქონლობის გამო. აგრეთვე ჩვენ განგებ ამოვარჩიეთ ისეთი სიტყვები, რომელნიც ნაკლებად საეჭვოა.—

#### ა.

ა = ათი; ქართ. ა-თი. მეგრ.-ჭან. ვი-თი, სვან. იე-შედ. (იხ. გრამმატიკა).

აბ = ჩაღრმავებული რამ, ბუდე.—ქართ. უბ-ე, აგრეთვე ქართ. უბ-ე = სიღრმე, ხეობა (მარნი T P. III, p. LI.).

ად, ადლა = მამა. ძირი ამ სიტყვისაა დ (>ძ), მეგრ.-ჭან. დ (>ჭ). ამ ძირის სიტყვებია ქართ. დედა, მეგრ. დია, სვან. დიდ, დია, დი. ქართ. და, მეგრ.-ჭან და, სვან. უდილ. ქართ. დია, დიაცი.—შემდეგ. ქართ. ძე, სი-ძე, ს-ძა-ლი ძუ, ძუ-ძუ, მე-ძ-ავ-ი, ძიძა, ს-ძე და მრავალი სიტყვა ამ ძირისა.—მეგრ. სი-(ნ)-ჯ-ა=სინდა, ჭან. ოხორ-ჯა, და სხვ. შეიძლება ამ ძირს დამოკიდებულება ჰქონდეს ძირთან ძმ. მაში შეად. ქართ. ძმ-ა, მეგრ. ჭან. ჯიბა, ჯება, სვან. ჯიბალ და სხვ.—აგრეთვე ქართ. ბი-ძა(-მი) და სხვ.

აგ. აგგა. გე = 1) კეთება, შენება, 2) მართვა, გამგეობა, 3) მირთმევა, ბოძება. 4) ლაპარაკი, უბნობა.—პრინსი ამ სიტყვას კიდევ ბევრ მნიშვნელობას აძლევს და ჰგონია, რომ ამ სიტყვასთან შეკავშირებული იდეები ურთი-ერთისაგან გამომდინარეობენ: მაგალითად: კეთება—წინ დგმა, მირთმევა—წინ დგმა სიტყვათა—ლაპარაკი! ეს შემტდარია თავიდან ბოლომდის. ნამდვილად გ-ს სხვა და სხვა მნიშვნელობა აქვს, როგორც ამას დაგვანახებებს ქართულთან შედარება, და მხოლოდ ფონეტიურის მსგავსების მიზეზით ჰხატვენ სუმერიელები გ-იან სიტყვებს ერთსა და იმავე ლურსმული ნიშნით. მართლაც: სუმ. ძირი გ=კეთება, შენება.—ქართ. გება; სუმერული ძირი გ.=მართვა, ქართ. გან-გე-ბა (ამ ორ ძირს შორის მართლაც არის კავშირი). სუმ. გ=წინდება, მირთმევა, ქართ. გება=მიგებება. სუმ. გ=ლაპარაკი, ქართ. გება=პასუხის მიგება. აგრეთვე ქართულს გ-ს კიდევ აქვს მნიშვნელობანი: გ-ება=უოფნა, გება=შეძლება, გება=დაგება (ზედ, გება=დაგება (ქვეშ) და სხვ. იხ. მარტი TP. IV, p. რმბ.

არა (რა) = სიარული. ქართ. რება, ჭან.-მეგრ. ულ. სუმერულად იგივე სიტყვა ნიშნავს მოტანას. აღაროდებული არენი=მოიტანეს.—სუმ. არალი=ქუჩა, გზა. ქართ. სა-სი-არ-ულა.

აშ = ერთი. ქართ. ერ-(თი), ჭან.-მეგრ. არ-(თი), სვან. ეშ (ხუ).

აშ = ექვსი. ჭან. აშ-ი, ანშ=ნ.

ა-ზაგ = (ძლიერ ადვილი შესაძლებელია გამოითქმოდეს ა-ცაც). ძირი ცაგ.=1) ბრწყინა, ნათება, 2) ოქრო, 3) ვერცხლი.—ქართ. ძირი ც(გ), ცხ, მეგრ.-ჭან. ჩხ, სვან. შხ. ქართ. ცე-ცხ-ლი, მეგრ. და-ჩხ-ირი, სვან. ლი-შხ-ი=წყა. ქართ. ვერ-ცხ-ლი, მეგრ. ვარ-ჩხ-ილი.—ამასთან არიან შეკავშირებულნი ძირნი: წყ, სხ, ქყ, წვ.—იხილეთ სუმი. ზაგ (ცაც), სიგ.—მრავალი სიტყვა ამ ძირთაგან წარმომდგარი ქართულ-მეგრულ-ჭანურ-სვანურში.

ბ.

ბა შებ. ბარ = გაყოფა, დაკლება, განყოფილი, ნაწილი, ნახევარი.—წარმომდგარია ბარ=გვერდი-დან.—ქართ. ფერ-დი, გვერ-დი, მეგრ. გვერ-დი=ნახევარი, ჭან. გვერ-ი=ნახევარი.—იხ. გრამმატიკა: უეუთქითი ნაწილაკი ბარა=ქართ. არ-ა, ვერ. მეგრ.-ჭან. ვარ. იხ. აგრეთვე ბარ.

ბაბბარ = მზე, თეთრი, გათეთრება, ბრწყინვალება; სინათლე.—ქართ. ვარ-ვარი, აგრეთვე ჰირველი ნახევარი სიტყვისა ვარ-სველავი, მეგრ. შურ-იცხ-ი, ამ სიტყვის მეორე ნახევრის ძირი ქართ. სკ, მეგრ. ცხ=სუმი. ზაგ, სიგ (იხ. იგინი). აგრეთვე ბრ-წყენა, ბრ-ჭეკვიალი (ორი ძირი=ბრ+წყ, ბრ+ჭყ, ერთი-სა და იმავე მნიშვნელობისა).

ბად=პად = სახელ-დება, ამორჩევა, ფიცი (უპირველესი მნიშვნელობა), ქართ. ფიც-ი, ჭან.-მეგრ. ფუჩ-ი.

ბარ = გვერდი, ძმა, ამხანაგი,—უ (უკანო და სხვ.), ნახევარი, გაღაწევეტა (გაყოფისგან წარმოსდგება ეს აზრი), შორს, საუკუნო.—ქართ. 1) გვერ-დი, მეგრ. გვერ-დი=ნახევარი, გვერდი. ქართ. თანა-ბარ-ი, უ-ე-ბარ-ი, უ-ებრ-ი, მი-ბარ-ება, და-ბარ-ება, ჩემს ბარ-ობაზედ—ესენი სულ წარმოსდგებიან გვერდის ცნებისაგან.—აქედანვეა წარმომდგარი 2) ქართ. გარ-ედ, გარ-და, არა, ვერ, მეგრ.-ჭანურ. ვარ; ქართ.—უ=სვან. ურ. 3) სხვა ძირი უნდა იყოს ალბად ქართი, მარ-ად, მარ-ად-ისობა,

რომელიც ფონეტიურად ჰგავდა ბარ-სა და მიტომ იყო სუმერულ ლურსმულში ერთისა და იმავე ნიშნით გამოხატული.

ბარ = ბრწყენა. ქართ. ვარ-ვარ-ი, ვარ-(სკვლაკი), ბრ-იალი, პრ-იალი (ბრ, პრ.) და სხვ. იხ. ბაბბარ.

ბი = ლაპარაკი, ფიქრი. ქართ. ძირი მბ, ბნ: ამბავა, უბნობა, საუბ-არი და სხვ.

## დ.

და = ბოლო-სართი. იხილე გრამმატიკაში ბოლო-სართები. ქართული და, თა.

დავ = ბრწყინვალე. ქართ. დღე, მეგრ.-ჭან. დლა, სვან. დელ.

დარ (ა) = ქართ. ტურ-ი. (გარეული თხის ერთი ჯიში).

დიგ (დიბ) = დაჭერა, ტყენა; დაგ=საკვდილი. ქართული ძირები: დგ, ტვ, ტყ, წყ. სვან. დი-დგ-არი=სიკვდილი, ლუ-დგ-არ=მკვდარია. დაგ-რა=სიკვდილი. ქართ. ტკ-ივ-ილი, ტყვე, აქედან არის სიტყვა ტყვანა, სუმერულ დიგ-ს ეს მნიშვნელობაც აქვს.—წყ-ენა და სხვა მრავალა. აქვს თუ არა რაიმე დამოკიდებულება ამას სუმ. სიგ=1) შეწესებულები, 2) მ-წუხ-რი (ქართ. ძირი წუხ)თან?

დიხ = ქვა. ქართ. თიხა, მეგრ. დიხ-ა; სუმერულად ქვას ჰქვიან აგრეთვე დაგ. რაიც იმავე ძირისაა. (დხ, დგ, თხ).

დუ=დუმუ = ქართ. ძე (და ამავე ძირის მრავალი სიტყვები. იხ. ადა).

დუ = სიარული, სლვა. ქართ. ძირი დ, დავ-დი-ვარ, წა-დ-ი. დე-ნა, და სხვ.

დუ = კეთება, შენება. ქართ. ძარა დ, ძ; ქართ. დ-ეობა, ს-ძევს, ჭან. დო-დვ-აფუ=დადება.

დუ, დუგ = კარგი.—ქართ. ძარა ჯბ, მეგრ.-ჭან. ჯგ. ქართული მ-ჯობ-ი მეგრ. ჭან. ჯგ-ირი. ჰრინისის ახსნა აქაც უცნაურია. იგი ამბობს ერთი და იგივეა ლურსმული ნიშანი დუგ-ისა და

ზარ-ისა სუშერულში, ზარ კი ნიშნავს სავსეს. მაშასადამე  
ღუგ=სავსე. ხოლო ღუგ იმავე დროს ნიშნავს ქალის სი-  
ყვარულს სქესობრივად (რადგანაც იდეა „სავსე“ ამ სქესობრივი  
სიყვარულის იდეას ჰკავს!) სქესობრივი სიყვარული კი კარ-  
გია, სასიამოვნო, და ამიტომაც ღუგ=კარგი!—უოვლად  
უზროთა ეს ახსნა. — ნამდვილად ღუგ=სქესობრივი სიყვარუ-  
ლი დაკავშირებულია სუმ. დიგ-თან, რადგან ნიშნავს ტყვეობას,  
ტყვნას, (ტყვევნას) და მხოლოდ მსგავსება ფონეტიური ძირ-  
თა დგ=დაჭერა, დგ=კარგი იყო მიზეზი, რომ სუშერულ-  
ში მათ ხან და ხან სწერდნენ ერთი და იმავე ლურსმულე  
ნიშნით.

ღუგ = ლაპარაკი, ფიქრი. ქართ. თქ-მა, სი-ტყვ-ა. ტყუ-ილი, აგრე-  
თვე, ჰქუ-ა. სვან. დი-ჰკე-არი=ფიქრი. — ქართ. წყ. — უ-წყ-  
ის, ჭან. წვ. = ლაპარაკი.

ღუბ = ჭურჭელი (თიხისა განსაკუთრებით). ქართ. დოქ-ი.

ღუბ = მუხლი. ქართ. და-ჩოქ-ება, სვან. ჩვექ=მუხლი.

ღუნ = ნახვრეტი, ხანი, ღარი; აქედან უღუნ=ქოთანო. ქართ. ქო-  
თან-ი (=თიხის ჭურჭელი ქო=ქვა=მიწა, თიხა), — ჭან.-  
შეგრ. ქვა-თან-ი, სვან. თუნუ=ქოთანო.

## ე.

ემე = ენა, სიტყვა, ლაპარაკი. — ქართ. ენა, ჭან. ნენა, შეგრ. ნინა,  
სვან. ნინ.

ენ = გალობა, დადადისი — იგივე ძირი. ენა.

ენემ, ინიმ = იგივე ძირი ენა.

ერი, ერ = შექმნა შთამომავლობისა (აქედან ერუ=ქალი, ერუ=კაცი).  
ქართ. ურ-ა (ცხენი).

ერი = (იგივე ძირი)=ქალაქი. — ქართ. ერი (ხალხი. — იმავე ძირისა,  
რადგან ურა). იხ. ურუ, ურ.

ბ.

გალ = ცხოვრება (= მოსახლეობა), უოფნა, — ქართ. სა-ხლ-ი, ჭან-მეგრ. ო-ხორ-ი, სვან. ქორ = სახლი.

გალ = კაცი. მაგრამ ამავე ნიშნით იხატება აგრეთვე „ქალი“ სუმერულად. ქართ. ქალ-ი. ამას გარდა ამავე ნიშნით იხატება სქესობრივი ასო ქალისა. — ხოლო იგივე ძირია ქართულად კაცის. სქესობითი ასოს გამომხატველ სიტყვაში: ულ-ე, მეგ. უოლ-ე. ასე რომ უეჭველი ნათესაობა უნდა იყოს სუმ. გალ = კაცი, და ქართ. ულ-ე, მეგ. უოლ-ე, ამასვე აქვს დამოკიდებულება ზემოხსენებულს გილ = ცხოვრებასთან. ქართ. სა-ხლ-ი = საცხოვრებელი. ძირი ხლ გამოჭხატავდა ალბად ცხოვრებას, შთამომავლობის შექმნას, ქალისა და კაცის ორივე ორგანოს, შთამომავლობის შემქმნელს, კაცს, სულიერს, აქედან სპეციალურად მამაკაცი. — შემოკლებული გალ უნდა იყოს სუმერული გა = სახლი. ქართულში არის ეს შემოკლებული ძირი. ხ წავიდა სა-ხ-იდ, და სხვ. — ამ ძირის ხ უნდა იყოს სომე-ხ-ი, კა-ხ-ი და სხვა ამგვარ სიტყვებში, როგორც მაჩვენებელი შთამომავლობის, და არა მგონია ეს ხ მრავლობით რიცხუს გამოჭხატავდეს.

გამ, გიბ = შექმნა, აქედან სუმ. დამ = ქმარი. (g>d): ქართ. ქმ-ნა, უოფ-ნა. ქართ. ქმ-არი, მეგრ. ქომო(ნ)-ჯი, ჭან. ჯობოჯი. აქ უნდა იყოს ძირი ქართ. ძმ-ა, ბი-ძა-[ში], ჯიძა, და სხვ.

გან = სრული, ბევრი. (აქედან წარმოსდგება თავსართი ხენ, ხე). სვან. გუნუ, გუნ = ძლიერ, ძლიერ ბევრი.

გან, განა = უანა. ქართ. ყანა, ჭან. ყონა.

გარ = კეთება, უოფნა. — ქართ. ხურ-ო (?), სვან. ლი-ეერ = კეთება. ჭან. ო-ხვენ-აფუ (?), — კეთება. —

გაზ = მოკლეა, დაქცევა, დაფშვნა — ქართ. ხოც-ვა.

გეშ, გიშ = ხე, შუა.

**გეშტან**, **გეშტინ** = დვინო. ამ საინტერესო სიტყვის ეთიმოლოგიას ასე ხსნიან: ზოგიერთები: კაშ=სასმელი+ტან=ძლიერი; ზოგიერთებიც: კაშ=სასმელი+ტან=სიცოცხლე=სიცოცხლის სასმელი. ჩვენ არ ვიცით ამ სიტყვის ეთიმოლოგია, მაგრამ უეჭველია მისი მსგავსება ქართულ ყურძენ-თან, რომლის ეთიმოლოგიაც აგრეთვე არ ვიცით.

**გი**, **გე** = ახალი. სტ. ლენგდონის სიტყვით ამას უნდა აკლდეს ერთი უხმო ბოლოში. ქართულის მსგავსებით გე ლ უნდა აკლდეს. ქართ. ა-ხალ-ი, სვან. მა-ხ-ე=ახალი.

**გი**, **გინ** = აღება, აწევა, წადება. ქართ. ძირები: ღ, ხუნ, ყვან, ა-ღება, მთ-ი-ხუნ-ეს, წა-ყვან-ა.

**გიბ**=**გიგ** = ავადმყოფი, ბნელი, სიბნელე, ღამე.—ქართ. ღამ-ე, მეგრ. ღუმ-ა.

**გიღ** = გრძელი, გრძელი კიდე, გვერდი. ქართ. კიღ-ე, კიღ-ელ-ი, სვან. ჯოღ-ი=გრძელი. შეიძლება აგრეთვე ქართ. გრძელი, ჭან. გუ(ნ)-ძ-ე.

**გიღ** = დაჭერვა, შეკრვა, ქარ. კიღ-ება (მთ-კიღ-ება), ჭიღ-ება.

**გიღ** = ჭრა. ქართ. კოღ-ვა, კვეთ-ა, მეგრ. კვ-თ-უა. იხილე გულ, კულ. სუმერულად ლუ-გულ=კუტი, დასახიჩრებული კაცი. შეიძლება ეს ქართული კუტი იყოს სპარსული ქუტ-ი=დამბლადაცემული, როგორც ამბობს ბ. ვ. ბერიძე, ან შეიძლება სპარსული ჩვენგან იყოს წადებული. აკეთვე შეად. ქართ. ხუთ-ვა (ბერიძე).

**გიმ** = კეთება, შექმნა, იხ. გამ.

**გინ** = ადგილზედ ცხოვრება, მიწა. სვან. გიმ=მიწა. ქართ. ქვე:—ქვე-ყანა (ორი სუმერულა სიტყვა!).

**გარ** = შეკრება, შეყრა, შეკრვა. ქართ. შე-ყრ-ა (ერილობა), შე-კრ-ვა, მეგრ. კირ-უა.

**გიშ** = შექმნა. გიშ=მამალი, მამა-კაცი. (=გეშ=გუშ) აქედან გამ, გაშან=გმარი.—ქართ. კაც-ი, ქართ. ვაჟ-ი (=mas=us, მეგრ. ყვაჯ-ი=ყვერ-ი, სვან. ღვაჟ-ი).



- გომ = სმენა, გაგონება გონება: ქართ. ყურ-ი, მეგრ.-ჭან. ყუჯ-ი.  
გუმ = დემუმ=ცა. სვან. დეც=ცა.  
გუ = ხმა, ლაპარაკი.—ქართ. ქუ>რქუ.—ქართლის ცხოვრებაში (მ.  
დ—ფლის ვარიანტი)—ჭ-ქუ->რქვ-ა.  
გულ = კისერი. ქართ. ქედ-ი.  
გულ = ჭრა. ქართ. კოდ-ვა, კვეთ-ა, მეგრ. კვათ-უა.  
გუნ = სრული, კრებული, სიმძიმე. სვან. გუნ, გუნუ=ძლიერ, ძლიერ  
ბევრი.  
გუნ = დიდი, ძლიერი. ქართ. დონე. შეიძლება აგრეთვე ძალ-ა (ძლ),  
აგრეთვე მ-ძიმ-ე, სვან. გვამ-ი, რადგანაც ეს გუნ და ზე-  
მოსხენებული გუნ ერთი ძირისაა არიან.  
გუმეკინ = ოქრო. — ქართ. ოქრო, მეგრ. ორქო (სუმ. უ>ქართ-რ —  
სვან. ვოქრ. სომხ. ოსკი ამავე ძირისა უნდა იყოს.

## ხ, ლ.

- ხაბ = სამარცხვინო ცუდი.—ჭან. ხავ-ი=ცუდი, გლახა.  
ხად (ლად) = ბრწყინა; ბრწყინვალე.—ქართ. ლად-ლად-ი.  
ხალ = წვა.—ქართ. ხალ-ვა, ჭან. ხალა=წვა, შეიწვა.  
ხარ (ღარ) = მიზანი, სურვილი, გეგმა.—წარმოსდგება ხირ (ღირ)=  
შემოხაზვა.—ჭან. ღარ.=ხაზების გასმა, ხაზვა.  
ხარ = ქართ. ხარ-ი, მეგრ.-ჭან. ხოჯ-ი, სვან. ხან-ი.  
ხაშ (ღაშ) = ნაჯახი. წარმოსდგება ხიშ, ხაშ=წვევტა, ჭრა, ნგრევა.—  
ქართ. ხოც-ვა, ჭან. ყაზ, ლაზ, ხაზ=თლა.—ხვეწ-ი (ქარ.  
ჭან.) კოფისის სათლელი იარაღი.—შუად. აგრეთვე მეგრული  
ლაქ-უა=კრუჭა.  
ხირ (ღირ) = შემოხაზვა.—ჭან. ღარ=ხაზების გასმა.—იხ. ხარ (ღარ).—  
ხიშ=ხუშ (ღიშ=ღუშ)=მტრევა. იხ. ხაშ, ქართ. ხოც-ვა და სხვ.—  
ხიშ=(ღიშ) = სინათლე.—ქართ. ღაჟ-ღაჟ-ი. აგრეთვე გზ-ნ-ება; ჭან.  
გზ.=ცეცხლის ანთება.  
ხულ (ღულ) = სიხარული, ხალისი, მხიარულება.—ქართ. ხალ-ისი,

ლხი-ნ-ი, სვან. ხინ-ი, სი-ხარ უღი, შეიძლება ჭან. ხილ-ი =  
კარგი.

ხულ (ღულ) = ძაღაღობა, ბორბობა, დაღუნვა, მოსწობა, კლვა.—  
ქართ. კლ-ვა, მეგრ. კლილ-უა, შეიძლება სვან. ხოლ-ა = ბო-  
როტი, ცუდი.

ი.

იბბი = ღაწარაკი.— ქართ. მბ, ბნ.— უზნობა, სა-უზნარ-ი, ამბავი.

იღ = მდინარე.— ქართული ძირი დ. მ-დინ-არ-ე, დენა, ს-დი-ს.

ინიბ = სიტყვა.— ქართ. ენა, მეგრ. ნინა, ჭან. ნენა, სვან. ნინ.

ირ = სიარული.— ქართ. რე-ბა. (იხ. არა).

ირ = შექმნა.— ქართ. ურ-ა, ერ-ი. (იხ. ერი).

იტუ = თვე.— ქართ. ძირი თ. ქართ. თთვე, მეგრ. თუთა, სვან. დოშ-  
დელ, თევ.

იზი (იცი) = ცეცხლი.— ძირი უნდა იყოს ცხ, სუმ. ზაგ.— ქართ. ცე-  
ცხ-ლი, ცი-ა, ზმნა წვ-ა, მეგრ. ჭუ-ა. (სრული ძირი სუმ.  
ცად, ქართ. ცხ, მეგრ. ჩხ, სვან. უხ).

კ.

კა = ზირი—კავშირი აქვს გუ-სთან (გუ=ღაწარაკი)— ქართ. რქვა,  
ჭ-ქუ-ა.

კად = ტბა: გუბე. ორბო, ამოხვერტილი რამ.— ქართ. კოდ-ი, ზმ.  
კოდ-ვა.— სუმ. კად-ს კავშირი აქვს კუდ-თან (კუდ-ჭრა.  
კვეთ-ა, კოდ-ვა).

კან = მინდორი, სადგომი.— ქართ. ყანა, კაჟმარი უნდა ჰქონდეს აგ-  
რეთვე ზმ. ყენე-ბა, სუმ. გინ=ყენ-ება.— აგრეთვე ქართ.  
ქვე=სუმ. კი, კინ, რადღა ნიშნავს მიწას, ადგილს, სვან.  
გიმ.— ქართ. ქვე-ყანა (ორი სუმ. სიტყვა, ერთისა და იმა-  
ვე ძირისა!)

- კაშ = გზა. ზენა—გა-ქც-ევა. ქართ. გზა, ზე. გა-ქც-ევა (გზ=ქც).  
კეშდა = შეკრვა, შებოჭვა.—ქართ. კიცვა (Мартъ, Г Р. III).—ამ  
ძარის სიტყვა სომხურშიაც არის.—სუმ. კეშდა=კეშ=კიც-  
ვა.—შეიძლება აგრეთვე ქართ. კოჭვა, (კიც=კოჭ.).
- კაშ მები, კაშ მება = სუმ. Çalam. მაგრამ ეს ნიშნავს სურათს, კერძს  
სემიურად.—ხოლო Çalam და კაშ მები ერთასა და იმავე  
ღურსმულით იწერება.—ამიტომაც შეიძლება სუმ. კაშ მები =  
ქართ. კერპი! (?შშ-რ).
- კიდ = თხა, ძებნა. წარმომდგარია კულ=კოდვასგან (აპოკოდვისა-  
გან) კვეთისგან.—ქართ. კვეთ. კოდ.
- კიდ = შეკრვა, ჰერობა.—ქართ. კიდ-ება (მო-კიდ-ება).—იხ. გიდ =  
დაჭერა.
- კილ, კელ = გოგო.—ქართ. ქალ-ი.
- კი, კინ = ცხოვრება ადგილზედ, სადგომი, სამოსახლო მიწა, ადგილი,  
მიწა ქართ. ქვე. (ქვეყანა). სვან. გიმ. სვან. ლაგემ=დადგ-  
მა.—აგრეთვე ქართ. ა+ქ (აქ), ი+ქ (იქ) = ამ ადგილას, იმ  
ადგილას!
- კიშ = გოჭი. ქართ. ლორ-ი, მეგრ.-ჭან. ლეჯ-ი, ქართ. გოჭ-ი (ქართ.  
ლორ-ი და გოჭ-ი ერთისა და იმავე ძარისანი არაა, ამას  
ამტიციებს მეგრ.. ლეჯ-ი, რომელაც უახლოვდება ფონეტ.  
გოჭ-ს).
- კულ = ჭრა, ხევა, მტვრევა.—გასამართლება—იხ. გულ. ქართ. კვეთ-ა.  
მეგრ. კვათ-უა, კვეცა, კუნ-ვა და სხვ.—აგრეთვე რუსთ.  
ბელი მი-კვეთ-ს (=მიწვევტს სამართალს).
- კულ = (იხ. გიდ=გრძელი)=საუკუხო, მოპაკალი. სვან. ჯველ-ია,  
ჩოდ-ი=შორეული, გრძელი.—
- კულ = ღარი.—კვეთ-ისგან არის წარმომდგარი. ქართ. კოდ-ი.
- კურ = მთა.—ქართ. გორ-ა, მეგრ. გოლ-ა.
- კურ = ბრწყინება, წვა, გამოცხობა, განწმენდა. ქართ. ძირ. ხურ-ვება.
- კურ = ჭმა, საჭმელი.—სუმ. გარ=საჭმელი.—ჭან. გღარ-ი, ჯარ-ი =  
ჰური, საჭმელი. სვან. დღარ=ჰური.

ლ.

**ლაგ** = **ლახ(ლალ)** = 1) სიარული, წასვლა | 2) მოტანა, დაღება | —  
ქართ. — 1) **ლახ-ვა**, **გადალ-ლახ-ვა**. შეიძლება აქედან წარ-  
მოსდგებოდეს **ლახ-ვა**, ფეხით გადავლა კაცზედ, და ჰირკულ-  
უოფილი **ლახ-ს** კი სიარულის, ფეხის დგმის მნიშვნელობა  
ჰქონდეს. — 2) ქართ. **ა-ლაგ-ი**, **ლაგ-ება**.

**ლალ** = დაკიდება; ჩამოკიდება, აწონვა (წარმოადგარა დაკიდებასგან) —  
შუად. ქართ. **ლარ-ი**. — (Марръ, Г Р. I К.). მარრი ამბობს,  
რომ ეს სიტყვა სომხურია, მაგრამ სეპერულა ამტკიცებს, რომ  
იგი არ არის სომხური, — არამედ სომხურმა გადასულა ეს სიტ-  
ყვა ქართულ ჯგუფთან ენათაგან, როგორც ბევრა სხვა სიტყვა. —

**ლამ** = ბრწყინა, ნათელი. — ქართ. **ლაპ-ლაპ-ა**.

**ლიკ**, **ლიკი** = ძაღლი. — ჭან. **ლაკ-ი**, **ლაჭ-ი**.

მ.

**მე** = ომი, ბრძოლა. — ქართ. **ომი**. (ძარი მ.).

**მულ** = შობა, შექმნა. — ქართ. **მულ-ელი**. შეიძლება ქართ. ზმნა **ბად-**  
**ება** ამ სიტყვასთან იყოს დაკავშირებული.

**მულ (მუხ)** = ასო სქესობრავი | მუცელია. — აგიკა რაც **მულ**. — ქართ.  
**მულ-ელი**, **მულ-ელი**, სვან. **ბულუმ**, **ფულუმ** = **მულ-ელი**. —  
აქედან არის სუჰ. **მულ** = შექმნელა, ა) მამა, ბ) დედა. —

**მულუ** = **გალუ** (ერთი და იგივე სიტყვა, მხოლოდ **გალუ** არის ეგ-  
რედ წოდებულ კაცების ენის დიალექტის სიტყვა, რასაც  
უწოდებდნენ **ემე-კუ EK**), ხოლო **მალუ-ქალების ენის**  
**დიალექტისა** — **ებე-სალ (ES)** — შეიძლება ეს **ES**. ფორმა  
**მულუ** = კაცი იყოს სვან. **მარ-ე** = კაცი.

**მულ** = ვარსკვლავა. — თუ ამ **მულ**-ს რაიმე დამოკიდებულება აქვს **ბარ**  
(რაც უღრის აგრეთვე **ბურ-ს**)-თან = ბრწყინა, ნათება, — შუად.  
ქართ. **ვარ-**(სკვლავი), მეგრ. **მურ-**(იცხა).

**მუნ** = რაღა სწავას, მწველი | მუნ=ალი (ცეცხლისა). მუნ=მორიე-  
ლი. მუნ=მარილი, სიმუაუე. — მუნ-დუ=ღამწვარი მსხვერ-  
წლი.— მეგრ. მინჷ=წვა. ქართ. მარ-ილ-ი, ქართ. მორ-  
იელი, სვან. მერ=ფუტკარი.— ქართ. აგრეთვე შეიძლება  
მურ-ი=კომლი, ჭვარტლი, შეიძლება ძველად ეს ნიშნავდა—  
ალ-ს (მაგ. ვეფხის ტყაოსანი. „აღარა მწვავს გულსა მურად“,  
153,3) ეს მური შეად. სუმ. მურ=მოსარმული, შემწვარი,  
ცეცხლით ნამოქმედარი რამ.

**მუშ** = E S. გიშ=მ:მალი, მამა-კაცი. — ქართ. ვაჟ-ი, ქართ. უვერ-ი,  
მეგრ.-ჭან. ყვაჯ-ი, სვან. ღვაჟ-ი=ვაჟი. შეიძლება ქართ.  
ბიჭ-ი, ბუშ-ი, ბოზ-ი, ჭან. ბოზ-ო (გოგო) აგრეთვე ამ ძი-  
რებისა, რადგანაც პირველ-ყოფილი მნიშვნელობა ამ სიტყვისა  
არის შთამომავლობის შექმნა.—

**მუშ** = გველი. ქართ. ვეშაპი, რომ ეს ქართული ვეშაპი და სუმ.  
მუშ ერთი და იგივე სიტყვაა ამის წინააღმდეგ არ ღამარაკობს  
დაბოლოება ქართულის ვეშ-აპი-სა აპ-ი, რომელიც სუმერულ  
მუშ-ს არა აქვს; სუმერულად არის მეორე სიტყვა უშუბ=  
გველი, ვეშ:პი, ამავე დაბოლოებით—უბ-ით (=ქ. აპ.).  
აგრეთვე ამის ამტკიცებს სვანური ვიჩ=გველი.—ძირი უნდა  
უფას მუშ=სვან. ციჩ=>ქ. ვეშ.

### 6.

**ნამ** = გადაწვეტილება, ბედი—წარმომდგარია.

**ნიმ** = თქმა, სიტყვით გადაწვეტა ბედისა.—ქართ. ენა.

**ნუ** = უკუთქმითი ნაწილაკი.—ქართ. ნუ.

### 3.

**პად** = დამტვრევა, დაფლეთა.—ქართ. ფ[ლ]-ეთ-ვა.—აგრეთვე ფეთ-ვა.  
ჩამოფეთეს. აქედან უნდა იუოს ნა-ფოტ-ი.

**პად** = სახელ-დება, ამორჩევა (სიტყვით): ფინი.—ქართ. ფიც-ი.  
ჭან.-მეგრ. ფუჩ-ი.

პარ = გადაფარება, გაშლა. | ქართ. ფარ-ება, ფარ-ვა.—შეიძლება ამასთანავე ჰქონდეს კავშირი ფენ-ას, ძირს ფინ-ს(?).

პეშ, პიშ = შექმნა (სქესობრივად, ბუნებრივად, ითქმის ცხოველზე და მცენარეზე), უხვად ეოფნა | ფართო, უხვი | ორსულად ეოფნა | სულთქმა, სიცოცხლე | მუცელი, შიგნეული | .—ღვიძლი.—ჩემის ფიქრით ესენი სხვა და სხვა ძირების პეშ-ებია.—ამას ამტკიცებს ქართულთან შედარება. ქართ. ძირი ა) ვს. ჭან.-მეგრ. ფშ: სა-ვს-ე. ე-ფშ-ერი=სავსე. ბ) ფაშე-ი=შიგნეული, მუცელი | ც) ქარა. ფიჟ-ვი.—d) ქართ. ფშვ-ენა,—ევა=სულთქმა.

ჟ.

ქალლა = ქალის სამარცხვინო ასო.—ქართ. ქალ-ი. ამავე ძირის უნდა იყოს აგრეთვე სახელი კაცის სამარცხვინო ასოსი, აგრეთვე სუმ. gal=კაცი, gal=ცხოვრება, სახლი და სხვ. (იხ. ზემოდ გალ).

ქუბ = ფშენა, ქე-ვა.—ქართ. ძირი: ქბ, ქვ, ქფ.—ქართ. ქბ-ვა, ფქვილი > ქბ-ვილი > ფქვილი. იმერულად და-ქბ-ული.—წის-ქვ-ილი, ჭან. მს-ქიბ-უ, სვან. ლე-ქვე-ერ=წისქვილი და სხვ.

რ.

რა = წასვლა სიარული.—ქართ. რ-ება, აგრეთვე აქედან არის რუ.—იხ. არა.

ს, შ.

საგ = თავი, წინ, შუბლი.—ქართ. ძირები: ცხ, ჯხ, (?) ძღ, სგ, სხ, ზღ.—ქართ. ძღ-ოლა, შეიძლება ქართული სახ-ე. აგრეთვე ქართული ციხ-ე, მეგრ. ჯიხ-ა(?=რაც აშენებულა მადღ კონცხზედ. ან მთაზედ?)—ქართ. კონ-ცხ-ი. სვან. ზუგ=ბორცვი.—ამავე ძირისა უნდა იყვენ ქართ. შუბ-ლი

(შე > შგ > სგ). სვან. სკობინ=წინ, სგვებინ=შუბლი. აგრეთვე ქართ. თხე-ში (სხ > თხ), შეიძლება თავ-ი-ც (თვ > თხ).— აგრეთვე ცხვ-ირ-ი.

შაგ = სიკეთე, სიწმინდე.—კავშირი აქვს მე ვფიქრობ დუგ=კარგი-თან.—ქართ. ჯობ.—მეგრ. ჯგ-ირი.

შაბ, შაგ = გული შუა-გული | ქართ. შუა, ჭან. ო-შქ-ენა, შქენ, ჭან. შქა=მუცელი.—შქა=შუა. მეგრ. შქა, სვან. ლი-სგ-ა=შიგ, სქა=შიგ, ის-სგ-ა =შიგ-ნით.—ქართ. ში, შიგ, შინა.

შებ = წვიმა —ქართ. ძირი სხ. სხ-მა, აგრეთვე წყ-ალ-ი და სხვ. ამავე ძირიდან არის სი-სხ-ლი, ძირი ამ სიტყვისა არის სხ. და არა სხლ (=მარჩის აზრით).

სახ, ზახ = წვა.—ქართ. ცხ, ჭან.-მეგრ. ჩხ, შქ, სვან. შხ: ცუ-ცხ-ლი, ცხ-ელი და სხვ. მეგრ. და-ჩხ-ირი. სვან. ლი-შხ-ი=წვა.—ქართ. ნა-ხ-შირი=ნა-შხ-ირი. ჭან.-მეგრ. ნო-შქ-ერი=რაც დამწვარია.—აგრეთვე დი-შქ-ა=რაც დასაწვავია=ქართ. შე-შა (\*სე-შა=\*სი-შა. შ > შქ).—ძირი წვ წარმომდგარი უს-და იუოს ძირისგან შხ (ცხ და სხვ.).—

სალ = ქალი.—ქართ. ცოლ-ი, მეგრ. ჩირ-ი, ჭან. ჩილ-ი.—სვან. ზურ-ალ=ქალი. ზურ-ა=დედალ-ი.—აქედანვე უნდა იუოს ჭან.-მეგრ. ჩურ-ი=ქალის საძარცხვინო ასო.—(სუმერულადაც ერთსა და იმავე ნიშნს აქვს მნიშვნელობა სალ=ქალი, ხოლო ქალ —ქალის საძარცხვინო ასო).—ქართ. ა-სულ-ი, ჭან.-მეგრ. ო-სურ-ი. აგრეთვე მეგრ. ცირ-ა, ამავე ძირიდან უნდა იყვნენ.—

შარ = წერა.—ქართ. წერ-ა, ჭან.-მეგრ. ძირი ჭარ.—წერა.

შარ = სულ, სრულიად.—ქართ. სრული, სვან. სურ-უ=ძლიერ ბევრი.

სიგ = მიცემა. საგ =საჩუქარი. ქართ. ძირი ჩუქ. ჩუქ-ება, სა-ჩუქ-არი.— აგრეთვე მიცემა: ძირი ც. უნდა იუოს შემოკლებული ცმ =სუმ. სგ—ქართ. ჩქ. (როგორც წვ სუმ. ზლ —ქართ. ცხ.).— მართლაც ვარიანტი სიგ-ასა არის სუმერულში ზემ=მიცემა, მეგრ. შე-ჩა-მა.

**შიგ=ის.** შაგ == სიწმინდე, მოწყალება.—ქართ. ჯობ. მეგრ. ჯგ.—  
 შუად. ღუგ—ჯგირ-ი, მაგრამ ამას აქვს ვარიანტი ზიბ  
 კარგი. (კიდევ ღამაშტკიილებელი საბუთი მისი, რომ ქართ.  
 ი>გ, როგორც სუმერულში იგივე ბ>გ, ღ, ხ). ამიტო-  
 მაც ვფიქრობთ რომ ქართ. წყალობა, ქართ. წმიდა, სვან.  
 წყილიან და სხვა ამავე ძარისა უნდა იყვნენ და უნდა უგაგ-  
 შირდეობდნენ ქართ. ჯობ, ჯგ-ს. აგრეთვე მეგრ.-სვან. ჯე-  
 გე—წმინდა (გიორგი).

**შეგ** = წვიმის მოსვლა, მორწყვა.—ქართ. ძირები სხ, წყ, აგრეთვე  
 ზემოხსენებული კანონის ძალით წვ, მეგრ.-ქან. კი, კუ.  
 ქართ. სხ-მა, წყ-ალი, წვი-მა, მეგრ. ქან. კუმე, ჭვი-მა;  
 მსხვერბლი-ს ზირველი ნახევარის ძირი უნდა იყოს აგრეთვე  
 სხ (სხ-მა რაიმე სიწმინდისა, აღბდა ასეთი მნიშვნელობა ჰქონ-  
 და ამ სიტყვას ზირველად). აგრეთვე ძირი თხ-ევა (ს>თ)—  
 ამავე შეგ-ის ძარისაა. ჩემის ფიქრით აგრეთვე კურ-თხევა  
 შესდგება ორი სიტყვისაგან: კურ+თხევა. მეორე სიტყვა ვი-  
 ცით, ხოლო ზირველი შეიძლება სინათლეს, ნათელს ნიშნავ-  
 დეს: სუმ. კურ —ქართ. ხურ და სხვ.—მრავალი სიტყვა  
 ამავე სხ>(ცხ) ძარისა. სი-სხ-ლი—ქან. დი-ცხ-ირი და სხვ.

**შეგ** = მსუქანი.—ქართ. მ-სხვ-ილი, მ-სუქ-ან-ი. ქან. ჩხუ  
 და სხვ.

**სიქქა** = თხა.—ქართ. თხ-ა, აგრეთვე ქართ. თიკანი, ციკანი, სვან.  
 დახულ, ქან. ტიკანი, თიკანი.

**შეგა** = წყალობა.—ქართ. წყალობა, კავშირი აქვს შიგ=სიწმინდე.—  
 ქართ. წმინდა, სვან წყილიან. აგრეთვე ძირები duგ=ziხ=  
 კარგი. ქართ. ჯბ. მეგრ. ჯგ-ირ-ი. ჩემის ფიქრით ამ ძი-  
 რისა უნდა იყოს მეგრული ებითეტი წმინდა გიორგისა: ჯმგე  
 (სვან. ჯეგ). იგი ნიშნავს ზირდაზირ წმინდას, ჯგირს. (იხ-  
 შიგ=შაგ=სიწმინდე, მოწყალება).

**სილ** = მოცლა, მოჭრა;—გადაწვეტა, გადაჭრა (საქმისა, სამართლისა)-  
 ქართ. ცლა, მო-ცლა, აგრეთვე თლა (ც>თ); ქართ. ცელ-ი,



მეგრ.-ჭან. ძირი ჩლ.—მასთან აქვს კავშირი ქართ. წილ-ი, ნა-წილ-ი, (=ნა-ჭერ-ი),—სუმ. შელუ (სტ. ლენგდონი)=მო-სვალა, მკა, ცელვა; ჭან. წილ.=მოკრეფა (ხილისა და სხვ.)—ამასთან არის შეკავშირებული ქართ. წალ-დი, ცულ-დი (=საჭრელი იარაღები).—და ბევრი სხვა სიტყვა.

შიმ = საცხებელი, ცომი | ქართ. ცომ-ი.

შინ = ბრწეინვალე, წმინდა.—ქართ. შვენ-იერი. (იხ. სუმ. შუნ=ძი).

სირ (=შირ)=სინათლე, ბრწეინვალება.—ქართ. მ-ზერ-ა, ჭან.-მეგრ. (ო-ძირ-უ, ძირაფა, ქართული შზე ამასთან უნდა იყოს შეკავ-შირებული.—მ-ზე, მეგრ. ბ-ჟა, ჭან. ბ-ჟორ-ა (=ბ-ჟა). სვან. მუ-ჟ. სვან. ღე-ჟ=აღმოსავლეთი, ჟა-ბე=აღმოსავლური ამ-ტვიცებენ, რომ მზე-ში და სხვ. მ არ არის ძირეული, არამედ თავ-სართი.

სირ = გაჭირვება, დაჭერა. ჭირი, სატვივარი | ქართ. კერ-ა, კირ-ი.

შუ=სიგ = ფიქრი, მსჯელობა.—ქართ. ჰკუა; სვან. ღი-ჰკვ-რი. კავ-შირი აქვს dug=ძი.—აგრეთვე ჭან. წვ.=ლაპარაკი. ქართ. წე. (ვ-უწეი)=ცოდნა. ჭან.-მეგრ. ჩქ=ცოდნა. (ჩემის ფიქრით ქარ. ც (ვი-ცი-ი შემოკლებული ძირი არის შგ=სგ=ცოდნა, სმენა.—სემერულშიაც შემოკლებული ზუ (=ზუგ?)=ცოდნას).

შუ = ხელი. სვან. ში, შინ=ხელი.

შუგ = ზრდა, სარკებლის მიცემა.—ქართ. ზღ-ვა (=payer), ზღვე-ნი > ძღვენი.—აგრეთვე რი-ცხ-ვი. რომ რიცხვის ძირი არის ცხ, ამას ამტკიცებს მეგრული მე-სხ-ი=რაოდენი, რა რიცხვი.—აგრეთვე ქართული წყ-ვა და სხვ.—კავშირი აქვს ამ ძირს სუმ. შიდ (=შიგ)=თღვა=სუღ=სუგ).—აგრეთვე სიტყვები ვა-ხმ-ი (=ვა-შხ-ი) და ვა-ხს-ი, სე-სხ-ება, არ არის სომხური.

სულ = შორეული, გრძელი.—სვან. ჯვედიას, ჩოდია=შორეული გრძელი.—შეიძლება კავშირი ჰქონდეს აგრეთვე ქართ. შორ-ი.

შუგ = ტბა, გუბე.—ქართ. ზღვა, მეგრ. ზულ-ა, სვან. ძუგა.—შეიძლება კავშირი ჰქონდეს სუმ. შებ=წვიმასთან, წყალთან,

როგორც ამბობენ ასსიროლოგები, შაკრამ ჩვენის ფიქრით  
ამას უფრო უნდა ჰქონდეს კავშირი სუმ. შაკ=ზღვარი, ზღუ-  
დე. ის. შაკ.

სუგ = მაღალი, წინ რაც არის. -იხილე საგ=თავი.

სუგ = სინათლე, ნათელი, ბრწყინა.—ქართული შუქ-ი. კავშირი აქვს  
სუმ. სიგ=ბრწყინა, ნათება.—ქართ. სხ-ივი, ბრ+წყ-უნა,  
ბრ+ჰყვიალი.—(ძარები შქ. სხ, წყ, კვ=ერთისა და იმავე  
მნიშვნელობისა).—

სუნ=შუნ = სიწმინდე, ბრწყინა.—ის. შინ=შვენ-იერი. შუიძლება ამა-  
ვე ძარისა იუოს ქართ. ჩინ. გამოაჩნდა, გამო-ჩენ-ა.

სურ=შურ = ჭირი, სატვიფარი. ის. სირ=ჭირ-ი, კერ-ა.

სურ=შურ : ის. სირ=ბრწყინა, ნათება, ქართ. მ-ზე, მ-ზერ-ა და სხვ.

სურ = შერევა(?)—მე ვფიქრობ ეს ნიშნავს ქართ. წურავს. არის სუ-  
შერეულად წინადადება: გალე გეშტენ სურარა, რომელსაც  
სთარგმნიან=კაცი ღვინის(?) შემრევი(?)—ჩემის ფიქრით  
უნდა ნიშნავდეს: კაცი ყურძნის მწურავი.—სუმერულად იგივე  
სიტყვა ნიშნავს სურ=კლავანა (გველზედ ითქმის).—ქართ.  
წურავ: გველივით ი-წურ-ება.—

სურ = გაღმოსხმა, სხმა.—აგივე ძარი. ქართ. წურავ.

შუდულ = უელა. ქართ. ძარი შდ, შთ(?)=ქართ. შთ-ობა, შთ-შთვილი.

ტ.

ტაბ = ბრწყინა, წვა.—ქართ. თბალი, სი-თბ-ო. სკან. ლი-ბდ-ნე  
(თბ=ღბ=ბდ).—ქართ. ბღინვა=წვა.

ტაბ = ტყუბი.—ქართ. ტყუბი, ტყუპი, ჭან. ტყუბი და ტუბი.

ტაგ = ტენ-ვა, შტვრევა.—ქართ. ტენ-ვა, მეგრ. ტახ-უა.

ტაგ = (ტიგ=დიგ)=წადება, ჰერობა, და-ტყუვება.—ქართ. ტყ=ტყუვა-  
აგრეთვე თხ, რტე.—თხ-მა=რტყმა. აქედან არის მატყ-  
ლი, ტყ-ავი და სხვ.

ტალ = ტყუბი. ამხანაგი.—ქართ. ცალ-ი, ტოლ-ი. აგრეთვე ჩემი

ფიქრით ამავე ძირისაა ქართ. — თან. შეგრულად იტყვიან: ჩემის-თანა=ჩქიმი ცალი. შეიძლება აგრეთვე ქართული—**დარი**; **ჭან**. **თერ-ი**. —

**ტარ** = **ჭრა**. — **გადაწყვეტა**. — ქართ. **ჭრა**. — სამართლის **გადაჭრა**, საქმის **გადაჭრა** = **გადაწყვეტა**. —

**ტავ** = **შეგრვა**, **ქსოვა**. — [**ტეკ**=**ბუდე**, **ტუკ**=**ტანისმოი**, **ქსოვილი**. — **შეკავშირებულია** ძირთან **ტე**=**დიგ**=**ტყვევნა**, **დაჭერა**, **რტემა**. — ქართ. **ტყავი**, **მატყლი**. შეიძლება აგრეთვე **სუშ**. **ტუბ**=**ქსოვილი**, **ტანისმოსი**=**შეგრ**. **თუხ-უა**=**სთვა**(?). —

**ტილ** = **სრული**. **მთელი**. ქართ. **მ-თელ-ი**, **ჭან**. **თელ-ი**.

**ტილ** = **ჯანსაღი**. **მ-თელ-ი** წარმოსდგება იმავე ძირიდან. ქართულ. **მ-თელ-ი**=**ჯანსაღი** და **მ-თელ-ი**=**სრული** ერთისა და იმავე ძირისაგან არიან.

**ტილ** = **სიცოცხლე**, **სიმართლე**. ქართ. იგივე ძირი **მ-თელ-ი**.

**ტილ** = **ტირილი**. ქართ. **ტირ-ილ-ი**.

**ტირ**: **ტერ**=**ხე**, **ტეე**. — ქართ. **ტევრი**. (ან შეიძლება **მ-ტილ-ი**?)

**ტუგ** = **შეძენა**, **პერობა**, **ქონება**. — იგივე ძირი **დიგ**=**პურა**-ბა. ქართული **ტყ**.

**ტუგ ემე ტუკუ** = **სიტყვის თქმა**. ქართ. ძირები: **ენის თქმა**. **იხ**. **დუგ**=**ლაპარაკი**.

**ტულ** = **პატარა**. — **ჭან**. **წულ-უ**=**პატარა**. აგრეთვე **ტურ**=**პატარა**, **შედი**, ქართ. **წულ-ი**, **ჭან**. იგივე **წულ-უ** **პატარა**.

**ტუმ** = **ზიდვა**, **მოტანა**. — ქართ. **მო-ტან-ა**.

უ.

**უბ** — **ამოხერკტილი რამ**, **ხერკელი**. — ქართ. **უბე**. — **იხ**. **აბ**. შეიძლება ამას აქვს რაიმე კავშირი:

**უბ** = **მხარე**. ქართულად **უბე**=**ხევი**, **ხოლო ხევი**=**მხარე**. — აგრეთვე **სუ-შერულად უბ-ის ღურსმულ ნიშანს აქვს სხვა ეჭვივალენტობა**: **არ**, **არა**, **არე** ეი ქართულად **სწორედ მხარესა** ნიშნავს.

**უდ** = დღის სინათლე, დღე.—იდეოგრამმა მზისა, რომელითაც ფონეტიური უდ-ის გამოხატული, აგრეთვე ნიშნავს ამოხვლას და ეს გვაფიქრებინებს, რომ ამ უდ-ს უნდა ჰქონდეს კავშირი სუმ. დუ=სიარულთან და აგრეთვე ქართ. ვიდ-თან. (ამოვიდ-ა მზე). შეიძლება ამასთან იყოს შეკავშირებული ქართული დილა(?) აგრეთვე დრო, მეგრ. ო-რდ-ო, არდე, ქაღდური (ალაროდიული) არდანი=მზე და სხვ.—სუმერულად აგრეთვე უდ, უდ-და=ოდეს, რცა. ქართ. ოდ-ეს. კიდევ ერთი ფონეტიური ექვივალენტი მზის იდეოგრამისა არის ტუ, ქართ. ძირი თ:—მ-თჷ-არე, სი-ნა-თ-ლე, სა-ნა-თ-ი, ნა-თ-ლეი და მრავალი წარმომდგარი სიტყვა ამ ძირიდან ქართულ-მეგრულ-ჭანურ-სვანურში.—აგრეთვე ქართული კავშირი თუ=სუმ. უდ უდ-და. ამასთანავე სვანური კავშირი ლახ=ოდეს არის ერთი ფონეტიური ექვივალენტობა იმავე იდეოგრამებისა!

**უდუნ** = სარდაფი, თხე.—ქართ. თონ-ე.

**უნუ** = სადგომი, დიდი სახლი, ადგილი.—ქართული ვანი, სა-ვანი-ე.

**ურ** = (ერი)=სქესობრივი ძალა, ორგანო სქესობრივი, კაცობა. ურ=ქალი, ურუ=ძლიერი.—ურ=მამა-კაცი მონა=ბიჭი. ურუ=შექმნა.—ქართ. ურა (ცხენი). აქედან.

**ურ, ურუ** = ქალაქი.—ქართ. ერი.

**ურ** = მიწის დამუშავება. ქართ. და-ურ-ვება, მე-ურ-ნე, მო-ურ-ავი.

**უმ** = მამალი, მამა-კაცი. ქართ. ვაჟ-ი. იხ. მუმ=გიშ.

**უსსა** = დასმა, დადება, დაყენება, დგომა. ქართ. ძირი. სვ, სმ.—და-ვ-სვ-ი, და-ს-მა, აგრეთვე მო-სვენ-ება, და-სვენ-ება. —ჭან. სჷა=ადგილი.

**უსუმ=უსუ** = ვეშაპი. ქართ. ვეშაპ-ი, სვან. ვიჩ (=სუმ. მუმ), ვიჩებ (=სუმ. უსუმ).

**უზუ** = ხორცი.—ქართ. ხორცი-ი. ამ სიტყვაში რომ დასწყისი არის ხ, ამან არ უნდა შეგვაჩეროს, რადგანაც ქაღდურშიაც (ალაროდიულში) ხორცი=ხუსუ. ქართულში ხშირად სწილდება ხოლმე სიტყვის დასწყისში ხორხის ბგერა: ჭან. ყურძენი=ურძენი, ყუჯი=უჯი. აგრეთვე რ ხორცის შუაგულში არაფერს ამტკი-

ცემის ჩვენის შედარების წინააღმდეგ. ხშირად არის ხოლმე ეს რ-ც სიტყვის შუაში და იგი ძირეული არ არის: კუ=კუკუ, ჰქუა=ჰრქვა და სხვ.—თუ კი ამ უზუსტ კავშირი აქვს სუმ. სუ=სხეული, მაშინ შეად. ქართ. ასო ს.

ზ, ც.

ზაგ = მუხლი. იხ. დუბ, აგრეთვე ქვემოდ ზიბ.—ქართ. ჩოქ. სვან. ჩვექ.

ზაგ = კარგი (ზაგ=თაფლი). იხ. დუგ, აგრეთვე ქვემ. ზიბ.—ქართ. ჯობ, შტგ. ჯგ.

ზაგ = შუბლი, თავი, წვერი.—ქართ. ძირები: სხ, ცხ, თხ და სხვ.—იხ. საგ. აქ უნდა შევნიშნოთ რომ შეიძლება ქართული თავ-იც (შეგრ. დუღ-ი) იმავე ძირისა იყო როგორც თხე-ში, რად-განაც, როგორც უკვე დავინახეთ, ხშირად სუმერულში და მსგავს ქართულს სიტყვებში გ, ბ > გ. სუმ. საგ, ზაგ=ქართ. ძირი ცხ, სხ > თხ=თვ(?) ქართ. თავი. ხოლო სუმერულში აგრეთვე გ=დ. სხ > თხ=თდ=დ(?) (შეგ. დუღ-ი).

ზაგ = გვერდი, საზღვარი.—შეგრული ძუა=გვერ-დი. ქართ. ზღვ-არი, სა-ზღვ-არი, ზღუ-დე, აქედან უნდა იყოს ქართ. ზღვა, მეგრ. ზულ-ა, სვან. ძუგ-ა.

ზაგ=ზიგ (=სიგ)=ა ცემა (ვე-ც-ი), წინ წაწევა.—სიგ=რქა (რაც წინ არის).—აღბად შეკავშირებულია სუმ. დიბ=მოსვლა, მოწვევა.—ქართ. წვევა (წვ>სგ). მო-წვენა, მო-ი-წი-ა, აქედან უნდა იყოს) წი-ნ, აგრეთვე წვ-ერ-ი.—შეიძლება კავშირი ჰქონდეს ამ სუმ. ზაგ, ზიგ, საგ-ს=სუმ. საგ (სიგ)=თავ-თან., აგრეთვე სიგ=მი-ცე-მა-სთან, ჩუქ-ებასთან.—შეად. აგრეთვე ა-წი. აგრეთვე წოდ, წვად: მი-წოდ-ება, გა-წვად-ა. საკვირველია, რომ იგივე პროცესი უნდა განეწოდ ფონეტიურად წოდება-ს=ძახ-ილი. (წდ>ახ?). ხ) პრინციპი სიტყვებისა, სული. ქართ. ძირი ცხ: ცხოველი, სი-ცო-ცხ-ლე. ჭან. აქედან არის ცხვ-არ-ი, ჭან. ჩხუ-რი და სხვ. ჩემის ფიქრით ეს ძირები სხვა და სხვა უნდა იყოს, მხოლოდ ფონეტიურად მსგავსი.

ზაგ = მარჯვენა ხელი.—ქართ. მარ-ჯვ-ენ-ა, მეგრ. მარ-ძგვანი. (ქართ. ჯ=მეგრ. ძგ).—არ ვიცი რას ნიშნავს მარ პირველი ნაწილი

- ქართ. მარჯვენისა და მეგრ. მარ-ძგვანისა.—კავშირი უნდა  
ჰქონდეს სუმ. ზაგ=გვერდთან და მეგრ. ძგა=გვერდთან.—
- ზაგ = საკურთხეველი.—ჩემის ფიქრით კავშირი აქვს შაგ, შიგ=წმინ-  
და, მოწყალე.—მეგრ. ჯეგ=წმინდა(?) ჯემ გიორგი=წმინ-  
და(?) გიორგი.
- ზალ (ვალ)= შეწვა, წვა —იზალ (იცახ, იცი=ცეცხლი).—ქართ. ცხ, შხ,  
ჩხ, წვ. იხ. სალ=წვა.—ქართ. ცია, ციაგი, ცე-ცხ-ლი და სხვ.
- ზემ (ცემ)= მიცემა.—[ძირი სიგ=ქართ. ჩუქ.]. ქართ. მი-ცე-მა, მეგრ.  
მე-ჩა-მა.
- ზემ (ცემ)= ძირს დარტემა, ძირს დაცემა.—(ძირი აგრეთვე საგ=დაბ-  
ლა, ძირს უოფნა).—ქართ ცე-მა. შეიძლება სიგ=მიცემა და  
საგ=დაბლა უოფნას, ტკივილს (ქართ. ტკ. წუ-ენა და სხვ.),  
დაცემას ჰქონდესთ რაზე დამოკიდებულება ურთი-ერთთან, რო-  
გორც ქართ. მი-ცე-მას, და-ცე-მას, ცემას.—აგრეთვე სიგ=  
წინ წამოწევა=ცემა (ვე-ც-ი)-სთან.—იხ. ზაგ=ზიგ (სიგ)=  
ცემა, მოწევა.—აგრეთვე ღიბ=მოსვლა, მონახვა.
- ზიბ = მუხლი, იხ. დუბ, ზაგ.
- ზიბ = კარგი, იხ. დუბ, ზაგ.
- ზიბ = მოსპობა, სუსტი ხმით ღაპარაკი.—კავშირი აქვს ღიბ=ღიგ=  
ქართ. ტუვეენა, წუ-ენა, ტკივილი და სხვ.—შეიძლება აგრეთ-  
ვე წუხ-ილი, რადგანაც სუმერულად ესევე ზიბ=სიბნელეს,  
საღამოს, ქართ. მ-წუხ-რი. (ქართ. ძირები: ტუ, წუ, ტკ,  
წხ და სხვ. (მეგრ.-ქან. ე.).
- ზიდ = მართალი, ჭეშმარიტი.—კავშირი აქვს ზაგ=მარჯვენა ხელთან.  
ხოლო მასხადამე ცნება სიმაართლისა ჭეშმარიტებისა, სიმა-  
რჯვისა უოფილა ქართ. ძირში ვუ>მეგრ. ძგ-ში.
- ზიგ = ა) წინ წამოწევა, ცემა, ბ) სიცოცხლის ჰრინცივი და სხვ.—იხ. ზაგ.
- ზიგ = ბრწყენა.—(სიგ).—ქართ. სხ-იგ-ი.
- ზიგ = სიმაღლე და სხვ.—იხ. საგ=თავი.
- ზირ = ჭირში ჩაყარდა.—იხ. სირ. ქართ. ჭირ-ი და სხვ.
- ზუ (ცუ) = ცოდნა.—ქართ. ცოდნა, მეგრ. ძირი ჩქ.—პირველ უოფი-  
ლი ძირი უნდა უოფილიყო სუმერულშიც ზგ. ქართულიც შე-  
მოკლებული ძირია ვი-ც-ი. (ღ=ცდ=სუმ. ცგ (ცდ)=მეგ. ჩქ.)

ამით ვათავებთ ჩვენს შედარებას. ეს შედარება შემოკლებულია. უფრო ვრცელად დაწერილი გვაქვს ინგლისურ ენაზედ, ხოლო გამოცემა მისი ბევრ მიზეზისგან არის დამოკიდებული. აგრეთვე განზრახული გვაქვს ქართულად მოვეუთხროთ მკითხველს მოკლე ისტორია ასსირიოლოგიისა და შედარება ქართულისა და ლურსმულ წარწერათა ენების, უპირველეს ყოვლისა—ამავე სუმერულისა. მაგრამ ამ განზრახვის სისრულეში მოყვანასაც ბევრი რამ უშლის ხელსა.--

რასაკვირველია ბევრი შეცდომა იქნება და არის კიდევ ალბად ამ ჩვენს შედარებაში, მაგრამ ამ შეცდომებს თავიდან ვერ ავიცილებდით ბევრის მიზეზისა გამო. უპირველეს ყოვლისა არ არის გამოკვეთილი ფონეტიკა სუმერულისა და შესწავლილი ისე, როგორც ფონეტიკა სხვა მკვდარ და ცოცხალ ენათა, რომელნიც ანბანსა ხმარობდნენ და არა ლურსმულ წერილსა.—ამასთანავე თვით ქართულის გამოკვლევაც არ არის დამთავრებული. გმირი ქართულის ფილოლოგიისა, პროფ. ნიკოლოზ მარჩი თითქმის ერთია ამ თვალ-უწვდენელ მეცნიერულ კვლევის ველზედ. ერთს აღმაიანს კი, რაც თუ გინდ აუარებელი ცნობა ჰქონდეს, რაც თუ გინდ დიადი ნიქის პატრონი იყოს, არ შეუძლია სავსებით ამოსწეროს მთელი მასალა მეცნიერებისა და გადაამუშავოს იგი მეცნიერულ კეშმარტებად:—კიდევ ერთ უმთავრეს მიზეზთაგანი აქ შესაძლებელ ბევრ შეცდომათა არის თვით ჩვენი პირველი გამოუცდელიობა მეცნიერულ კვლევა-ძიებაში. მაგრამ როგორც არ უნდა იყოს ღირებულება ამ წერილისა იგი მაინც პირველი ცდაა სისტემატიურად ქართულისა და სუმერულის შედარებისა, და თუ ენათ-მეცნიერების ნამდვილნი მსახურნი სიმართლის ნასახს ნახვენ მასში და სუმერულისა და ქართულის მკიდრო ნათესაობას მეცნიერულ საფუძველზედ თვითონ დაამყარებენ, აქედან ბევრი ისეთი რამ გამომდინარეობს, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთელის მსოფლიო ისტორიისათვის და კერძოდ ჩვენის ქართულის ისტორიისათვის და ერისათვის. თუ კი ქართულისა და სხვა ლურსმულ წარწერათა ენების ნათესაობაც დამტკიცდა, მაშინ მართლდება დიდი ჰიპოთეზა რაულინ-

სონის „სკვითებისა“, რომელთაც უძველეს დროს უნდა სკეროდესთ მთელი წინა აზია და რომელნიც უნდა ყოფილიყვნენ წინამორბედნი შემქმნელნი სემიურ და არიულ კულტურისა. ხალხო სახელი ამ ხალხისა უნდა იყოს მაშინ „ქართული“ და არა „სკვითი“. — მართლდება აგრეთვე ჰიპოთეზა ჰომელოსა და სხვა მეცნიერთა, ანთროპოლოგთა და ისტორიკოსთა, რომელთაც სწამსთ არსებობა აქ დიდ რასისა, სემიელთა და არიელთ წინა-მორბედისა წინა-აზიაში, რომელიც თვით ევროპაში გადასულა, ეტრუსკების სახელით უცხოვრია იტალიაში, სადაც მას დაუარსებია თვით დიდი რომის კულტურა. ირკვევა ამასთანავე ბევრი რამ ევროპის იბერობისა, პელაზგებისა და სხვათა შესახებ.

ჩვენის ფიქრით აგრეთვე თვით ქართულის კვლევისათვისაც აქვს მნიშვნელობა სუმერულის კვლევისა და ქართულთან შედარებას. ბევრი ისეთი რამ, რაც გამოურკვეველია ქართულში, ნათელი ხდება სუმერულთან შედარების შემდეგ: ბევრი უცნაური მსგავსება ძირთა, რომელთ მნიშვნელობას არავითარი მსგავსება არ აქვსთ ერთმანეთში, ბევრი უცნაური ფონეტური მსგავსება ძირთა და მათთან ერთად მათ მნიშვნელობათა, ბევრი სხვა ფონეტიური მოვლენა, ბევრი მოვლენა თვით ენის აგებულებისა, თვით ხასიათი ძირთა, რომელიც ჩვენის ფიქრით სუმერულივით ორ-უხმოიანია, აგრეთვე ირკვევა ბევრი რამ ქართველი ერის უძველესის ისტორიიდან.

თუ კი დავაფიქრეთ მაინც მკითხველი ამ საგანთა შესახებ, ამით ჩვენს მიზანს განხორციელებულად ჩავთვლით, თორემ მეცნიერული სისწორისა და შეურყევლობის პრეტენზია სრულიადაც არა გვაქვს.

დასასრულ დიდ მადლობასა ვსწირავ ჩემს გულითად მეგობრებს სტ. ვუკოლ ბერიძესა და ბ-ნ თედო სახოკიას, რომელთაც ამ წერილის წერის დროს მრავალ-მხრივი ცნობა მომაწოდეს.

მ. წერეთელი

1912, 3/16 აპრილს

ჭაიდელებერგი







სოქოქლე

# ოქლიპოსს მეფე

თარგმანი ბერძნულით ვებ. ქავთარაძისა



მომქმედნი პიონი:

ოადიპოს	ქურუმი
კრუნ	ხორო თებელ მოხუცთა
იოკასტე	ტირეზია
მოამბე	შწყესი
შულტა.	

**ოადიპოს**    ო, ყრმანო, ძველის კადმოსის შვილნო,  
 რისთვის მოსულხართ ჩემის კარის წინ  
 და რას მავედრით შტოებით ხელში?  
 გუნდრუკის კვამლი ნისლავს ქალაქსა,  
 ყველგან გაისმის გლოვის ხმა, ზარი.  
 არ მსურს ვუსმინო სხვა მოამბეთა,  
 თვით თქვენ მითხარით,—სახელოვანი  
 თქვენ გთხოვსთ ოადიპოს, ყველგან ცნობილი.  
 მაშ სთქვი, მოხუცო,— რათგან შეგშენის  
 შენ ლაპარაკი ხალხის მაგიერ,—  
 რამ მოგიყვანათ თქვენ ჩემს წინაშე:  
 შიშმა თუ ტანჯვამ? მსურს ყველაფერში  
 შემწედ მიგულვოთ. გულ-ქვა მიწოდეთ,  
 თქვენი ვედრება თუ არ ვისმინო!

**ქურუმი**    ო, მბრძანებელო ჩემის ქვეყნისა,  
 ხედავ შენს ბომონს გარე ვუსხედვართ  
 დიდი-პატარა: აგერ ყრმა ჩვილი,

აგერ მოხუცი წელში მოხრილი,  
მეც ძევსის ერთი ბერი ქურუმი  
და ეს კაბუკნი, მთხრობლად რჩეულნი.  
და მთელი ხალხიც შტოებით ხელში  
იქ მოედნებზე დაჯარებულა,  
გარს ახვევია პალლას ტაძართა  
და ისმენოსის საკურთხეველსა.  
თვით ხედავ, ქადაგს საშინელი რამ  
ბედი მოელის,—სისხლის ნაკადმა  
ლამის წალეკოს, მიწის ნაყოფი  
მოსპო, გააქრო, მინდვრათ ნახირთა  
მუსრი გაავლო, ყრმანი მოსწყვიტა  
დედათ საშოში!.. ღმერთი ცეცხლისა,  
კირი საზარი, აოხრებს ქალაქს,  
კადმოსის სახლსა. და ჰიდესი  
კენესა ტირილსა გარემოუცავს.

შენ მოგაშურეთ არა იმიტომ  
ღმერთად მიგვაჩნდე, ღმერთს გადარებდეთ;  
მაგრამ კაცთ შორის შენ პირველი ხარ  
ცვალებად ბედთან გასამკლავებლად.  
მოხვედ რა კადმოსს, შენ მოსპე ხარკი,  
რასაც ვაძლევდით სასტიკ მგოსანსა.  
კაცთ დაუხმარად, ღვთის შთაგონებით  
შენ დაგვებრუნე ბედნიერება.  
ასე ბჭობს ხ ლხი ახლაც, მძლეთა მძლე,  
შენ გე ედრებით, კვლავ ხსნა გვიჩვენე,—  
ღვთით ან კაცთაგან გეცოდინება.  
ქირ-გამოვლილთა ვაჟკაცთა ბჭობა,  
ვიცი, წინდია ბედნიერების.  
ნულა აყოვნებ, სწორ-უპოვარო,  
იხსენ ქალაქი! წარსულ ღვაწლისთვის

მხსნელად გთვლის ხალხი! დე, მოგონებას  
შენის უფლების ნუ მოგვიშხამავს  
ამ ქირში ყოფნა! და ვით მას ჟამსა  
ბედი გვარგუნე, ახლაცა გვედრებთ,  
გვეყავი მხსნელად. და თუ გსურს კვლავაც  
ფლობდე ქვეყანას, უმჯობესია  
ხალხსა ეუფლო, ვიდრე ნაოხარს,  
პარტახსა მიწას: არად ღირს ციხე,  
გინა ხომალდი, ცალიერ-ქმნილი,  
უკეთუ ხალხი შიგ აღარ ცხოვრობს!

**ოხდობოს**

საბრალო შეილნო! მე ყველა ვუწუი,  
რასაც მავედრით, ვიცი, სასტიკად  
თქვენ იტანჯებით, მაგრამ ვერც ერთის  
ტანჯვა ჩემს ტანჯვას ვერ შეედრება.  
თქვენ სადარდელად თქვენი თავი გყავსთ,  
მე კი—ქადაგი და თქვენ ყველანი.  
არა ძილში მყოფ თქვენ მომისწართ,—  
მერწმუნეთ, ბევრი ცრემლი მიღვრია,  
ბევრი სიმწარეც მიგემებია  
იქვებით დევნილს. ერთად-ერთი გზა  
ვპოვე სახსნელი და მას მივმართე.  
პითონის ტაძრად კრეონ წარვგზავნე,  
რათა შეპკითხოს მენოიკეს ძემ  
შუქ-მფინარ ღმერთსა, რა მოვიქმედო,  
რა აღთქმა დავდევა, რა ხალხი ვიხსნა?  
მაგრამ კრეონსა დღესაც ვერ ვხედავთ,  
თუმცა დრო არის დაბრუნებისა.  
ხოლო როდესაც პასუხს მოგვიტანს,  
ბოროტად მრაცხეთ, თვარ აეასრულო  
გამომიცხადებს რასაცა ღმერთი.

- ქურუმი** ეგ კარგი გვითხარ: ეს არის მამცნეს  
კრეონი უკვე გვიახლოვდება.
- ოადიპოს** დიდო აპოლლო! ნეტა მისს მოსვლას  
ჩვენი ბედი, ხსნა თან მოჰყვებოდეს!
- ქურუმი** ეტყობა ფრიად მხიარულია—  
თავ-დადაუნული გვიახლოვდება.
- ოადიპოს** ეხლავ გავიგებთ. მე ხმას მივაწვდენ.  
ბატონო ჩემო, ჩემო ცოლის-ძმავ,  
მენოიკეს ძევ, რა ამბავს იტყვი?
- კრეონ** სასიხარულოს, რათგან თვით ტანჯვას  
ღიმით შევხვდები, თუ ბედს გვარგუნებს.
- ოადიპოს** გარკვევით გვითხარ შენი სიტყვები  
მე არც მამხნეებს და არც მგერის შიშსა.
- კრეონ** თუ გსურს, აქ გეტყვი ხალხის წინაშე,  
მზათ ვარ აგრეთვე შეგყვე დარბაზში.
- ოადიპოს** აქ სთქვი. ამათთვის უფრორე ვზრუნავ,  
ვიდრე ტანჯულის ჩემის სულისთვის.
- კრეონ** მაშ ვიტყვი, რასაც გვიცხადებს ღმერთი.  
მეუფე ბრძანებს: განიწმიდნით,  
თქვენს ქვეყანასა აღხოცეთ ბიწი  
და ნულა ჰყვებავთ უკურნებელ სენს.
- ოადიპოს** რით განვიწმიდოთ? რა სენი გემუსრავს?
- კრეონ** მკვლელი განვდეინოთ, შური ვიძიოთ,  
რათა უბრალოდ მოკლულის სისხლი  
ქალაქს შავ-ქირად არ მოუვლინოს!
- ოადიპოს** მერე ვის ბედზე გვანიშნებს ღმერთი?
- კრეონ** მეფე, ლაიოს გეყავდა ბრძანებლად,  
სანამ ჩვენს ქალაქს შენ მოხვიდოდი.
- ოადიპოს** ვიცი, მსმენია, თუმც არ მინახავს.
- კრეონ** ლაიოს მოჰკლეს. ეხლა, ცხადია,  
ღმერთი გვიბრძანებს მკვლელი მოვნახოთ.

- ოადიპოს** სად არის მერე? ან სად მივაგნოთ  
ძნელად საცნობ კვალს ბოროტებისას?
- კრეონ** ზველელი ჩვენ შია. ჰპოებს, ვინც ცძებს,  
და იკარგება, არ ვეძებთ რასაც,  
გვიბრძანებს ღმერთი.
- ოადიპოს** სად მოჰკლეს მეფე?  
შინ თუ მინდვრადა ან უცხო მხარეს?
- კრეონ** თვით უთქვამს—პითონს ის მიდიოდა,  
შინ კი აღარა დაბუნებულა.
- ოადიპოს** ნუ თუ მზღებელი არვინ გადარჩა,  
რომ ამ საქმეში დაგვხმარებოდა.
- კრეონ** ყველანი დაწყდნ, გაიქცა ერთი,  
თუმც სანუგეშოს ვერაფერს ამბობს.
- ოადიპოს** მაინც რას ამბობს? მკირე კვალიც კი  
საკმაო არის, ოღონდ იპედი  
არ წარვიკვეთოთ.
- კრეონ** იგი გვიამბობს,  
თითქო ლაიოს ყაჩაღთ ბრბომ მოჰკლა  
და არა ერთმა.
- ოადიპოს** ვით გაბედავდა  
ყაჩაღი მოკვლას, თუ მოსყიდული  
არ იყო აქვე?
- კრეონ** აგრე ვფიქრობდით,  
მაგრამ მოკლულის სისხლის ამღები  
არვინ აღმოჩნდა უკულმართ ღროში.
- ოადიპოს** რამ დაგიშალათ სისხლის აღება,  
როს მეფის ძალა ასე გათელეს?
- კრეონ** ეგ დაგვაფიწყდა, რაკი ახალი  
სწინქსმა ჩვენ კირი თავს დაგვატეხა.
- ოადიპოს** მე კი მსურს ისევ საქმეს შევეუდგე.  
ლღეს ღირსეულად ღმერთმა და შენცა



მოკლულისათვის ზრუნვა ითავით.  
თქვენ მოკავშირედ აწ მეც მიგულვით.  
ვიძიებ შურსა ღეთისთვის, ქვეყნისთვის,  
შევმუსრავ მტერსა და ამ საქმეში  
ჩემთვისა ვზრუნავ, არა სხვისათვის,  
რათვან, ვინც მოჰკლა მეფე ლაიოს,  
მეც იმავე ხელით ბოლოს მომიღებს.  
ამით მეფისა სისხლსაც ავიღებ,  
ჩემს თავსაც ვარგებ. მაშ, აღსდგე ხალხო,  
სავედრებელნი შტონი ხელთ იღე!  
კადმოსელთ ვინმემ აქ მოუწოდოს.  
ვასრულებ აღთქმას. ღმერთის შეწევნით  
ან ბედს ვეწვევით, ან მთლად გავწყდებით.

**ქურუმი**

აღსდგეი ხალხო! მეფემ ისმინა  
ჩვენი ვედრება! აპოლოო იყოს  
წინამეტყველი მხსნელი ხალხისა  
და აგვაშოროს თავითვან ქირი!..

**ხორო**

**სტროფი ა.**

ოქროთი მდიდარ პითონით ტკბილ-მეტყველ ძევსის ხმა გვესმა!  
ტურფა თებას რას უქადის?  
მსურს მივსწვდე შენსა განგებას, ზარ-დაცემული ვკანკალებ,  
დელოსის მეფევ, აპოლოო!  
შიშით ველი, რას გვიქადი: ახალს რასმე,  
თუ იმასვე კვლავ, რაც ქამთა სრბოლას უკვე შთაუნთქავს?  
მარქვი, ძვე ოქროს სასოებისა, უკვდავი სიტყვა.

**ანტისტროფი ა.**

პირველს შენ გვედრი უკვდავს, ძევსის ასულო ათინა,  
და შენს დას, მიწის მფარველსა,  
არტემისს, მრგვალ მოედანსა ელვარე ტახტზედ მჯდომელსა,

და აპოლოს მშვილდოსანსა,—

სამივე მე მხსნელ-მფარველად გამომიჩნდით.  
ვითა ერთხელ ქალაქს უკვე ააცდინეთ განსაცდელი,  
კვლავაც ისე დამიფარეთ, მომაშორეთ ქირთა აღი!..

### სტროქი ბ.

ო, ღმერთნო, ურიცხვს ტანჯვას განვიციდი,  
ოხრავს და კვნესის ყოველი სული,  
სახსნელი გზა კი ვერ მიპოვნია...  
ნაყოფი მიწის აღარ იზრდება,

ველარც დედანი მშობიარობის უძლებენ ტანჯვას,  
და ვითა სირნი, მკვირცხლად მფრინავენი, ტანჯულნი სულნი  
ელვის უსწრაფეს მწუხრის ქვეყანას მიისწრაფვიან.

### ანტისტროქი ბ.

იღუპება ამოდენა ქალაქი,  
ბავშვნი ჰყრიან უმოწყალოდ მიწაზედ  
და სწამლავენ სასიკვდილოდ ჰაერსა...  
აქეთ ცოლნი, იქ ქალარა დედანი  
გარს არტყიან საკურთხეველს ტირილით  
და შესთხოვენ ხსნას საშინელ ტანჯვისგან.  
მწყობრად ისმის ნაღვლიანი გალობა...  
ძვესის ოქრო-ასულო,  
მოუვლინე მათ შვეება!

### სტროქი ბ.

ძლიერი არეს, უზუჰ-უაბჯრო, თავზარ-დამცემი,  
ცეცხლით რო მდაგავს, გვედრებ დამხსენი.  
სამშობლოს გარე მიეცი ბინა:  
ან ამჭიტრიტეს  
ღიად დარბაზში,

ან ხომალდთ მსხვერველ  
თრაკიის ზღვაში.  
რაც ღამეს რჩება,  
იმას დღე მუსრავს.  
ალ-ცეცხლის ღმერთო,  
ქუხილთ—მეუფევე,  
ძველ ძლიერო, შემუსრე ელვით!

### ანტიბაროქი ზ.

ბრწყინვალე ღმერთო, მშვილდი ოქროსი ხელთ მოიმარჯვე,  
ზასრნი ისარნი ჩემდა სახსნელად სტყორცნე ჩემთ მტერთა,  
ცეცხლის ჟინჟილნი არტემისისა,  
ლიკიის მთებში რო მიჰქრის-მოჰქრის,  
მომეც სანათად.  
ვუხმოზ ბახუსსაც,  
ქვეყნის მფარველსა,  
მხიარულს, ღვინით  
გალაღებულსა,  
მენადთ მეგობარს,  
დადაგოს ცეცხლით  
კეთილ ღმერთთ შორის სასტიკი ღმერთი!

**ოჯდიპოს** რასაც თქვენ ითხოვთ, აგისრულდებათ,  
მოგველინებათ შეება, საფარი,  
თუ ჩემის რჩევით ღმერთს გაუგონებთ.  
მე არა ვიცი არც მკვლელობისა,  
არცა რა მკვლელთა და ვით ღა ძალ მიძს  
გამოძიება, თუ კვალს ვერ ვხედავ.  
თქვენ კი კადმოსელთ გიცხადებთ ყველას  
თქვენს უგვიანეს ქალაქს მოსული:  
თუ ვინმემ იცის, ვინ მოაკვდინა

ლაიოს-მეფე, ლაბდაკოსის ძე,  
ვბრძანებ ნუ მალავს, გატყდეს უშიშრად,  
თუნდ თვითონ იყოს მკვლელი მეფისა;  
არაფერს ვავენებთ, მხოლოდ განვდევნით  
ჩვენის ქვეყნიდან. და თუ რომ მკვლელი  
უცხო კაცია, ნუ დაძიმალავთ,—  
მთქმელს დავუმადლებ და მეფურადაც  
დავაჯილდოებ. მაგრამ თუ მკვლელსა  
სასჯელის შიშით ან მეგობრობით  
ხელს დააფარებთ, რისხვას ელოდეთ.  
მე, მეფე თქვენი, გიბრძანებთ ყველას  
თავშესათარი არ მისცეთ მკვლელთა,  
არ მიესალმოთ, არც მიიკაროთ  
თქვენს სალოცავში, არც საზორავში,  
წყალსა ნაკურთხსა ნუ მიაწოდებთ;  
ვით ბიწიერნი განდევნეთ ყველაჟ,—  
ამას მიცხადებს ჰითონით ღმერთი.  
მსურს ამ საქმეში მოკლულ მეფესა  
და ღმერთს გავუხდე მე მოკავშირედ.  
თქვენც მოგიწოდებთ, ისმინეთ ჩემი,  
იძიეთ შური ჩემთვის, ღვთისათვის  
და აოხრებულ თქვენის ქვეყნისთვის.  
მოგიკლესთ მეფე სათნო, კეთილი,—  
სისხლის აღება ვალია თქვენი,  
თუნდ არ იცოდეთ განგება ღვთისა.  
მეფემ წამებით დალია სული,  
და ღღეს, როს მე ვარ იმის მემკვიდრედ,  
მისი მეუღლე ცოლად შემირთავს  
და თუ ღმერთს მისთვის შვილი მიეცა,  
ვფიცავ, მამობას მე გავუწევდი,—  
ღღეს მსურს იმისთვის თავი გავსწირო,

ვით საკუთარის ჩემის მამისთვის,  
ვცადო ყოველი, მივაგნო მკვლელთა  
და ლაბდაკიდის, პოლიდოროსის,  
ძველის კადმოსის და აგენორის  
შთამომავალის სისხლი ავიღო.  
ურჩთათვის შევთხოვ მოწყალე ღმერთებს  
ნუ აღირსებენ მათ მიწის ნაყოფს,  
ნურც იმათ ცოლთა შვილიერობას,  
წილად არგუნონ სვე უარესი!  
ვწყევლი მე მკვლელთა, ვინც უნდა იყონ,  
დეჲ უკეთურთა, ვერაგთა განვლონ  
ტანჯვა-წვალებით ცხოვრების გზანი!  
თვით ვიყო წყეულ-შეჩვენებული,  
თავსა დამატყდეს რისხვა ღმერთების,  
თუ ჩემთან ჰერ-ჰევშ აღმოჩნდა მკვლელი!  
თქვენ კი კადმოსელთ, ვინც თანამიგრძნობთ,  
სიმაართლე გქონდესთ ძიების საგნად  
და უკუნითი გწყალობდესთ ღმერთი.

**ხორო** მეც გიპასუხებ, რომ არ მწვდეს წყევლა:  
მე არც მომიკლავს, არც მკვლელი ვიცი.  
მკვლელი ამხილოს თვითონ აპოლომ,  
ვინც კისრად დაგვდვა ეს მძიმე ვალი.

**ოადიპოს** ეგ მართალია, მაგრამ არ ძალგვიძს  
ძალით გავიგოთ ღვთის საიდუმლო...

**ხორო** კიდევ გეტყობი...

**ოადიპოს** სთქვი ყველაფერი,  
ნუ დამიმალაე.

**ხორო** გამოცდით ვიცი,  
რო ტირეზია წინასწარ თქმაში  
უდრის აპოლოს. მოვიხმოთ აქა,  
გვეტყვის ყოველსა, რასაც შევკითხავთ.

**ოადიპოს** მე დაგასწარით: კრეონის რჩევით  
ორჯერ შიკრიკი ვაფრინე მასთან  
და მიკვირს ფრიად რათ იგვიანებს!..

**ხორო** მაშ, ის ამბავი ქორი ყოფილა...

**ოადიპოს** სთქვი, რა ამბავი?

**ხორო** უბნობდენ, მეფევე,  
თითქო ლაიოს მგზავრებას მიერ  
იყოს მოკლული.

**ოადიპოს** მოწამე არ სჩანს.

**ხორო** თუ მისს გულს ოდნავ სჩვევია შიში,  
შენს წყევლა-კრულვას ველარ გაუძღვებს.

**ოადიპოს** ვინც ქმნას არ შიშობს, სიტყვა ვერ აკრთობს.

**ხორო** აჰა გამოჩნდა, ვინც მკვლელს ამხილვებს.  
მოჰყავთ მოხუცი, ვინც კაცთა შორის  
ერთია მკოდნე ქეშმარიტების.

**ოადიპოს** ო, ტირეზია, ყოვლის მხილველო,  
ფარულის, ცხადის, ზესკნელ-ქვესკნელის!  
მთელი ქალაქი, დღეს ქირში მყოფი,  
შენ შემოგყურებს მხოლოდ, მეფეო,  
ვითა ერთად-ერთს მხსნელს და მფარველსა!  
გაგეგონება ჭებემ გვიბრძანა  
მკვლელნი მეფისა აღმოვაჩინოთ,  
ან განვაძეოთ ჩვენის ქვეყნითგან,  
ან მოვაკვდინოთ, სისხლი ავილოთ,—  
ეს არის ჩვენი ხსნა ერთად-ერთი.  
გვითხარი ყველა, თუ იცი რამე  
ან ფრინველთ ფრენით, ან კიდევ სხვა გზის...  
ჩვენ შენს ხელთა ვართ: იხსენი თავი,  
იხსენ ქალაქი, მეც დამიხსენი  
და განსაცდელი თავს აგვარიდე.

- უცხო ხვედრია, როს შეგიძლია  
მოყვასთა შენტა ექმნე მარგებელ.
- ტირეზია** რას ვაქნევ, ვაგლახ, წინასწარ გრძნობას,  
თუ კი არ ძალ მიძს თქვენ დაგეხმაროთ.  
ეს ხომ ვიცოდი და რათ მოვედი?!
- ოადიპოს** რაო? მქმუნვარე ეგრე რათ მოხვედო?
- ტირეზია** გამიშვი, წავალ, ეს ორთავესთვის,  
მერწმუნე, მეფევე, უმჯობესია.
- ოადიპოს** ეგ რა სიტყვა სთქვი მცდარი, უმართლო!  
არ გსურს სამშობლო შენი დაიხსნა!
- ტირეზია** ვხედავ, მეფეო, შენი სიტყვები  
შენვე დაგლუპავს. მეც ვშიშობ...
- ოადიპოს** ჩქარა,  
გვითხარი, ნულა აყოვნებ, ყველა  
მუხლ-მოდრეკილი შენ გევედრება.
- ტირეზია** ყველა შეშლილა. არაფერს ვიტყვი,  
არც გავამჟღავნებ შენს სვეს უბედურს.
- ოადიპოს** რაო, არ იტყვი? მაშ, შენ გნდომია  
მოსპო ქალაქი, დამლუპო მეცა!
- ტირეზია** აგაცდენ წყენას შენც და ჩემს თავსაც.  
ამაოდ მკითხავ, ვერ მათქმევიანებ.
- ოადიპოს** ავო მოხუცო, ეგ უჯათობა  
ქვას გააბრაზებს! ნუ თუ არ იტყვი  
და ულმობელი იქნები კვლავაც?
- ტირეზია** ჩემს უჯათობას სასტიკად ჰკიცხავ  
და შენს ცუდს ზნესა კი ველარ ამჩნევ.
- ოადიპოს** ვით ძალმიძს მშვიდათ ვუსმინო იმას,  
ვინც უბატოდ ეპურობა ქალაქს!
- ტირეზია** მოსავეალია, თუნდაც გაფრუმდე.
- ოადიპოს** მაშ, რათ აყოვნებ, ბარემ გვითხარი.

**ტირეზია** კრინტსაც არ დავძრავ, შენ კი, თუ გნებავს, უფრო გაბრაზდი.

**ოადიპოს** მე თუ გავბრაზდი, რაც, ვიცი, ყველას გამოვამყლამენებ. შენა ხარ, გესმის, მოხუცო, მკვლელი, მონაწილე ხარ მეფის მკვლელობის, თუმც არ მოგიკლავს საკუთარ ხელით! ბრმა რომ არ იყო, მართლად მკვლელობასაც დაგაბრალებდი.

**ტირეზია** ნუ იტყვი! მაშ, მე იძულებულ გყოფ შენვე სრული ჰყო შენი ბრძანება. აღარ გავვცე ხმა შეე ავაზაკო ამა ქვეყნისა!

**ოადიპოს** ურცხვი ყოფილხარ! მე რო ცილს მწამებ, აწ რით ღა ფიქრობ გადურჩე სასჯელს?

**ტირეზია** უკვე გადფურჩი—სიმართლის ძალით.

**ოადიპოს** ვისგან ისწავლე? თუ შეწამებაც ხელობადა გაქვს?

**ტირეზია** შენ მათქმევინე.

**ოადიპოს** კიდევ სთქვი, მინდა კარგად გავიგო.

**ტირეზია** ვერ გაიგე თუ? ან იქნება მცდი?

**ოადიპოს** არეულს ამბობ, განი-მეორე.

**ტირეზია** შენა ხარ მკვლელი, ვისაც ჩვენ ვეძებთ...

**ოადიპოს** ცილს მწამებ კიდევ! ამას განანებ!

**ტირეზია** გეტყვი უარესს, რო გაგაბრაზო.

**ოადიპოს** სთქვი, მაგრამ შენი სიტყვა ფუჭია.

**ტირეზია** ბილწი კავშირი გაერთებს მასთან, ვის წინაც გმართებს შენ თაყვანება.

**ოადიპოს** ეგ დაუსჯელად შენ არ შეგვრჩება.

**ტირეზია** დამსაჯე, მე კი ვამბობ სიმართლეს.



- ოადიპოს** შენ სიმართლესთან ხელი არა გაქვს,  
შენ-უსინათლოს, ყრუს და უგონოს.
- ტირეზია** საბრალო მეფევე, ეს სატკივარი  
თვით შენ სულ მალე თავს დაგატყდება.
- ოადიპოს** თვალ ხილულს ვნებით ვით ავნებ შენ, ბრმა,  
ვისიც ხვედრია ბნელი უკუნი?!
- ტირეზია** მეც არას გერჩი, ჭებე მოგივლენს,  
რაც ბედის წერით მოსავალია.
- ოადიპოს** ა, შენ და კრეონ თხზავთ მაგ ამბებსა?
- ტირეზია** შენი წამბდენი შენვე ხარ თვითონ.
- ოადიპოს** ეჰა, სიმდიდრევე მეფის უფლებავ,  
სიბრძნევე ცვალებად ცხოვრებისაო,  
რა საშინელსა შურს აღძრავთ ხოლმე!  
მე განა მწადდა სამეფო სკიპტრა?  
თვით თქვენ მიძღვენით მადლობის ნიშნად,  
და ეხლა კრეონ, ძმად მიჩნეული,  
ცდილობს წამართვას სამეფო ტახტი,  
მოდის ფარულად და დამხმარედ ჰყავს  
ცრუ და ვერავი ეს მაწანწალა,  
ანგაარებით მომქმედი მხოლოდ!  
რაში გამოჩნდა შენი მისნობა?  
ან რათ არ იხსენ მოქალაქენი,  
ოდეს ურჩხული სიკვდილს უქადდა?  
რათ ვერ მიუხვდი მის გამოცანის  
იღუმალ აზრსა? ნუ თუ ფრინველთა  
არა გითხრეს რა? არ ჩაგავონეს  
არცა ღმერთებმა? მე უმეცარმა  
მოსვლისთანავე მოვსპე ურჩხული,  
საკუთარ კკუით, სხვის დაუხმარად!  
და ეხლა შენ გსურს ტახტი წამართვა,  
რომ ახლო დადგე მეფე—კრეონთან!

ვაი რო ძვირად ჩემი განდევნა  
თქვენ დაგიჯდებათ! შენ კი არ დაგსჯი  
მხოლოდ იმიტომ, რო მოხუცი ხარ.

**ხორა** თქვენ რო გიცქვრით, ორივე ცხარობთ:  
შენცა ოადიპოს და შენც მისანო.  
უმჯობესია ის მოვიფიქროთ,  
ვით ავასრულოთ ჭებეს ბრძანება.

**ტირეზია** თუმც შენ მეფე ხარ, მეც ძალმიძს მეფეთ  
პასუხი გავსცე, ვითა ტოლმა ტოლს.  
მე შენ არ გმონებ, მხოლოდ ლოქსიას,  
არც მეჭირვება მფარველად კრეონ!  
მე ბრმას დამცინი! შენ თვალხილული  
საზარელს ცოდვას შენსას ვერ ამჩნევ,  
ვერ ხედავ, თუ სად და ვისთან ცხოვრობ,  
ვისი შვილი ხარ—არ იცი განა?  
შენა ხარ მტერი შენიანების,  
როგორც ამ ქვეყნად, ისე ქვეშეთში!  
დედის და მამის წყევლა საზარი  
მშობელ ქვეყნიდან შენ გაგაძევებს,  
დღეს თვალხილული შენ ბრმა იქნები!  
შენის გოდების ხმა კითარონის  
მთათ-ხეობათა შეაზრიალებს,  
ოდეს მიხედები, თუ ცოდვით სავემ  
ვის შეუერთდი ქორწინებითა!  
და კვლავ მრავალი ტანჯვა-წვალება  
შენ და შენს შვილთა არ აგცილდებათ!  
ეხლა, თუ გნებავს, ავინე კრეონს,  
მეც დამამცირე. ხოლო კაცთ შორის  
შენებრ ცოდვილი ჯერ არ ყოფილა!..

**ოადიპოს** მე ვერ მოვითმენ ამ თავხედობას!

გასწი აქედან, ურცხვო მოხუცო,  
და არ გაბედო მეორეთ მოსვლა!

**ტირეზია** არც მოვილოდი, შენ რომ არ გეხმე.  
**ოადიპოს** მე თუ მკოდნოდა შენი სიგიჟე,  
მერწმუნე ჩემთან არ მოგიწვევდი.

**ტირეზია** დე, ეგრე იყოს, გიჟი მიწოდე,  
შენი მშობლები კი მრაცხდენ ბრძენად.

**ოადიპოს** ჩემი მშობლები? მითხარ, ვინ იყვნენ?

**ტირეზია** ეგ რო გაიგო, ხო დაიღუპე!

**ოადიპოს** შენი სიტყვები ვერ გამიგია...

**ტირეზია** გამოცანათა ახსნა ხომ იცი?..

**ოადიპოს** გინდა დასცინო ჩემს გამარჯვებას!

**ტირეზია** მაგ გამარჯვებამ დაგლუპა, მეფევე!..

**ოადიპოს** არც ვწუხვარ, რაკი ვიხსენ ქალაქი.

**ტირეზია** ეხლა კი წავალ. ბაღლო, გაიძეღ!

**ოადიპოს** შენი აქ ყოფნა სამძიმო არის, —  
გვიშლი გვაწუხებ: წა, მოგვასვენე!

**ტირეზია** წასვლისას გეტყვი, თუ რისთვის მოველ.  
შენ მე ვერ მაენებ, ვერც შემაშინებ.  
ისმინე ჩემი. ის კაცი, ვისაც  
შენ ეგრე ეძებ, მკვლელი მეფისა,  
აქ არის, ჩვენთან, დიდი ხანია.  
ამბობენ, არის უცხო ქვეყნელი,  
მალე თებელად აღიარებენ, —  
და ვაი იმას, ვაი იმ დღესა:  
ლარიბ-ლატაკი და უსინათლო  
უცხო ქვეყნებში გარდიხვეწება  
ჯოხზე დაყრდნობით. თვისის შვილების  
მამა იქნება და მათივე ძმა,  
დედისა—შვილი და თან მეუღლე,  
მამის მკვლელი და მის ცოლის ქმარი.

წადი, იფიქრე. და თუ გავმტყუენდე,  
არ რა მცოდნია მე მისნობისა!..

### სტაროქი ა.

ხორო ვინ არის იგი, ვისაც ამხილებს წინასწარ მთქმელი ტინი  
დელჭისა?  
ვინ მოიქმედა სისხლიან ხელით უსაზარლესი ეს ბოროტება?  
დროა გაიქცეს  
ცქვიტ რაშსა უფრო  
სწრაფად, მალიად.  
თორემ ძვესის ძე აბჯარ-ასხმული  
ცეცხლით და ელვით უქადის სიკვდილს.  
და კვალ-კვალ სდევენ  
შურის ქალ-ღმერთნი.

### ანტისტაროქი ა.

აჰა, თოვლიან პარნასით გვესმა  
ბრძანება, ვძებნოთ უცნობი მკვლელი.  
დაძრწის საბრალო, ვით ხარი,  
ულრან ტყეებში, კლდე-ღრეში,  
უთვისოთ, მარტო, რომ აიცდინოს  
ღვთის რისხვა, პიჯონით მოვლენილი,  
სადაც არს უპე ქვეყნისა,  
და რისხვა იგი მარად ძლიერი  
კვალ-და-კვალ დასდევს.

### სტაროქი ბ.

ბრძენმა მისანმა საშინელება აღძრა ჩემ გულში,  
არ ვიცი, რა ესთქვა.  
მინდა ვერწმუნო, თან ურწმუნოც ვარ.

შეძრწუნებული ვერაფერს ვხედავ აწმყო-მყოზადში!

არცა მსმენია არას დროს

ლაბდაკიდთა და პოლიბოსის ძეს ურთი-ერთ შორის ჰქონოდესთ  
და ვითლა ძალმძის სახელ-გათქმულსა [მტრობა  
ოადიპოსს-მეფეს მე შეევექილო და დახმარება მკვლელის ძებნაში  
მე ლაბდაკიდთა აღმოუჩინო!

### ანტისტროქი ბ.

მოკვდავთა ბედი თვინიერ ძევისის და აპოლოსი არაეინ უწყის,  
და ნუ ვინ იტყვის, თითქო მისანმა იცოდეს მეტი, ვიდრე მე ვიცი,  
რათგანაც სიბრძნით მჯობნე მჯობნისა არ დაილევთა.

არ შემძლია ვერწმუნო მისანს, სანამ ბრალდება არ გამართლ-  
დება,

არც გავიტარებ გულში ცუდს ზრახვას ოადიპოსს-მიმართ,  
ვინც ყველას თვალ-წინ ფრთოვან ქალწულსა  
უშიშრად შეხვდა და თვისის სიბრძნით იხსნა ქალაქი!

კრეონ

მოქალაქენო, საშინელ ბრალს მდებს  
ოადიპოსს-მეფე. ეს რო გავიგე,  
თქვენ მოგაშურეთ, რათგან არ ძალმძის  
გულმშვიდათ ვიყო. თუ მეფე ფიქრობს,  
რო თქვენის ტანჯვის მე მადევს ბრალი  
სიტყვით ან საქმით, ნულა ვიცოცხლია!  
მე ვერ გაუძლებ საზარ ბრალდებას!  
ან კი რათ მინდა თავი ცოცხალი,  
თუ რო ბოროტის სახელს ვატარებ,  
თუ შენც, ქალაქიც, ძმა-მეგობარიც  
ძვირის-მომქმედის სახელს მიწოდებთ?!

ხორო

იქნება მეფეს თვისი ბრალდება  
ჯავრით წამოსცდა, მოუფიქრებელ.

- კრეონ** არა, მეფემ სთქვა, თითქო მისანი აქ შეგონებით ლაპარაკობდა.
- ხორო** სთქვა, თუმც არ ვიცი, რამ ათქმევინა.
- კრეონ** მერე სად ჰქონდა სვინდისი, კკუა, ოდეს საზარელს ამ ბრალსა მდებდა?
- ხორო** არ ვიცი. მეფეთ არ ვარ მსაჯული. აჰა, თვით მეფეც გვიახლოვდება.
- ოადიპოს** ვის ვხედავ? როგორ გაბედე მოსვლა? მკვლელი მეფისა, ჩემის უფლების მოსისხლე მტერო, ურცხვო, თავხედო, რამ მოგიყვანა ჩემს სასახლეში? განა შემატყე შიში, სიმხდალე, ეს სისაძაგლე რო განიზრახე? ან თუ ფიქრობდი, რო მზაკვრულ ხრიკებს ვერ მივხვდებოდი და არ ჩავშლიდი თქვენს ვერაგ საქმეს? უგუნურია შენი განზრახვა, — ტახტი მისია, ვისაც ოქრო აქვს და ვინც ხალხს უყვარს..
- კრეონ** იცი, რას გირჩევ: მეც მომისმინე, ისე განსაჯე.
- ოადიპოს** კრელი ენა გაქვს. არ მსურს გისმინო, რათგან მტერი ხარ ჩემი ძებნიერი და მუხანათი.
- კრეონ** სწორედ მაგისთვის გთხოვ მომისმინო.
- ოადიპოს** სწორედ ამისას ნურაფერს მეტყვი.
- კრეონ** სცდები, თუ ფიქრობ რომ უგუნური შენ ქედ-მაღლობა გამოგადგება.
- ოადიპოს** სცდები, თუ ფიქრობ ძვირის-მომკმელი ბოროტი შეგრჩეს და ასცდე სასჯელს.
- კრეონ** სიმართლეს ამბობ, ხოლო მითხარი, რა დაგიშავე, როდის რა გაენე?

- ოადიპოს** შენ არ მიჩვევი დაჟინებითა  
ბრძენი მისანი აქ მომეწვია?
- კრეონ** მზათ ვარ ეგ ჩჩევა ვავიმეორო.  
**ოადიპოს** რა ჟამმა განვლო, რაც რო ლაიოს...  
**კრეონ** ჰო, დაათავე, კარგად გავიგო.  
**ოადიპოს** ავაზაკთ მიერ იქმნა მოკლული?  
**კრეონ** მრავალმა წელმა განვლო მას შემდეგ.  
**ოადიპოს** მაშინ მისანი ხომ მკითხაობდა?  
**კრეონ** დიად, მისნობდა ბრძენი მოხუცი.  
**ოადიპოს** მაშ, მე იმ დროსაც მასახელებდა?  
**კრეონ** არსად, არას დროს. მე არ მსმენია.  
**ოადიპოს** მაგრამ მკვლელს მაინც ხომ ეძიებდით?  
**კრეონ** ბევრი ვეცადეთ, მაგრამ ამაოთ.  
**ოადიპოს** მერე იმ ბრძენმა რათ ვერ გიშველათ?  
**კრეონ** ვერ გიპასუხებ, რათგან არ ვიცი.  
**ოადიპოს** მითხარი გულწრფელ, რაც იცი, ყველა.  
**კრეონ** თუ ვიცი რამე, გეტყვი ყოველსა.  
**ოადიპოს** შენთან კავშირი ბრძენს რომ არ ჰქონდეს,  
მეფის მოკვლის ბრალს მე ვერ დამდებდა.  
**კრეონ** შენ ხომ ისმინე, რაც ბრძენმა გითხრა.  
მაშ, ნება მომეც მეც გამოგკითხო.  
**ოადიპოს** მკითხე, რაც გინდა: ვერ გამამტყუვენებ.  
**კრეონ** არც მსურს: ქმარი ხარ შენ ჩემის დისა?  
**ოადიპოს** დიად, ქმარი ვარ.  
**კრეონ** მასთან თანაბარ  
მართავ ქვეყანას?  
**ოადიპოს** მისი სურვილი  
კანონად მიჩანს.  
**კრეონ** განა მეც თქვენნი  
ტოლი არა ვარ?

ოადიპოს

და სწორედ მიტომ

გვიმტრე, გვიმუხთლე?

კრეონ

არა, დაფიქრდი

და მერწმუნები, რო ხარ შემცდარი.

აბა, იფიქრე რათ მინდა მეფის

ძალა-უფლება, რასაც სდევს შიში,

თუ ხელთ მიპყრია იგივე ძალა

გულ-დამშვიდებით. არ მსურს მეფობა,

ვით არ ისურვებს სხვაც ჩემს ადგილსა, —

უამისოდაც მეფურად ვცხოვრობ.

ეხლა შენგან მაქვს, რაც მსურს, უშიშრად

სულ ყოველივე. მეფე რო ვიყო,

ჩემი სურვილი უნდა სხვის სურვილს

დაეუმორჩილო. განა არ მიჯობს

ძალა-უფლება უშიშარ გეპყრას,

ვიდრე ვმეფობდე ფიქრით და ზრუნვით?

გიჟი ხომ არ ვარ იგი უარეპყო,

რაც მე სიამეს და სარფას მაძლევს!

ყველა მახარებს, ყველას ვუყვარვარ,

ყველა პატივს მცემს და მეფერება,

რო შენს წინაშე მათ ვეკომაგო.

და ნუ თუ ამ ბედს ფაენად გავცვლი?

არა, კვეიანი ამას არ იზამს.

ტახტის წართმევა არ განმიზრახავს,

არც მიფიქრია სხვის დახმარებით.

წადი პითონად, თუ გსურს დარწმუნდე.

და იქ გაიგებ პითიას პასუხს.

თუ დამიმტკიცებ, რო შენი ვნება

მკითხავთან ერთად სხვაც განმიზრახავს,

შემკარ და მიმეც სიკვდილით სასჯელს.

თვით მე არ მინდა თავი ვიცოცხლო,



მაგრამ საბუთი ვიდრე არა გაქვს,  
ნუ დამდებ ბრალსა. უსამართლოა  
აეს უსაბუთოდ სათნო უწოდო  
და კეთილს ავი. ვინც პატიოსანს  
ჰკარგავს მეგობარს, მარად სასურველს  
ესალმება ის სიცოცხლესა. აბა  
მოვა დროც მალე და გამამართლებს:  
კეთილი კაცი იცნობა წლობით,  
ავის კაცის აზრს მიხვდები ერთ დღეს.

**ხორო** მეფევე ვერწმუნე თუ გსურს არ შესცდე,  
სიჩქარით განსჯა ავნებს სიმართლეს.

**ოადიპოს** ოღეს იჩქარის მტერი მოპარვით  
ბოლო მომიღოს, მზათ უნდა დავხვდე.  
და თუ გულ-მშვიდათ ვიწყე ყურყუტი,  
ის გაიმარჯვებს, მე თავს წავეგებ.

**კრეონ** სთქვი, რაღა გინდა? ჩემი განდევნა?

**ოადიპოს** არა, სიკვდილით უნდა დაგსაჯო.

**კრეონ** მითხარი მაინც, რა დაგიშავე?

**ოადიპოს** იქნება ფიქრობ არ დამმორჩილდე?

**კრეონ** თუ ვხედავ სცდები?..

**ოადიპოს** ჩემი საქმეა!..

**კრეონ** აგრეთვე ჩემიც...  
**ოადიპოს** შენ ვერაგი ხარ...  
**კრეონ** მერწმუნე სცდები.  
**ოადიპოს** მაინც მე უნდა  
დამემორჩილო.

**კრეონ** ვერა, ცუდს მეფეს

მე ვერ დავუთმობ.

**ოადიპოს** ჰოი, ქალაქო!

**კრეონ** ქალაქს მეც ვმართავ შენთა ზიარად...

**ხორო** ჩუმათ, მეფენო! ჰა, იოკასტე

- ახლად აქ მოდის. იმის შეწევნით  
ბოლო მოუღეთ დავა-ცილობას.
- იოკასტე**     ო, უბედურნო, ნუ მოცილებობთ!  
ისედაც ტანჯულ-გვემულ ქვეყანას.  
ახალ სატანჯველს ნუ მიაყენებთ.  
წადით ორივე სახლში, თქვენს კერ-ქვეშ  
და მცირე წყენას ნუ აზვიადებთ.
- კრეონ**       ო, დაო. შენს ქმარს, ოადიპოსს-მეფეს  
საშინელება რამ განუზრახავს:  
ან განმადევოს, ან სიკვდილს მიმცეს.
- ოადიპოს**    დიად, აგრეა, მე გავამტყუვნე:  
ეგ მიპირებდა მტბიერად მოკვლას.
- კრეონ**       ვიყო წყეული, ნულა ვიცოცხლო,  
ნულა ვიხილო სიამე, შვება,  
თუ შენი ვნება მე აზრად მქონდეს!
- იოკასტე**     ო, ღეთის გულისთვის, ერწმუნე მეფევე,  
ირწმუნე ფიცი ამის წმინდაჲ,  
გვეცი პატივი მეც და ამ ხალხსაც.

### სტროფი.

- ხორა**       მეფევე, გენუკვი, კეთილ-გონიერ რჩევას უსმინე.
- ოადიპოს**    მითხარი, რა გსურს, რა უნდა დავთმო?
- ხორა**       დასდე პატივი, ვისაც უწინაც სიბრძნე შესწევდა,  
ვინც საშინელი ღლეს მოგვცა ფიცი.
- ოადიპოს**    იცი კი, რას მთხოვ?
- ხორა**       ვიცი ყოველი.
- ოადიპოს**    მაშ, რა გწადია, მამცნე?
- ხორა**       მეგობარს,  
ფიცის დამდებსა, უბრალო იქვით  
ნუ დააბრალებ საზიზღარ საქმეს.

- ჟადიპოს** თუ მაგას ითხოვ, შენ გნდომებია  
მე მიმცე სიკვდილს ან განმამძევო!..
- ხორა** არა, ღელიოსს ვფიცავ, ღმერთებში  
ჩვენს მწე-მოსარჩლეს! მოვწყდე მეგობართ,  
ვიყო ღმერთთაგან შეჩვენებული,  
თუ რომ ეგ მწადდეს! მაგრამ გულს მიკლავს  
ქვეყნის დაღუპვა,—მის მრავალ ტანჯვას,  
ვხედავ, ახალი ზედ ემატება.
- ჟადიპოს** განვდეენი მაინც, თუნდ მიმცეთ სიკვდილს  
ან განმამძევოთ სირცხვილეული!  
შენმა ვედრებამ მომიღბო გული,  
სიბრალულსა ვგრძნობ, მაგრამ კრეონ მძაგს  
და შეძაგება ყველგან, ყოველთვის.
- კრეონ** გულით არ გვითმობ, მაგრამ ინანებ,  
როს დამშვიდდები: შენისთანაებს  
თვით უმძიმსთ თვისი ცუდი ზნე!..
- ჟადიპოს** კმარა!  
არ გამშორდები?
- კრეონ** აჰა, მიედივარ,  
ვერ დამაფასე, ხალხის თვალში კი  
კვლავ ის ვიქნები, რაც ვიყავ მუდამ.
- ხორა** ო, დედოფალო, ნულა აყოვნებ,  
შინ წაიყვანე.
- იოკასტე** მამცნეთ, რა მოხდა?
- ხორა** სულ უსაბუთო ბრალდება იყო და ეს მიკლავს გულს!
- იოკასტე** განა ერთმანერთს ბრალს სდებდენ?
- ხორა** დიად.
- იოკასტე** მაინც რალა სთქვეს?
- ხორა** რაც ითქვა,— ითქვა,  
სჯობს დავივიწყოთ! ქვეყანა ისეც  
განსაცდელშია!

**ოადიპოს**

გულკეთილობით  
სიმართლეს ჩქმალავ, ჩემდამი გრძნობა  
გინდა დაიხშო!

**ხორა**

არა, მეფეო!  
კვლავ გიმეორებ, რაც ხშირად მითქვამს.  
უქკუო ვიყო, სულელი, შტერი,  
თუ გიღალატო შენ, ვინც სამშობლო  
ჩემი ძვირფასი, მრავალტანჯული  
კვლავ ააყვავე. თუ ძალა შეგწევს,  
გემუდარები, გვიხსენი ღღესაც!

**იოკასტე**

მეფეე, მეც მითხარ, გაფიცებ ღმერთებს,  
ეგრე სასტიკად რამ გაგარისხა?

**ოადიპოს**

გეტყვი, რათგან მე მეტს ჰატივისა გცემ...  
ამათ კი... კრეონს მე მანაცვალეს...

**იოკასტე**

მიუხარ, თქვენს შფოთსა რა აქვს საფუძვლად?

**ოადიპოს**

ის მე მიწოდებს ლაიოსის მკვლელს.

**იოკასტე**

თვით სწამს, თუ ამბობს ყურ-მოკრულ კორსა?

**ოადიპოს**

მან მომიგზავნა ფლიდი მისანი,  
თვით კი მტბიერად კრინტსაც არა სძრავს.

**იოკასტე**

გთხოვ, უკუ აგდო შავი ფიქრები  
და მომისმინო: მერწმუნე მოკვდავთ  
ნიჭი არა აქვთ წინასწარ თქმისა.  
ამის მაგალითს ეხლავ გიჩვენებ:  
მეფე-ლაიოსს ჰქონდა ნათქვამი,—  
ჭებეს ვით ვკადრო, —მის მსახურთაგან,  
რო მას სიკოცხლეს გამოასალმებს  
ჩემგან ნაშობი მისივე შვილი.  
მერე რა მოხდა? ლაიოს მოჰკლეს  
ავაზაკებმა გზა-ჯვარედინსა!  
მხოლოდ სამის ღღის იყო ჩვენი ძე,  
მამამ შეჰკოჰა ბავშვი და მსახურთ

ულაბურ მთასა დააგდებინა!

ალარ აღსრულდა წინასწარ თქმული:

შვილს არ მოუკლავს მამა, და მეფეც

არ იყო მოკლულ თვისის ძის მიერ!

ესეც ქებული მისნობა ბრძენთა!

ყურს ნუ ათხოვებ. თუ ღმერთსა ნებავს,

თვით გამოაჩენს თავისს განგებას!

**ოადიპოს** შენი სიტყვები მიშფოთებს სულსა,

გული შიშით ჰკრთის, ჩემო მეუღლე!

**იოკასტე** სთქვი, რა გაწუხებს? რა დაგემართა?

**ოადიპოს** ხომ არ მოვტყუვდი? შენ სთქვი, რა მეფე

გზა-ჯვარედინსა იყო მოკლული?

**იოკასტე** აგრე ამბობდენ, ღღესაც ხმა არის.

**ოადიპოს** რა ადგილს მოჰკლეს ლაიოს-მეფე?

**იოკასტე** ჭოკიდა ჰქვია იმ ქვეყანასა,

იქ დაუღიის გზა დელფის გზას ჰსჯვარავს.

**ოადიპოს** რამდენმა ჟამმა განვლო მას შემდეგ?

**იოკასტე** ის იყო გვამცნეს ჩვენ ეს ამბავი,

შენც მოველინე ამ ქალაქს მეფედ.

**ოადიპოს** ძვესო ძლიერო, ეს რა დამმართე?

**იოკასტე** მეფევე, რა მოგდის, რამ შეგაძრწუნა?

**ოადიპოს** ნუ მკითხავ. უმალ მითხარი, მეფე

რა სახის იყო, რამდენის წლისა?

**იოკასტე** ტანად მაღალი და თმა-ქალარა,

სახით კი ერთობ შენ წაგაგავდა.

**ოადიპოს** ვაი უბედურს! მე რა ვიცოდი,

საშინელ წყევლით ვინ შევაჩვენე!

**იოკასტე** რა სთქვი? შიშსა მგვრის შენი შეხედვა!..

**ოადიპოს** ვაი თუ მისანს სიმართლე უთქვამს!

მაგრამ... ერთი რამ კიდევ მითხარი.

**იოკასტე** რაც ვიცი, გეტყვი, თუმც ვშიშობ ფრიად.

- ოადიპოს** მცირე ამაღა ახლდა მეფესა,  
თუ აბჯარ-ასხმულ მხედართა გუნდი?
- იოკასტე** სულ ხუთი კაცი, მათ რიცხვში შულტა  
და ერთიც ეტლი მეფის საჯდომი.
- ოადიპოს** ვაიმე ბედკრულს! ცხადია ყველა!  
ამბავი ვინლა შეგატყობინათ?
- იოკასტე** ერთი გადარჩა და იმან გვამცნო.
- ოადიპოს** სად არის ეხლა? სასახლეშია?
- იოკასტე** არა, გვამცნო რა მეფის დაღუპვა  
და შენ გიხილა სამეფო ტახტზედ,  
ხელი შემახო და შემევედრა,  
რათა გამეშვა მინდვრად მწყემსებში,  
რო შორს გასცლოდა უხიაკ ქალაქს.  
მეც ავეუსრულე თხოვნა: ვით ერთგულს  
ყმას, მეტი ჯილდოც ეკადრებოდა.
- ოადიპოს** ნეტავი მალე დაბრუნდებოდეს!
- იოკასტე** მე დავიბარებ. მაგრამ რათ გინდა?
- ოადიპოს** ვშიშობ, მეუღლე ბევრი რამ ითქვა,  
რის გულისათვის იმის ნახვა მსურს.
- იოკასტე** ის მოვა, მაგრამ მეც ღირს-ვარ მითხრა,  
რაც გულს გიმძიმებს, მეფეო, ეგზომ.
- ოადიპოს** ვერც დაგიმაღავ, რაკი შევეტოპე  
საზარ ფიქრებში ან კი ვის ვანდობ  
უფრო ღირსეულს ჩემს საიდუმლოს.  
მამა ჩემს, გვართ კორინთელს, ერქვა  
პოლიბოს, დედას — დორიდელს გვართ —  
მეროპე. ვიყავ პირველი ყველგან  
ქალაქში, სანამ უბედურება  
მე არ შემემთხვა საკვირველი რამ,  
თუმცა არ ღირდა თავს-გამოდებად.  
ერთხელ ნადიმად ვინმე რეგვენმა,

ძალიან მთვრალმა,—მიგდებულოო—  
მე წამომძახა. გული ამემღვრა,  
ძლივს შევიკავე თავი იმ ღამეს.  
მეორე ღღესვე დედ-მამას ვკითხე.  
როცა ვუამბე, რაც წამოროშა  
მთვრალმა ნადიმში, ძლიერ განრისხდენ.  
მეც გულს მომეშვა, თუმც ვერ დავმშვიდდი,  
ქორი გავრცელდა და გახშიანდა,  
და ნამალევედ დედ-მამის პითონს  
წავედი. მაგრამ ღირსი არ გავხდი  
ჭებეს პასუხის. ნაცვლად ამისა  
ღმერთმა მაუწყა, რო საშინელი  
ბედი მომელის: ცოლად შევიერთავ  
ჩემსავე დედას, წარმოვშობ შეილებს  
საზარ-საძაგლცებს და მშობელ მამას  
ჩემის ხელითვე ვარგუნებ სიკვდილს.  
ეს რო გავიგე, განვშორდი კორინთს,  
ვარსკვლავთა სრბოლას მივსდიე გზა-გზა  
და შორს გავიქერ, რომ არ მეხილა  
ხრიზმო საზარი აღსრულებული.  
და უგზო-უკვლოთ მოხეტიალე  
მე აქ მოვედი, სადაც მოუკლავთ,  
შენ ამბობ, მეფე. როს მეგობირსა  
მიეუახლოვდი, ეტლი შემომხვდა  
ორ-ცხენიანი, შულტა უძლოდა,  
შიგ იჯდა ვინმე კაცი—მოხუცი,—  
სუყველაფერი, ვით შენ მიაპბე.  
ორმავე სცადა ძალ-დატანებით:  
გზითგან გადავეგდეთ. ბრაზ-მორეულმა  
დავკარ მეეტლეს, მაგრამ მოხუცმა,  
ეს რო იხილა, დრო შემირჩია:

როს ეტლთან ვიდექ, ორჯერ მათრახი  
კეფაში დამკრა, ნაცვლად ეწია  
უარესს ბედსა: მყისვე მას ჩემი  
კვერთხი ვაკვეთე და უსულ-გულათ  
იქვე დაეცა! გავსწყვიტე ყველა!  
და თუ ლაიოსს და იმ უცხოელს  
საერთო რამ აქვთ, არვინ ყოფილა  
ჩემებრ საბრალო, შესაზიზლარი  
და საძულველი კაცთ თუ ღმერთთათვის!

არც მოქალაქეს, არც უცხოელსა  
არა აქვს ნება მკვლელი მეფისა  
სახლში შეუშვას, არცა ხმა გასცეს,  
ყველას ვალად სძევს იმის განდევნა  
მკვლელი კი თვით ვარ, მევე ბედკრულმა  
თავს დავიტეხე საზარი წყევლა!  
მეფის საწოლი შევბილწე ხელით,  
რომლით ლაიოსს დღე მოვუსწრაფე!  
განა არა ვარ დიდათ შემცოდე?  
თავით-ფეხამდე სისხლში მოსვრილი?  
და თუ რო ჯერ არს ჩემი გაქცევა,  
არ შემიძლია კორინთს დაებრუნდე,  
კვლავ ვნახო ჩემი ნათესაეები,  
რათგანაც ვშიშობ მშობელის დედის  
ქმარი არ გავხდე და მამის მკვლელი,  
პოლიბოსისა, ვინც მშეა, აღმზარდა!  
ცხადია, ცხადი, მე მდევნის რისხვა  
სასტიკის ღმერთის! ო, ნურასოდეს,  
ღმერთნო ძლიერნო, იმ საშინელ დღეს  
ნუ ლა შემასწრებთ! დე, აღვიგავო  
მოკვდავთა შორის უკვლოდ, უნიშნოდ  
და არ ვიხილო საშინელი სვე!



- ხორო** შენებრ შიშით ვძრწით, მაგრამ, მეფეო,  
მწყემსის მოსვლამდე იმედს ნუ ვკარგავთ!
- ოადიპოს** მეტი რა გზა მაქვს? ეგ დამრჩენია  
მწყემსს მოვუცადო!
- იოკასტე** მერე რო მოვა,  
რა ნუგეშსა გცემს?
- ოადიპოს** ამასაც გეტყვი:  
თუ ის შენს ნათქვამს დაადასტურებს,  
მე გადავრჩები წყევლა-კრულვასა!
- იოკასტე** განა ეგეთი მე რამე მითქვამს?
- ოადიპოს** შენ სთქვი, რო მწყემსმა შეგატყობინათ,  
თითქოს ლაიოს ყაჩაღთ ბრბომ მოჰკლა.  
კვლავ თუ იმასვე განიმეორებს,  
მე არ მომიკლავს, ცხადია, მეფე,  
ერთი ხომ ბრბოდ არ ეჩვენებოდა,  
ხოლო თუ მონა ერთს ასახელებს,  
მე დამიღვრია სისხლი მეფისა!
- იოკასტე** იცოდე, მეფევე აგრე გვიამბო  
და ვერც გადათქვამს: მთელი ქალაქი  
უსმენდა ამბავს, არა მარტო მე.  
და თუნდ უარჰყოს თვისი ჩვენება,  
მანც ვერ შესძლებს მეფის მკვლელობის  
ახსნას ამბავი სრულის სისწორით,  
ვისაც ლოქსიამ ამცნო, რო მოჰკლავს  
მას ჩემი შვილი. ესეც არ ახდა:  
ბედკრული უმალ თვით დაიღუპა!  
მიტომ არ მჯერა მწყემსის ნათქვამი  
და არც ვიწამებ, რასაც კვლავ გვეტყვის.
- ოადიპოს** კეთილი, მაგრამ ნულა აყოვნებ,  
უბრძანე მწყემსი აქ მოიყვანონ.

**იოაკასტე** მყისვე ვუბრძანებ. ყოველს შენს სურვილს  
ვასრულებ, მეფევე. წამო პალატში.

### სტროფი ა.

**ხორო**

ო, ბედმა რათ არ მარგუნა  
სიტყვით და საქმით დავიცვა სათნო  
სიწმინდე ღვთისა, ვის წმინდა სჯული  
დაწესებულ არს ზეცაში,  
ცისა ეთერში, წიაღთა შინა ოლიმპოსისა,—  
ის არის იმის შემქმნელი,  
არა მოკვდავთა ბუნება,  
და დავიწყებას არ შეუძლია ის მიაძინოს:  
ღმერთი ძლიერი ჰგიებს იმაში, მარად ქაბუკი.

### ანთისტროფი ა.

სვიაღობა შორს მძლავრობას  
და ქედ-მადლობა უგუნური კი ჰბადებს ყველაფერს,  
რაც უმართლოა და თან ურგები, და რა მიაღწევს  
ამ გზით მწვერვალსა თვალ-უწვდენს,  
ვარდება ღრეზე საშინელების უფსკრულში,  
სად უილაჯო უძრავად გდია!  
მე კი ღმერთს ვვედრი,  
ნუ შესწყვეტს ბრძოლას, ქვეყნის სახსნელად დაწყებულს,  
მხოლოდ ღმერთს ვხედავ მწედ და მთარველად.

### სტროფი ბ.

ვინც გულზვიადობს სიტყვით თუ საქმით და არ ეკრძაღვის  
არც სამართლის ქალ-ღმერთსა,  
არცა უკვდავთა სამკვიდრებელსა,  
ვინაც ეძიებს უმართლო სარფას,  
არც ერიდება ბიწიერთ ზრახვას

და მკრეხელობით ბილწავს სიწმინდეს,—  
დე, საშინელსა ეწიოს ბედსა!  
ვერც აიცილნენ ცოდვით სავსენი  
ღვთის რიხვის ისარს!  
თუ ასეთს საქმეს გასავალი აქვს,  
მე რათ ჩავება სამა-ფერხულში!

### ანტიისტროქი ბ.

აწ აღარ წავალ ლოცვად იქ, სადაც ქვეყნის უბეა,  
არც აბას ტაძრად, არც ოლიმპიად,  
თუ არ აღსრულდა მოკვდავთ თვალის-წინ  
სუყველაფერი, რაც აქ წარმოვთქვი!  
გარნა შენ, ძევსო, ყოვლისა შემძლე,  
უძლიერესო, თუ ჭეშმარიტად  
ძლიერება გაქვს, შენის უკვდავის  
ხელის უფლებით განმეხე ცოდვა!  
უკვე გაქარწყლდა, რაც რო ლოქსიამ  
ამცნო ლაიოსს პითიას პირით,  
თვითონ აპოლო ყველგან პატივსა მოკლებულია  
და დამცრობილა საღვთო ღირსება.

**იოკასტე** ქვეყნის მფლობელნო! მინდა ხელთ ვილო  
ეს გვირგვინები, გუნდრუკ-საკმევი  
და მივაშურო ტაძრად ღმერთებსა,  
რადგან ოჲდიპოსს მრავალი სევდა  
უმწარებს სულსა, უცხო მოვლენას,  
ვითა შეშვენის ბრძენს და გონიერს,  
იგი ძველთაებრ თავს ველარ ართმევს,  
არამედ სჯერა, ვინც რა უნდა სთქვას  
საშიშ-საზარი და ჩემს მუდარას  
ყურს არ ათხოვებს. და აწ, აპოლოლო,

- შუქ-მოიფევე, საუფლო ძღვენით  
შენდამი, ღმერთო, კვლავ მოვიქცევი,  
რათა მოგენადლო ხსნა კურთხეული!  
ვით ნავთკოსალარს, შიშით და ძრწოლით  
შევეყურებთ მეფეს თავზარ და კემულს!
- მოამბე** ხალხო, მაჩვენეთ მეფის სასახლე,  
ან და იქნება იცით—ამ ჟამად  
თვითონ ოადიპოს სად იმყოფება?
- ხორო** აი, სასახლე, მეფეც შიგ არის,  
ეს კი ცოლია მეფის და დედა  
იმის შვილების.
- მოამბე** დედავ ნაკურთხო!  
იყავ ბედნიერ ბედნიერთ შორის!
- იოკასტე** მაგ დალოცვისთვის შენც მოგენიქოს  
ხვედრი კეთილი, მაგრავ გვითხარი,  
რამ მოგიყვანა, რა ამბავს გვეტყვი?
- მოამბე** შენის ქმრისა და სახლობისათვის  
სასიხარულოს.
- იოკასტე** მაინც რა არის?  
მოხვედი სითა?
- მოამბე** მოველ კორინთით.  
ჩემი ამბავი სასიამოა,  
თან სამწუხაროც.
- იოკასტე** რა უნდა იყოს,  
ეგ ორნაირი ძალა რომა აქვს?
- მოამბე** როგორც მსმენია, ხალხს სურს ოადიპოს  
ისტმიის მეფედ გამოაცხადოს.
- იოკასტე** მერე პოლიბოს?.. მეფე მოხუცი?..
- მოამბე** ცივს სამარეში დაიდვა ბინა.
- იოკასტე** რა სტქვი? მოკვდაო მეფე პოლიბოს?
- მოამბე** თუ გატყუებდე, აქვე გავთავდე.

- იოკასტე** გასწი ბატონთან და მოახსენე.  
აჰა, ღმერთების წინასწარი თქმაც!  
ოადიპოს გარბის შორს სამშობლოთვან,  
რათა არ მოჰკლას მოხუცი მამა,—  
მამა კი კვდება აწ ბუნებითად!..
- ოადიპოს** ო, იოკასტე, უძვირფასესო  
ჩემო მეუღლე! რათ დამიბარე?
- იოკასტე** ჰა, მოუსმინე ამ კაცს და მერე  
თვითონ განსაჯე, რაღა ფასი აქვს  
ღვთის წინასწარ თქმას!..
- ოადიპოს** სადაურია?  
რა უნდა მითხრას?
- იოკასტე** კორინთელია,  
უნდა გაცნობოს, რო მამა შენი,  
მეფე-პოლიბოს მიცვალებულა!
- ოადიპოს** რაო, რა გითქვამს? განიმეორე!
- მოამბე** თუ საჭიროა გამეორება,  
იცოდე, მეფე: მამა მოგიკვდა.
- ოადიპოს** რამ მოჰკლა? სენმა თუ კაცთ მზაკვრობამ?
- მოამბე** მიხრწნილ გვაძისთვის ერთი ბეწოც რამ  
საქმაო არის!..
- ოადიპოს** საბრალო მოხუცს  
სენმა მოუღო, როგორც სჩანს, ბოლო.
- მოამბე** დიად, და თანვე ღრმა სიბერემაც.
- ოადიპოს** ვაიმე, ვაი! რაღა ფასი აქვს  
შემდეგ ამისა პითონის ხრიზმოს  
ან მალლა ცაში ფრინველთა ქროკინს!  
ჩემის ხელითვე უნდა მომეკლა  
მამა მშობელი, ის კი უსულლო  
აწ განისვენებს ცივს სამარეში,—  
მე კი აქა ვარ და არც მიხლია

ხმლისათვის ხელი! ან ეგებ მამა  
სულ მე მიგლოვდა და ჯავრს გადაჰყვა,  
და ამ გზით მკვლელი მაინც მე გაეხდი  
პოლიპოს მოკვდა და ჰაიდესში  
თან ჩაიტანა ღმერთების მიერ  
წინასწარ თქმული...

**იოკასტე** მე წინდაწინვე

დიდი ხანია მაგას ვამბობდი.

**ოედიპოს** ეგ მართალია, მაგრამ მე შიშით  
დავკარგე გონი.

**იოკასტე** აწლა გულში შიშს  
ნუ გაიტარებ.

**ოედიპოს** გარნა დედისა  
ქმრობას აღარა უნდა ვშიშობდე?

**იოკასტე** უადგილოა შიში იქ, სადაც  
ბრმა ბედისწერა მხოლოდ განაგებს.  
და წინაგარძნობაც არაფრისა გვაქვს.  
გვიჯობს ვიცხოვროთ ისე, ვით ძალგვიძს.  
შენც ნუ იშიშვი დედასთან კავშირს:  
სიზმრად მრავალნი ბილწ სარეცელზე  
თვისთა დედათა შეუღლებიან,  
მაგრამ იოლად ის ცხოვრობს ნხოლოდ,  
ვინც სისულელეს ყურად არ იღებს.

**ოედიპოს** ჩინებულია შენი სიტყვები,  
რომ არ სცოცხლობდეს ამ ჟამად დედა,  
მაგრამ ის სცოცხლობს და მეც შიშით ვკრთი  
თუმცა მამშვიდებ.

**იოკასტე** მამის საფლავი—

აი რა არის დიდი ნუგეში!

**ოედიპოს** დიდია, მაგრამ შიში ცოცხლისა...

- მოამბე** ნეტავ ვინ არის ის დედა-კაცი,  
ვისი ხსენებაც გაშინებსთ ეგსომ?
- ოადიპოს** იგია ცოლი პოლიბოსისა,  
მეროპე არის!
- მოამბე** . მერე რა არის .  
მასში ისეთი, რომ ვერე გაფრთხობსთ?
- ოადიპოს** ჰოი, მოხუცო, ხრიზმო საზარი,  
ღვთით მოვლენილი...
- მოამბე** არ შეიძლება,  
რო მეც ვიცოდე, თუ გამჟღავნდება  
ეს საიდუმლო?..
- ოადიპოს** რატომაც არა.  
წინასწარ მამცნო ლოქსიამ, რომ მე  
დედას-მშობელსა კმრად გავუხდები  
და ჩემის ხელით დავღვრი მამის სისხლს!  
და მეც დაეგდე მყისვე კორინთო,  
ჩემი სამშობლო, ბედსაც ვეწიე,  
თუმცა მშობლების ნახვას ვინატრი,  
გულით მწაღია!
- მოამბე** მაშ, ამის შიშით  
შენ დაგიგდია სამშობლო მხარე?
- ოადიპოს** რომ არ მომეკლა მამა-მშობელი...
- მოამბე** რას ველოდები, როდესაც ძალმიძს,  
სამოყვროდ მოსულს, მყის გაგიფანტო,  
მეფევე, ეგ შიში!
- ოადიპოს** ნაცვლალ მიიღებ  
ღირსეულ ჯილდოს.
- მოამბე** მეც მისთვის მოველ  
ჯილდო მივიღო, ოდეს სამშობლოს  
დავუბრუნდებით.

- ოადიპოს** ეგ არ იქნება,  
მე სამუდამოდ მოვშორდი მშობლებს.
- მოამბე** ო, შეილო ჩემო, შენ თვით არ უწყი,  
თუ რას სჩადიხარ!
- ოადიპოს** მიხედე ღმერთებს,  
მამცნე ყოველი.
- მოამბე** ღმერთების შიშით  
თუ დაუტევე შენი სამშობლო,  
დაბრუნდი ჩვენთან.
- ოადიპოს** მერე რომ ახდეს,  
რაც მიმეტყველა ჭებემ წინასწარ?
- მოამბე** რის გეშინია? რომ არ შეჰბილწო  
დედის საწოლი?..
- ოადიპოს** ეგ არის, ეგა,  
ღიად, მოხუცო, მუდამ შიშსა ვგრძნობ...
- მოამბე** იცოდე მეფე სულ ტყუილია  
ეგ შენი შიში.
- ოადიპოს** რაო ტყუილი!  
მე ხომ შვილი ვარ ჩემის მშობლების?
- მოამბე** ტყუილი მეთქი: შენ პოლიბოსის  
სისხლის არა ხარ!
- ოადიპოს** რაო, ეგ რა სთქვი?  
ნუ თუ ის ჩემი მამა არ არის?!
- მოამბე** ისე, როგორც მე,—არა უმეტეს.
- ოადიპოს** ვით შეედრება მშობელსა მამას  
კაცი, რომელიც არ არის მამა?
- მოამბე** შენს გაჩენაში თანსწორი წილი  
გვიდევს ორსავე.
- ოადიპოს** რათ მიწოდებდა  
მაშ თავის შეილად?





- მოამბე** არა ვიცი რა.  
ეგ იმას ჰკითხე, ვინც შენ გიპოვა.
- ოადიპოს** მაშ სხვამ მიპოვა?
- მოამბე** დიალ, სხვა მწყემსა  
მეფევე, მე შენი თავი გადმომცა.
- ოადიპოს** ვინ არის მწყემსი? მისი სახელი?
- მოამბე** ის უნდა იყოს ლაიოს-მეფის  
მონა-მსახური.
- ოადიპოს** აწ მიცვალებულ  
ამ ქვეყნის მეფის?
- მოამბე** დიალ, ლაიოსს  
ის მწყემსად ჰყავდა.
- ოადიპოს** ხომ ცოცხალია?  
მინდა თვით ვნახო...
- მოამბე** ეგ აქაურებს  
გეცოდინებათ უკეთ, ვიდრე მე.
- ოადიპოს** ნუ თუ არავინ აქ მყოფთა შორის  
იმ მწყემსს არ იცნობს? არ შეხვედრია  
ან სადმე მინდვრად ან აქ, ქალაქში?  
აბა, სთქვით! ბარემ აეხსნათ ყოველი!
- ხორო** ვფიქრობ, ეგ მწყემსი ის უნდა იყოს,  
რომელიც უკვე აქ დაიბარეთ, —  
ეს იოკასტეს ეცოდინება.
- ოადიპოს** აბა, რას იტყვი, ჩემო მეუღლე?  
ჩვენ რო მოვიხმეთ, ის მწყემსი არის,  
ვისაც ეს ჰხადის?
- იოკასტე** რათ მეკითხები,  
ვისას რას ამბობს? ყურს ნუ ათხოვებ!  
ფუქია ყველა მაგის ნათქვამი!
- ოადიპოს** ეგ არ იქნება! რა კი მივაგენ



ზევსა, ქედმაღალს! ეს განა მარცხვენს?  
ბედის შვილი ვარ—მე მშობა ბედმა  
მარად მოწყალემ... განვლილთა თთვეთა  
არარაობა ცად ამამაღლეს...  
და არასოდეს არ მსურს სხვად ქცევა,  
რო ვერ გავიგო, თუ ვინ ღამბადა...

### სტროფი.

**ხორო** თუ კვლავ მაქვს ნიკი წინასწარ თქმისა, თუ კჳუაც მიქრის,  
ვფიცავ ოლიმპოსს, ვიდრემდის მთვარე გაივსებოდეს,  
შენ, კითარონო, ხოტბას შეგასხამ,  
ვით ოადიპოსის აკვანს, სამშობლოს  
და მშობელ მამას, სამა-ფერხულით  
გაქებ-გადიდებ მისთვის, რო შეება  
არგუნე მეფეს!  
ჭებევ მოწყალე, აღსრულდეს ნება შენი წმინდაჲ!

### ანტისტროფი.

ყრმავ მარქვი, უკვდავ ქალწულთა შორის რომელმა გშობა?  
ჰანს შეუერთდა, მთების ბინადარს,  
თუ თვით ლოქსია გაგიხდა მამად,—  
მინდორთა, ველთა, ვაკეთ ტრფიალი?  
ან თუ კილლენეს მფლობელი ღმერთი?  
ან თუ ბახუსსა, მთისა მწვერვალზედ, რგვალ-თვალა ნიმფათ,  
მათის ცელქობის თანაზიარსა,  
ვით ძე მიგგვარეს?  
**ოადიპოს** თუ არა ვცდები, მოხუცო ვგონებ,  
იმ მწყემსსა ვხედავ, რომელსაც ვეძებთ  
დიდი ხანია, თუმც არ მინახავს.  
ის უნდა იყოს: ღრმა მოხუცია,  
ვით კორინთელი, და კარგად ვარჩევ.

ჩემთ მსახურთ მოჰყავთ. გარნა შენ უკეთ  
უნდა იცოდე, რათგან უწინაც  
გინახამს მწყემსი.

**ხორო**

დიალ, ვიცანი:

ლაიოსს ახლდა ერთგულ მსახურად.

**ოადიპოს**

წინაპირველად კორინთელ სტუმარს  
გკითხავ—მითხარი, ეგ ის კაცი?

**მომამბე**

დიალ, ის არის.

**ოადიპოს**

აქეთ მოდექი,

თვალში მიცქირე და მიპასუხე.

შენ ლაიოსის მსახური იყავ?

**მწყემსი**

მე ვიყავ მონა, სახლში აღზრდილი,  
არა ნასყიდი.

**ოადიპოს**

რას აკეთებდი?

რა საქმე გქონდა?

**მწყემსი**

მთელი სიცოცხლე

ნახირში ვიყავ.

**ოადიპოს**

სად უფრო ხშირად

მწყესიდი ნახირსა?

**მწყემსი**

კითარონისა

არე-მარეში და მისს კალთებზედ.

**ოადიპოს**

ეს კაცი სადმე ხომ არ გინახავს?

**მწყემსი**

მეფევე, ვინ კაცი? რა მოხელეა?

**ოადიპოს**

აი, ეს კაცი!.. არსად გინახავს?

**მწყემსი**

არა, არ ვიცი... არ მაგონდება...

**მომამბე**

ნუ გიკვირს, მეფევე შე მოვავონებ

ცხადათ ყველაფერს. თამამად ვიტყვი,

უნდა ახსოვდეს, რო ჩვენ ორივე

კითარონისა მიდამოებში

ჯოგებსა ვმწყესიდი: მე--ერთს, ეგ--ორსა,

იქ გავატარეთ სამი ზაფხული...

ზამთრის პირში კი გავრეკდით ჯოგებს—  
ეგ ლაიოსის ფარეხში, მე კი—  
ჩემსა ბოსელში. აბა, ძმობილო,  
მართალს არ ვამბობ?

მწყემსი

მართალი არის,  
თუმცა დიდი ხნის ამბავი კია.

მოამბე

მაშ, გაიხსენე, ერთხელ რო ბავშვი  
მომგვარე, რათა გამომეზარდა,  
ვით ღვიძლი შვილი?

მწყემსი

რაო, რას ამბობ?  
რა საჭიროა ეგ მოგონება?

მოამბე

აი, ძმობილო, ის ქორთა ბავშვი.

მწყემსი

გაჩუმდი, ბრიყვო! გასწი აქედან!

ოადიპოს

ეგ საყვედურის ღირსი არ არის,—  
შენა ხარ, მონავ, ღირსი სასჯელის!

მწყემსი

უსათნოესო, რა დავაშავე?

ოადიპოს

იმ ყმაწვილისა არაფერს ამბობ!..

მწყემსი

მაგან არ იცის, ტყუილებს როშავს...

ოადიპოს

ნებით არ ამბობ? ჯოხი გამოგტეხს!...

მწყემსი

ო, ღვთის გულისთვის, ნუ მცემ მოხუცსა...

ოადიპოს

მსახურნო, მალე შეუკარო ხელნი...

მწყემსი

ვაი, უბედურს! რა უნდა გითხრა?

ოადიპოს

ამ კაცს მიეცი ბავშვი, თუ არა?

მწყემსი

მივეცი... იმ დღეს რათ შევესწარი!..

ოადიპოს

თუ არ გატყდები, მოკვდები ეხლავ.

მწყემსი

მე დავიღუპვი, თუ ვსთქვი სიშარტლე.

ოადიპოს

შენ, ვგონებ, განგებ აქიანურებ...

მწყემსი

არა, ბატონო, ხომ მოგახსენე

დიდი ხანია—მივეცი მეთქი...

ოადიპოს

სთქვი, ვისი იყო: შენი თუ სხვისი?

მწყემსი

სხვისი, ბატონო, —მე სხვამ გადმომცა...

- ოადიპოს** დაასახელე, ვინ? რომელ სახლში?  
**მწყემსი** ღვთის გულისათვის, ნუ გამომკობხავ..  
**ოადიპოს** სულს ამოგართმევ, თუ არ სთქვი მალე!..  
**მწყემსი** ყმაწვილი მეფის ჯალაბის იყო...  
**ოადიპოს** მონა თუ შვილი?  
**მწყემსი** ვაგლახს! ამის თქმა  
საშინელია!
- ოადიპოს** მოსძენა უფრო  
საშინელია, მაგრამ მაინც სთქვი!
- მწყემსი** ყმაწვილსა მეფის ძედ უწოდებდენ...  
ჰკითხე დედოფალს— მან უკეთ იცის...
- ოადიპოს** როგორ? მან მოგცა?  
**მწყემსი** დიად, მეფეო!
- ოადიპოს** რისთვის? რა აზრით?  
**მწყემსი** მოსაკვდინებლად.
- ოადიპოს** მშობელმა დედამ?  
**მწყემსი** შიშით გასწირა  
მან თვისი პირმშო...
- ოადიპოს** რა შიში იყო?  
**მწყემსი** იყო ხმა ღვთისა— ბავშვს ღვიძლი მამა  
უნდა მოეკლა!..
- ოადიპოს** რათ გადაეცი  
ყმაწვილი მოხუცს?  
**მწყემსი** ვერ გავიმეტე  
უმანკო ბავშვი და მწყემსს მივეცი,  
რათა კორინთსა თან წაეტანა...  
მან კი აღზარდა და განუმზადა  
სვე საშინელი. ვინათგან, მეფევ,  
თუ ის ყმაწვილი მართლა შენა ხარ,  
საზარელია შენი სიცოცხლე!..
- ოადიპოს** ვაიმე, ვაი!.. ახლა ყოველი!

სინათლევ დღისა გაჰქრი თვალთაგან!..  
შობითვე წყეულს მე შემიბილწავს  
წმინდა საწოლი! ღვთით შეჩვენებულს  
უმანკო სისხლი დამინთხევია!

### სტროფი ა.

ხორო

კაცობრიობავ, რალა ხარ?  
თვით სიცოცხლეში არარა!  
ბედნიერების მსურველი  
ვინ მისწდომიხარ საწადელს?  
ბედ კეთილობა ლანდია,  
მხოლოდ ჩვენება წუთისა!  
და რა გაჰქრება, ვარდებით  
უფსკრულში საბრალობელნი!  
შენის შავ-ბედის, ოადიპოს,  
საზარის ხვედრის მხილველი,  
ვხედავ არა არს ამ ქვეყნად  
ბედნიერება!

### ანტისტროფი ა.

შენმა ისარმა განუბო  
შკერდი საშინელს მგოსანსა!  
შენ მიაღწიე დიდებას,  
ბედსა, სიმდიდრეს! მფარველად,  
მხსნელად გაუჩნდი ქვეყანას!  
დაგვხსენი სიკვდილს, ვაებას!  
ჩვენცა დაგდაფნეთ, მეუფედ  
შენ მოგიწოდეთ მაშინვე!  
და თაყვანს გცემდა, ვით მეფეს,  
ღიადი თება!..



### სტროფი ბ.

ეხლა რას ვხედავ, ოჯდისპოს?  
ცვალეზადია ცხოვრება!  
უსაზარლესი წილად გხვდა  
ტანჯვა, წვალეზა, ნალეელი!  
მეფეო ტკბილო! განსასვენებლად  
ერთს საქორწინო სარეცელზედა  
ვითარ მოთავსდით მამა და შვილი?  
მამის საწოლმა, ბედკრულო,  
ვით აიტანა სირცხვილი?  
რა რიგ გაუძლო ამდენ ხანს  
თავისს შებილწვას?

### ანთისტროფი ბ.

მაგრამ დრომ ყოვლის-მხედველმა  
ანაზღად ცხად ჰყო ბილწი კავშირი  
ღვიძლის შვილისა მშობელ დედასთან!..  
ლაიოსის ძვე ბედშავო!  
ნეტამც ჩემს თვალებს  
სულ არ ენახე!  
ეხლა კრემლებს ვღვრი,  
მწარედ ვჰქვითქვიოვ  
შენის გულისთვის: შენით ლა გვიდგას  
ტანჯულთა სული! შენით ცოცხალ ვართ!  
შენ მოგვანიჰე თავისუფლება!

**შულტა**

პატივცემულნო და დიდებულნო  
მოქალაქენო! ჰკრთოდეთ ყოველნი!  
საშინელ საქმეთ იხილავთ თვალით,  
საშინელებას ყურით მოისმენთ!

საზარი კენესა გულთ აღმოხდებათ,  
თუ კვლავ ერთგულებთ ლაბდაკიდთა გვარს!  
არცა ისტროსის, არცა ფაზისის  
მრისხანე ტალღებს არ შეუძლია  
აღხოცოს ყველა ის ბოროტება,  
ნება-ყოფლობით დამართებული,  
რაც სასახლეში დაბუდებულა  
და რაც თავს იჩენს ადრე და მალე!  
საშინელია მხოლოდ ბოროტი,  
ჩვენით ჩვენთვისვე განმზადებული!..

**ხორო** გვეყოფა, რაც რო კირი ვიგემეთ!  
შენ რას გვიმზადებ? ბარემ გვითხარი!

**შულტა** მოკლედ გაცნობებთ საშინელ ამბავს:  
აწ იოკასტე აღარა ცოცხლობს.

**ხორო** ო, უბედური! გვითხარ, ვინ მოჰკლა?

**შულტა** თავი მოიკლა... მაგრამ ამბავი  
ეს საშინელი შენ არ გინახავს,  
ვერც წარმოიდგენ... აი, გიამბო  
ბედ-შავის ტანჯვა, რაც თვალით ვნახე!..  
გაათრებული, გრძნობა-მიხდილი  
რა წამს წინ კარში ის შემოიქრა,  
შიგნით შევარდა და მიაშურა  
მყის თავისს საწოლს, თან თმას იგლეჯდა  
ორივე ხელით... მოუწოდებდა  
მეფე-ლაიოსს... მუნ იგონებდა  
ვაჟსა, მამის მკვლელს და მშობელ დედის  
შემარცხვენელსა... სწყევლიდა საწოლს,  
ცოდვით წაბილწულს, სადაც ბედკარულმა  
შვა ქმრისგან ქმარი, პირმშო შვილისგან  
წყუელნი შვილნი!.. რა მოხდა მერე,  
ვით დაიღუპა აღარ მინახავს...

ყვირილ-ზახილით იქ შემოვარდა  
ოადიპოს-მეფე, -- ველარ ვუტკირეთ  
დედოფლის ტანჯვას, მეფეს ვუმზერდით,  
ვით აწყდებოდა იქით და აქეთ...  
დაბარბაცებდა, ეძებდა მახვილს,  
ეძებდა ცოლსა და არა-ცოლსა,  
მრჩობლსა დედასა—ქმრის და შვილების...  
ჩვენ ხმას ვერ ვცემდით გაშმაგებულსა—  
ბოროტი ღმერთი უბნევდა გზა-კვალს...  
უცებ საზარლად დაიღრიალა  
და, თითქო ვისლაც ეჩვენებინოს,  
ეძგერა კარებს, რკინის ურდული  
მიღეწ-მოღეწა და შეიბრინა  
საწოლ ოთახში... იქ დედოფალი  
თოკზედ ეკიდა და ჰქანაობდა...  
რა დაინახა ბედკრულმა მეფემ,  
საზარის გმინვით გაუხსნა ყულფი  
და ძირს დაეცა დედოფლის გვამი...  
აქ დატრიალდა ცოდვა საზარი:  
მეფემ მოსწყვიტა დედოფლის სამოსს  
ოქროს ბალთები და ერთის დაკვრით  
გამოითხარა ორივე თვალი...  
და თან მოსთქვამდა, რო მისთა თვალთა  
აწ ვერ იხილონ, რაც სატანჯველი  
გადახდენია ან ბოროტება  
ჩაუდენია... დე, ბნელში მყოფი  
ნულა იხილავს იმათ, ვისიცა  
გაცნობა მარად ეგრე სწყუროდა  
და ვინც, ერჩივნა, სულ არ ენახა!..  
ასე მოსთქვამდა და კვლავ იცემდა  
თვალეებში ბალთებს... სისხლი სდიოდა

არა წვეთ-წვეთად,— ვითა ნაკადი  
მოთქრიალებდა ცრემლში ნარევი  
და უღებავდა გულ-მკერდსა, ლაწვებს...  
ცოდვის ჩამდენი ორივე იყო,  
სასჯელიცა ჰხვდათ ორსავე ცოლ-ქმარს.

ამა ადგილთა ძველად, ოდესღაც  
დულდა სიცოცხლე, ბედნიერება...  
დღეს კი? ეხლა ღა?... კენესა-ვაება,  
სიკვდილი, გლოვა, ათასი ქირი,  
რაც ადამიანს წილად ჰხდომია!...

**ხორო**

**შულტა**

რა ყოფაშია ახლა ბედ-კრული?  
მრისხანებს, ჰყვირის—კარი გააღონ,  
აჩვენონ ყველას მკვლეელი მამისა,  
ის, ვინაც დედა... არა, არ ძალ-მიძს  
უშევრის სიტყვა განვიმეორო...  
სურს განერიდოს ჩვენს ქვეყანასა,  
დასტოვოს სახლი ესე წყეული  
სამარადისოდ... გარნა არ შესწევს  
ძალი და ღონე, არც ჰყავს ეტიკი.  
ტანჯვა კი მისი უმძიმესია,  
ვიდრე ერთს კაცსა ძალ უძს ატანა...  
აი, თვით ნახავ... კარი იღება...  
და გამოჩნდება სანახაობა,  
რომლის შეხედვა მტერსაც შეჰზარავს.

**ხორო**

გულ-შემზარავი სანახაოია!  
უსაზარლესი არ მინახავს რა!  
რამ დაგიბნელა ჭკუა-გონება  
სვე-კრულო მეფევე? რომელმა ღმერთმა  
თავს დაგატეხა ქირი საზარი?  
ვაი, ბედშავო!

მსურს გამოგკითხო, გამოვიწვლილო,  
გავიგო ყველა, მაგრამ არ ძალ მიძს.  
თვალს ვერ გიმართავ, შეძრწუნებული  
შიშით ვკანკალებ!

**ოადიპოს** ვაიმე! ვაი!  
ვაგლახ უბედურს! სად მომიყვანეთ?  
ასე საოცრად რათ ისმის ბნელში  
ჩემი სუსტი ხმა? ბედო მუხთალო,  
ეს რა დამმართე?

**ხორო** საშინელი რამ,  
აუტანელი, გამოუთქმელი!

### სტროქი ა.

**ოადიპოს** ვაიმე, ვაგლახ!  
ღამე უკუნი, ბნელი საზარი,  
განუქვრეტელი და უძლეველი!  
ვაი!  
და კიდევ ვაი! ო, რა რიგ მტანჯავს  
საზარ საქმეთა მოგონებანი!  
რა რიგ მიწყლავს გულს ტკივილი თვალის!

**ხორო** ოღონდაც, ტანჯვა ესეოდენი  
შენ ერთი-ორად გიშხამავს სულსა.

### ანტისტროქი ა.

**ოადიპოს** ო, მეგობარო!  
ერთგულ მსახურად შენ დამრჩი მხოლოდ,  
შენ არ დამაგდე ბრმა, უსინათლო!  
ვაი, ვაი!  
ბნელით მოცულმა, სასო-მიხდილმა  
ხმაზე გიცანი, ძველო მსახურო!

**ხორო** რა ჩაიდინე? რათ დაიბნელო  
სინათლე მზისა? რომელმა ღმერთმა  
ჩაგიგდო გულში საშინელება?

**სტროფი ბ.**

**ოადიპოს** ო, მეგობარო! აპოლო იყო,  
ღმერთი-აპოლო! მან აღასრულა  
უსაზარლესი მუქარა თვისი!  
თვალები კი მე, მე დავითხარე  
ჩემის ხელითვე! რისთვის მეცქირა?  
თვალ-ხილული კი განა ვხედავდი  
სასიხარულოს?

**ხორო** კეშმარიტია!

**ოადიპოს** რა დამშთენია? ვის ღა შევხედო?  
ვინ ღა მიყვარდეს? ვის ღა ვუსმინო?  
ო, მომაშორეთ აქაურობას,  
მალე მომწყვიტეთ, შორს წამიყვანეთ  
ბილწი, სვე-კრული, შეჩვენებული  
და ღმერთებისთვის შესაზიზღარი!..

**ხორო** საშინელია შენი ცოდვები,

უფროს საზარი, რაკი შეიგნე!  
ო, მირჩვენოდა სულ არ მენახე!

**ოადიპოს** წყეულიმც იყოს, ვინც მთის კალთაზე  
დამხსნა ბორკილი და დამიფარა  
სიკვდილისაგან! რისთვის ვცოცხლობდი?  
თვით დავიტანჯე და მოყვასთ ჩემთა  
ქირი საზარი წილად ვარგუნე.

**ხორო** ეგ მართალალია: სიკვდილი სჯობდა...

### ანტისტროქი ბ.

**ოადიპოს** არც შევბილწავდი დედის სარცეკლს  
და მამის სისხლსაც არ დავიდებდი...  
ახლა ღა? რა ვარ? შეჩვენებული,  
შერცხვენილ დედის უკეთური ძე,  
ღვიძლის მშობელის თანა მემცხედრე!..  
ო, თუ არსებობს უსაზარლესი  
ბოროტება რამ, ოადიპოს შეხვდა!..

**ხორო** არ ვიცი, რა ვთქვა? ვით მოგიწოდლო?  
გარნა გიჯობდა უსინათლობას  
სულ არ გეცოცხლა!...

**ოადიპოს** ო, ნუ გამკიცხავე,  
ნუ, ნუ შაყვედრი, რო სიკვდილის წილ  
თვალთ დავიბნელე სინათლე დღისა...  
ვით ღა მემზირა აბა ჰადესში  
ბედ-კრულ დედისთვის? ან მშობელ მამას  
ვით ვჩვენებოდი ძე უკეთური,  
ბილწი, ცოდვილი, შიშთვილის ღირსი?  
განა არ მწყურის შვილების ნახვა?  
მაგრამ არ ძალ მიძს... ჩემი თვალეები  
მათ ვერ იხილავს... ველარც ქალაქსა,  
ვერც ციხე-კოშკებს, ვერცა ღმერთების  
წმინდა ქანდაკთა... თვით მე ბედშავმა  
დავკარგე ყველა: გავეც ბრძანება  
(ოდეს ვმეფობდი თებას განცხრომით)  
განღვენოს ყველამ, ვინც აღმოჩნდება,  
ვით ღვთის ღალადებს წინასწარი თქმა,  
ძვირის მომქმედი და ძე მეფისო!

თავ ლაფ-დანხმულმა ვით გავუსწორო  
ჩემთ თანამომემთ დღეიდან თვალნი?!

არა, არას დროს! ო, რო შემეძლოს  
მოვისპო სმენა. დავიხშო ყურნი,  
ვერც რა ვიხილო, ვერც გავიგონო!..  
სასიამოა, ოდეს ვერა გრძნობ  
ტანჯვა-წვალებას! ჰოი, კითარონ,  
რათ შემითარე, რათ არ მომკალი,  
ხალხს არ შეეტყო, თუ ვისგან ვიშვი!  
და შენც პოლიბოს, და შენც კორინთო,  
შენცა მამულო ძველო სასახლევე,  
ეს ვინ აღზარდეთ, გარეგან ტურთა  
და დაფარული შიგ მუწუკებით  
[კოდვით აღნავსი კოდვით ნაშობი!]

შენც მებოძირო სამის გზისაო,  
ტყეო ბურვილო და ვიწრო ხევო,  
თქვენ შეიწოვეთ ამ ჩემის ხელით  
მუნ დათხეული სისხლი მეფისა, —  
გახსოვსთ, თქვენ შორის რა ჩავიდინე  
და აქ მოსულმა კვლავ რა კოდვა ვქმენ?

ჰე, ქორწინებავ, მე რო დამბადე,  
კვლავ მიანიჰე ჩემს თესლს სიცოცხლე  
და წარმოშობე მამანი, ძმანი,  
ვაჟნი და ბავშვნი, ერთი სისხლ-ხოარცი,  
კოლ-რძალ-დედანი და რაც რამ არის  
უსაზიზღრესი კაცთ შორის ქვეყნად!

გარნა ძნელია მოსათხრობელად  
საზარ საქმეთა ჩემთა ამბავი!

ამიტომ გვედრით, ღვთის გულისათვის,,  
მალე განმადეთ ამა ქვეყნითგან,  
ან მომაკვდინეთ ან და შთამაგდეთ  
ზღვისა მორევში, რო ვერ მიხილოთ!  
გამხადეთ ღირსი ხელის შეხების



მე საცოდავი! მომიახლოვდით!  
ნუ გეშინიათ! სხვა არვის ძალ უძს  
ამის ატანა მოკვდავთა შორის!

გარნა უკეთუ კაცთ შთამოგების  
არ გაქვსთ სირცხვილი, ეკრძალებოდეთ  
ღელიოსს — ღმერთსა, ვისი ნათელი  
ცხოველ ჰყოფს ყველას, ვინც ვერც ცხად ჰყო  
ძვირის მოქმედი: მას ველარ განწმენდს  
ვერც დედა-მიწა, ვერცა ცის ნამი,  
ვერც შუქი მზისა! მაშ, წამიყვანეთ  
საჩქაროდ შინა: მარტო თვის ტომთა  
მართებსთ ისმინონ და დინახონ  
თვის ნათესავის ტანჯვა-წვალება!

**ხორო** აი, კრეონიც ახლად აქ მოდის. —  
ის გირჩევს, სრულ ჰყოფს სუყველაფერსა:  
დღეს შენ მაგიერ ის დაგვრჩენია  
ჩვენ ერთად-ერთი ქვეყნის დარაჯი.

**ოადიპოს** ვაგლახ, რა ვუთხრა, როგორ მიემართო?  
განა ღირსი ვარ მაგის ნდობისა,  
ვისაც მოვექეც ვერცე უმართლოდ?!

**კრეონ** არა, ოადიპოს, მე არ მოვსულვარ,  
ვითა მქირდავი, გისაყვედურო,  
რაც ბრალი დამღე, მლანძღე, მაგინე!

**ოადიპოს** ო, ღეთის გულისთვის, რა კი განფანტე  
შენ ჩემი შიში და მოხველ ჩემთან,  
მოძმეთა შორის უბოროტესთან,  
შენ, ვაჟიკაცი უსათნოესი,

ყური მომაპყარ—მსურს გითხრა რამე,  
ჩემთვის კი არა, შენ სახეიროდ.

**კრეონ** რაღა გწადია, რომ აგისრულო?

**ოადიპოს** ჩქარა ამ ქვეყნით შორს განმადევე,  
რო ჩავკვდე სადმე ობლად შენილი.

**კრეონ** სრულ ვჰყოფ, მერწმუნე, შენსა სურვილსა,  
მაგრამ ღვთის ნებაც უნდა ვიცოდე.

**ოადიპოს** ბრძანება ღვთისა ცხადად ღაღად ჰყოფს  
მოჰკლათ ურჯულო მკვლელი მამისა.

**კრეონ** ეგ აგრე იყო, მაგრამ გვიჯობს კვლავ  
ღმერთსა შევეკითხოთ, ახლა და რა ვქმნათ?

**ოადიპოს** როგორ? თქვენ გინდათ ჩემი რამ ჰკითხოთ?

**კრეონ** ჰო და ამ ჟამად შენც ენდე ღმერთსა.

**ოადიპოს** შენ მოგნდობივარ და გევედრები  
დაასაფლაო, ვით სცნობ საჭიროდ,  
ვინც იქ სახლშია. ვიცი, კეთილად  
სრულ ჰყოფ ამ საქმეს შენიანთათვის.  
მე კი უღირსი ამიერთვან  
მშობელ ქალაქსა ხამს განვეერიდო,  
ვიდრე ცოცხალ ვარ. გამიშვი მთაში,  
სად მდებარეობს ჩემი კითარონ,  
სად განმიმზადეს ჩემთა მშობელთა  
სამარე შვილსა, სადაც მათ სწადდათ

ჩემი დაღუპვა, მაგრამ ვერც სენი,  
ეს კარგად ვიცი, ვერცა სხვა რამე,  
მე ვერ დამლუპავს: მაშ, განწირული  
ვით ღა გადვურჩი სიკვდილს თუ არა  
უფრო საშინელ ბოროტებისთვის!..  
გარნა, დე ახდეს, რაც მიწერია!..

ვაჟებისათვის ნუ ზრუნავ, კრეონ:  
ვაჟაცეცია და უქირველად,  
სადაც იქნება, ცხოვრების საღსარს  
კი იპოვიან... მაგრამ ქალები...  
საბრალობელნი... მათთვის არას დროს  
განზადებულა ხომ ცალკე ტაბლა!..  
თუ შევხებივარ რასმე, ყოველთვის  
სუყველაფერში ჰქონიათ წილი!..  
მათთვის იზრუნე!... მიეცი ნება  
ხელი შემახონ და ცხარე ცრემლით  
გამომიტირონ! წადი, მეფეო,  
კეთილშობილო შთამომავლობით!  
ხელს რო შევახებ, ასე ვიფიქრებ,  
კვლავ ჩემი იყვნენ, ვით მაშინ, ოდეს  
თვალთ ვხედავდი... მაგრამ რას ვამბობ!..  
ჰოი, ღმერთებო! ნუ თუ საყვარელ  
ქალიშვილების მესმის ქვითქვითი?!..  
ნუ თუ კრეონსა შევბრალებივარ  
და ჩემი ქალნი უსაყვარლესნი  
მოუყვანია? მართალს არ ვამბობ?

**კრეონ**

მართალი არის. ეს სიხარული  
მე გაგიზადე, ვიცოდი რათგან  
ამის მოლოდინს შენი არსება  
გარემოუცავს!

ოადიპოს

იყავ კურთხეულ!

ნაცვლად ამისა ერთ-ერთი უფრო  
გწყალობდეს ღმერთი, ვიდრე მე ცოდვილს!  
სად ხართ, შვილებო? მომიახლოვდით,  
დახედეთ თქვენის ძმისა ხელებსა,  
თქვენსა მამას რომ თვალით ელვარება  
ეგრე ჩაუქრეს, ვით ეხლა ხედავთ!

თქვენი მამა ვარ, შვილებო, თქვენი,  
გშობეთ იმისგან, ვისგანც თვით ვიშვი,  
[არაფრის მცოდნემ და არც მხედველმა].

ახლა დაგტირით, რა ველარ გიმზერთ  
და თვალ-წინ მიდგას თქვენი სიცოცხლე  
სავსე სიმწარით მოკვდავთა შორის!...

მოქალაქეთა კრებაში სადღა  
გამოჰყოფთ თავსა? დღესასწაულსა  
ვით დაესწრებით, სად კრემლს დააფრქვევთ  
ნეტარების წილ და გულ-დამწვარნი  
შინ დაბრუნდებით! გარნა როდესაც  
გათხოვებისა მოაწევს ჟამი,

ვინ ღა გაბედავს სირცხვილი ესე  
ჩემთა მშობელთა და თანვე თქვენთა  
იღოს თვის თავსა! განა გვაკლია  
რაიმე ქირი? მამამან თქვენმან  
თვით მოაკვდინა მშობელი მამა,  
დედ-ს შეეყო, ვისგან თვით იშვა,  
და მისგანვე გშვათ,—ამით გაგვიღვენ!..  
ვინღა შეგირთავსთ, ვინ მიგიკარებსთ?..

ეგრე დასკვნებით უქორწინებელ  
ობლად შეთენილნი! გარნა შენ, ჰოი,  
მენოიკეს ძევ, შენ გაუწიე  
მამობა ამათ, დაობლებულთა,

და ნუ ინებებ, რომ ეს ქალწულნი,  
მეყვისნი შენი, ვლიდენ ამ ქვეყნად,  
გაუთხოვარნი, ვითა გლახანი,  
მიუსაფარნი! გებრალეზოდენ  
ნორჩი ასულნი, რათა მათი სვე  
არ ჰგავდეს ჩემსას,—შენ და ხარ მარტო  
მათი იმედი, სხვა ყოველივე  
დაკარგულია... მომეცი ხელი,  
ნიშნად თანხმობის, კეთილშობილო!..

თქვენ კი, შვილებო, კიდევ ბევრს რასმე  
გეტყვობდათ მამა, თუმც საამისო  
გქონდესთ გაგება... ეხლა კი მხოლოდ  
ის და ისურვეთ—როგორც იქნება,  
დავლიო დღენი და უკეთესი  
თქვენ 'შეგზვდესთ ხვედრი, ვიდრე მამა თქვენს!..

**კრეონ** კარგია, მოვრჩეთ! კმარა ცრემლები! წამო პალატში!

**ოადიპოს** თუმცა კი მიმძიმს, გმორჩილებ!

**კრეონ** თავისი დრო აქვს ყველაფერს.

**ოადიპოს** წამოვალ მხოლოდ ერთის პირობით.

**კრეონ** სთქვი, რა პირობით?

**ოადიპოს** თუ განმაძეგებ ამა ქვეყნითგან.

**კრეონ** ეგ ღვთის ნებაა!..

**ოადიპოს** ღმერთებისთვის ხომ საზიზღარი ვარ!

კრეონ

მით უკეთესი!..

ოადიპოს შენ აგრე ჰფიქრობ?

კრეონ

რომ არ ვიცოდე, არც რას ვიტყვოდი.

ოადიპოს მაშ, წამიყვანე.

კრეონ

წადი, შვილები კი აქ დასტოვე.

ოადიპოს ოჰ, არა, შვილებს ნუ მომაშორებ!..

კრეონ

ნუ ხარ თვალ-ხარბი:  
რაც მოიხვეკე შენს ცხოვრებაში, ხედავ, არ შეგრჩა!..

ხორო

ჰოი, თებელნო, ხედავთ ოადიპოსს,—ვაჟკაცი ქველი,  
ვინც იღუმალი იმ გამოცანის აზრი გაიგო,  
ვის უცხო ბედსა შურით უცქერდენ მოქალაქენი,  
დღეს საშინელის უბედურების მორევს შთაუნთქამს!  
ამად მოკვდავსა, სანამ არ დაჰკრავს იმის სიცოცხლის  
უკანასკნელი ჟამი, ბედ-კეთილს ნულა უწოდებთ,  
ვიდრე საზღვარსა საამქვეყნიო ცხოვრებისასა  
ის უჭირველად და უზრუნველად გასცილდებოდეს!..

ს. ჰეტერბურგი. 1911.





ა. შანშიაშვილი

მეფე-მგოსანი





## შორიულ მებობარს

\* \* \*

ვით სუმბული, კდემით სავსე,  
მონარნარებს ბაღში ობლად  
და სურნელსა ზეცად აკმევს  
თვის სიწმინდის მახარობლად,—  
ეგრედ ქვეყნად იყო ერთი  
შორეული მეგობარი  
და ესმოდა მხოლოდ რჩეულს  
მისი სიტყვა ნაუბარი!

\* \* \*

მისი ლოცვა იდუმალი  
ლურჯ სივრცეში იფრქვეოდა,  
მისი გრძნობა მონარნარე  
ჩანგზე სხივად ირხეოდა;  
მის წყნარ ჰანგთა გამოძახილს  
მაშინ შეჰხვდა ჩემი სული,  
როს სიკვდილმა უკვე ამცნო  
დასაწყისის დასასრული!

\* \* \*

შორეული მეგობარი  
ვერ ვიხილე, ვერა ვნახე;  
დიდი ლტოლვა თან წარიღო,  
შემრჩა ლანდად მისი სახე.  
ნანად ჩამყვა: საწუთროში  
მოლიძარმა ვერ შევძახე.  
სულის თვისტომს ძეგლად ვუძღვენ.  
რაც ქვემოზე გამოვსახე!

1912. 1 თებერვალი.





## მეფე-მგოსანი

### მომქმედნი პირნი:

თეიმურაზ—მეფე-მგოსანი

ნინო—რძალი ზენარი

ვარლია

უხუცესი

სამი ასული—ერის მოციქულნი

მხატვარი

მგოსანი

მუბრიბი, მახარობელი, ჭაღაბი, ხალხი, ნინოს ამაღა, მეს-  
ტვირე, ხორო, მოცეკვავე ქაღნი, მსახურნი და სხვანი.

ქვეყნად სამოთხის წალკოტი, გვერდით მარმარილოს ციხე. შუალამე გადასულია.

**მეფე-მგოსანი.** დარბაზით გამოდის. სახე გაფითრებული აქვს. მის ირგვლივ იღუმელოების ნათელი ჩრდილი დაჰქრის, რომელიც მის არსებას ღვთაებრივად ჰხდის. ტერასით მძიმე მძიმედ ჩამოდის.

აჰა, ილევა ბინდი ღამისა,  
მოჰქრის სინათლე ახალ ჟამისა!  
ვარდს სურნელება დაუბრუნდება,  
სოსანს ცის ნამი მოეპყურება;  
სიო ჩემს ნაძენარს ნანას უმღერებს,  
ტბის კავლსა სხივი ჩაუქსოვს ფერებს,  
თეთრფრთიან გედებს რა შეიცურებს—  
ქაფს გამსჭვირვალეს ყელს მოასხურებს.  
ჩემი მამული აყვავებული,

თვით ჩემის ხელით გამშვენებული  
ოქროს სხივებსა შვებით შეჰხედება,  
სიციცხლის ცეცხლით კვლავ აღივსება,  
კვალად განიცდის სიამეს დიადს,—  
ხოლო ეს სული, ვაგლახ, როს შეჰხედეს  
გაცისკროვნებულს თვის ტკბილ განთიადს?  
ნუ თუ ამაო ლტოლვა-ძებნაში  
დავლიო დღენი, დავესამარო  
და შენ, სასტიკო სიკვდილის ძაძავ,  
უდროოდ ჩემს გულს გადევამარო?  
სად არის იგი ნათელფრთოსანი?  
რისთვის ვერ შევხვდი მისი მგოსანი?  
იგი ახლოა? — რად ვერა ვხედავ?  
მისდამი ლაღადს მარად ჟამს ვბედავ!  
იგი შორს არის? არის ოცნება?—  
მაშ ახლოს ჩემს სულს რად ეჩვენება?

სიბნელეში სღგას და დაუსრულებელ სივრცეს გაჰყურებს.

**უხუცესი** მარჯვნივ შემოდის. მოხუცი, დარბაისელი ხმალმობიერი.

მეფეთა-მეფეე! განთიადსა შენ უსწრობ მარად!  
ფხიზელ ტოროლას ჯერ არ უთქვამს სიმღერა წყნარად,  
არ მოსწრებულა მთის გადაღმა ზაფხულის დილა,  
ჯერ თვით ცისკარი შუბის ტარზე არ გადმოხრილა,  
მხოლოდ ფურცელნი მთვარის შუქით ტყეს დაუმშვენდა,—  
ამ დროს, მეფეო, ამდგარს გხედავ—სალამი შენდა!  
რად განეშორე მოსვენების სხივსა ელვარეს?  
მუდამ გჰკრძტ ფიქრით გარემოცულს, სულით მღელვარეს?

**მეფე-მგოსანი** მწუხარედ.

ჩემო აღმზრდელიო! ველი, ველი შენაღონები!

## უხუცესი

სულსა ნუ სტანჯავ, მიგეწურვის ყოველი ღონები!  
გლახ დასუსტებულს, შვილო ჩემო, ვინ მოგცეს შველა?  
ანუ რად უნდა იკირებდე? — შენთან არს ყველა:  
შენა ხარ მეფე მეფეთ ზედან განგებიანი,  
შენი შემწეა თვით განგება, მალალსვიანი.  
შენს ხელთა არის მამაპაპათ სკიპტრა და ტახტი,  
იტყვი: მზად არის მტრის საომრად შვილდი და ლახტი!  
ძღვევის გვირგვინი შენს შუბლს ამკობს ქვამრავალფერი,  
შენა გმორჩილობს ჯარი სპათა, ურიცხვი ერი,  
შენმა მარჯვენამ განამტკიცა ძველი ივერი,  
თავისუფლება მიანიჭე, აოტე მტერი  
და სულით დიდმა თვით აღიდე მისი სახელი,  
ჰკვირობს სხვა ხალხი, ჰკვირობს უცხო მისი მნახველი!  
მრავალ სამთავროდ დაყოფილი ჰქმენ ერთეულად,  
დღეს შენს სამეფოს ვერ უმუხთლოს მტერმან გრძნეულად!  
შენ ერთს გეკუთვნის უამრავი ქვეყნის სიმდიდრე,  
შენია ციხე, სრადარბაზი და სხვა სიმკვიდრე.  
თვით ღმერთმან ძალა შემომქმედი გაგიათასა:  
შენ არა ესავ მთავართა და ძეთა კაცთასა,  
რომელთა თანა სამუდამო არ არს ცხოვრება.  
სუფევის კვერთხი არაოდეს მოგეწორება.  
და განა მარტო არსთა ზედან მეფედ განგებლობ!  
სულის საუნჯეს უხილავსა შენა მფლობელობ!  
შენ ხარ რჩეული სულის მეფე—მგოსანთ მთავარი! —  
მაშ ვილა გტანჯავს, თეიმურაზ! იგი ვინ არის?

## მეფე-მგოსანი

არა მტანჯავს, არა, არა!  
სულს მილხენს და მაძღვეს შვებას;  
მისთვის ტანჯვა სიაშეა,

ჩემში იწვევს ალტაცებას!  
უხუცესო, ნუ შესცოდავ  
სულის მეფეს და ღვთაებას;  
მაცოცხლებს და მასულდგმულებს  
აყვავილებს ჩემს ოცნებას!  
მან გარდამქნა ზეციერმა,  
მომიწოდა თვისად მღერად;  
რომ არ მტანჯოს და ამ ტანჯვით  
არ მაგზნებდეს ჩანგის ჟღერად,—  
ბარემ მიწას მიეებარო,  
მინათებდეს მაშინ მზე რად?  
უხუცესო, მისმა ტანჯვამ  
ასხივოსნა სიყვარული;  
შემასწავლა წმინდა ლოცვა  
იღუმალი, დაფარული!

### უხუცესი

• ვინ არის იგი, ვინ შენს სახეს ფერსა უკარგავს?

### მეფე-მგოსანი

სული სულისა! ვინ გაფურჩქნისს ყვავილს ჩამოჰგავს!

### უხუცესი

• შენ მან აღვიგზნო თვალთა ცეცხლი ჩაუქრობელი?

### მეფე-მგოსანი

მან მხოლოდ ერთმა! და გარდვიქეც მისი მკობელი!  
იგი სად სცხოვრობს?— შორს და ახლოს! ცამდის ასული!  
იგი იქ ჰხარობს, სად ბრწყინვალეებს თვით ჩემი სული!  
რა ნათლად ვხედავ, რომ იცოდე, მას შევებით რხეულს:  
მის სხივის სახეს, მის ლურჯ თვალებს, მის ნარნარ სხეულს—  
ეგრედ მქვირვალეს, მოციალეს და სურნელკმეულს!

## უხუცანი

შენის ოცნებით, თეიმურაზ—

## მეფე-მგოსანი

არა აღმზრდელი!

ჩემი ოცნება მან დაჰბადა და მისცა მდელი,  
რომ ფრთათა რხევით ინაევარდოს, არ უჩნდეს ზღვარი;  
ჩემი ნუგეში იგი არის—რძალი ზენარი!  
სული სახელად ღვთაებრივსა ნინოს უწოდებს.  
მას ერთს შეჰხარის, მას ერთს ელის და მისთვის ჰგოდებს!  
მის სადიდებლად ბნელ ღამეში ხელნი აღვახვე.—  
მას თუ გარეშე ვერ ჰხედავდა, მე დავანახვე.  
ოცნების თვალით დავანახვე თვით ის ოცნება.  
ჩემი არსება, ჩემი ლტოლვა მას ემგოსნება.  
მრავლად ღალად ჰყო ჩემმა ჰანგმა მისი ხატება,  
მისის ხსენებით სიხარული სულს ემატება!

მწუხარედ მაგრამ გატაცებით

მიყვარს იგი, ვინც ძილს მიფრთხობს  
და მშვენება ისრად მასვა;  
მიყვარს იგი, ვინც სევდის ჟამს  
უკვდავების წყარო მასვა!  
მიყვარს იგი, ვინც ოდესღაც  
სიზმრად ვნახე სხივოსანი;  
მიყვარს იგი მხიარული  
ლურჯთვალა და ხშირთმოსანი.  
მიყვარს იგი სევდიანი,  
სევდის ბალით ამოსული;  
მიყვარს იგი თეთრსპეტაკი  
უნაკლულო მარად სრული.  
მიყვარს მისი წმინდა სუნთქვა



და ღიმილი გამსკვირვალი;  
მიყვარს მისი ნაკეთთა რხევა  
ხან ნათელი და ხან მკრთალი!  
ვეტრფი, ვეტრფი მას—ოცნებას --  
ოცნებითვე გარემოცულს;  
ვეტრფი, ვეტრფი შორეულსა,  
ვეტრფი სულთან ახლო მოსულს!  
მესმის მისი ნელი სიტყვა  
და ყურს ვუგდებ ნაზს სიმღერას:  
მას ხანდისხან სული ჰხედავს,  
თვალს ვუშტერებ ამო მხერას.  
მისი ჰანგი, თუ ღიმილი  
ზეცად მიწვევს ავისილს ტრფობით;  
იგი მიყვარს, მიყვარს სულით,  
ზექვეყნიურ ნათელ გრძნობით!  
ჰოი მნათო, მშენიერო,  
ვინ განფანტე ჩემთვის ბნელი!  
მოვედ! მოვედ! მოციმციმდი  
მოუთმენლად შენ ერთს გელი!

გრძნობა მიხდილს და დაბნედილს უხუცესი გულზე მიიყრდნობს და  
მამობრივის აღერსით:

## უხუცესი

მოხუცი მაინც შემიწყალე, ნუ მავსებ ბრალით!  
იყუჩე შეილო, თეიმურაზ! გულს ნუ სჯი გრძნობილს.

განგების ძალო, გადმოჰხედე წყალობის თვალით,  
მოეც შეწვენა, სვემაღალო, მიჯნურს დაკოდილს!—  
ძნელია, ოდეს სინამდვილით კაცი ვერ სტკებება  
და აჩრდილი კი ფიქრგონებას არა ჰშორდება!

## მეფე-მგოსანი

გულს არ აღონებს მოგონება სინამდვილისა!

## უხუცესი

ეგრედ წუხილი ხვედრი არის ბედწაშლილისა!  
შენ ვით იჭირვი? რად შეიქმენ ტანჯვით მხმობელი?

## მეფე-მგოსანი

ჩემო აღმზრდელო! მომეც კვერთხი დასაყრდნობელი!

## უხუცესი

ჩემს მკერდს მიგიყრდნობ! ეხ, როს იქმნე სევდის მკრობელი?  
შვილო, განკურნავს სინამდვილე სევდას სულისას,  
როს გადაუშლის მას საუნჯეს სიყვარულისას!

## მეფე-მგოსანი

სული მხოლოდ სინამდვილით  
ვერ დასტკებება, ვერც იხარებს;  
მას ქვეყანა შორეული  
შეიგუვებს, შეიფარებს.  
ის სამეფო სხვაგვარია:  
არ აქვს კიდე, არცა ზღვარი;  
იგი სულის სამშობლოა,  
საუკუნოდ დაუმკნარი!

## უხუცესი

მიბრძანე, მეფევ, აღვასრულებ შენს სურვილ ნებას,  
ფეხთ ქვეშ გაგიფენ მთლად ქვეყნიურს სიამოვნებას!  
მოვიწვევ ასულთ მშვენიერთა—ქალწულთა ვნებულთ—  
შენ წინ ვაცეკვებ მოხდენილად მათ გაშიშვლებულთ!  
მოვიწვევ მუჭრიბთ, გარდაქცეულთ სიმღერად, გრძნობად,  
თვით მოჯირითეთ მოედანზე დავრაზმავ მწყობრად  
და ვათამაშებ, ვანავარდებ შენს გასართობად!  
მეჯლისს გავმართავ ჯერ არ ნახულს, არსად განაგონს—

— დაპვიწყებია, მეფეთ-მეფევ, ლხინი განა გონს?—  
აეაჩირაღდნებ მე იმ ლამეს, გარდვაქცევ ალად,  
რომ მეორე დღეს მზის სინათლე სჩანდეს ფერმკრთალად!  
შენის გულისთვის რას არ შეეძლებ, მხოლოდ მიბრძანე,  
მიბრძანე, მეფევ, აწ სხვა ვპოვო შენთვის სავანე,  
თორემ მოწყენა რა ხელსა გყრის, არ შეგერგება!

### **მეფე-მგოსანი**

ჩემს სულს სწყურთან მყუდროება, მასზედ ოცნება!..  
დამტოვე მარტო, უხუცესო, მსურს ლოცვა, ლოცვა...  
მისთვის გარდაქმნა და ცოდვების სულით წარხოცვა;  
რათა მას შევხვდე ეგრე წმინდა, ვით ის თვით არი,  
ეგრედ ავმადლდე, ვით თვით მადლობს რძალი ზენარი!

### **უხუცესი**

გემორჩილები!—ღმერთო, მოეც შენი საფარი!  
გადის.

**მეფე-მგოსანი** დიდხანს სდგას ზეცად თვალებ აპყრობილი, შემ-  
დეგ მუხლს მოიყრის. ნელნელა თენდება.

ღმერთო, ღმერთო! ქვეყნის სულო!  
შენ მოგმართავ მიუწვდომელს!  
შენს სიცხოველეს აძლეე ყველას  
არსსა ვხედავ სოფლად რომელს'

უფალო და მეუფეო  
ცხოვრებისა ჩემისაო!  
სათავე ხარ სასწაულთა  
ძალის გამოჩენისაო!

უხილაესა ერთი შეიქმ  
და ხილულსა ასულდგმულებ;  
შენა ჰბადებ, შენვე ამხობ!  
ხან ახარებ, ხან აწყლოლებ!

სამყაროში გაბნეულა  
შენი ცეცხლი ჩაუმქრალი;  
შენს ხატებას თვით ვატარებ,  
შენ მოჰბერე ჩემს სულს ალი!

მე სხვას თაყვანს არა ვსცემდი.  
უკუ ვაგდე ძველთა კვალი;  
ვინც აღმითქვი შენ— ძლიერმა—  
და სიზმარში ვნახე მკრთალი—

იგი შენი ასულია,  
შენის სიბრძნით განამსქვალნი;  
შემახვედრე ჩემს თვისტონსა  
ჰქმენ დღე შავი სპეტაკ-ლალი!

სიჩუმე.

ჰე განთიადო! შენ მაძლევ სალამს  
ჩემს ძლევის გვირგვინს მზის სხივი ჰფერავს;  
ეჰა, ნაწილო უკვდავებისავ,  
თვით შენ განგების ფრთა მარად გსერავს—  
მაგრამ ვით შეგხვდე გულით მხურვალე,  
როს ჩემი მნათი, შენებრ ბრწყინვალე  
არ მომივლინე, არ გამახარე?  
ნუ თუ დამიშთეს კვლავ სევდის მხარე,  
სად უწინ ცრემლი მდულარე ვღვარე?  
ვეძებ დაღლილი ვეძებ დღე-ღამეს,  
თითქოს მივაგენ უკვდავ სიამეს—  
მაგრამ ვსტყუვდები, ის სხვაგან არის:  
არსი ზეცისა, არ მთა და ბარის!  
მუდმივ ლტოლვაში სული იწრთობა,  
ჟამი კვლავ ჟამობს, სხვა კი ისპობა!

უსაზღვროების ვცილდები საზღვარს,  
ვერც იქა ვპოვებ სულის თანაბარს.  
თითქოს ვბრუნდები იმედჩამქრალი:  
სწუხს ფიქრი ჩემი, ფიქრი შემკრთალი!  
სულმა შემოვლო მთლად კილით-კიდე,  
ბევრს საიდუმლოს აპხადა რიდე,—  
ხოლო თვით იგი ვერ დავიმშვიდე!  
კიდევ მივდივარ—და სად მივდივარ?  
არ ვიცი, მაგრამ...  
ო, მასთან, მასთან უნდა წავიდე!

ეპა ბუღბუღო! შენი ხმა ტკბილი.  
ვაგლახ, რად მზიბლავს, რად იპყრობს სმენას?  
ვისგან ისწავლე ეგ დილის ნანა,  
ნაზ ტრფობისათვის რომ აჟღერ ენას?  
შენს ხმისა რხევას, მითხარ, რომელმან  
მოჰმადლა ძალა ესრედ გრძნეული?  
იქმნებ ზაფხულის მშვიდ გარიჟრაჟზე  
ჰნახე მიჯნური ნაზად რხეული?  
იქმნებ მან ერთმან აღგიგზნო გული,  
მანვე გასწავლა შენ სიყვარული?  
მითხარ, სად არის და რომელ მხარეს?  
მე აწ მისთვის ვღვრი ცრემლსა მღულარეს!

ვარდო შენს ლალზე ღიმილი ჰკრთება!  
შენი კოკორი რა ეშხით ბნდება!  
შენს რტოზე სხივთა ქსელი გაება.  
იქნებ შენა გგავს ჩემი ღვთაება?

თუ მისი ბაგე ედარება შენს ლალის ფურცელს,  
თუ იგიც ეგრე შენებრ აფენს მომზიბვლელ სურნელს—

მაშ შენ, ლამაზო, მნახველი ხარ ეგრედ ნარნარის  
და იგი ტურფა გაგიქურდავს - მითხარ, სად არის?  
ბაღის ბოლოში ტბაზე გედები იწყობენ ცურაობას.

ჰე ზამბახო გადაშლილო,  
ეგებები ტრფობით მზესა;  
მოკამკამე ნამს იკონებ,  
უცნობია შენთვის კვნესა.

თრთოლვით ფრთენი აღვიმართავს  
ზეცა წმინდა სულში გასახავს;  
თუ შენ, ტურფავ, მისებრ ჰნაზობ,  
ჩემი სატრფო სჩანს გინახავს.

თეთრსპეტაკო, მიტომ ჰბაძავ  
სიკეკლუცეს და მშვენებას?  
ნუ თუ, ნორჩო, ემსგავსები  
მისის სულის ნაზ ხატებას?

მითხარ, მითხარ, თავს დაგმღერი:  
თვით სად არის მშვენიერი?

ლურჯო გიავ, გაზაფხულის სტუმარო,  
კდემით სავსევე, მარად ნაზო, მღუმარო!  
სევდა დაჰქრის შენსა გარეშემოსა,  
შენი სული მორცხვობით ვინ შემოსა?  
შენა ჰგავდე, ჩემს მიჯნურსა მგონია;  
რა დაგხედე, მსწრაფლ წარმტაცე გონია!  
ეგ ფურცელნი სატრფოს თვალსა უდარე  
ლურჯის ფერით ტურფად შემოსუდარე?

წამიერსა გმოსავს იღუმელობით!

ნუ თუ მხოლოდ შენ გეპყრობა წყალობით?

ის გინახავს, იქმენ სატრფოს სადარი!

მეც მასწავლე, მისი ბინა სად არის?

ქვაზედ ჩამოჯდება და ფიქრში წასულს ოდნავ ჩასთვლემს.

**მარლია** გამოდის დარბაზით. თვალწარმტაცად მშვენიერია. მისი .  
ყოველი მიხერა-მოხერა, ლაპარაკი და მხერა ადამიანის გულ-  
ში ენებას იწვევს. მოუახლოვდება მეფე-მგოსანს, დიდხანს .  
ტრფობით უმზერს და შემდეგ მოკრძალებით მიჰმართავს!

მეფეთ-მეფევ!

**მეფე-მგოსანი.** სიზმარში

შენი გული

ვინ წარმტაცა უღმობელმა?

**მარლია**

სიზმარს ჰხედავს!..

**მეფე-მგოსანი**

რად აღმართა

შენზედ ბასრი უღეთო მკვლელმა?

**მარლია**

სიზმარშიაც მას თუ ჰხედავს

და ის ერთი ელანდება!

იგი ეტრფის უხილავსა

ეს გული კი მისთვის ბნდება!

ბრძანებელო, მეფეთ-მეფევ!

**მეფე-მგოსანი**

ვარლიავ, შენ მეძახოდი?

### პარღია

მოგეახლე, ჩემო მზეო,  
და გხედავდი თუ ვით თრთოდი!

### მეფე-მგოსანი

გაიგონე ჩემი სიტყვა?

### პარღია

ყრულ რალაცას იძახოდი!

### მეფე-მგოსანი

არ მოსულა? როდის მოვა? ან იქნებ სულ ვერც კი ვნახო?  
ეხ, ლოდინი სულს მიშფოთებს, ნუ თუ კვალად ვივაგლახო?  
მაშ მე უწინ რად დამპირდა? რად სთქვა სიტყვა სანუკვარი?  
გგონია თუ მომელანდა მაშინ იყო ეს სიზმარი?  
იცი, სულის ღრმა წიაღში, სად გრძნობა აზრს თავს დაჰყურებს,  
სად ხან სევდა ჩემს არსებას თვისის ტრფობით აუძღლურებს—  
იქ მეჩვენა იგი სახით, თმა გაშლილი და შიშველი,  
იქ მეჩვენა მშვენიერი ნათლით საესე, მომხიბვლელი  
ერთხელ ნაზად გამიღიმა. ერთხელ თვალნი ძირს დაჰხარა,  
მერე ისევ შემომხედა, სხინი ისრად მომაყარა.  
მითხრა: მოვალ! რად არ მოდის? იქნებ სულაც ვერა ვნახო?  
ეხ, ლოდინი თან გარდმიტანს, ეხ, როდემდის ვივაგლახო!

—  
აი, როცა მოვა ჩემთან, გარდავიხდი ღღესასწაულს,  
ძირს გავუფენ ძვირფას ქსოვილს, მას მიუძღვნი ჩემს სამკაულს.  
მოფუკაზმავ ვარდით ოთახს, მუნ დავაკმევ სურნელებას,  
მას გარდავცემ ოქროს ჩანგსა, თვით შევკადრებ ქება-ქებას.  
შიშველ ტანსა გარდავაფენ თხელსა ლეჩაქს, გამჰვირვალეს;  
მე თვით შაირს წაუეკითხავ, გრძნობის შაირს და მხურვალეს.  
როცა მეტყვის: მოდი ჩემთან! მუხლს მოვუღრეკ მოკრძალებით;  
ვეამბორო? არა, არა! მხოლოდ ვუმზერ ნება-ნებით.



როგორ უნდა ვებაასო?—ის ღუმელსაც მიმიხვდება!  
იცის ჩემი საიდუმლო, იცის ყველა დაფარული;  
იცის ჩემი დიდი ცოდვა—ეს მისდამი სიყვარული.  
იცის როგორ ღელვით ველი, დღეს მე უნდა იგი ვნახო...  
მაგრამ რატომ არსით მოსჩანს, ეხ როდემდის ვივაგლახო?

---

ჩუ! ჩემს კიშკარს ვილაც ალებს, თან შრიალიც გავიგონე.  
რად ვკანკალებ სიხარულით, რად მელევა ასე ღონე?  
იქნებ სხვაა? როგორ თუ სხვა? ვინ გასტეხდა ადრე ღამეს?  
ვგრძნობ და მესმის ახლოედება, მოაქროლებს თან სიამეს.  
ჰხედავ, როგორ გამიბრწყინდა სახე სევდით დაღვრემილი?  
ჰხედავ, ხელნი რარიგ თრთიან? ეს ის არის მოფრენილი.  
რადას იცდის? რად არ მოდის? იქნებ უნდა დაუძახო?  
ეხ, ლოდინი თან გარდმიტანს, ეხ, როდემდის ვივაგლახო?

---

რაა ცრემლი დაფრქვეული ანუ სევდა გულის მკვლეელი?  
სულმა ყველა დაივიწყა, სულით მხოლოდ მას ერთს ველი.  
თვით სიკვდილი ფერსა ჰკარგავს და დაჰკარგა ბნელმა ძალა;  
მოლოდინი მასულდგმულებს, შიში, გლოვა გამეცალა.  
თვალი ჩემი მისკენ არის, შორს განჰკვრიტა დრო და ჟამი.  
თვალი ჩემი მას დაეძებს, ძირს დასტოვა სოფლის შხამი!  
მასთან! მასთან! ან ის ჩემთან! დღეს მე იგი უნდა ვნახო!  
ეხ როდემდის ცდა დამქირდეს, ეხ, როდემდის ვივაგლახო?

---

მეგობარო! შენ ამბობ თუ: იგი იყოს უკვდავება.  
ხან სამყაროს არსად ჰსახავ, ვინ აჩრდილად ჩემ წინ სდგება..  
მე კი გეტყვი: ის მამულის სული არის და დიდება!  
ვიცი, ვიცი ის სად სცხოვრობს! ვიცი, ვიცი მისი გზანი!  
იგი არის ერთად ერთი ჩემი ლტოლვა და მიზანი!  
მან აღმანთო საამქვეყნოდ, მან მასმინა შვების ხმანი.

დიახ! მისი აღთქმა არის მოვიდეს და გამახაროს...  
ნუ თუ მაშინ ეს აღსრულდეს როს დრომ მიწას მიმბაროს?  
არა, არა! მოვა, მოვა! დღეს მე იგი უნდა ვნახო!  
ეს როდემდის ცდა დამპირდეს, ეხ, როდემდის ვივაგლახო?

თუ სიკვდილმა მიმასუსტოს და მებრძოდეს ცივის ხელით,  
თუ სარეცელს ძაძა უძღენას, სევდაც აღდგეს ძველის ხერელით,  
ჩემნი ტოლნი ცრემლს ჰმაღავენენ, გავიგონო ირგვლივ გლოვა-  
შემდეგ მოდგმას ვუანდერძებ: მე თუ გტოვებთ—ის აქ მოვა!  
სიცოცხლეში ვერა ვნახე არსი წმინდად საყვარელი;  
სათლავის ქვას დააწერეთ: მაინც ველი! მაინც ველი!

### პარღია

მეფევე ჩემო, შენ სუსტად ხარ,  
სულს გიშფოთებს უძილობა!

### მეფე-მგოსანი

სულ მიშფოთებს! და შენ კი გსურს  
მოუვლინო მას მშვილობა?

### პარღია

დიახ, ვსცდილობ ღვთაებრივო,  
თავს გევლები გვირგვინოსანს;  
შენის მხველის სურვილია  
სიტკბო მისცეს სულის მგოსანს!  
მეფევე, ჩემი ნატვრა დიდი  
იყო, არის და იქნება:  
ახლო მყოფმა ნანის თქმითა  
განგიმზადო მყუდრო შვება!  
მარად ვსცდილობ სიმღერებით  
მე ვიწვევდე შენში ღებნას;

შენ გაგართო ზღაპრების თქმით,  
მეც ვპოვებდე აღმაფრენას.  
როს შენ ნებით მომიწვიე,  
მეც დავსტოვე ჩემი ბინა;  
იმ დღის შემდეგ ფეხთ გეგები  
რომ ეგ გული მომეღიხინა.  
ვხედავ სახეს მეტის ფიქრით  
და ოცნებით გაფითრებულს;  
ვხედავ თვალებს, შენს ზღვა თვალებს  
და უსაზღვროდ ჩაბნელებულს.  
მე მათ ვეტრფი, მათ შეეხარი,  
მათ ქსელს უფენს ჩემი ვნება;  
იქ აჩრდილნი დასცურავენ,  
იქვე სჩნდება მოჩვენება!  
აგერ, რა რიგ მეტყველობენ,  
შიგ უბსკრული ისახება;  
მსურს იქ ჩაველა ჩემი სული,  
იქვე ვპოვო მოსვენება.  
აი, ხელნი მთრთოლვარენი,  
მათ საყვარელთ გულს ვიკონებ;  
ჩემო მეფევე, მბრძანებელო,  
ვკოცნი, ვკოცნი მარად ემონებ!  
მე შენს ერთგულს დამრთე ნება,  
ტრფობით შენს მკერდს თავს ვაყრდნობდე;  
შენთან ვიყო, შენ გიმზერდე  
და თამამად ვსაუბრობდე.  
ჰე, სულის დგმავ, და სიკოცხლევ,  
შავ თმით გიწნავ ბადეს ვრცელსა;  
მეტყვი: მზად ვარ გმორჩილებდე  
და ვიყოფდე სარეცელსა!

### მეფე-მგოსანი

მაგრამ შენ კვლავ ქალწული ხარ!

### მარლია

მზად ვარ თავი შემოგწირო;  
ვნების ტალღას მოვუტურდე,  
შემდეგ სიღრმეს ჩავიძირო!

### მეფე-მგოსანი

კმარა ქალო! მართალია,  
ჩემთან ყოფნის დაგრთე ნება,  
რადგან ამას თვითვე მთხოვედი  
და მეც მსურდა შენი ხლება,—  
ჩემი ხელი შენს სიწმინდეს  
არაოდეს შეეხება!  
მე სხვა მიყვარს და სხვას ვეტრფი,  
სულს იტაცებს სხვა ოცნება!

### მარლია

მე კი, მეფევე ღვთაებრივო,  
შენ მიყვარხარ, მეყვარები;  
შენის მზერით ანთებული  
სხვა არსებას ვედარები.  
როს შენს ახლოს ვიმყოფები  
და ვკვრებტ ტრფობით მაგ ცეცხლ თვალებს,  
როს ვსაუბრობ შენთან წყნარად  
და მიღვივებ გრძნობის ალებს—  
ამისთვისაც ღმერთს ვემაღლი,  
შემიწირავს მსხვერპლი ლოცვით;  
მოვხვეწეწივარ შენს ცივს ქანდაკს  
დამიფარავს იგი კოცნით!

განა მარტო მე მიყვარხარ,  
სული შევებით აღმვსებია?  
რავდენ ქალსა, მთავრის ასულს  
შენთვის გული აღვზნებია.  
შენის ეშხით მოხიბლულან,  
შენსა ჩანგსა ტყვედ უქნნია;  
იმათ გულში გზა სიყვარულს  
წაუშლელი დაუქნია.  
მხოლოდ მეფევე, ვერ ჰბედავენ  
გითხრან: გეტრფით, გვიყვარხარო;  
ვით ეს ერთხელ შენ—ჩვენს სტუმარს—  
გკადრე ჩემთვის გასახარო!

შენს სიმღერას შენი ხალხი  
იმეორებს კიდით-კიდევ;  
ზოგი ცრემლს ჰღვრის, ზოგი ჰხარობს,  
ზოგს აჰხადე ტანჯვის რიდე.  
ჰლაღადებენ: კურთხეულ არს  
სულის მეფე, მგოსანიო;  
იღვგრძელოს და იშვებდეს  
ჰყოს ოცნებამ ფრთოსანიო!  
რომ იცოდე, მბრძანებელო,  
რავდენს ქალს ჰშურს ჩემი ბედი;  
რავდენ ქალსა ბრაზით უთქვამს  
სიტყვა ჩემთვის დანაყბედი.  
თვით ნატრობენ: ნეტავ გვერდით  
ჩვენც გვამყოფა ერთს წამსაო;  
დავაფრქვევდით სიყვარულით  
სურნელოვანს ცის ნამსაო!  
მათ ჰსურთ გულით, მე მოგშორდე,  
დღე ნათელი დამიბნელო,—

მაგრამ შენთან ვიმყოფები,  
შენს ახლოს ვარ, მბრძანებელო!  
და ნუთუ არ უნდა ესთვლიდე  
ბედნიერად ჩემს თავ მარად?—  
წამო დარბაზს, მოისვენე,  
მე ავადღერ ჩანგსა წყნარად;  
რა დავამღერ შენს სიმღერას,  
იქ იქმნება ნანა ტკბილი;  
მიგაძინებ ნებიერად,  
შვებას მოგცემს სიზმრის ჩრდილი!

### **მეფე-მგოსანი**

დარჩი ჩემთან! მე კი დარბაზს  
ნუ მიმიწვევ ჰაერდახშულს;  
და გაიმობ მე ერთს სიზმარს  
საშინელსა, ცხადად ნახულს;

**მარტია** მეფის გვერდით ჩაჯდება, მის მუხლებზე დაეყრდნობა.  
და ისე შესცქერს, თითქოს ლამობს გულში ჩაეკონოსო.  
ყურს დაგივლებ!..

### **მეფე-მგოსანი**

თავი მივეც ოდნავ თვლემას,  
ვიდრე ჩემთან მოხვიდოდი;  
დამეზმანა: თითქოს შორს, შორს  
უდაბნოში მარტო ვლტოდი.  
თვალუწვდენელ ჩემს გარემოს  
ბნელოდა და არც ბნელოდა;  
სული ჩემი თითქოს რაღაც  
სასწაულსა მოელოდა.  
მივდიოდი და უდაბნოს

არ უჩანდა მუნ საზღვარი;  
დავიღალე, ჩამეძინა,  
სიზმრად ვნახე სხვა სიზმარი:  
ოქროს სხივთა გაიღვეს  
და აყვავდა მწირი მხარე;  
ტურფა წალკოტს დაემსგავსა  
მთით მოსჩქეფდა რძის მდინარე.  
მიონანი დაფრინავდნენ,  
სირინოზთ ხმა წკრიალებდა;  
მიველ ადგილს ყვავილოვანს,  
სად ტირიფი შრიალებდა.  
იქვე ვნახე ჩემი სატრფო  
სხივქსოვილი დედოფალი;  
გამიღიმა, გამიცინა,  
გამიყარა თვალში თვალი.  
საამბოროდ დაიხარა  
და შემახო ბაგე ლალი;  
ამ დროს უცბად ვილაც მოსწვდა,  
გულში ჩასცა ბასრი ხმალი.

მწუხარედ.

მისი სისხლით, წითელ სისხლით  
ჩემი მკერდი შეიღება;  
და დამიდნა ხელში ტურფა,  
ვით მზის სხივზე ფიფქი სდნება.  
ის კვდებოდა, მაგრამ მასთან  
ვშორდებოდი მეც ამ სოფელს;  
მას მივსდევდი უზესთაესს  
და ჩემს სულთან განუყოფელს.

### მარლია

ვიშ! გინახავს, მბრძანებელო,

შენ სიზმარი საშინელი;  
მოგეახლა და ვერ იცან  
ულმობელი მისი მკვლელი?

### მეფე-მგოსანი

მივყე კვალსა... მან საჩქაროდ..  
შეაცურა წყალში ნავი;  
ვერ გავიგე ვინაობა,  
სახეს ჰქონდა საბურავი!  
განამწარი, შეხუთული,  
მარტო დაერჩი კვალად ბნელში;  
გამომფხიზლდა, ჩემ წინ იდექ.  
ვარდიავ, შენ შემრჩი ხელში!  
ვით შენ ტანსა საცმელს იცვავ  
ეგრე ეცვა მკვლელსაც ჰრელი;

### მარლია

აკი გითხარ: შენ სუსტად ხარ...  
წამო დარბაზს, მომეც ხელი!

### მეფე-მგოსანი

როს შემხვდა ჩემი ლტოლვა-ღვეთაება,—  
განვახლდი, როგორც მთვარე ახლდება,  
მაგრამ ო, ლანდი სიზმრად ნახული,  
იმედად გულში ღრმად ჩასახული  
ხელთ გამომტაცეს, მზე დამიბნელეს,  
გრძნობა შეყინეს და ჩამინელეს  
მსწრაფლ თვისის ნებით  
ჯადოსნურ გრძნებით  
სევდა შემოწვა ჩემს სულის ღელეს... ..



### პარღია

რად ჰგოდებ, მეფევე,  
ან რაზედ სტირი?  
რად მოიბურე  
ნათელი პირი?  
შენს ირგვლივ იყო  
უდაბნო მწირი!  
სიზმარსა სჩივი,  
როს ახლოს სხივი  
შენის ტრფობისთვის  
არს განაწირი?

### მეფე-მგოსანი

ო, ვერ მიმხვდარხარ სულის კვეთებას!  
შენ მომიწოდებ სოფლიურ გზნებას  
და აღტაცებას  
ვეწაფებოდე  
მისით ვსტკებოდე,  
მაგრამ მე ვეტრფი სხვა გვარ მშვეენებას!—  
იმ უკვდავებას  
რომელი მარად მანიჭებს შეებას!  
ვერ ვანაცვალო წმინდათა წმინდა ქვეყნიურ ვნებას!

### პარღია

რას ჰნიშნავს შენი წმინდათა წმინდა?  
მე ეგ არ მესმის, არც გამეგება!  
ჩემთვის ტრფობაა წმინდათა წმინდა  
და სიყვარული—დიდი ღვთაება!

### მეფე-მგოსანი

ორგვარ სიყვარულს უხმობ ერთს სახელს?

ერთს ხალხი ახწევს მეორეს ვერა!  
მიუწვდომელი რჩეულთ განძია:  
მას უკვლავებამ ჩანგზედ უმღერა!

იგი ციმციმებს  
და მოკამკამებს;  
შორის აღერსით  
ნორჩ სულს აამებს!

იგი ყვავილი  
მუდამ ნარნარი,  
დაუქნობელი;  
იღუმალ გრძნობის  
დამატკობელი!

ცისა და ქვეყნის  
იგია ერთი  
შემრიგებელი  
და შემაერთი!

იგი სიმაღლით არს გადმოსული!  
იგია ნაზი, შარავანდედით გაბრწყინვებული;  
ედემში რგული, იქ ამოსული!  
ძალა ღვთიური, ზე ქვეყნიური  
მარად სპეტაკი, დამშვენებული.

ჩვენ უიმისოდ არ გვეცოცხლება,  
ის არის ერთი დიდი მიზანი;  
მას თუ ვერ მისწვდეს—არც ეწოდება  
ადამიანსა ადამიანი!

რად დამილონდი? მწარე სევდას რად ემონები? ^  
ზეცას შეჰხედე, ნუ ხარ მახვილგანაწონები!  
იქ ჰყვავის ბალი ნეტარებით კმასაყოფელი;  
ვერაფერს მოგცემს ვნებით სავსე წუთისოფელი!

იქ ვპოვებთ მიზანს, რაც ოცნებით გულს დაგვისახავს; :  
იქ სრულყოფილი წარეტყვევი უცხო სანახავს!

### მარლია

ვერ მანუგეშებს თვით სამოთხე შენგან აღთქმული,  
თუ სიყვარული მექნება მე გულში დანთქმული!

სამგვარი ვიცი სიყვარული, შენ ორგვარს მიხსნი:  
ერთი იმსხვიერპლებს და მეორე თვით ემსხვერპლება,  
ხოლო მესამე ამაყია, მიუკარები—  
უკანასკნელი შენს სულს რისთვის შეეღარება?

მიწისა შვილი, მიწითვე უნდა სტკებოდეს  
და თვის სასურველს, სანეტაროს აქვე ჰპოვებდეს!

მე რომ ვიტანჯო, რაღას მარგებს ნაზი ოცნება,  
თუ კი აღერსით გული მკვდარი არ გაცოცხლდება? :

მეფევე, მეფევე! ნუ ნუ მიწყენ  
შენის ეშხით ასე ვნებულს;  
გუნდრუკს ვუკმევ შენსა სატროფოს,  
ციურ სხივით გაბრწყინებულს,  
შენს ლექსებთან მე მას წმინდას  
შევასხავდი ქებათ-ქებას;  
რადგან იგი შორს, შორს არის.  
და ვერ მიმცემს ოღნავ ვნებას!  
როს ჰღალადებ ჩანგზედ ტკბილად,-.

აღტაცებით გიშვერ მკობელს;  
მეც მსხვერპლს ვწირავ და აღვამსთობ  
მისდამი წყნარს საგალობელს.  
მეც მას ვეტრფი, რადგან იგი  
აჩრდილია და ოცნება;  
ვერ წამართმევს ის ჩემს მიჯნურს,  
იგი აქ ვერ მოფრინდება. —  
მაგრამ, მეფევე, რად არ გინდა  
გადმოაელო სოფელს თვალი;  
დაინახო, რავდენ ქალწულს  
მოსდებია ცეცხლის ალი?  
რავდენ ტურფას დაულვრია  
მწარე კრემლი გულმოკლულსა;  
სიზმარშიაც შენა გხედავს  
და გავედრებს სიყვარულსა.  
რად არ გინდა თვით იამო,  
სხვაც დაატეხო, გაახარო?  
თვით დაჰყნოსო ვნების ვარდსა,  
სხვასაც ასეა ნექტრის წყარო?  
ჩემთვის გითქვამს არა ერთხელ:  
ჩამრჩენია სიტყვა ყურსა:  
თითქოს ვგავდე თვალ წარმტაცად  
ოცნებისა შენს მიჯნურსა!  
მაშ რისთვის არ შემიწირავ?  
შენ წინ მეფის სდგას ასული;  
სიყვარულით გამსკვალული  
და სიცოცხლის გრძნობით სრული!  
რომ იცოდე მისი ტრფობა  
რა სიამით აგავსებდა;  
რომ იცოდე მისი ხვევნა  
რა აღერსით აღგაგზნებდა —

მოსწყვეტავდი სიქალწულეს,  
შენს სარეცელს მიიხმობდი;  
გაუშლიდი ძუძუმკერდსა  
შიშველს გულზე მიიყრდნობდი,  
მის ჯერ ნორჩსა სიმხურვალეს  
თვით ვნების ალს დაამყნობდი  
და მის ციურ მშვენებითგან  
შენს ხატებას წარმოშობდი!

### მეშვი-მგონანი

კმარა ასულო! შეურაცყოფ სატრფოს შენ მაგით  
და მეც მაშფოთებ ესრეთ სიტყვით გულის დამდაგით!  
ვინ, ვინ აღიძრას ჩემის გრძნობის დასამონებლად,  
უკვდავ მიჯნურის წმინდა ტახტის დასამკვიდრებლად?  
ვინ არის იგი ნუთუ შენ ხარ? ელი მას ხნობით?  
რად ვერ მიმხვდარხარ, რომ მიყვარხარ სხვა ვვარის გრძნობით  
და ეს კავშირი თანაგრძნობას უფრო ჩამოჰგავს,  
ვიდრე სხვა რამედ დიდად შემცდარს შენ დაგისახავს?

ცისა და ქვეყნის შემაერთი ჩემი ღვთაება,  
იგი უკვდავი, ხორცშესხმული თვით უკვდავება!  
სათავე ფიქრთა დაუმშრალთა და ოცნებათა,  
სხივით ქსოვილი, დედოფალი ციურ ნებათა,  
მიჯნურთ თავადი, მოლიმარი და გაფურჩქნული,  
ხმით იღუმალით მოსაუბრე, შვებით შემკული,  
იგი ძლიერი შემომქმედი სრულ სიმართლისა,  
მადლით სპეტაკი, გამსჭვირვალე უფროს ნათლისა—  
აი, ვის ვეძებ და ვის ვეტრფი! შევხვდები სვიანს!  
მოვა და გვირგვინს თავს დავადგავ მარგალიტთვლიანს.  
მოვა და ტახტსა დაუუმკვიდრებ ჩემის სულისას;  
იგი მოაფენს ჩემს ერს სხივებს სიხარულისას!

ჩემსა ქვეყანას განანათლებს ეთერფრთოსანი,  
მისის მშვენებით გარდიქმნება ავჯადოსანი!  
აღმოცენდება დაუმკნარი გრძობის სოსანი!  
შენ მას შესცოდე! გამეცალე! ვერ განიწმინდე  
და შენი სული ვერ მიმხვდარა...—

### **ვარლია**

მეფევე, შემინდე!  
თვით მამაჩემიც არის შენებრ გვირგვინოსანი,  
მე მის ასულსა მსურდა მხოლოდ შენთვის სიმშვიდე  
და უცხო ნექტრით გაქლენთილი ტრფობა სიამე  
მაგრამ, ვაი, რომ, უნებურად მითქვამს სიამე!

### **მეფე-მგოსანი**

მომაკვდავისგან თვით სიამეც მომაკვდავია!  
მე კი ვესწრაფვი უკვდავებას, უკვდავებისას!  
ცხოვრების ზღვაში ჩემთვის იგი მკვიდრი ნავია,  
გადამატარებს ცოდვის ტალღას, სოფელს ვნებისას!  
სრულყოფნის ედემს დამამკვიდრებს აღტაცებისას!

### **ვარლია**

მეფევე, ამაოდ შენი წყრომა დავიმსახურე;  
ენანობ, თუ სულსა წყენის ბადე გადავახურე!  
ო, არა, მსურდა შენს მზეს ფეიცავ სხივმოელვარეს...—  
სტირის

### **მეფე-მგოსანი** ალერსით

ბავშვო, ნიადაგს რად აპკურებ ცრემლს ეგრედ ცხარეს?

### **ვარლია**

ეს ნიადაგი სისხლის ცრემლით გაქლენთილია!  
და ყვავილზედან გლახ მფლობელი თეთრი თრთვილია!

## მეფე-მგოსანი

ეგ სისხლის ცრემლი მე მეკუთვნის, შენ ჰმატემ კიდე?

## ვარლია

შენს მოზიარედ, თეიმურაზ, გთხოვ, მეცა მსთვლიდე!  
მეც მსურს შენ ტანჯვას და შენს წუხილს ვინაწილებდე.  
ჩემის გრძნობის ფრთით შენს შავს სახმილს მსურს ვაგრილებდე!:

ფეხებში ჩაუვარდება, ჰსურს რალაცა უთხრას, მაგრამ ქვითინი  
წასქდება და თან კალთას ეხვევა

ნუ მომიშორებ  
და მით მიწასთან ნუ გამასწორებ!  
ვიცი ესოდენ სასტიკი არ ხარ!  
შენს სიმაღლემდის მეც აღმადგინე!  
თუ გაწყენინე—  
გვედრებ შემინდო, რადგან მიყვარხარ!  
მეფევ, მიყვარხარ!..

## მეფე-მგოსანი

ჩემს მეგობრად მიმაჩნიხარ,  
ტურფავ, სახე მოიღარე;  
ვიდრე გსურდეს, იყავ ჩემთან  
და მხიარულს შეეღარე!

**ვარლია** გახარებული პორფირის კალთებს ჰკოცნის  
ვიდრე მსურდეს?—გმადლობ, მეფევ,  
სული ჩემი გაახარე;  
მოწყალებით სევდიანმა  
კვლავ შვებისკენ ავიხარე!

ბალის ოქროს ჭიშკართან გამოჩნდება სამი ასული. ერთს ხელში  
სუსამბარის რტო უჭირავს, მეორეს—დაფნის გვირგვინი და მესა-  
მეს—ოქროს ჩანგი.

**სამი ასული** მძიმე ნაბიჯით მოუახლოვდებიან მეფე-მგოსანს და  
მღაბლად თაყვანს სცემენ

ძლევა მოსილმა,  
ლხენით აღესილმა,  
ერმა მშობელმა—  
შენის სიმღერით  
და ჩანგის ჟღერით  
შვებით მყოფელმა--  
ჩვენ წარმოგვეზავნა შორეულ კუთხით,  
—სად ლაღად ეხარობთ, მტერსა არ ვუფრთხით —  
რათა ვიხილოთ მეფე მგოსანი,  
ზეციით რჩეული გვირგვინოსანი!

### **პირველი ასული**

ნეტარი ერი მეფეს სულისას  
სალამსა უთვლის სიყვარულისას!  
სწორუპოვარმა ძალა მოჰმადლე  
ერთგულსა მცხოვრებს მთა და ბარისას,  
და ნიშნად დიდის პატივის ცემის  
აწ რტოსა გიძღვნის სუსამბარისას!  
როიმ სიკოცხლემში ეგრე ჰყვოდე  
არა შეგეხოს სული გრძნეული;  
გზა ცხოვრებისა გქონდეს მარად ჟამს  
ამ ყვავილივიო სურნელკმეული!  
სუსამბარს გადასცემს

### **მეორე ასული**

ერი შენი სალამს გითვლის,  
კით რჩეულსა შენ ერთს გიხმობს;  
ლომგულთ რაზმი შენს მამულსა  
აყვავებს და არა გიხმობს.  
ნიშნად დიდის პატივისა



შემოკრბენ და ითათბირეს,  
შემდეგ მოხუცთ, ქალწულთ, ყრმათა  
მცირე ზღვენი დააპირეს.

კრძალვით დასწნეს ეს გვირგვინი  
სული ჰანგით გაიმსკვალეს;  
მე გარდმომცეს და ჩვენს მგოსანს  
თავს დავადგა—დამავალეს.

გვირგვინს თავზე დაადგავს

### **მისამე ასული**

მეფევ, ერმა შემოთვალა მკობანი;  
ფიანდაზად გაგიშალა გრძნობანი.  
ღმერთს შესწირა წმინდა მსხვერპლი სულითა.  
რათა გექმნეს მადლით გადმოსულითა!  
იგალობეს შენი ლექსი—შაირი,  
განგიმზადეს ჩანგი ესრეთ ნაირი.  
შენ მოგიძღვნეს ჩემის ხელით ამიერ:  
იღლეგრძელოს მეფემ მრავალეთამიერ!  
ჩანგს გადასცემს

**უხუცესი** შემოდის

მეფეთა-მეფევ!—

**მეფე-მგოსანი** უხუცესს

ჰხედავ ამ ასულთ?  
თვისის მშვენებით ზეცამდის ასულთ?  
ამ მოციქულებს ჩემის ერისას  
მისცემ მარგალიტს მრავალ ფერისას!  
გახსენ საქურქლე, განძთა საწყობი  
და ოქრო-ვერცხლი, ლალი ძვირფასი  
ჩემს ესრეთ ერთგულ ქვეშევრდომებთან  
მათ გაატანე საპაღნე ასი!  
და თქვენც, ასულნო, გწირავთ მადლობას!



შემოგლალადებს; რადგან გვიყვარხარ, გვიმსახურეო.  
და შენის ჩანგის ნამი გრძნეული დაგვაპყურეო!

### უხუცესი

მეფევე, მგოსანი, მუტრიბი და ერთიც მხატვარი,  
—იმ დღეს შენთან რომ საუბრობდნენ—გარედ გიციდიან  
და მთხოვეს: მეფეს მოახსენე ჩვენი მოსვლაო.

### მეფე-მგოსანი

მოიპატოე! მათთვის მუდამ ღიაა კარი!  
უხუცესი გაღის

### მეორე ასული

განთიადისას,  
ჟამსა ბინდისას  
თუ შუადღისას,  
ასულნი ყრმანი  
და კიდევ სხვანი  
ერთს მოედანზე შემოაკრებოდით,  
შეეჯგუფდებოდით;

ჩანგურით ხელში ვინმე ქალარა წარმოსდგებოდა,  
რა თავის საკრავს შეეწყობოდა,  
შენს საგალობელს დაამღერებდა;  
ხალხი ტკბილ ჰანგსა სულგანაბული ყურსა უგდებდა  
და თან სტკებოდა!

ყველა ჩვენგანი ღრმა სიხარულით იმსკვალებოდა:  
ბერნი, მოხუცი სულსა დაქანცულოს, დაუძღურებულს  
და თვის არსებას ამ წუთისოფლის გადაცურებულს  
კვლავ იმშვიდებდნენ;

დედანი შექდეგ ამ ჰანგს ნანინად შვილებს უქდერდნენ

ქაბუკნი, ყრმანი  
ვით ცეცხლის აღნი  
მარად მხურვალნი

აღიგზნებოდნენ  
და შენს შაირში ცხოვლად დასახულს,  
აღთქმულ ქვეყანას ესწრაფებოდნენ.—

### **მესამე ასული**

ხოლო ჩვენ ასულთ მეტად გვზიბლავდა ჰანგი ციური,  
ჩვენს არსებაში ფრთებსა ისხავდა გრძნობა ხვთიური.

ყველა ღობილი შენის ტკივილით  
თუ სიხარულით იმსკვალებოდა;  
როს თვით ჰხარობდი — ჩვენცა ვხარობდით  
სული სიამით აღგვევსებოდა.

როს თვით ჰკვენესოდი—

ჩვენცა ვკვენესოდი;

მდულარე ცრემლით

ვინამებოდით

იმ წამს გლახ სევდა ნორჩის გულისთვის იყო საფარი

თან ვლოცულობდით

ღმერთს მოვიხმობდით:

ღღეგრძელი ეყო მგოსანთ მთავარი!

### **პირველი ასული**

მსწრაფლ ისევ სევდა იფანტებოდა,  
სული მზის სხივით გვიბრწყინდებოდა.

ხელაპყრობილნი, აღტაცებულნი  
ნორჩნი, ასულნი, გმირნი ქებულნი  
ვიძახით შესხმით არა ხანიერ:

იყავ კურთხეულ მრავალჟამიერ!

## მეფე-მგოსანი

ერი სულდგმულობს ჩემის სულის გამოძახილით,  
იგი ხან ჰხარობს და ხან ნაღვლობს გულის სახმილით,  
მაგრამ ვაი რომ თვით ვერ ვპოვე მისი ღვთაება  
და ოღლად დაეჭრი მშობელ მხარეს,—თან მსდევ ვაება!  
შემოდის უხუცესი, უკან მოსდევენ: მხატვარი, მუტრიბი და მგოსანი..

**მხატვარი** რომელსაც ხელში დახატული სურათი უჭირავს  
სალამი შენდა მადლცხებულო, მგოსანთ მთავარო,

## მუტრიბი და მგოსანი

დღეგრძელი იყოს ცხოველ სიტყვის უშრეტი წყარო!

## მეფე-მგოსანი

სალამი თქვენდა, მეგობარნო!

## მხატვარი

მეფევ, მზის დარო!  
როს გამიმჟღავნე ხვაშიადი დაფარულისა  
და როს გამაცან იღუმალი ლექსი სულისა—  
გარდმომეველინა ღვთაებრივი ზეშთაგონება,  
ძილი გამიკრთა და დავკარგე თვით მოსვენება!  
იმ უკვდავ კერპზე ვოცნებობდი ყოველ დღე-ღამე  
—უნდა გამოვტყდე, ვიტანჯე და კიდევ ვიამე!—  
შენმა სიტყვამ რომ დაუხატა ჩემს აზრგონებას  
და სულ ახალი საზრდო მისცა მსუბუქ ოცნებას!  
რაც კი განგებას მოუცია: ეს ჩემი ნება,  
ეს ნიქი ჩემი, თუ ნორჩ გრძნობის აღფრთოვანება,—  
შემოვიკრიბე- უნდა გითხრა: რალაც ჩვენება  
ნაზი, ნარნარი და საამო, ვით სულის შვეება,  
ჰაეროვანი, სამოთხიდან ძირს ჩამოსული

გამომეცხადა ხატვის ჟამსა, შთამბერა სული—  
და თავის თავად დაიხატა ზეცის ასული!  
ბოლოს შეეხედე, მისი შუქით ბრწყინავდა არე,  
იღუმალ ძალით გამსქვალულმა მუხლთ მოვიყარე,  
ლოცვად წარმოვსთქვი შენი ლექსი, ვიქმენ მკობელი  
და სულმან ჩემმან შვება ჰპოვა ჯერ უგრძნობელი!  
აი, ეს არის, რომელს კრძალვით დღეს თვით შეეხარო,  
რომელს სახელად ეწოდების რძალი ზენარი!

### **მეფე-მგოსანი**

ვაშა შენს სიყრმეს, ზენა ძალით დაჯილდოვებულს!  
ვაშა შენს ნიქსა, ღვთის განგებით გაცისკროვნებულს!  
ანთავისუფლეთ ძველ კერპთაგან ჩემი ტაძარი,  
გამოიტანეთ უსულდგმულო სავედრებელი  
და იმის ნაცვლად დაასვენეთ რძალი ზენარი,  
დღეს მას ეკუთვნის კვარცხლბეკი და სამკვიდრებელი!  
მას დღეის შემდეგ დაუკმიეთ წმინდა საკმელი  
მას ერთს სწირავდეთ სულში ნაშობს ნაზ აღტაცებას!  
ესაერ მოითხოვს სისხლის მსხვერპლსა, არსთა სიცოცხლეს—  
არამედ სულის სისპეტაკეს და სასოებას!

**მგოსანი** ეტრატზე დაწერილი ლექსი უპირავს

მეც მომხიბლა შენმა ჰანგმა  
დაიმონა აზრი მალი;  
სული თვისკენ მიიზიდა  
ძალა ვიგრძენ იღუმალი.  
ვსთქვი: კითხულობს

რძალი ზენარი შეიმოსა მშვენიერებით,  
გარე მოირტყა სხივქსოვილი ოქროს სარტყელი;

ტურფად შეამკო ცხოვრების გზა მრავალ ფერებით,  
მიმოაკმევა თვის ტაძრის წინ მუშკის სურნელი.

მის ირგვლივ დაჰქრის გამსჭვირვალე, შვეების დუმილი,  
მოვედ იხილე მოკამკამე ტბა განცხრომილი:

ცისფერ თვალთა მკვეთრობს მზერა,  
ვით მახვილი ბასრფხიანი;  
ცისფერ თვალთა დაეფერა  
ნაზი ელვა სხივფრთიანი!

თეთრი კბილნი ელვარებენ,  
ღრუბელთ შორის ცეცხლად კრახება;  
თეთრი კბილნი ციალებენ  
და მარგალიტს ემსგავსება.

ვარდი ძუძუს აყვავებულს  
ეტრფის მთვარე, ეშხსა ჰპარავს;  
ვარდის ძუძუს აკოკრებულს  
საბურავი ოღნავ ჰფარავს!

შიშველ ფეხებს არ აკარებს  
მწვანე ბალახს, არც თუ ნამსა;  
შიშველ ფეხებს აელვარებს  
ბინდი ჰკოცნის ცისკრის ჟამსა.

მტრედის კრთომა და სიმშვიდე  
დასთამაშებს სანეტარო;  
გულის სიღრმეს არ აქვს კიდე  
ზომავს სივრცე და სამყარო!

ვით ლიბანის ნორჩი ნაძვი  
ის ეგრე სდგას მარტო მყოფი...—

**მეფე-მგოსანი** გააწყვეტინებს და აღტაცებით თვითონ განაგრ-  
ძობს იღუმალის ხმით

ვით ფინიკი. ტკბილი არის  
მისი სული და ნაყოფი!

ვითა მთვარე ოქროვანი,—  
ილევა და კვლავ ახლდება;  
ვითა შუქი ნაზობს მარად,  
ქაფს შემკრთალსა ელიმება!

ვითა მღვლო სიზმრეთისა,  
ეგრე არის გადაშლილი;  
ვერვინ ნახოს მოწყენილი,  
ანუ დამკვნარ-ჩამოშლილი.

ვით ზაფხულის ნორჩი ვარდი  
ათრობს, ჰბნედავს ბუღბუღს ტრფობით,  
ეგრე გულიც მიილია  
მისის ეკლის დანასობით

იყო, არის და იქმნება  
ეგრედ ტურფა ზენა რძალი  
კურთხეულ არს, კურთხეულ არს!  
მან მომბერა სულის ძალი!

**ჰველანი** სასოებით ხელებს აღაპყრობენ  
კურთხეულ არს! კურთხეულ არს!



### **მეფე-მგოსანი თითქოს ბურანში**

და მივებახლე მას ოცნებით ამბორის ყოფად,  
რამეთუ ვიყავ გულით წრფელი და უცოდველი;  
წყალობამ მისმან აღმადგინა, აღმანთო გრძნობად,  
მსუბუქის ხელით აღმიხილა თვალი მკვრეტელი.  
ჩემს სულსა შავად დაბნელებულს, მოკლებულს შვებას  
შორის ედემით ამშვიდებდა სიო ნარნარი;  
და მეც ერთგული ღალადს ვყოფდი ქებათა-ქებას:  
უკუნისამდე კურთხეულ არს რძალი ზენარი!

### **ჰველანი**

უკუნისამდე კურთხეულ არს რძალი ზენარი!

### **მეფე-მგოსანი მუტრიბს**

მომღერალო, შენ რად სდუმხარ?  
აწ რას იტყვის ეგე ქნარი?  
როდეს მესმის სიმთა ჟღერა,  
თითქოს ტრფობდეს სულს ზენარი!  
ჰანგში ვხედავ ნათელ სახეს,  
მოციმციმეს, ნაზსა სხეულს;  
ნაკეთთა ციალს თვით ღიმილთან  
ასე მკიდროდ გადახეულს.  
ჰანგი მამცნობს მის სისრულეს,  
მის სიმშვიდეს და მის ღხენას;  
ჰანგი ჰხატავს რის დახატვაც  
უძნელდება მეტყველ ენას!

### **მუტრიბი**

მე, მეფეო, სულ სხვა გვარად  
ავაჟღერე ჩემი ქნარი;

იგი შენად სადიდებლად  
მქუხარეა, ხან კი წყნარი.  
როდეს ვთხზავდი ამ სიმღერას,  
შენგან მქონდა შთაგონება;  
ჩემი სული შენს სულს ეტრფის  
და სიწმინდეს ემონება!

ქნარს აელერს და თან მღერის

დაბურულს ტყე ღრეში გრიგალი ჰქრის.  
მთაბარი ზანზარებს, გრიალებს თრთის.  
მერანი მხედრისა კიხეინებს, რბ-ს.  
ოშხივარს ნესტოდგან ფრუტუნით ჰყრის.  
მძლავრითა ჩლიქითა მიწასა სთხრის  
სად მიჰქრის მხედარი? რა უნდა ვის?  
შეგხედეთ კოშკია თხემზედა მთის!  
იქ რძალი ზენარი სარკმელთან ზის.  
გაჰყურებს მიდამოს, მწარედა სტირს.  
რა ნალველს შეჰყრია, რა სევდა სკირს  
მიჯნურსა მოსტაცეს, ტყვე არის ის!—

**მეფა-მგოსანი** შეწუხებული აწვევტინებს

მომღერალო, არ ვიცოდი

ამიშლიდი კაეშანსა;  
ის ტყვედ არის, ციხე ჰუარავს,  
მზე ვერ სჰვერეტავს სხივოსანსა?  
მაშ ვინ აღჩნდეს? ვინ დაიხსნას  
ჩემი სატრფო და ზენარი?  
ო, ვინ უნდა იყოს, ყრმაო,  
განწირული ის მხედარი?

**ქალაზი** რომელიც შავად მოსილი, გამხდარი ციხის კედელთან უძრავად აჩრდილივით იდგა, წინ წარმოსდგება. ჩათხრობილის, ჩუმის, მაგრამ მძლავრის ხმით.

ჰოი. მეფეო, იგი მხედარი  
შენი სულია მნათობთა დარი!  
ტყვედ იყო სიზმრეთს— ჯერედ არ ნახულს  
რძალი ზენარი.

აწ აღარ არის! შენსა ოცნებას ნაზ გამოსახულს.  
ძალუძს ჩამოჰკრას სიამის ზარი!  
რადვან ლაღადმა გამოიწვია მშვენიერება  
და ხორც შესხმული ქალი ღვთაება—  
ჟამთ უკვდავება— გიახლოვდება!  
მესმის მას როგორ გზაზედ მომავალს  
ხმა აღტაცებით აძლევენ სალამს.

ნაზი ყვავილი,  
ტყე და მდინარე;  
მთა ატყორცნილი  
ზათქით მძვინვარე,  
შენს ხალხთან ერთად  
მიმჩნეულს ღმერთად  
ეგებებოან,  
ფეხთ ეგებიან.

ძვირფასს ქსოვილებს უგებენ მღერით,  
ერი თან მოსდევს და სტკბება მზერით.  
მესმის, მეფეო, მას შეჭლალადებს  
და სიხარულსა არ აქვს საზღვარი;  
ის ახლოვდება, მაგრამ უფრთხილდი.—  
კურთხეულ იყოს რძალი ზენარი!

**მიწმ-მგოსანი** ქადაგის სიტყვით აღფრთოვანებული, ჩუმაღ,  
თითქოს იმ ქვეყნიღგან სიზმრის ხმა ისმოღეს.

სული მიმღერს: განიშორღე გლოვაო,  
ვისაც ეტრფი, ვისაც ელი, მოვაო!  
მოღი მზეო, მოღი, გამოიღარღე!  
ჩემი არსი, ჩემი გრძნობა იღარღე!  
სიხარულით ღა სიამით მოგელი.  
ო, შენი ვარ, შენი მარად მზმობელი!  
მხოლოღ შენთეის განესკეჯაკღი, ვშე ნება,  
რადგან შენ ხარ ღვთაებრივი მშვენება.

ის მოვიღა... თითქოს ხელი ჰსურს მახლოს ..  
აგერ, ეხეღავ: მალღა, ღაბღა, აქ ახლოს!  
აგერ, მესმის საბურავის შრიღლი;  
გულსა მზვღება ცისფერთვღლთა ციღლი!  
აწ ღრმად ჩემში სხვა ნაყოფი ღვიღება!  
სასოღების ღოცვა სულში ღვიღება!

ყვეღანი მოლოღინით გატაცებულნი სიღრმეში  
მიჰპრობენ თვღლებს

**მხატვარი** რომელიც მალღობზე სღგას  
ვიღაც მერანს მოაქროღლებს.

**ვარღია**

ღმერთო! გული რად მიღელღავს?

**ქაღაზი**

სჩანს ყრმა ვინმე მახარობღობს!

**მგოსანი** ტერასაზე ასული

შორს კი თითქოს სხივი ეღღავს!

### მარლია

თავს ატყუებთ,  
იქ რას ჰხედავთ?  
სიცრუის თქმას  
როგორ ჰხედავთ?

### უხუცესი

მოახლოვდა?..

### მუტრიბი

ძირს გადმოხტა...

### გმოსანი

შემოალო კიშკრის კარი!

**მარლია** ფერი ეკარგება ზეხს მიყურდნობა  
ღმერთო! ღმერთო! რომ ასრულდეს—  
ჩემთვის იქმნეს გლოვა-ზარი!

### მეფე-გმოსანი მუხლმოდრეკილი

ჰოი ძალნო ზეციურნო,  
თქვენით ჰხდება სასწაული;  
მოდის იგი—ზენარძალი—  
და სარწმუნო ხორცშესხმული.  
მე მას ტახტსა დაფუძვკიდრებ,  
მასთან ვპოვებ აღტაცებას;  
რა დავადგავ ოქროს გვირგვინს,  
მომბერს სულის სასოებას!

### მასაროგველი შემორბის

ღლეგრძელი იყოს მეფე ჩვენი!

### მეფე-გმოსანი

გისმენ! რას იტყვი?

**მახარობელი** მუხლმოდრეკილი, ზეისყენ ხელებ გაწვდილი

მოველ, გახარო მბრძანებელო საკვირველება  
და სიტყვა გაკადრო სანახავით ცეცხლაგზნებული:  
იქ, სად იწყობა მყუდროების მდინარის კიდე—  
გამოჩნდა ნაფი ოქროს სხივით გაბრწყინებული.  
ვით თეთრი გედი, ტალღას ეგრე არხვედა ნელა,  
ხოლო მის გვერდით შუქი ჰკრთოდა, ვით ცისარტყველი  
მოუახლოვდა მწვანე ნაპირს ნათლად მჩინარი  
და იმ ნაფიდგან ჯერ გადმოსხდნენ ზეის ასულნი,  
შემდეგ მათ მოჰყვა მშვენიერი რძალი ზენარი.  
შემოკრბა ერი მხიარული და სცა თაყვანი,  
შემოკრბნენ ქალნი ყოველ კუთხით, შემოკრბნენ ყრმანი  
ბზისა რტოებით მიეგებნენ სხივმოელვარეს  
და აღტაცებით მიულოცეს ღღესასწაული;  
რძალმა ზენარმა მოაშურა ამ არე-მარეს.  
ხალხიკ გამოჰყვა. გზად მოჰფინა ვერცხლსამკაული.  
გესპით?—მღერიან! ვერვის ჰნახავთ იქ შენალონებს.  
ქსოვილთ უშლიან და აყრიან ყვაფილთა კონებს.  
უკვე ახლოა, მბრძანებელო, გულსალხენარი!  
კურთხეულ იყოს უკუნითი რძალი ზენარი!

**მეფე-მგოსანი** სიხარულით

მოდის! აღსრულდა!

**პარღია** გაფითრებული შეწუხებით

გული დაწყლულდა!  
უკვე ახლოა!?  
ვიშ! მეოცება!  
ნუ თუ ხორცს ისხავს  
ლანდი, ოცნება?  
ვით დავიჯერო

საკვირველება?  
და რომ ასრულდეს?  
რა მეშველება?  
უნდა დავკარგო  
მეფე მიჯნური?  
უსიყვარულოდ  
ვიქმნე უძლური?  
მაშ რაღას ვაქნევ  
ჩემს ღღეთა ყოფნას?  
თვით მოგონება  
ჩემს წარსულ ხსოვნას  
უნდა სამსალით  
გლახ ჩაუმწარდეს  
და ვინც მიყვარდა  
აღარ მიყვარდეს?  
უნდა დაინთქას  
ჩემთვის სიამე?  
უნდა დამიკენეს  
სულის ია მე?  
ო, არაოდეს  
ეს არ იქმნება!  
სად სთქვან: არაო! —  
ჰპოვებს იქ ნება!

ო, გულო ჩემო, შეისუდარე,  
შენი სიმშვიდე ღღემდე მღუმარე  
შურის ძიების აწ შხამს უდარე!  
ჩემად მიმაჩნდა! მსურს! უნდა იყოს!  
მეტოქე ჩემი თუნდ წყალმა რიყოს!

**ძაღვაძი** მკვეთრის ხმით

მეფევ, უფრთხილდი სულის საუნჯეს!

გრძნობა მაღალი ზოგთ დამუნჯეს!  
შური თავს იწევს მანდილ ახდილი.  
ვეგრძნობ, ილესება ბასრი მახვილი!  
უკვდავი სული მომაკვდავის მოდის სხეულით;  
შენ მას შეჰხვდები, — სხვაც შეჰხვდება შხამით გრძნეულით.  
ეშიშობ. მეფეო, არ დაგატყდეს გლახ სიმძიმელი;  
მისი სიკვდილი — ეს იქმნება შენი სიკვდილი!

### **მეფე-მგოსანი**

რას ჰჩურჩულებ მოთქმით, ბერო?  
არა მწყალობს განა ბედი?

### **ქალაგი**

გწყალობს, მაგრამ გაუფრთხილდი,  
შურიც სდგება განაბედი!  
გული შენი ვერ გაუძლებს  
გარდაიქცეს თუნდ სამ სალად;  
შენს სულს მალულ ეპარება  
გველი სავსე შხამსამსალად.  
გაუფრთხილდი, ყური უგდე  
ჩემსა სიტყვას დანატანსა;  
თორემ, მეფევე, უძლეველო,  
სისხლით შეჰღებს დანა ტანსა!

### **მეფე-მგოსანი**

რაებს ჰბოდავ? მე არ მესმის  
შენი სიტყვა ნაუბარი;

### **ქალაგი**

გაუფრთხილდი! ახლოვდება  
უკვდავება და ზენარი. თავისთვის



ძნელია, ოდეს ჩემი სიტყვა უურს აღარ ესმის;  
ვაი მართალთა! სჩანს ნალველი სხვა ნალველს ესმის!

### **მეფე-გმოსანი**

გაეც ბრძანება, მორთონ მხარე ყვავილოვანი,  
მურით და შტახსით იქმნეს იგი სურნელოვანი!  
ოქროს კიშკარი და გზა მისი გამოსავლელი  
შეთხზან ვარდებით, დააკმიონ გუნდრუკ საკმელი.  
ქადაგის სიტყვით თუ რამ იგრძენ წინასწარ თანდად,  
და უხილავი არსი ჰხადე საშინელ ლანდად—  
მაშინ ზოგს მიეც იარაღი და სდგეს სარანგად!

### **უხუცესი**

შენს სიმაგრეს ვინ მოუვა,  
ყველამ თავი განაცვალოს! გაღის

### **ძალაბი თავისთვის**

მკვლელი დაჰქრის ნაზ ეთერში  
და აქვს წესად ენა ცვალოს!

საერთო მოძრაობა: ყვავილების გვირგვინებით ამკობენ არე-  
მარეს; გზად ძვირფას ქსოვილებს ჰფენენ, სურნელებას აკმევენ.

### **ვადრია**

როგორ? განა მართლა ელი?  
მართლა მოდის სანუკველი?  
სიზმრეთიდგან ვინ გვინახავს  
მოსულიყოს ხორც შესხმული? ღიმილით  
სულ ამაოდ ჰგონებ, მეფევე,  
სულ ამაოდ გხიბლავს თქმული;  
ტყუილია რაც გახარეს,  
მას ვერ ჰნახ-ვ მოელვარეს!

ქვეყნად მე ვარ, ვინ ნიდავ  
თვალს გიშტერებს ზღვამღელვარეს!

### **მეფე-მგოსანი**

იგი მოდის და, ვარდიავ,  
ნუ თუ შენ ეს არ გახარებს?

### **ვარდია**

მე?.. მეფეო, როგორ არა—  
რადგან შენს გულს ანეტარებს.

მისგან ვისწავლი შენს ალერსსა და ტრფობით მჭერას!  
— მისგან??— მზის სხივსა ვნახავ ნორჩად ამოსულისას!  
განთიადისას ყურს დავუგდებ მის ნელ სიმღერას  
ბრაზით  
და საღამო ჟამს ვარდს მივუძღვნი ამო სუნისას!

მაგრამ ლანდსა, ნათელ აჩრდილს,  
შენის სულის გრძნობით ავისილს,  
სიზმრის სატრფოს—განა ნამღვილს?—  
სხივოსანსა, არა დავსილს,—  
ვით შეჰხედები, მბრძანებელო,  
ვით სიამით შეგაჯეროს?  
ის მოვიდეს ჩვენსა კიდეს,  
გულს არ ძალუძს დაიჯეროს!

### **მეფე-მგოსანი**

მეგობარო, ვინც კი გნახავს  
დაღონებულს გაფითრებულს...

### **ვარდია** კანკალით

სიხარულით, ჩემო მეფევე'..  
ხმა იტაცებს ჩემს გულს ვნებულს!  
ხმა, რომ მოდის და დადგება  
შენთვის სულ სხვა დრო ახალი;  
მოვა, იტყვი: მაციკროვნებს  
სხვა მზის სხივი, სხვა ახ! ალი!  
ცხოვრების ცბიერ ღიმილით

ამ ამბავმა გაგახარა,  
მეც შენს კვალსა შიმაყოლა;  
მოულოდნელ სიხარულით  
ჩემმა სულმა იწყო თრთოლა!

### **პირველი ასული**

როს მოისურვებს  
ზენარი ძილსა,  
გაუხსნი სარტყელს  
და ოქროს ღილსა!

### **მეორე ასული**

მე კი დავუშლი  
ნაწნავსა ლბილსა;  
და ვეტყვი წყნარად  
ნანინას ტკბილსა!

### **მესამე ასული**

მე კვლავ მოგკაზმავ განთიადისას,  
გვირგვინს დაუწნავ მას—სევდის მკურნელს—  
საბურს მშვენიერს, ოქრომკერდისას  
ვარდწყალში ნარევს ვაპკურებ სურნელს!

**ჰარდია** მოშორებით ხეს მიყრდნობილი

გული ვით შექხიდეს, ვით მიეგებოს?  
მის ნათელ სახეს როგორ შექხედოს?  
ჩემს სიტურფესა, ვაჰ, სანაქებოს  
გზაზედ რად ვხედავ საწანახედოს?

ნუ თუ დაინთქას ჩემთვის მზის სხივი?  
სევდამ შემბუროს ვით ნისლმა—ბარი?  
ნუ თუ შეიქმნეს სამარე ცივი  
კუბოსთან ერთად ჩემი საფარი?

ის არ აღმიხდა, რასაც ველოდი!  
მას ვერ შევეტრფი, ვისთვის ვხელობდი  
ბედო, რად მიძღვენ აწ მძიმე ლოდი  
თუ უწინ ჩემთვის არა ჰბნელობდი?

ეს არ იქმნება!.. სხვას არ დაეუთმობ, თუნდ გავიწირო!  
მე არ ვჩვეულვარ: ვგმო თავი ჩემი, ან დავიმცირო!

**რძალი ზენარი** შემოდის რავდენსამე ასულთა თანხლებით. მისი  
მშვენიერება ზეკვეყნიურია და ღვთაებრივი, — ცხოვრების  
ვნებას დაშორებული. მისი რხევა და ლაპარაკი იღუმა-  
ლია. თვალთა სხივნი მალალ გრძნობას ჰბადებენ

მშვიდობა მგოსანს და თქვენც სალამი!

**მგოსანი**

ღმერთო, ვით ასწერს ჩემი კალამი!

**მხატვარი**

ჩემი სურათი მისია ლანდი!

**მუტრიბი**

როგორ შეამკობს მას ჩემი ჰანგი?

**მეფე-მგოსანი** მუხლს მოიყრის და თაყვანს სცემს  
ჰოი სამოთხევე და სიხარულო!

**ჟველანი** მოკრძალებით მუხლს მოუყრიან  
სალამი შენდა ცით გადმოსულო!

**ვარდია** შემერთალო

ვაგლახ! ნათელმა გული დასერა  
და ჩემი ტურფა ბალი ასერა!  
მის სიდიადეს ვერ ვესწორები... გულმოკლეული  
სალამი! კალთას გეამბორები!

**რძალი ზენარი** მეფე-მგოსანს

შენმა ოცნებამ სიზმრეთიდგან გამომიწყია  
ჩემს სიმაღლემდის შენმა ლოცვამ აღმოაწია.  
დილით ვისმენდი შენს ღაღადსა, ჰანგის ნელ ქუხილს,  
ზეცის ეთერი მომითხრობდა შენს გულის წუხილს.  
გრძნობას ჩემდამი შემოწირულს, ნაზსა სიყვარულს,  
მოქარგულ სიტყვას, თუ სისხლის ცრემლს—სხვისთვი დაფა-  
მამსნობდა ყვავილთ სურნელება აღმოკმეული! [რულს,

**ვარდია** თავისთვის

მაშ აწ შეიცან ჩემი ცრემლი გადმოფრქვეული!

**მეფე-მგოსანი**

ჩემო სიზმარო!

**რძალი ზენარი**

იხარებდე, ჩემო მკობელო!

**ვარდია**

იტანჯე გულო!

### **მეფე-მგოსანი**

ჰოი, სულის განმაბრძნობელო!

ო, არ, ძალუძს სიტყვას ჩემსას  
სრულს ჰხატავდეს ალტაცებას;  
ჩემთან ვხედავ გაბრწყინებულს  
სულის სულსა და ოცნებას!

### **რძალი ზინარი**

მე ვარ ნინო, იგი ნინო  
ოდესლაც რომ სიზმრად მნახე;

### **მეფე-მგოსანი**

ვიცნობ, ვიცნობ სულის თვისტომს,  
მასში მოსჩანს ჩემი სახე!

### **რძალი ზინარი**

შენი სული, შენი გრძნობა  
მოსწვდა ჩემსა სილიადეს  
და სიტყვებმა უმალ ჩემი  
საიღუმლო გაგიცხადეს.  
ძირს დავეწვი ხორცშესხმული  
და სინათლის გაფენ ბადეს;  
მოვედ მნათო, მსურს ამბორი  
შენს ნაზ ბაგეს დავაფარო;  
იხარებდე და იშეებდე,  
მგოსანთ მეფეც და მთავარო!  
ჰაეროვნად ჰკოცნის

### **მეფე-მგოსანი**

ო, სავანეო! შენ ხარ ჩემთვის მზე ამოსული,  
შენი ამბორი წმინდა არის—

## რძალი ზენარი

ვით შენი სული!

## მეფე-მგოსანი

ნუგეშის ცემით სულს ახარებ აწ არა ეულს;  
ტკბილ საფარველსა განმასვენებ მე—შენგან რჩეულს. —

უხუცესი თვალმარგალიტით მოკვდილი გვირგვინი უჭირავს  
მეფევე, გვირგვინი სადედოფლო!

## ვარდია მწუხარე

დამევსოს ღღენი!

მეფე-მგოსანი გვირგვინს ჩამოართმევს და რძალ ზენარს დაადგავს  
ასულთა შორის სანეტაროვე, მიიღე ძღვენი!

## მხატვარი

კურთხეულ იყოს შენი სახელი!

## მგოსანი

შენ განახარე ყველა მნახველი!

## მუტრიზი

გაღიდებ მარად ჩანგის დამკვრელი!

## სამი ასული

შენ ხარ ყვავილი, ედემში რგული!  
შენის სურნელით ნეტარებს გული!  
მარად, მნათობო, ნექტარსა ჰსვამდე!  
იყავ კურთხეულ უკუნისამდე!

### რძალი ზინარი

გმადლობთ თქვენ დანო!  
გმადლობთ თქვენ ყრმანო!

### ვარდია მოშორებით მწარედ მტირალი

ჩემს გულს ნალველი, ვაჰ, ემატება!  
რად ვკარგავ ძალას, რა მემართება?

### მეფე-მგოსანი

წადით, შესწირეთ უკედავს კერპს მსხვერპლი  
და ყავილებით შეაძვეთ არე!  
სთქვით წმინდა ლოცვა, ლოცვა გულწრფელი  
და ვით მზის სხივი, ეგრე მგზნებარე!

ჩვენს სალოცავად გარდავქმენ შენი  
ხატება ტურფა, სხიეთა მთოველი;

მას გუნდრუკ-საკმელს  
და გულის სათქმელს

სწირავს და უმხელს ჩვენგნით ყოველი!

### რძალი ზინარი

ვიცი! ამ მხატვარს, როდეს მხატავდა,  
მე მოველანდე, ვიქმენ სახული;  
აქ ყველას ვიცნობ შენს მეგობრებში,  
თუმც მე არ ვყვეარ არც ერთს ნახული!

### მეფე-მგოსანი

შენ ყველას იცნობ, შენ ყველა იცი:  
როგორ მიყვარხარ, ვით ღავსდე ფიცი!  
იგებ დაფარულს სულის კვეთებას,  
ტანჯანს, სიამ ეს თუ აღტაცებას!



როს ვიწყობ შენთან ტკბილად ლაპარაკს,  
ვსაუბრობ ჩემში აწ შენის სახით;  
მოვითხრობ სულის ზღაპარს და არაკს,  
რაც შენ უწყოდი თვით ჩანასახით!

ჩემო სასოო, შენ,—ეს ხომ მე ვარ  
და მე—ეს შენ ხარ მზით სხივოსანი;  
ჩემი არსება შენი ლანდია,  
ხოლო შენი კი არის მგოსანი!

### რძალი ზენარი

ვიცნობ იმ ასულს და მებრალემა!  
მას შენის ტრფობით გული ჰვნებია;  
ვარდიას მიუახლოვდება  
რა ტურფა რამ ხარ!

### ვარდია

მაგრამ ამ ტურფას  
სატრფო წარტაცეს, დაჰნაღვლებია;  
მისთვის დასტოვა თვისი მშობელნი...  
წარსული ტანჯვა გაჰნახლებია!  
წარსული ტანჯვა: როს სატრფო ნახა  
და გულს ეკვცთა ტრფობის ისარი;  
დიდის წამებით დაუახლოვდა,  
რო ეგრძნო სევდა კვლავ სასისხარი!

### რძალი ზენარი

გძულვარ, ვარდიავ?

### ვარდია

ო, დედოფალო!

იყავ ძვირფასი და სანატრელი;  
იყავ—

**რძალი ზენარი**

ალარ ვარ!

**ვარდია**

რატომ ცის რისხვამ  
უბსკრულს არ ჩაშნთქა ცრემლთა მფრქვეველი?  
სიცოცხლე რად არ გამინადგურა,  
თუ უნდა მეთქვა ეგ სიტყვა მკრელი?

**რძალი ზენარი**

ჩემს გულსა სჩხვლეტავს ეკალი კრცლი!

**ვარდია**

ო, დედოფალო, მე თვითონ მსურდა  
არა ჰქონოდა ჩემს რტოს ეკალი;  
გულით მეწადა მეფის ასულსა  
მეც ვყოფილიყავ შენებრ სპეკალი,—  
ეგებ მიჯნურსა და სათაყვანოს  
მოეპყრო ჩემთვის წყალობის თვალი,  
მაგრამ აჰაოდ! ვერ მივსწვდი მიზანს  
და ბედით ვიქმენ ორკეც საბრალი!

**რძალი ზენარი**

იყუჩე! ცრემლებს შევიშრობ, ვარდო!

**ვარდია**

რასა მპირდები, რომ არ ვადარდო?

### რძალი ზენარი

ტურფავ, იქნები ჩენი ღობილი!

### ვარდია

მაგრამ სატრფოსგან უღეთოდ გმობილი?!

რაში მჭირდება

მე ეგ სახელი;

თუ ჩემი ვნება,

ჩემი ნათელი

თქვენგან ჩაქრება, განადგურდება

და ჩემთვის სევდა დასადგურდება?!

### ქალაგი

თუ ითრთვილება

ყვავილი მთისა,

ბარს მალე ბინდი დაეჩრდლება

არა ზაფხულის—შემოდგომ-სა;

ასპიტთან ოდეს

კაცს საქმე ჰქონდეს,

მაშ ეწინოდეს

ყელამდე შხამთა შემოდგომისა!

**მეფე-მგოსანი** რომელიც უხუცეს ელაპარაკებოდა

აწ მათქმევინებს, ნეტა, ვაის რა?

თითქოს უცნობმა შვილდი აისრა!

მო, ჩემთან სულო, ნუ განმეცილე!

### ვარდია

ვაი, ზენარო! რად შემეცილე!

## მეფე-მგოსანი

სულის რჩეულო,  
სხივად ფრქვეულო,  
მაქცს პირისაგან დღის ბრწყინეალება;  
და ლამის ბნელი  
ოცნების მგვრელი  
მე შენსა ერთგულს თმისგან მექმნება!

—  
მუქი დაღალი!  
ცისფერი თვალი!  
შენს სახეს ამკობს, ვინ გყავს ბადალი?  
ბაგემ გზნებულმა,  
კონად შეკრულმა  
პაეროვანი დაბადა ალი!

—  
ვიშ მხიარული  
ეგ სიარული  
რა ლამაზია, რა მალხაზია!  
თეთრ კბილთა ჩენა,  
სიამით ფშვენა  
ნათელ ეთერზე უფროს ნაზია!

—  
ყვავილთ ვკითხაედი,  
კრემლებით ერთაედი,  
რომ შენი ბინა ესწავლებინათ;  
ო, ვერ დაგგმობდი,  
ო, ვერ დაგთმობდი,  
თუნდ სული ჩემი ეწამებინათ!

აწ უენ ჩემი ხარ,  
ტრფობით მჩენი ხარ,  
ერთად ვიქმნებით ამ ქვეყნის არეს!..

### მარლია ბრაზით

თუ ეგ ღვთაება,  
—ჩემთვის ვაება—  
გადაურჩება გულსა მძვინვარეს!

### მეფე-მგოსანი

დღეს ჩემს გარემოს არის რჩეულთ დღესასწაული!  
ქვრივობოლთ გაეც, უხუცესო, ვერცხლსამკაული!  
მგალობელთ გუნდმა იგალობოს! ჰპოვებდეთ შვებას!  
დაე მთაბარნი სცნობდნენ ჰანგით ჩვენს აღტაცებას!  
მოიტათ ღვინო! მოიტათ ღვინო!  
და აღდეგრძელეთ ზენარი ნინო!  
მე თვით მომეცით ოქროს ფიალა,  
თავდავიწყებით მსურს მოვიღხინო!

მსახურთ მოაქვს ღვინო და ოქროს ფიალები. ცეკვა, სიმღერა და  
დაღი აღტაცება.

### ხორო

—ნათლის ნათელი,  
სხივის სანთელი,  
მარად სიმართლით ჩვენო მშაროველო!  
დიდება შენდა!  
შენით დამშვენდა  
ვაშული ჩენი და საქართველო!

— ხმას აუწიეთ!  
ცასა უწიეთ

ჰანგი შვეებისა, ალტაცებისა;  
რძალი ზენარი  
დღეს ჩვენთან არი,  
მეფობს სამკვიდრო სასოებისა!

—მზე მოგვე ახლა!  
შორს იყო ჩვენგან,  
აწ მოგვეახლა!  
ერი აშენდა!  
დიდება შენდა!  
ვკვრეტო ტანსა საროს!  
უკვდავსა წყაროს!..  
ნაღველმა გული ვერ ასაჰყაროს!

—დიდება ზესა,  
მის სინაზესა!  
აწ ჩვენთან არი  
რძალი ზენარი  
სულის წალკოტი  
შენით დამშვენდა!  
იყავ კურთხეულ,  
დიდება შენდა! დიდება შენდა!

—იშვებდეს მეფე და დედოფალი!  
იშვებდეს მარად რძალი ზენარი;  
ბრწყინავდეს მარად მზე ჩაუმქრალი,  
იყოს კურთხეულ მგოსანთ მთავარი.

·აღვაპუროთ ხელნი და ღაღად ვყოთ კილით კიდემდე:  
უკუნისამდე კურთხეულ არს რძალი ზენარი!

ვარდია ხეს მიყრდნობილი სტირის

ვაი, გრძნობას უკუგდებულს!  
ვაი, ჩემს გულს ტრფობით ვნებულს!  
ვაი, იმედს ადრე მკენარსა!  
ვაგლახ, ბედი ადრე მირეკს  
გლოვის ზარსა ..  
შემაზარსა!

ნუთუ სევდა  
თანა მსდევდა  
ვით აჩრდილი  
შევად ზრდილი?  
და ის ავი  
გულსაკლავი  
ეხლა ვნახე,  
როს მიმქრალდა ცრემლებისგან ჩემი სახე?  
განაწირი  
რისთვის ესტირი,  
როს ჩემს არეს  
ოქროს მთვარეს  
მითალხავენ?  
იქ ჰხარობენ  
იქ ლალობენ  
და მით სულისა,  
გაბასრულსა  
ულფთოდ ჰკლავენ  
გზას სევდებით მიქარგავენ  
ჩემს ტკბილს იმედს მიკარგავენ!

გამხნევედი გულო!  
დაამდი წყლოლო!

წადი თამამად, რისხვა აღმართე!  
შურის ძიებავ, შენ წარმიმართე!

### ქალაზი

ვიცი შენი საიდუმლო,  
მიტომ სულის ვარ ბატონი;  
ნუ იქ საქმეს განძრახულსა—  
თვით დაგახრჩობს ერთგან ფონი!

### ვარღია

წა, გამეცალე,  
გლოვა მაცალე!

### უხუცესი

ციხეს მოაწყდა ხალხი მრავალი:  
მოხუცი, დიდი, მაღალ-მდაბალი  
და მოითხოვენ: აღმამფრენიო  
გვიჩვენეთ თვალით მეფე ჩენიო!

### მეფე-მგოსანი

გულმა სთქვა უკვე: გახსენ ბქენიო!  
ერიც ჰხარობდეს აწ ჩემთან ერთად,  
ჰნახოს ვინც უჩანს მას წმინდა ღმერთად!

მკეს გაჰხსნიან და შემოდის მხიარული ხალხი; მეფე დედოფალს  
ყვავილებს აყრის.

სალამი ერთგულთ!

### ხალხი

დღეგრძელი იყოს მეფე მგოსანი!



**მისტვიჩი** ხალხიდან წინ წარმოსდგება

აგაშენოს, დაგამშვენოს,  
მეფევე, მუღამ იამეო!  
ჩვენც მოველით მოგილოცოთ,  
მოგიტანე იმ მეო!  
ღმერთმა მალლით გადმოგხედოს,  
აგაშოროს სიავეო!

მეც ვისწავლე შენი ლექსი,  
იგი შუქის მფენარია;  
გვერდში მდგომი გიდღეგრძელოს,  
მზესავით რომ მჩენარია.  
კურთხეულ არს, კურთხეულ არს  
ღედლოფალი ზენარია!

ხალხი ჰხარობს შენთან ერთად  
არც თუ ცრემლით მე ვსტირიო;  
ოქრო ვერცხლით შენ აგვავესე,  
შიგ ჩავმალეთ თავპირიო;  
ქება სრულად ვერა ვკადრე—  
ვალიღინე ეს სტირიო!

**ხალხი** აღტაცებით

გაუმარჯოს! გაუმარჯოს!

**მეფე-მგოსანი** ხალხს აფრთოვანებული

როდეს თქვენ შორის მიმოვდიოდი  
ძღვევის გვირგვინით დამშვენებული,—  
ყველა თქვენგანი მეგებებოდა,  
სალამს მაძღვედა აღტაცებული!  
პატივსა მცემდა ყრმა და ქაბუკი,  
მოხუცი, სოფლით თვით გარდასული;  
დაფნის გვირგვინით შუბლსა მიმკობდა

კდემამოსილი, ნორჩი ასული  
მე თქვენ მოგეცი თავისუფლება  
და ვანეტარე ერთი მშობელი;  
ამ დროს თვით სული მეტანჯებოდა,  
მარად ჟამს ვიყავ სევდით მხმობელი!  
ხოლო დღეს ვპოვე იგი საუნჯე,  
თქვენი იმედი და ჩემი შვება;  
მას დაეუკმევე გუნდრუკ-საკმელი,  
მასვე მიუძღვენ წყობილი ქება!  
აუარებდეთ მას საგალობლით,  
სპეტაკსა სარკეს მშობელ არისას;  
აუარებდეთ მას შინ და გარედ  
გამცისკროვნებელს მთა და ბარისას!  
აუარებდეთ, ჰე, მორწმუნენო,  
ის აძლევს ერთი სულს ალტაცებას;  
აუარებდეთ ჰოი, წარმართნო,  
აუარებდეთ ერის დიდებას!

**პარღია** რძალ ზენარს სიბრაზით ანთებული, გრძნობა დაკარგული  
რძალო, ხილული რად, რად იქმენ? რად მოგვევლინე?  
რად ჩამოშორდი ზენაქვეყნის ძალთამძლეობას?  
სულმა უკვდავმა რად შეისხი ადამის ხორცი  
და რად, რად გვიწევ მიწიერებს მეტოქეობას?

მეტად მიყვარდი, ვიდრე იყავ მიუწვდომელი!  
შენ მომიტანე ცეცხლი გულის დამაზოხბელი!  
რისთვის წარმტაცე სატრფო ჩემი გრძნობათ მპყრობელი?

შენს უკვდავ სულსა დავაშორებ მშვენიერ სხეულს,  
წმინდა აჩრდილად გარდაგაქცევ მახვილით ძლეულს,  
რომ მიუწვდომელს მეც გეტრფოდე, ტრფობასვე ჩვეულს!..

მოკლე ხანჯალს ჩა'ცემს გულში. **მეფე-მგოსანი** იგიც, თითქოს იღუმაღმა ხელმა ვანგშირაუ—წაბარბაცდება: „ნინოს უშველეთ!“.. რავდენიმე დიდებული შეეშველება და მომაკვდავი ნინოსკენ წამოიყვანეს.

**რძალი ზენარი** ხანჯალს მკერდიდან ამოიძრობს, სისხლით შეისერება  
მეფეს უშველეთ!

### **მეფე-მგოსანი**

ჩემო მზეო, ასე აღრე  
შენს თვალეში ო, რად ვქრები?

### **რძალი ზენარი**

მეც აგრეთვე შენს თვალეში  
სულთ მობრძავე ვსდნები... ვკვდები!..კვდება

### **მეფე-მგოსანი**

დაიმსხვრა ჩემის სულის ტაძარი,  
დაიმსხვრა შიგან ჩემი ღვთაება;  
დავკარგე ყოფნა—რძალი ზენარი—  
დავკარგე სოფლად მე უკვდავება.  
ახ, რად არ ძალუძს ღალადს და კენესას  
ცხადი ოცნება კვლავ აღმიდგინოს?  
ახ, რად არ ძალუძს ჩემს ცრემლთა ფრქვევას  
კვლავ შემახვედროს ჩემს იმედს ნინოს?  
შენით ვხარობდი, აწ შენ დაგსტირი  
გრძნობის ედემო ღრმად შენამსკვალო,  
ვაი რომ ვიქმენ უშენოდ მწირი  
გლახ მომაკვდავი და საფალალო!  
ვაი, შენ, ჩემო უზესთაესო,

ვაი შენ, ჩემო სულო სულისაე;  
ვაი საუნჯევ და თანაარსო,  
ვაი მიზანო სიყვარულისაე!

ჩემი სიკოცხლე შენ თან წარიღე,  
შენთან ჩამიქრა მზე სხვოსანი;  
ნინო, წყვდიადის კარი შემიღე —  
ო, რად დასტოვე შენი მგოსანი!  
რა დაგიხუჭა სიკვდილმა თვალი,  
აგერ, ჩემკენაც ცელს ატრიალებს;  
ყინვით ნელდება ციურნი აღნი  
და გული ცეცხლით აღარ პრიალებს.  
მნათობო სხივო, სულს დაუბრუნდი,  
თორემ მას იცავს არარაობა;  
ჰხედავ, მეც მფარავს აჩრდილთა გუნდი,  
მოწამლა ტკბილი სანახაობა!  
ვაი შენ, ჩემო უზესთაესო,  
ვაი შენ, ჩემო სულო სულისაე;  
ვაი საუნჯევ და თანაარსო,  
ვაი მიზანო სიყვარულისაე!

ჩემო სიკოცხლევ, ნაზი ღიმილი  
გარს მომაფინე, ნუ ხარ მდუმარე;  
ისმინე, მზეო, ჩემი ჩივილი  
ო, შეივრდომე გული მწუხარე!  
რად მეთხოვები ასე უყამოდ?  
ო, ერთხელ კიდევ ხმა გამაგონე!  
რად, რად მშორდები აწ სამუდამოდ,  
სული სახმილით რად შეაღონე?  
ჩემო მნათობო, ისე მოჰფარდი,  
რომ არ დაგცალდა გეთქვა: მშვიდობით!

უცხად დაგიჟენა კოკობი ვარღბ—  
ვინ გაიხაროს შენის დამზობით?  
ვის მოეუწოდო, ტურფავ, შენს მხსნელად?  
აწ ვინ მაამოს ესრე მწუხარე?  
მზეო, მიიძღვენ უკანასკნელად  
ამბორთან ერთად კრემლი მდულარე.  
ვაი შენ, ჩემო უზესთავისო,  
ვაი შენ, ჩემო სულო სულისაე!  
ვაი საუნჯევე და თანაარსო,  
ვაი მიზანო სიყვარულისაე!

### **ვარღია** თავზარდაცემული

ღმერთო, ეს რა ვქენ? ჩემმა მახვილმა  
ნუ თუ გაჰგმირა მიჯნურის გული?  
რად არ ვიცოდი მე დაწყველილმა  
ვაი, მრავალ გზით ვიქმენ დაგული!  
საშინელის ხმით  
თეიმურაზ! თეიმურაზ!

### **მეფე-მგოსანი** ვარდიას

შენ ჩამოჰკარ გლოვის ზარი?  
ვარდიავე, რად განმიმზადე  
ბოლო ესრეთ შესაზარი?  
გულმკერდს გადაიხსნის  
აჰა დასტები ამ კრილოებით,  
ჰნახე გული გაისრული;  
აჰა მკერდი უსიცოცხლო  
და უდროოდ გაბასრული.  
აჰა სისხლი, თუ გწყუროდა,  
სიამეს გგვრის ეგებ წყლული?

### მარლია

ვაი, მეფეე! შენი მქონდა  
გულში ცეცხლის სიყვარული!

### მეფე-მგოსანი

შემინდვია შენთვის, ქალო!

### ხალხი მგლოვია რედ მდტრვინავი

ჩვენგან იყოს იგი კრული!  
სიკვდილს მივცეთ მეფის მკვლელი!

### მეფე-მგოსანი

ნუ იქმნებით სისხლის მღვრელი!

### ხალხი

სასჯელს მოითხოვს წესი და რიგი!

### მეფე-მგოსანი

ჩემის გულისთვის სცოცხლობდეს იგი!  
ღრმა ამოყენესით

რად მოგვისწრაფე ჩვენ სიცოცხლე ესდენ ნეტარი?  
რად მოაპკურე შენსა ფურცელს სისხლი მჩქეფარი?  
რისთვის წარტაცე სულსა ჩემსა ტურფა სხეული?  
ხომ სამუდამოდ შეიქმნები კრულივილ-წყეული?

**მარლია** სასოწარკვეთილი, ფერხთა წინ დაემხოა

ვაი, მეფეო! ღრმა სიყვარულს ვემონებოდი  
მეგონა ჩემი, მხოლოდ ჩემი შეიქმნებოდი!

ო, არ ვიცოდი თუ შენც მისთან სიკვდილს მიგცემდი!

### მეფე-მგოსანი

უნდა გკოდნოდა, ვიდრე მახვილს გულში ჩასცემდი!

### პარღია

ვოი, დაგკარგე სამუდამოდ მეფე გრძობისა!

მოიქვეამს სასოწარკვეთილი

**უხუცესი** მეფის გვერდით მუხლმოსყრილი შემზარავის კვითინით

ჩემო გაზრდილო,

სად მიხვალ შვილო!

რა ვქმნათ უბედურ დღეზე ჩენილთა?

რა ვქმნათ, მეფეო, ობლად შთენილთა?

### მეფე-მგოსანი

ო, უხუცესო, შეიკავე ცრემლი ფრკვეული!

მეცა გშორდებით, რა წარტაცეს ჩემს სულს სხეული!

უხანო იყო სიამტკბილე და სიხარული!

მაგრამ ეს ვნახე წამიერად... ეს, —სიყვარული, —

და თავს ვსთვლი დიდად ბედნიერად — აღმინთო გული!

გშორდებით, მაგრამ სული ჩემი თქვენთან იქმნება;

—ნუ ჰგოდებ ერო! —სხვა სამეფო ჩემთვის იხსნება!

ვინძლო ჩემს მამულს მოუარო, გზა წარუმართო,

უკანასკნელად ამას გვედრებ: შენც ჩემებრ ჰმართო!

მკიდრო კავშირით შეერთებულს საყვარელ ერსა:

ორ ზღვათა შუა მდებარეს ქართლს, კახეთს, იმერსა

მთლად საქართველოს მიეც სიმხნე, გამბედაობა,

თავისუფლების ნეტარ სხივის ჩაუმკრალობა.

ჩემის მამულის ყოველ კუთხეს: მთასა თუ ბარსა,

ჩემო ერთგულო, მოუწოდე ეგრევე უყვარდეთ,

როგორც უყვარდათ დღემდე, ჩემის მეფობის ჟამსა,

თუ ჰსურთ სიკეთე სხვა მტერთაგან არ გაუქარდეთ!

**ხალხს**

ერო, ანდერძად მოისმინე სიტყვა თხოობილი:  
ჩემმა აჩრდილმა არ იხილოს სხივი ქრობილი.  
სხივი, რომელიც მე მოგიძღვენ აწ სასახელო,  
დაიცევ შენი წმინდა განძი და საქართველო!

**ხალხს**

ვფიცავთ შენს სახელს და უკვდავებას,  
მარად დაეიცავთ ერის დიდებას!

**მეფე-მგოსანი**

შავს სამარეში მდებარე მნახეთ  
და მაგ იმედის ხმა ჩამომძახეთ!

**მგოსანი**

ღვთაებრივო, სულის მეფე,  
რად გვაობლებ და რად გვტოვებ?

**მეფე-მგოსანი**

მეგობარო, დრო გაივლის  
ჩემს ლექსებში კვალად ვპოვებ!

შენ განაგრძე ჩემი ჰანგი,  
განანათლე ღამის ბნელი;  
ძველს ნანგრევზედ ააშენე  
ბროლის კოშკი თვალთა მკრელი!  
ცის ცხოვრება, სრულყოფილი,  
შეუერთე მიწის ღელვას;  
ჰქმენ შაირი ერის სარკედ  
და ამსგავსე სიტყვა ელვას



### მეტრიბს

მომღერალო, ალაესებდე  
დამაშვრალსა მარად შვებით;  
მათს სიხარულს ღალად ჰყოფდე,  
ქირს მოსთქვამდე ცრემლთა ვებით!

### მხატვარს

მხატვარო ჩემო! გაუფრთხილდი კერპს მარად უკვდავს,  
ის შვილიშვილებს ზეიდმტაცსა სულსა შთაუღდავს!  
რა დაჰხედავენ, მუნ ჰპოვებენ ერის გენიას,  
მის სიღიადეს ჩასწვდებიან, მოჰკრეფენ იას  
და მათის ხელით შეიმკობა მიდამო წყნარი,  
თან ღალად ჰყოფენ: კურთხეულ არს რძალი ზენარი!

### სამი ასული მწარე ქეთინით

ვაი ჩვენს თავს! ერთხელ განახეთ  
მოვისმინეთ სიტყვა ამოდ,  
და მეფეო, ჩვენო მზეო,  
გვეთხოვები სამუდამოდ?

### მეფე-მგოსანი თანდათან ძალა ეკარგება

ჰე ასულნო, როს დაგემარხონ  
ჩემს წალკოტის არესა, —  
მოდით, მხოლოდ არ გვიტუროთ,  
ცრემლს არ ვითხოვ ცხარესა.

ყვავილებით მოგვიქარგეთ,  
სიმღერა სთქვით ხმიანი;  
ჩვენს სამარეს დააყარეთ  
ვარდზამბახნი, იანი!

მე მიყვარდა განთიადზე  
პირველ სხივის სალამი;  
იმ დროს ვთხზავდი დილის ლოცვას,  
ჰქროდა სულის ალამი.

აი, ამ დროს მოხვიდოდეთ  
საესე შეება-ლხენითა;  
და მხიარულთ გვიგალობეთ  
ჰანგი აღმაფრენითა!

ძლივსლა ისმის ლაპარაკი

ძმანო, მშვიდობით! ძალა მელევა...  
ბინდი ლამისა თვალს ეფარება;  
მიეჭრი შორს სადღაც დაუსრულებელს,  
სად თვით მიჯნური მიეჩქარება!  
როს მიმბაროთ შავსა სამარეს  
და ცრემლი თვალით გადმოიღვაროს,—  
„კურთხეულ იყოს რძალი ზენარი“  
გთხოვთ ყველამ ერთხმად ეს აღვიაროს!

როდეს, მხატვარო, ჩასწვდე ბუნებას,  
ანუ ადამთა ღელვას სულისას;  
როს გადმოიღებ ნათელ ფერებში  
ზეაღმტაც სახეს სიხარულისას;  
როს შენგან ქმნილით ტურფა ხატებით.  
აღფრთოვანდება კაცით კაცამდის,—  
ო, მომიგონე და სთქვი: სარკვა,  
რომელს მე ვტრფოდი ასულს ზეცამდის!

მგოსანო, ოდეს შესთხზა შაირი  
სისხლის ცრემლებით, გულის წუხილით;  
როს ჩანგი შენი აახმოვანო  
სპეტაკის გრძნობით თუ ცის ქუხილით;  
როს ამცნო სიტყვა ახალ აღთქმისა  
ჩემს ერს საყვარელს, ჩემს ხალხს მხიარულს, —  
მომიგონებდე, მეც შეეხაროდი  
მის გამოძახილს, შენაზიარულს!

ჰოი მუტრიბო, როს შენი ჰანგი  
შეარხევს ჰაერს და შშობელ მხარეს;  
როს შენი კილო მსმენელს შეიპყრობს  
და თვალით მოსწმენდს ცრემლთა მდინარეს;  
ანუ როს მარად მომჯადოებმან  
აღძრას სიამე მოსალხენარი, —  
მომიგონებდე, საკრავთა ხმებში  
მეხატებოდა ერთხელ ზენარი!

ტურფა ასულნო, როს განთიადზედ  
სალამს უძღვნიდეთ მიჯნურს გულისას;  
როს ნაზის სულით გრძნობას სწირავდეთ  
და პირველ კოცნას სიყვარულისას;  
ანუ როს იგი ასე უდროოდ  
გესალმებოდეთ სხივმომფენარი, —  
მომიგონებდეთ, პირველ ამბორთან  
მეც გამომტაცეს რძალი ზენარი!

კვდება. გაბრწყინებული თვალები კიდევ დიდხანს შეტყვევობენ.

ყველანი გაშეშებულნი სდგანან.

## მხატვარი

მეფე-მგოსანი გარდაიცვალა!

ხმები რომელნიც ერთი მეორეში გადადიან და შორამდის უწევენ  
გარდაიცვალა ჩენი დიდება!

ყველანი მუხლს მოიყრიან

უხუცესი ქეითინით ღუმელს გაარღვევს  
მზე ჩაესვენა ივერიისა  
და იგი როსლა აღმობრწყინდება?

გარედ ისმის სამგლოვიარო ჰიმნი.

ა. შანშიაშვილი





სამ. ფირცხალავა

ლ ა მ ე

დრამატიული სურათი \*)

---

\*) ეს სურათი არის ნაწყვეტი პიესისა (სიკვდილი) რომელიც შეიცავს ხუთს სურათს.



მოქმედნი ჰირონი

ნიკო	ლილია
თეკლე, მისი ცოლი	სალოს
მარიამი, მათი ქალი	მოსამსახურე
ლევანი, მარიამის ქმარი	მკვდრები
სტუმრები	მავნეები
მაყრები	ალი
ქვრივი	უუმური
მაყრის ცოლი	ბატონები

სცენა: ეზოს ნაწილი, ჰირდაპირ სახლის გვერდის კედელია, რომლის მარჯვნივ კიბეა და სახლში შესასვლელი კარი; მარცხნივ ჰატარა ბაღი, რომელზედაც კარი და ბაღიანი გამოდის. მისის დამლევა, ახლად შედამებული. ქორწილი აავდება. მარჯვენა მხრიდან მოისმის ხმაურობა—ხან სიძეურა, ხან მუსიკა და ცეკვა, ხან ისე უვირილი მთვრალეებისა. სცენაზე რადიკალიმე სტუმარი ჩაის სვამს. კიბესთან სამი ქალი სდგას და მხიარულად ბაასობენ.

I

თეკლე გამოდის სახლიდან, ქალიშვილებს. აქ რას უდგებართ, თქვენ გენაცვალეთ, ყმაწვილობიკების გულდასაწვავად, ლიპა, ლილია და ეფროსინე! მაყრებს მიხედეთ და გაუნათლეთ ყველას გულები, გაგინათლდებათ კეთილად დღეა. აამეთ სტუმრებს, ამხიარულეთ და გაგახარებთ მალე თქვენც ღმერთი!



აბა, ლიდია, შენ უწინამძღვრე, შენ დაგენაცვლოს  
ეს ჩემი თავი და არ გენახოს თეკლე ცოცხალი,  
შემოდგომაზე თუ შენს ქორწილზე მე არ დავხიო  
ცეკვა-თამაშით ახალი კაბა!..

**ლიდია**

ახლავ, ახლავე,

ჩემო ბიცილა! საყვარელ მაროს ბედნიერების  
დღეს მოვესწარიო და აბა როგორ არ გავიხაროთ!

**თეკლე**

მოვესწარიო! ისე მოგასწროს დედა ღვთისამა  
ყოველს სიკეთეს. ჭკვიანი კაცი, კობტა, ლამაზი,  
განათლებული, კეთილის გულის და შეძლებული  
— უკეთეს საქმროს ვერც ვინატრებდი მარიამისთვის.  
ვმადლობ მაცხოვარს და წმინდა ვასილს, ღიღს ოქონის  
რომ ამისთანა ძვირფასის კაცის ხელში ჩავარდა [ხატს,  
ჩემი ასული!.. აბა, მიხედეთ სტუმრებს, გენაცვათ,  
ლიდია, ლიპა და ეფროსინე; მიდიოთ, დაატკბეთ! ქაღუბი  
გადან მარჯვენისკენ

**ნიკო** გამოდის მარჯვნიდან. თეკლე ხარ, ჩემო? შენი ქირიმე, არ და-  
რაც რომ გითხარი. გავიწყდეს,

**თეკლე**

ამა წუთშივე მე თვით მოგართმევთ  
ჩემის ხელითა. სხვა რაღა უნდა ჩვენ გვახსოვდეს დღეს,  
თუ დაგვაფიწყდეს მაროს სტუმრების სიამოვნება.

**ნიკო**

აქ ბატონ სტუმრებს ყველაფერი აქვთ? არის ლიმონი?  
არის მურაბა ვარდის, ალუბლის?.. ბენედიქტინი?..  
ტკბილი ნამცხვრები, ხაჭაპურები?

**პირველი**

**სტუმარი**

გახლავთ, ბატონო.

ნუ შესწუხდებით. განა თქვენს სუფრას ღ თქვენს უხვს გულ-  
შეიძლება კი რამე დააკლდეს? სულ სავსენი ვართ. [სა

**ნიკო**

გმადლობთ დიდათა. პატივისცემა სტუმარს ეკუთვნის...  
მართლა, ჰო, თეკლე, იქით სიღობსტროს გადაუძახე:  
გამოგვიგზავნოს ცივი წითელი და თეთრი ღვინო. თეკ-  
ლე გადის.

**პირვ. მაყარი** შემოდის, ხელში სავსე ჭიქა ჭჭირავს. მამაო ნიკო!  
უკაცურად და მპატივით,  
რომ მამის სახელს გიწოდებთ, მაგრამ მიყვარხართ მეტად,  
ვითარცა მამა და ამისათვის ნება მომეცით,  
მამის სახელი რომ შემოგკადროთ...

**ნიკო** მიბრძანეთ, შეილო!

**პირვ. მაყარი** ცოტა მთვრალი ვარ, მართალი არის—მიყვარს ღვი-  
ნის სმა—

მხოლოდ გონება არ დამიკარგავს... მომეცით ნება,  
დავლიო თქვენი სადღეგრძელო და... მოგილოცოთ ეს...  
ბედნიერი ღღე სულით და გულით. ლევანი ჩემი  
ამხანაგია და მეგობარი და მოგახსენებთ,  
რომ სასურველი სიძეა იგი .. ვსთქვა: ჭკვიანია,  
თუნდა ნასწავლი, თუნდა მდიდარი—ეს არაფერი.  
მაგრამ მხნე არის, უშიში, ვით კლდე გაუტყეხელი...  
და გწამდეთ მტკიცედ, რომ უპატრონებს კარგად მარიაშს!..

**ნიკო** ღმერთმა მრავალ წელს გაცოცხლოს, შეილო, ყოვ-  
ლის მოკეთით.

**პირვ. მაყარი** როგორც ეს ჭიქა სავსეა ღვინით, ისე სავსებით  
ესვამ სადღეგრძელოს თქვენსას, მამაო. სვამს.

ახლა კი თქვენის  
ნება დართვითა ვეამბორები ამ თეთრს წმინდა წვერს.  
გადაეხუკვა ნიკოს, ერთმანეთს ჭკოცნიან და გაღიან.  
ამხანაგებო, ხელში აიღეთ სავსე ჭიქები  
და ვადღეგრძელოთ მამა ოჯახის სახელოვანის...

**პირვ. სტუმარი** ბევრს დავსწრებივარ ქორწილს აქ ჩვენში, თუ სხვა-  
ამისთანაი არსად მინახავს გასაოცარი. [გან, მაგრამ  
ესე სიუხვე, გულგაშლილობა შეეძლოთ მხოლოდ  
ნიკოს და თეელეს გამოეჩინათ. რა გინდა, სულო,  
რა გინდა, გულო, არ ყოფილიყოს იმათ სუფრაზე.

მზარეულები ქალაქიდანო გამოიწერეს  
და ღვინო კიდევ თვით კახეთიდან საგანგებოთო!

**მეორე სტუმარი** თქვენ ზუთხისა სთქვით—აბა, რა იყო! აბა, რა იყო!  
სამჯერ მივირთვი და ახლად ხომ ვარ ყელამდის საესე,  
რომ არ მრცხვენოდეს, კვლავ მოვიტხოვდი, გულს და-  
ვიტკობდი.

სხვისი არ ვიცი და მე კი სწორედ ვიტყვი ახდილად:  
კარგის საკმელის-სასმელის ფასი ამ ქვეყანაზე  
არა არის რა!..

**პირვ. სტუმარი** ეგ ძველიდანვე დადგენილია:  
მდიდარი სუფრა სულს გაანათლებს... მაგრამ ამდენი  
მზიარულება? საკვირველია, თითქოს სტუმრები  
ერთი მეორეს ეცილებიან: ვის უფრო ჩვენგანს  
ელხინებაო.

**მესამე სტუმარი** ...მანსპინძლებია მზიარულები.  
და ქეშმარიტად ჰმართებთ მოლხენა თეკლეს და ნიკოს:  
კარგის ოჯახის პატრონებს სიძვეც ძვირფასი შეხვდათ—  
ნასწავლი არის და შეძლებული. ამისთანა ხალხს  
ღმერთი სწყალობლობს და არ მოაკლებს ბედნიერებას.

**მეორე მაყარი** შემოდის. ჰე, ბატონებო, ვერ მოგიწონებთ აქ ცალ-  
კე ყოფნას.

ღვინოს და ღვინისა გამოქცევიხართ, ცხელ წყალს მიირ-  
როგორ იქნება? ვერ გაპატიებთ ამ დანაშაულს. [თმვეთ.  
აქ მიმალულხართ და არა სტკებებით საერთო ღვინით,  
მერე რა ღვინით? ღვინი კი არა, ეს სამოთხეა,  
მთელი სიცოცხლე, ტკბილი, ნეტარი! განა არა თუ?

**პირვ. სტუმარი** სრული სიმართლე ბრძანეთ, ყმაწვილო.

**მეორე მაყარი** შეხედეთ თამაშს,  
ცეკვას, სიმღერას, ქეიფს, ღვინის სმას. გულის ლაღობას.  
იქ დააქცერდით ღვინის თვალს: რა სიყვარულით  
შეჰყურებს სატრფოს—ნეტარებაა იმის ღვიწკი,

მისი ალერსი უტყვეს ამეტყველებს, მკვდარს გააცოცხლებს.  
ყური დაუგდეთ აი იქ სეფეს, სევერიანეს,  
შავლას, კოწიის სიმღერას გმირულს და იმედიანს:  
ქირსა აქარებებს, შიში შორს გარბის, ნალველი დნება.  
აი სიმონაც ღვინით დამხჩვალი რამდენს სიხარულს  
ჰპოვებს ქიქაში: სიამოვნება დაუშრეტელი  
გადაშლილია მის წინ! არა თუ?.. მაშ ღვინო, ღვინო!  
გთხოვთ, მეგობრებო, შემოგვიერთდეთ მხიარულ კრებას,  
თორემ ჩაის სმა, მძიმე ბაასი მოსაწყენია,  
მატლია მყრალი, ცხოვრების მხრავი. დავლიოთ ღვინო  
მალხინებელი მხიარულების უკვდავებისთვის!.. გადის, სხვე-  
ბიც გაჭეუბიან.

სალოს შემოდის მარცხნით. აღაპი არის... ნეტავ ვისია?.. ვინ მიიცი-  
ვალა?..

მოსამსახურე გამოვარდება სახლიდან. მოგიკვდეს თავი სულელს და  
ოხერს! მაგას რას ამბობ?

აქ ქორწილია... წადი აქედან, გადაიკარგე!

თეკლე გამოდის სახლიდან. რა ამბავია, ვის გაუწყერი?.. შენ ხარ,  
სალოსო!

ბიჭს. ნურათფერს ჰკადრებ: ღვთის კაცი არის და ანგელოზი.  
აქეთ შემოდი, სალოს, შინ ჩემთან. ოთახში მზად მაქვს  
შენი ულუფა. ამდენ ხანს რატომ არ მომეკარე,  
შე საცოდავო? მუდამ გიყვარდა შენ ჩემი ნახვა  
და ბედნიერს დღეს კი დამივიწყე?

სალოს

ცოდვია ქვეყნად...

დიდი ცოდვია... მეორედ უნდა მოვიდეს ქრისტე  
და დაგვხსნას ცოდვია... სიცოცხლეს ჰფიქრობს აღამიანი...  
არვინ იგონებს, სიკვდილიცაა; და მკვდარი არის,  
ვის უყვარს მარტო სიცოცხლე... მკვდარი, ხორციელია,  
ხორციელია, სული არა აქვს... მინც მოკვდება!..  
ველარ გაძლება, მოკვდება ხორციით, წაწყდება სულით...

**ოეკლე** მაგაზე მერე ვილაპარაკოთ, ახლა აქ მოდი. შეჭყავს  
სახლში.

II

მარჯვნივ მხიარულობა უფრო ძლიერდება. ისმის: „მეფე დე-  
ლოფალმა უნდა იტყვიან!“ „უსათუოდ, უსათუოდ!“ ცხ:რე  
ტაში და მუსიკა. შემდეგ: „გაშა, ვაშა“ სიმღერა:

ქეიფი და ლხინი გვინდა,  
შევექცეთ და დავლიოთ!  
ნალღელი და მწუხარება  
წითელ ღვინით დავლიოთ!

**მესამე მაყარი** ხელმოკიდებული შემოჭყავს ლამაზი ქვრივი.  
არ შემიძლია, არ შემიძლია მეტის მოთმენა!

**ქვრივი** საოცარია ეგეთი ქცევა, საზღვარს გადაცდით.  
**მესამე მაყარი** რისა საზღვარი! გაჰქრა ყოველი, მხოლოდ ერთია!  
ერთია გრძნობა, გულისა ცემა, ერთი სწყურია  
ცეცხლად ქცეულის სისხლისა ჩქერას—შენი ალერსი!

**ქვრივი** ყმაწვილო კაცო, სირცხვილი არის! მე ქმარი მყავდა,  
მე ის მიყვარდა. გთხოვთ, შეიკავოთ თავი, დაწყნარდით.

**მესამე მაყარი** არა ალერსი! გიჟური ხვევნა, გულს ჩაკონება,  
ტუჩების კბენა, უფსკრულ თვალებში დასაფლავება!  
გაშმაგებულსა მსურს დავეწაფო შენს მთრთოლავ მკერდსა,  
იქ მოვიპოვო ბედნიერება. შენის გულიდან  
ამოხეთქილს აღს დაერთოს ჩემიც ზედ ალი, დაგვწვას,  
დაგვადნოს ერთად სამოთხისებურ ნეტარებაში.  
დაათროს გრძნობა, წაილოს ფიქრი და იყოს მარტო  
ერთი ოცნება, ბურუსი ტკბილი დაუსრულებლად!..

**ქვრივი** ღვთის გულისათვის ნუ მეუბნებით მაგვარის ენით.  
მიმოიხედეთ, აქ სტუმრებია, დაგინახავენ  
და შეიქნება მითქმა და მოთქმა მეტად საწყენი.

**მესამე მაყარი** ... ეგ ცოტა არის. მინდა ერთ ხორცად ვიქცეთ ორივე.

მინდა, რომ შენი სისხლი სჩქებდეს ჩემსა ძარღვებში,  
რომ შენი გული სცემდეს ჩემს მკერდში, შენი თვალები  
რომ იყოს ჩემი და შენის ყურით ვისმენდე მხოლოდ!..

**ქვრივი** გთხოვთ, შემობრალოთ... ნუ მიტყერთ ვერა, ნუ დამიმონეთ!  
**მესამე მაყარი** დაგეუფლები სრულად, უნაკლოდ. ხორცი მწყურია  
შენი და მინდა შეგკამო, გშთანთქა სულით, სხეულით.

**ქვრივი** ჰო, ღმერთო ჩემო! როგორ მოვიქცე?.. ექვსი თვე არის,  
გარდაიცვალა ჩემი მეუღლე... რა მოვისმინე?  
როგორ სიტყვებსა დავუგდე ყური?.. რა მემართება!..

**მესამე მაყარი** დაუგდე ყური არა ჩემს სიტყვებს: რაც ვსთქვი--შენია.  
ეს წადილია თვით შენის სისხლის და სიყვარულის.  
შენცა ჩემსავით გწვავს გრძნობის ალი, მოგიწვევს ჩემსკენ  
და დამნაშავე დიდი იქნები შენ ბუნებასთან,  
თუ გაექცევი ამ სიტკბობებს მკვდრის მოგონებით.  
ის იყო—მოკვდა! აღარ არსებობს, გაჰქრა, გათავდა!  
ახლა ჩვენ ვართ აქ. ცოცხლებს გვეკუთვნის მხოლოდ  
ქვეყანა

**ქვრივი** და არ შეგეფერის ფიქრი წარსულის, რიდი მკვდრებისა.  
არ ვიცი, რა ვსთქვა?.. ეკლესიაში, ღვთისა წინაშე  
აღთქმა მივეცი ერთგულებისა და ვულალატო?

**მესამე მაყარი** სასაცილოა, სიტყვას ემონო და რაღაც ღმერთსა.  
სულ სიცრუეა, ხუცებისაგან გამოგონილი.

**ქვრივი** როგორ შევხედო მას საიქიოს, რა პირით შევხვდე?..

**მესამე მაყარი** დაჰგმე ყოველი: ღმერთი არ არის, სული არ არის,  
არც საიქიო, იქ სატანჯველი, პასუხის გება!  
მხოლოდ არსებობს აქ სიტკბოება, აქ სიხარული.  
მო, ჩააქსოვე შენი სურვილი ჩემსა სურვილსა,  
მოჰყევ გულის თქმას, გრძნობას აღგზნებულს, ტრფიალს  
სხეულისა

ჩასკიდებს ხელს და გაჰყავს მარცხნით.

III

ეტუბა სტუმრები იშლებიან და მიდიან სახლებში. ისმის:  
„მშვიდობით, გენაცვალეთ“. „გმადლობთ, გმადლობთ“ და  
სხ.— მღვდელის ხმა: „და აკურთხა იგინი ღმერთმან შეტყვევლ-  
მან— აღორძინდით და გამრავლდით და აღავსეთ ქვეყანა“.  
სიმღერა:

„სიყვარული, სიხარული  
სამოთხისა არის ხილი.  
ვინც იგემოს, სხვა რა უნდა,  
მუდამ იყოს კმაყოფილი!“

ხმაურობა თანდათან სუსტდება.

**მეოთხე მაყარი** შემოდის მარჯვნიდან, იღვიაში ღვინიანი ტიკჭორა აქვს.  
წადით ყველანი. მე აქ დავრჩები, აქ წამოვწვები...  
და საყვარელიც ჩემი აქ არის... ღვინო დავლიე...  
დავლიე სწორედ, ქეშმარიტია და კიდევ დავლევ...  
მთვრალი კი არ ვარ... უკაცურადად, მთვრალი გვგონე?  
მღერის: ღვინოს დავლევ, წყალს არა!  
ღვინოს დავლევ, წყალს არა!..

მთვრალი კი არ ვარ... სრულებით არა... ვერ მოგარ-  
თვეს, ვერ!..

შემხედე კარგად, როგორ მარჯვედ ვარ. ცდილობს არ შე-  
იძინოს სიმთვრალე, მაგრამ ფეხზე ძლივს დგება. ვიცეკვო,  
გინდა?

რატომაც არა!.. ტაში დაუკარ... მაგრამ არა, ნწუ!..

ჯერ კიდევ დავლევ. უნდა ტიკჭორას თავი მოხსნას, მაგრამ  
ვერ ახერხებს. მერე იყოსო ძალიან კარგი...

თუნდ დავისვენოთ, მე თანახმა ვარ, აი ხის ძირში. მიჰდებია.

**ცოლი** შემოდის. სადა ხარ, კაცო? მთლად დაიკარგე ადამიანი?

შენს მეტს არავის უნახავს ღვინო, რა ამბავია?

**მეოთხე მაყარი** ხელს გააკნევს. ნწ!

**ცოლი** ადექი ზევით, სახლში წავიდეთ. მივხედოთ ბავშვებს!

**მეოთ.** მაყარი სახლში! სად სახლში!.. ა, ჩემი სახლი. უთითებს ტიკზე.  
**ცოლი** გაღირიე,

შე, უბედურო? რა სთქვი, არ გინდა ცოლი და შვილი?

**მეოთ.** მაყარი ნწ!

**ცოლი** უიე, ბეჩა! რა ღეთის წყრომაა, კაცო შენს თავზე.  
ადე, საცაა, წვიმას დააიწყებს, გაგიტენდება  
შავი დღე მაშინ...

**მეოთ.** მაყარი არსად მივდივარ: აქ არის ჩემი  
სუყველაფერი... მე იგი მიყვარს, მასაც ვუყვარვარ...  
სხვა არა ვიცი...

**ცოლი** რას ლაპარაკობ! დაჰკარგე ცნობა  
და გაგიედი მთლად? ბიქტორე მაინც არ გაგონდება?

**მეოთ.** მაყარი ტიკს ხელს მოხვევს. ჩემი ბიჭიკო აქ არის ჩემთან...  
ცოლიც აქაა,

სამივე ქალიც... სხვა ყველაფერი კი დაიღუპოს,  
მე არ მინდა რა... აქ ვარ, აქ ვკვდები...

**ცოლი** ადექ, ადექი! მკლავში ხელს მოჰკიდებს.

**მეოთ.** მაყარი ნწ! მუშტს შემოუქნევს ცოლს.

**ცოლი** ადექი ზევით! თორემ გაცივდი, ოჯახის მტერო,  
და ვის უტოვებ წვრილს შვილს სარჩენად?... არ გესმის,

კაცო?  
ქმარი ეურს არ უგჯებს, ტიკს თავქვე მიიღებს და მიწვება  
ვაჰ, ჩემო თავო!.. სახლში შედის და ნიკოს გამოიყვანს.

**ნიკო** თუ არ მოგყვება, იყოს—მერე რა?  
ზაფხული არის, წვიმა არ მოვა, ნუ გეშინია.  
გამოიძინებს, გამოფხიზლდება და თვით მოგიყვან.  
შენ დარდი ნუ გაქვს.

**ცოლი** როგორ დავტოვო ასე, არ ვიცი...  
იქაც ოჯახი უპატრონოდ მყავს მიტოვებული.

**ნიკო** წადი, მიხედე. ეს კი აქ დარჩეს. ისე მოეუვლი,  
როგორც რომ შვილსა.



**ცოლი**

აბა, შენ იცი, ბიძია ნიკო!  
ლაპხურე ნაბლით... წავალ და მერე გადმოვალ ისევ. გადიან.

#### IV

ცა მოიღრუბლება და ჩამობნელდება. კარში აღარაფერია. შემოდინს მკვდრების სულები: სახე მკრთალები, ღაჭარაკი აუღელვებელი, საუბრის დროს ხელეს იმდენად არ ამოძრავებენ, უფრო დგანან უძრავად ან სხედან.

**პირვ. მკვდარი** გაძინენ, დაითვრენ!

**მეორე მკვდარი** რამდენ-რამდენი შესვეს, შესქამეს!  
**მესამე მკვდარი** რა ფერად-ფერად ტანისამოსში იყვნენ ყველანი გამოწყობილნი!

**ობოლი მკვდარი** როგორ მღეროდნენ, ცეკვავდნენ, ხტოდნენ!

**ძველი მკვდარი** ჩვენ კი არაფერ არ მოგვიგონა არც ერთის სიტ-  
არც ერთის ფიქრით! [ყვიოთ,

**ყრმა მკვდარი** ბაბამ და დედამ საცხოვრებელი  
გადაალიეს მარიამს და მე მარტო აღდგომას  
და ბოლოს დღესა გამიხსენებენ ლუკმა კვერებით,  
ნამცეცის ხორციო... ეკლესიაზე რო ამოდიან,  
ალარც მნახავენ. ახლად მიცვლილს კი ცხარე ცრემლებით  
თავს დამტიროდნენ... მერე დამშვიდნენ, სულ დამივიწყეს,  
და მიიმაღნენ!..

**პირვ. მკვდარი** აგრე იციან, პაწავ, ცოცხლებმა.  
როდესაც კვდებით, თითქოს უნდათო, რომ თან წამოგვეყვენ.  
მაგრამ ერთი თვე, ორი თვე, სამი და მწუხარება  
მთლად წაეშლებათ სახეზე ყველას. დაწყნარდებიან,  
ისევ სიცოცხლის მარტო წყურვილი და სიხარული  
დაეუფლება მათ გულებს ხარბებს...

**ყრმა მკვდარი** ვაჰ, დედა, დედა!  
როგორ ვიფიქრო, რომ სიყვარული შენი არღაა!..  
როდესაც ცრემლი მარგალიტისა დაეცემოდა

ჩემს საფლავს, მაშინ რა ბედნიერი ვიყავი, დედა,  
რა ბედნიერი!.. რად დამიფიწყე? რად დამიფიწყე?  
**მეორე მკვდარი** როცა ჩემს ცოლზე მე ჯვარს ვიწერდი, იმის სიყუა-  
ძირი და პირი არ მოუჩანდა. დავიჯერებდი [რულს  
დღისა სიბნელეს, ღამის სითეთრეს, მის ღალატს კი ვერ!  
უბნელდებოდა შავად წმინდა ცა, თუ თან არ ვყავდი.  
მზეს ვუნათებდი, აღევსებოდა ქვეყანა შვებით,  
როცა მხედავდა. მაგრამ ექვსი თვე ძლივსლა შესრულდა  
ჩემი სიკვდილის შემდეგ და ახლა ვილაც ავხორცის  
გაქნილმა ენამ დააგმობინა მას ერთგულება  
და უცხო კაცზე გასცვალა ხსოვნა, სახელი ჩემი!..

**მესამე მკვდარი** ცუდი არ ვიყავ მამა შეილების: არ დამიზოგავს  
შრომა, სიცოცხლე; მქონდა დღე ღამე გასწორებული;  
ვითმენდი ტკივილს, ქირს, დამცირებას, ოღონდ შეილები  
გამომეზარდა, გამოსულიყვენენ განათლებულნი...  
დღეს არვის ახსოვს ეს ჩემი ტანჯვა, მწარე დღეები.  
არავის ახსოვს, რომ ღამე ხშირად მენატრებოდა.  
ძილი ერთ საათს, დაღლილს-დაქანცულს, მაგრამ საქმეზე  
ვეშურებოდი, რომ შეილებს ლუკმა არ დაკლებოდათ.  
ეს აღარ ახსოვთ და მთელის წლობით არც კი იტყვიან:  
„ღმერთო მალალო, განუსვენებლედ ტკბილად მამა ჩვენს“...  
მას შემდეგ მაინც, რაც კი შეილები დამიქორწილდნენ,  
სულ გაჰქრა ჩემი სახსენებელი. მხოლოდ კუქისთვის,  
განცხრომისათვის ზრუნავენ მუდამ - ერთი მთვრალია,  
მეორე ოქროს ეთაყვანება და მესამე კი  
სამსახურშია გადაკარგული, მონაა სხვისი ..

**ობოლი მკვდარი** გარდავიცვალე ობოლი საწყლად, უდედა მამო;  
არც მყავდა და-ძმა... ბიძაშვილებმა მეორე დღესვე  
მიწა ანძრიეს—ყანასა ხნავდნენ და ტირილიც ხომ  
არ გამიძარტეს: არ მოიწვიეს, არვინ ატირეს,  
ვის ჩემთვის გული დაეწვებოდა... ერთი საკურთხი

ჩემთვის არავის მოუტანია; წითელი კვერცხი .

არვის აღდგომას ჩემს საფლავზედა გადმოუგდია!..

**ძველი მკვდარი** ჰე ახლები ხართ და ჯერ ტყუილად ემღერათ  
თქვენს ბედს.

ჩვენი იკითხეთ ბებერ-მოხუცთა და ძველი მკვდრების!..

ჩვენი სახელიც, მოგონებაც კი უბრალო, სიტყვაც  
ალარა დარჩა!.. არავის ახსოვს, რომ ჩვენც ვცოცხლობდით  
ოღესმე ქვეყნად, დავდიოდით და ვსტკებოდით ლხენით.  
გავიცილებდით თუ ვიტირებდით; ვიცოდით გემო  
სიყვარულისა; გვათბობდა სხივი და გავუბობდით  
ზამთარს დამზარავს .. ოჰ, რა მწარეა, რა ცივი, ცივი  
ეს დავიწყება, ყინვა ყველაფრის გამქავებელი!..

**პირვ. მკვდარი** რად გვივიწყებენ? რად გვივიწყებენ?..

**მეორე მკვდარი** გულ ხარბი არის

ადამიანი: გარდა წუთიერ ბედნიერების

არა ახსოვს რა!

**მობოლი მკვდარი** ჩვენ ვიქნებოდით განა ეგეთნი?..

გამოჩნდებიან მავნეები, ალი, ჭუჭყური, ბატონება

**ალი** დღეს ისე სკამეს, სვეს, იქეიფეს და მკვდრები ერთმაც  
არ მოიგონა!

**პირვ. მკვდარი** რატომ სწყურიათ აგრე სიცოცხლე?

**პირვ. მავნე** იქ სახლში მეფე დედოფალია — კმაყოფილები,

გახარებულნი, ბედნიერები ალერსით მტკბარით!

**მეორე მკვდარი** ჩვენს გულს არ ათბობს არც მოგონება!

**ბატონები** ცოცხლებსა სძულხართ

და ეზიზღებით!

**მესამე მკვდარი** მერე რაისთვის? მერე რაისთვის?

**უჭყური** ეს მოგიგონებთ, აგერ რომ გდია ხის ძირში მთვრალი?

**ძველი მკვდარი** საშინელია! და ტირილიც კი არ შეგვიძლია...

**მეორე მავნე** აღარ ახსოვთ, რომ არის სიკვდილი, უძლიერესი,  
ყველას მომსპობი.

**ყრმა მკვდარი**

ჰო, აღარ ახსოვთ...

**მესამე მავნე**

გაიხსენებენ!

რაც უნდა იყოს ბრწყინვალე დღეი, წყვილია მოსდევს და ყოველივე ცრემლად იქცევა, ცოცხალი კვდება!..

V

ოთახში სანთელი შემოაქვთ. რატორც კი განათდება, სულები

გაქვრებიან, ისმის ოთახიდან ლევანის ხმა:

თვალთა სინათლევე, სულთა მომცემო! სიჩუმე.

ჩემო იმედო!

სთქვი კვლავ ხმა მალლა, მითხარი კიდევ, რომ გიყვარვარ მე! ღია სარკმელთან მოვლენ ახლად ჯვარ დაწერილები ლევანი და მარიამი; მარამს ლევანის მხარზე აქვს თავი, ლევანს ხელი შემოუხვევია. ასე არიან ჩუმად.

**ლევანი**

რა ბედნიერი, რა რიგ უსაზღვრო ბედნიერი ვარ!..

მითხარი, მარო, შენც ამასვე ჰგონობ, ასე გიყვარვარ?

**მარიამი**

მიყვარხარ—მკითხავ? ჩემი სიცოცხლე ეს არის მხოლოდ.

**ლევანი**

აბა, მომხედე... მინდა გიცირო მაგ ღრმა თვალებში დღე მუდამ, მუდამ ვსტკებოდლე მათის აღერსით ნაზით... როგორ მათრობენ, როგორ მალხენენ და მიზიდავენ! საით მიწვევენ?

**მარიამი**

სიცოცხლისა და სიხარულისკენ.

**ლევანი**

საითც უნდოდეთ: თუნდა ქვესკნელში, ღამის წყვილიაღში, სადაც სიცილი აღარ იციან, არ თბება გული; სადაც ტანჯვაა, გლოვა და სევდა, მოთქმა საზარი. თუნდ აღმიტაცონ ზესკნელს უდაბნოს, სად არვინ ცხოვრობს,

ვერც ერთი სული; სიჩუმე მყუდრობს, არა ისმის რა.

შთანთქმას თუნდ ცეცხლმა, მიმიღოს თუნდ ზღვამ; ათჯერ, ათასჯერ

შემხედეს სიკვდილი,—მე არ ვინაღვლი, არცა შევდრკები, ოლონდ თან მახლდნენ ეგ საყვარელი შენი თვალები!..

- მარიამი** ზეცის კარები გამიღე მარტოს და სამოთხეში  
შემომიყვანე ახლად შობილი, სხვა სულით, გულით.
- ლევანი** ჰკოცნას და აღტაცებით უცქერს. ოჰ ნეტარებავ!.. დადნება  
გული სიხარულისგან!  
ვით მოგანიკა ბუნებამ ეგდენ სიმშვენიერე?.. გაისეირნებენ  
ოთახში, გამაღიან ბაღკონზე. ცა მოღრუბლულა. შავი სი-  
ჩუმე დაჭფარებია  
არე-მარეს. სღუმს, მიყუჩებული ყველა სულდგმული,  
თითქოს გამქრალა და მოსპობილა... მარტო ჩვენა ვართ,  
სიყვარულია აქ ერთი ჩვენი გამეფებული!..  
ჩემო პირიმზევე, ხომ არ გაღონებს ეს ბნელი ღამე?
- მარიამი** მე შენთანა ვარ...
- ლევანი** ხარ და იქნები სამარადისოდ!  
სიხარულისა კაბით შეგმოსავ ჩემსა სიცოცხლეს,  
სიყვარულისა შარავანდედით შეგიმკობ შუბლსა,  
მოელვარეს ყელს ბროლისას მოვრთავ მარგალიტებით  
გრძნობის შექმნილით და ვერცხლის მკერდსა შენ დაგიმ-  
შვენებ  
იმედის ვარდით. დაგსვამ ხელმწიფედ ბრწყინვალე ტახტზედ  
ერთგულებისგან გამოკედილზედ. ბინად ავიგებ  
კოშკსა მალალსა და მიუწლომელს ბოროტის მტრისგან.  
მცველებად მოგცემ მთვარეს და ვარსკვლავთ, გარს შემო-  
გახვევ  
ერთგულს მსახურებს—დილის ნაზს ნიავს, ჰზისა მალ სხივსა  
და საღამოს იღუმალს ჟამსა. დაგიტკობ სმენას  
ჩემის სულისა სიმების ქნარით...
- მარიამი** ჩემს გულს სწადია  
მარტოოდენ ის, რომ შენ გმონებდე, შენ გმორჩილებდე:  
მთელი ქვეყანა მხოლოდ შენშია, შენთან ყოფნაში,  
და ამის მეტი არა მინდა რა...
- ლევანი** ბედნიერებას

ჩვენსას ჩვენ ზვით ექმნით; მას მოგანიკებ დაუსრულებელს.  
რაც უნდა ძალი წინ გადმელობოს, ყველას დაეამსხვრევ,  
არას დაეზოგავ. ცა— დედამიწა რომ შევატაკო, გასკდეს  
სამყარო,

წინ აღვუდგები მთელსა ბუნებას, ომით შევხვდები,  
— ბედნიერებას კი მაინც შენთვის დავიბყრობ, სულო!..

**მარიაში**

წმინდაა გრძნობა შენი და ჩემი სიყვარულისა,  
იგი ზეცისგან კურთხეულია. რად გვინდა ბრძოლა,  
რომ ჩვენს ოჯახში მუდამ სუფევდეს ტკბილი ცხოვრება.  
ვისიამოვნებთ და გავახარებთ სხვებსაც მოლხენით.

**ლევანი**

გზა ცხოვრებისა ეკლიანი და შენსა ნდობას,  
შენის უბიწო თვალების იმედს ვერ მოვატყვილებ,  
ვერვის დაფუთობ და უსიამო ლანდს, აჩრდილსაც კი  
არ მოგაკარებ!.. ოლონდ გიყვარდე, აგრე გიყვარდე!..  
მოდის, საწუთრო, სულო და გულო, სიცოცხლის წყარო,  
მოდის. გიციქრო კვალად თვალებში! ამავსე მადლით,  
ბედნიერებით, სიხარულითა და ნეტარებით!.. ჩაიკრავს გულ-  
ეს შენი სუნთქვა! გულისა ცემა მოსწრაფებული! ში.  
ასე მგონია, მთელი სიცოცხლე, რაიც კი არის  
დედამიწაზედ და რაც ყოფილა ოდესმე წინად,  
მთელი სიცოცხლე გადმოდის ჩემზე შენის სუნთქვისგან!..  
რა კარგი არის: იყოს ეს გრძნობა დაუშრეტელი,  
ეგრე უსაზღვრო, ძლიერი, ნაზი და მშვენიერი!.. სიჩუმე.  
შედიან ოთახში, კარსა და სარკმელს დახურავენ და ფარდას ჩა-  
მოაფარებენ.

## VI

უქმური ხის ძირში მწოლარე მათარს ატქერდება. სმის მავნე  
ბაჯკონის მოაჯირს გადასდგომიან, მოშორებთ გვერდზე დგა-  
ხან აღი და ბატონები.

**პირვ. მავნე იქ სიცოცხლეა.**

**მეორე მავნე**

სიყვარულია.

**მესამე მავნე**

სიხარულია.

ბატონები სიკვდილიც მოვა.

ალი და იტირებენ.

პირვ. მავნე ბედნიერება

წავა, გაჰკრება.

მეორე მავნე და სიამაყე ადამიანის

ძირს დაეცემა და დაიმსხვრევა.

მესამე მავნე ვით გაზაფხულის

ია, დასკვნება მისი იმედი, არ აყვავდება... სიჩუმე.

პირვ. მავნე პირველი შვილი რო შეიქნება ერთისა წლისა,

მას კუდიანმა ბიკოლამ გული ამოკრას: მოკვდეს.

მეორე მავნე მესამე იყოს როდესაც ორ წლის, შეხედეს ყვავილი

და მაშინ მოწყდეს ვარსკვლავი მისი.

მესამე მავნე მეოთხე ხუთ წლის

ალმა მოსტაცოს გამდელს ხელიდან: დაახჩოს წყალში.

პირვ. მავნე მეორე შვილი იყოს ღრმა ნიჟის.

მეორე მავნე სულით მაღალით,

გულით შემკული მოყვარულითა.

მესამე მავნე ყველას გამხარე,

დედმამის სასო, იმედი მტკიცე მეგობარისა.

პირვ. მავნე და მოკვდეს იმ დღეს, ოც წელიწადის რო შესრულდება..

უჟმური ამას კი ამ ღამ დავსცემ რისხვასა, ვუტირებ ცოლშვილს...

პირვ. მავნე ჩვენც გავიხარებთ!.. [მტკივე სიჩუმე.

მეორე მავნე ჩვენც გავიხარებთ!..

მესამე მავნე ჩვენც გავიხარებთ!..

სამ. ფირცხალავა



სამ. ფირცხალავა

გლოკვის ზარი





1. გონება ჩემი დახშულია\*)... გული გაშრა, ოცნება მოკვდა, ფიქრი ფიქრს ებრძვის განაწამები; სული კლდეს ასკდება და გზა კი ვერ გაუქრია.

სანთელი გაჰქრა, ვარდი დასქვნა.

დავკარგე გრძნობა, დაქანცული ვვდივარ უძრავად. მკვდარი ვარ—არა, ცოცხალი—არა. საშინელი „ვაიმე“ ამოხდება გულს, მარტო ერთხელ და კვლავ სიჩუმით არის მოცული ყველაფერი.

გავახელ თვალს, გადავიხედავ: წინ გადაშლილა განუზომელი გადამწვარი მინდვრები, გვერდზე ჩამოდის ტბა-მდინარე და ლოდით მაწვება სულთამხუთავი. მინდა ვეუბნო, ხმა გამოეცე, მაგრამ არ ესმის ჩემი, უცხოის, და არ მეთვისება.

კარჩაკეტილი და მივიწყებული ვარ. წამს წამი მოსდევს, ეამი ეამსა ჰლევს, თენდება ღამე და ბნელდება ღლე, ბედკრულის სახე კი არ გაიღიმებს, სიმშვიდე ელტვის მის სულს და სიცოცხლე გაწამებულია.

\* \* \*

2. მინდა ვიტყო, მწარედ მოვსთქვამდე, ჩამოვიხოკო ღამეები და სისხლით შევიღებო სახე!.. მაგრამ რისთვის? ცრემლი არ მომდის... ვისთვის ვიტყო? ვინ გაიგონოს ჩემი კენესა? ვინ დაინახოს ჩემი ცრემლები?

ერთი ვარ მარტოდ დაშთენილი, ობოლი და უთვისტომო. არავისთან ვარ, არცა არავინ მოსულა ჩემთან. ორმოცი შავი ღამე დაუძინებლად და ორმოცი ნათელი ღლე დაუსვენებლად რომ ვიტყო და ცრემლით მოვრწყო მთა და ველი, ცათა მისწვდეს ჩემი

---

\*) ეს შესავალი დაბეჭდილი იყო სახ. გაზ. 1911 V III—3.

ზახილი, ქვათა რო ესმას ჩემი ჩივილი, არავის კაცთაგანს არ შეეწყალები! არავინ ამხდის უნუგეშობის ბოკილს.

მყავდა კი შემბრალებელი, მეგობარი, ცის ქვეყნელი. შენ შეიწირე! გადამიკარგე შორს და, უგულო დედამ, არ აღირსე ცხოველი სხივი დავრდომილსაც, ღონე მიხდილს, დაუძლურებულს. მხოლოდ ცივი გვამი მიიბარე სამარადისო განსასვენებლად!..

\* \* \*

3. სული მაშვრალი შენსკენ მოფრინავს და გული დადაღული მოგიწოდებს! არა სიმდიდრის თხოვნა მინდა, არა მწადიან არც დიდება, არც სახელი, არცა პატივი. ხმა გამომეცი მხოლოდ, ხმა დედისა, აღერსიანი! ამით გამკურნებ, დამიყუჩებ საღმობას და დამხსნი სიკვდილისაგან.

მითხარი, მამცნე, რომ მდევი ხარ, გპირი უტოლო. ხმა შენი გრგვინვა-ქუხილია და როცა ფეხს გადასდგამ, მიწა იძვრის. სიტყვა შენი ბრძანება არის და ვაი უნებელს, ვინც არ დაემორჩილოს ნაბრძანებს. მთანი ძრწიან შენი რისხვისაგან და მდინარენი სდგანან დაღუმებულნი...

მითხარი, მამცნე, რომ სათნო ხარ ღვთისა, თავმდაბალი, მცივრე და ზეციური შარავანდელით გიბრწყინავს შუბლი. არა მტრობის, შურის და სიძულვილის არის ენა შენი, არამედ ტკბილ-მაუბარი, საყვარელი და კეთილი. წმინდა გაქვს აზრი და მართალი საქმე...

რისთვის სდუმხარ და არას მითხრობ? მრქვი! ნუ იყო უსწორო, ნურც მრისხანე, ნურც მშვიდი. მითხარი მარტო, რომ არსებობ: ცოცხალი არის სული, სისხლი არ გაცივებულა და მაჯა გიცემს. ნუ ხარ უღმობელი, უმოწყალო; ნუ მომაშორე სახე შენი თვალთაგან და მრქვი, დედამ, რომ შვილი ვარ შენი!

სდუმხარ!.. დატყვევებულა შენი გული; შვილს აღარა მცნობ. მაშ, მოუწოდე შევ ყოვანთ, შემოსხდენ გარშემო და გესლიანად დამჩხავლონ უბედურს! ელვა-ქექა თავს დამატეხე და მომივლინე

რისხვა! გადმოხეთქე ნიაღვარი მთიდან და დაატაკე ჩემს სწეულს გულს!..

\* \* \*

4. ხომ მოიძულე ერთგული შვილები და ვისაც მეტად უყვარდი, მით უფრო შორს გააძევე, მოსწყვიტე მშობელთ და შვილებს და გარდახვეწე უცხო მხარეს, ველურთა შორის.

გაბმულია ტყვეთა რაზმები, გზა არ მოსცდება. გადაუგდიათ მხრებზე ხილინდრები ხელ-ფეხთ შებორკილთ, ფერ-მიმკრთალებს, თვალ-ჩაფარდნილებს, მიდიან დღეს, მიდიან ხვალ. ისმის ჩხარუნი ხუნდებისა. ჰგოდებენ თავ-დადებულნი და უტყველად გეთხოვებიან უგრძობელს დედას.

ნუ იუ საამურია მათი სახე? გატკობს ბორკილების ხმა? და უცნაურია შენთვის სევდიანი ღიმილი, ღიმილი აღმოუფხვრელის სიყვარულისა?

ტყვენო! აახმაურეთ უფრო ძლიერ თქვენი მონობის სამკაულები; მოჰფინეთ ხმელთა და ზღვათა კენესა, აფრქვიეთ სისხლის ცრემლები, და გაახარეთ დედა. თუ არ სწყურიან თქვენთვის ბედნიერება, გაიგონოს თქვენი მწუხარება და დასტკებს. მიუძღვენით ეს უკანასკნელი სიხარულიც!..

\* \* \*

5. დატანჯული მგზავრობის შემდეგ მიაღწევენ ტყვეები შორს ქვეყანას. უცხოა შუე, უცხოა მთვარე. დილის სხივი არ მიესალმება მათ, ცა არ გადმოხედავს ალერსით, არავინ გაუგონებსთ სიტყვებს.

გავლენ მინდვრად, გავლენ ტყედ მარტონი. დასხდებიან მდინარის პირას, ვით ისრაელნი, და ამოსკვნით მოიგონებენ სამშობლოს დატოვებულს, თავისუფლებას დაკარგულს. ღრუბელთ შესჩივლებენ თავის წყეულს სიცოცხლეს, ფრინველთ გაანდობენ იღუმალ ზრახვებს. მაგრამ ვერ მიწვდება გულის-წადილი მათ ჭირისუფლებს! სამარისებული სიჩუმეა ირგვლივ, ღმუიან მხოლოდ ნადირნი და მოაგონებენ გადახვეწილებს, რომ ცხოვრების ნასახი და დარჩა...

სტირის დედა და მოსთქვამს ცოლი: არავინაა მათი გამკითხველი. სახლი იქცევა, ცეცხლი გამქრალა, გაცივებულია ოჯახის კერა. სახურავიდან სასტიკი ქარი უბერავს და შიშველ ბალღებს არა აქვთ ლუკმა. ძვალად ქცეულებს, გამხმარ ხელებს ხშირად გაუშვერენ დედას, ხოლო ბედშავს მარტო მდულარე ცრემლები დარჩენია მშვირებისათვის.

მოხუცი მამა კართან მიწოლილა, ავადმყოფი და დაღონებული გაიყურება გზისკენ: ხომ არსად არის მისი დეენილი შვილი? ვინ უწყის, ეგებ გამოექცა ბეჩავ ცხოვრებას, რომ ერთხელ კიდევ მოეჩვენოს მომაკვდავ მშობელს და უკანასკნელად გადაუკოცნოს თეთრი წვერი. მაგრამ არ არის... არავინ არის.

ვერ გაუძლო მისმა შვილმა მწარე ტყვეობას, სხვა მიწის ჰაერს ვერ შეეგუა, სუსხმა დასწვა ნაზი ყვავილი და უდროოდ დალია დღენი. ორმა მოძმემ გაუთხარა წყლიანი სამარე და დამარხეს გაუბანელი, გაასვენეს დაუტირებლად..

ვაი, მამულო გაწირულო! ვაი, ქვეყანას აოხრებულს, გავერანებულს! ვაი უმწეოს, საპყარს, დაავადებულს, ვისი წყლული ვერ განიკურნა! ვისი კენესა არ ესმა დედას! ვისი საფლავი არ გაათბო წმინდა ცრემლმა!

\* \* \*

6. გადახედე შემუსვრილ შვილების ძვლებს, როგორ გადაუთეთრებიათ შენი კალთები. მოისმინე ღამის წყვდიადში ჩაკლული გმინვა შენიანების, რომელიც მხეტიატ კი აფრთხობს. ხელი შეახე ცოცხლებს—ვინ არიან? ხომ არ გამწყდარან ყველანი? ყური დაუგდე მათ ხმას—ხომ არ დამუნჯდენ? დააცქერდი—ხომ არ დაბრმავდენ უღლეონი?..

კვლავ მდუმარე ხარ და უწყალო!

გაქვავდა გული და სახე შენი არას ამბობს. არც ცრემლია, არც წუხილი, არც სიბრაღული! სადაა გრძნობა შემოკმედი? სადაა

ფიქრი აღმაფრენი? სადაა იმედი, იმედი, რომელიც გმირად შეიქმს-  
ულონოს და გამარჯვებას მიანიჭებს უკვე დამარცხებულს?

მოკვდა! თვალთ დაჰკარგეს მხედველობა და გულმა სიყვარუ-  
ლი. ყურთ არ ესმისთ, შენი სხეული არა ჰგრძნობს ტკივილებს და-  
სული არაფრისაა მდომელი. საშინელია სახე შენი ეგრედ უძრავი,  
გაშეშებული, უტყვი! სიკვდილის ფერი გადაჰკვრია: ცივია მიუკა-  
რებელი, შესაზარი...

\* \* \*

7. რისთვის მომივლინე ეგოდენი სიძულელი? რით გაგამწარე?  
რად წარმიტაცე სასოება? რად მემალეობი, დაემსგავსე აჩრდილს და  
მიეფარე ყინულიან მთებს?

ნუ სდუმხარ! ნუ მტანჯავ აგრე უღვთოდ!.. მრკვეი, გამაგონე  
მარტო ერთი სიტყვა, სიტყვა უკვდავი, სიტყვა სიცოცხლისა!

ჩემს გულში ხომ შენი სიყვარულის მეტი არა არის რა! ჩემი  
სული ხომ მარტო შენს ბედნიერებას ეტრფის? ჩემი ოცნება ხომ  
შენს თავისუფლებას დასტრიალებს თავს?

ჩჩვილი რომ ვიყავი და ახლად შობილს პირველად გამომეთა-  
მაშე ლამაზის სხივით, გამოგიწოდე პაწია ხელები და ღრმად ჩავი-  
ნერგე შენი ალერსი. იმ დღიდან განუყრელნი ვართ. შენი ბედია  
ჩემი ვარსკვლავი და ვიღოდი მარჯვენით თუ მარცხნით, სიტკბოე-  
ბისკენ თუ მწუხარებისკენ, ჩემი გზის მაჩვენებელი მხოლოდ შენ  
იყავი.

არა გამაჩნია რა ობოლს, ღატაკს, უპატრონოს. უფემურია და  
ცივი ლუკმა ჩემი; ოდნავად ბეუტავს ცეცხლი, ცალიერია ოთახი;  
წარბოცა ყოველი ჩემი! მარტო ერთი ქონება მაქვს—შენი სიკეთე,  
მარტო ერთი სიყვარული—შენდამი, ერთი სიხარული—შენი გახა-  
რება, ერთი სიცოცხლე—სიცოცხლე შენთვის!

მშობე და აღმზარდე, გამაგონე უტკბილესი სიმღერა, აღმიძა-  
რი უნაზესი გრძნობა, მალლიდამ დამანახვე ღმერთი, სიკეკლუცე  
სამოთხისა... და ნუ გამრისხავ აწ! ნუ მომიძულეობ, ნუ დამკარგავ!

დამიბრუნე სითბო გულისა, მიმიკარ მკერდზე და აღმიგზენ იმედი:  
გიხილო ბედნიერი, თავისუფლად დავიჩოქო შენს წმინდა მიწაზე,  
დაგიკოცნო მწვანე ყანები, დავყნოსო შენი ყვავილები, განვიბანო  
ცხოველ წყალში!

ნუ თუ არ შემიწყალებ?.. სახე შენი არ შეიცვლება და ღუ-  
მილით, კვლავ ღუმილით მიპასუხა?..

\* \* \*

8. გლახაკ ვარ დავრდომილი! ცოდვილ ვარ და წარწყმენდილი!  
ჩამოვიგლიჯე საკინძი, თავზე დავიყარე ფერფლი და ნაცარი  
და მოვედი ფეხშიშველი შესავედრებლად.

მოვიძაგე ყვედრება და ყოველი ძვირი, ხოლო სახელი შენი  
შევიყვარე სრულად.

დადნა სხეული ჩემი და სულმა დაიმკვიდრა მხოლოდ დიდება  
შენი.

ამოვიგლიჯე სხვა ზრახვა და მოვსდრიკე გული ჩემი მორჩი-  
ლებასა შენსა...

მოიხილე ჩემსა ზედა, მოჰყავ ყური ჩემდა და ისმინე გოდები-  
სა ჩემისა, ისმინე ვედრებისა ჩემისა, ისმინე სინანულისა ჩემისა.

ნუ გარემოაქცევ პირსა შენსა ჩემგან და იხსენ სული ჩემი და-  
ღუპისაგან გული ჩემი ჯოჯოხეთისაგან და ფერხნი ჩემი ბრკოლისაგან!

მუხლებზე დავეცი. გვეედრები. ველარსად წავალ. უკანასკნელი  
განკითხვის დღეა და ველი შენს მსჯავრს.

დედა, გეძახი, შვილი ვარ შენი ლტოლვილი!

დედა, გამიღე კარი! მოვედი შვილი საცოდავი!

დედა, ხმა გამომეცი, და მსხვერპლად სამუდამოდ დაადუმე  
ენა ჩემი!.....

## I გოლგოთა

1. ცამდე აღმართულ მთის მწვერვალზე სასომიხილი იდგა. თეთრი თმა მოკამკამე შარავანდედად დაჰფენოდა მის სახეს და უს-ხეულოთა მიმსგავსებულს ღვთაების ხატად მოაგვიჩვენებდა. ძირს დაეშვა მოსხლეტილი ხელები, ხედვა არ უბრწყინავდა საიდუმლოთა მხილველი. არ იყვნენ ყურნი საღმრთო ხმათა მსმენელნი, სდუმდნენ ბაგენი ტკბილად მეტყველნი და ენა მისი მიკვროდა სასას. ღრმად ჩავარდნილ თვალთაგან გადმოფრქვეული ცრემლები დაწვებსვე დაჰქვავებოდნენ მარგალიტებად. აღარ სუნთქავდა, მომკვდარიყო ყოველი ძარღვი და გრძობა. იყო მარტოოდენ ტანჯვა წამებულისა ერის, რომელსაც დაეპყრო და წარელა მთელი მისი სული და გული...

მთანი მალალნი თრთოდნენ ვით ტირიფის რტონი. მძაფრი ქარი არღვევდა კლდეებს, მოხეტქილი ნაპრალნი ქუხილით მიექანებოდნენ ძირისკენ. ხე, ქვა, ბალახი ერთ წყველიად გადაქცეული შთანთქავდა ყველაფერს. იშლებოდა დედამიწა მტერად და ჰქრებოდა კვალი სიცოცხლისა. გაისმა ჰეჰა, ცეცხლმა გაჰკვეთა ღრუბლები, მოწყდა მენი, შეირყა საფუძველი ქვეყნისა და მოახლოვდა ჟამი უკანასნელი დღისა. გახსნა სამ პირი, გადმოუშვა წვიმა სასტიკი და წამოვიდა ზღვა წარღვნად სოფლისა კრულისა და შეჩვენებულის.

მოხუცი იდგა იგივე მოსილი თეთრისა შარავანდედით უგრძნეულო და უძრავად და დუმილი მისი იყო გლოვა-ვაება ერისა ღვთივგანწირულის...

დღისა მფლობელმა გადაუწმინდა ცას სახე, უხვად მოჰვანტა



თავისი სხივები და სილამაზით შეჰქმოსა არენი. ააბრკყვიალა მთა მრავალფერად, ზურმუხტ-ფირუზით და ლალით მოურთო პირი და სიკოცხლის ნიაფი მიჰბერა მცენარეებს. ძირს დაილულუნა ქედანმა, ფრთა ფრთას შემოჰკრა და აცურდა მალლით არწივი. საფარში მიიმაღნენ ჯიხვები და მოლით მოსილს ფერდოებს მიეფინა ცხვარი; მწყემსმა ააკვნესა სალამური და სევდიანის სიმღერით მიესალმა დილის სიმშვენიერეს.

მოხუცი იდგა იგივე უგრძობი, უნუგეშო, გაშეშებულად და სიხარული მისი ბედშავ ერის საფლავში დამარხულიყო...

მის ფერხთ წინაშე მუხლომოდრეკილი სამი მოწაფე—ძმანი მისნი—მწარედ მოსთქვამდნენ: „ვთი ჩვენდა, დღენი არიან ღამენი ჩვენნი!.. რად დაგვეხმა პირი შენი, რომელი გვწვრთიდა დღე-ღამე სჯულსა უფლისასა? რად შეიკრა ენა მართლისა ხმამალა მღალადებელნი? რად დაყუნდა გონება მახვილი და სიღრმეთა სულისათა გამომღებელი, დამამშვენებელი ნათესავისა ჩვენის? მამაო ჩვენო, მოიღე ნაწვეთი ერთი წყლისა და განაგრილე გული ჩვენი საღმობიერი და შემწვარი მწუხარებითა, მოგვეც ხმა სიტკბოებათა სავსე და გვანუგეშე სიტყვითა კეთილ ქართულითა“!..

მოხუცი იდგა იგივე ღუმილით შეჯაჭვული და უბედურის ერის გოლგოთას ხედავდა მხოლოდ...

2. იქნა მწუხრი და იქნა განთიადი — დღე მეოთხე. მოხუცმა აღაპკრა თვალნი ზეცად და ჰრქვა: „მეუფეო, მეუფეო, რად განადიდე მტერი და დაამდაბლე ერი ჩემი და უპატივი ჰქმენ? რად დაუმიძიე უღელი ქედსა ზედა და დაუსრულებელ ჰყავ საღმობანი მისნი? რად უკუმოიქვეც პირისაგან მისისა და არ აკმარე ჭირი და სულთქმანი? რად წარუტაცე სიკოცხლე და არ აუფლე სიკვდილის განსასვენებელს? რაისათვის განგვაგდე სახლისაგან ჩვენისა?“

დახედა ძირს მამულს აოხრებულს, გატიალებულს, უდაბნოდ ქცეულს და ერსა მიძმლავრებულთა, ერსა გლახაკთა, ერსა გვემულთა და მღულარე ცრემლის ნაკადული გადმოსკდა თვალთაგან.

— „ქალო წმიდაო, რად შეშუსრე კერპნი და გამოიყვანე ერი სიბნელიდან? სად გაჰქრა სიტყვა შენი ნათელის მფენი და ვითარ წარიშალა გზა ცხოვრებისა შენგან გაკვეთილი?.. დავით, დავით, ვით აღაშენე დანგრეული ქვეყანა, თუ ეს ვაება მოელოდა წინ დამცირებულსა, ტყვე ქმნილსა და ასულნი შენნი, ქაბუენი შენნი მაჰირვებელის კარზე განისვენებდნენ?.. უკუნთა მთენო მეფე თამარ, თვალო უღამო, სადღაა ბრწყინვალეება სახელისა შენის—და რად სდუმან მადიდებელნი შენნი“?..

არსად იყო მწე ხმის მომცემელი და უნუგეშოდ დააქკერდა მოხუცი მოწაფეებს და ევედრა: „სადაა მამული ჩენი, სადაა საღური ერისა ჩენის? სირმანცა ჰპოვა თავისა თვისისა სახლი და გვრიტმან ბუდე, ხოლო სად ვპოვოთ კერა და საფარველი თავისა ჩენის მაშვრალის“?..

მ. „სტიროდეთ დღე, სტიროდეთ ღამე და არ გაძღეთ ტირილით, არ დაშრიტოთ ცრემლთა ღვარი. აღიფხვრა მამული ჩენი, განიხრწნა ერი ჩენი, დაიქცნენ ტაძრები და სიმაგრენი და განმრავლდა დამდამბლებელი ჩენი.

განაშორეს შვილნი მამულსა და დამკვიდრდნენ სულთა მხდომელნი და შემარცხვინებელნი, შეაძრწუნეს ერი და ააოხრეს საცხოვრებელი; მამანი დაკოდეს, ქვრივი და მწირი მოჰკლეს და ობოლი მოსწყვიტეს.

განგვიდგნენ მეგობარნი და ახლობელნი და შერაცხეს ქვეყანა ჩენი საძაგელად. განხმნენ ვენახნი ჩენნი, ტიალ არიან ველნი და გადამწვარ ბორცენი. არა ამშვენებს ყვავილი მინდორსა და არ ატკობენ ფრინველნი გალობითა ტყეს. არა მხიარულ არიან მდინარენი, მწუხართა ხმით შესძახიან მთებს, დაღონებულით ღუმლითა შესქქერიან ბარს. დაგვეუფლა მტერი, ერი ჩენი მონაა, სამკვიდრებელი სხვისა, სახლი უცხოისი. ვიქმენით ობოლნი, უმამონი და დედანი ჩენნი ქვრიენი. სამარესთან განვისვენებთ და მოგვეფინა აჩრდილი სიკვდილისა“...

4. „მამულო ჩემო მამულო დაკარგულო, გაძარცულო, შეკმულო, რაღა ხარ? ოხერ, გადაშწვარ, ნაგვემი! საღღა არიან სიმშვენენი შენნი, სიუხვე შენი, მხიარულება და სიყვარული შენი— რად წარულე ყოველივე შვილებს და დაუუნჯე უცხო თესლს?

ვინ წარგიტაცა მადლი სიცოცხლისა, ვინ წარგხოცა ნიქი შემოქმედებისა, ვინ ამოგხადა სული სათნოებისა?.. ვინ ამოგქამა გული მებრძოლი, შეუპოვარი, თავმოყვარი, რომლითა აღზრდიდი შენს კალთაში შობილებს? საღღაა ძალი შენი, საღღაა ხელმწიფება შენი?

ერო ჩემო, ერო მაშვრალო, წამებულო, დაწყლულებულო, ვინღა ხარ ენა მოქრილი, დაკუტებული, სისხლგამშრალი, სახე დაღარული? არღა ისმის ხმა შენი მადიდებელი ღვთისა, არღა ქუხს რისხვა შენი თავზარდამცემი მტრისა, არღა ბრწყინავს გონება შენი გამკვეთელი ბნელისა და მომფენი ნათელისა.

დამკვიდრებულხარ მოკვდავთა შორის და არ არის საღბუნი ქრილობისათვის შენისა, არა არს ზეთი დასაამებლად ტკივილებისა, არა არს წამალი გასამრთელებლად განსივებულის და მოსპოლვად ბრძვილისა. დღე შენი დღე ბნელია, დღე ნისლისა და ღრუბლისა“...

5. — „შვილნო ჩემნო, ძმანო ჩემნო, ეტყოდა მოხუცი მოწაფეთ: მიმოვიარეთ აღმოსავლეთი და დასავლეთი, მიმოვიარეთ სამხრეთი და ჩრდილოეთი ჩვენის ქვეყნისა და მრქვით უბედურს: არის თუ საღმე დაშთომილი ნასახი თავისუფლებისა? არის თუ საღმე დაშთომილი წვეთი სიცოცხლისა? არის თუ საღმე დაშთომილი სურვილი, იმედი კვლავ აღდგენისა?“

და ეტყოდნენ მოწიწებით მოწაფენი დამწუხრებულნი: „აღარსად არის თავისუფლება, მონობისაა მხოლოდ სამეფო. თვით ღვთის დიდებაც კი არ ძალუძთ ჩვენს ნათესავებს და აღმოფხვრილია ენა ჩვენი, რომლითაც ეუბნა წმინდა ევთიმეს ღვთისმშობელი და შეგინებულია ტაძარი, რომელსა აღაშენებდა ქალი ღვთივ გზა დალოცვილი და აკურთხებდა ჯვრით ზეცით წარმოგზავნილით. ვერ

ეუბნება დედა შვილს ქართულს, ტკბილს, გამშვენებულს წმიდათა მოწაფეთა მიერ, ენას მზებარეს გაცისკროვნებულ გონებათ მიერ.

დახშულია კარი ცოდნისა ქართულსა ენასა ზედა; წერილი ყოველი, თვით თარგმანი საღმრთოთა წიგნთა-ნაღვაწი ღმერთშემოსილ მამათა ჩვენთა, ქვეყნისა ანგელოსთა და ზეცისა კაცთა, ცხრა კლიტულშია დამარბული. დევნილია მეცნიერება, დევნილია მწიგნობრობა, დევნილია სინდისი ნათესავისა ჩვენის და პატივცემულ, დიდებულ არის მარტო სული უარყოფელი თავისა თვისისა და განდგომილი“.

6. და კვლავ ეტყოდნენ მოწაფენი შეძრწუნებულნი: „ალა-სად არის დაშთომილი წვეთი სიცოცხლისა. მონანი არიან ნათესავნი ჩვენნი და მონათა სიცოცხლე დამამკირებელთა ხელთა არის.

მონათა ნება არაა ტირილი და ვერ იურვებენ სიმწარესა თვისსა. აკრძალულია გლოვა გლოვისათვის მათისა; ვერ დაიტირებენ ჰირისუფალნი მიცვალებულსა, ვერ განბანენ ქვეყნიურისა სიბილწისაგან და ვერ დაასაფლავებენ. მოკვდნენ მონანი და ვერ დაიფლნენ.

წარბოცილია სიცილი ჰირისაგან მათისა და ვერ იმხიარულებენ დღესა სიხარულისასა. ვერ იქორწილებენ ქორწილს და ვერ გაუმართავენ ნადიმსა მოკეთათა თვისთა. სიცილი მაყვედრებელისა და მოძულისა არის სიცილი მათი და გაიხარონ მაწყევარისა სიხარულისთვის და მოჰკლან ცრემლი გადმოდენილი ცხედარისათვის შვილისა თვისისა საყვარელისა. ვერა ეუფლოს მონა სახლსა თვისსა, ვერცა კერასა, ვერცა საცხოვარსა და ყოველსა, რაიცა არს მასთანა. მშიერ არს მონა და შიშველ; საქმელი მისი არის საქმელი ნაღველისა და სასმელი—სასმელი ძმრისა“.

7. და კვლავ ეტყოდნენ მოწაფენი ცრემლიანები: „ალარსად არის დაშთომილი სურვილი აღდგენისა. მწარეა მძიმე უღელი მონისა, კრულია, შეჩვენებული თვის ნებას მოკლებულისა ბედი, და-

წყველილია, ვისი სადგური სამარეა; მაგრამ ვაი მას გვემულს, შეხუთულს, ვინც არ აღსდგა, ხუნდების შესამუსრაავად, ვინც მოისპო სასოება აღდგომისა და გამოცოცხლების!

ნათესავნი ჩვენნი არა ზრახვენ თავისუფლებას, არა ვაებენ სირცხვილისა და კდემისათვის, არა ნდომობენ აღმოსვლას უფსკრულთაგან. მოიდრიკეს ზურგნი, დაიბნელეს თვალნი, გაიქარვეს გულნი და დაიმუნჯეს ენა და დაემორჩილნეს სვესა მკვდართა. არა ხედვენ წყვიდადსა გარესკნელისა, არა ჰგარძნობენ ტვირთსა უღლისა, არა ისმენენ ხმასა სულისა უკვდავისა.

მოიძულეს ნათესავთა ჩვენთა მამული და ერი თვისი და შეიტკბეს და თაყვანი სცეს ყოველსა უცხოსა მანკიერსა და შეუმსგავსებელსა. დაივიწყეს დიდება და საყდარი წინაპართა და არ მოიგონეს სისხლი დანთხეული მათთვის და არ შეიყვარეს ბქენი სვეტის ცხოველისანი უფროს ყოველთა საყოფელთა. არა საწადელ არს მათთვის მამული თავისუფალი და ერი შარავანდელი...

— და გვაუწყე აწ შენ, აღმზრდელი და მამაო ჩვენო! ევედრებოდნენ მოხუცსა მოწაფენი ერთგულნი: მნათობო ქვეყნისა, იმედად ამობრწყინებულო, გარდახადე სულისაგან ჩვენისა მკუნვარე ნისლი და გვამცნე დღე ერისა წამებულის, ერისა ჩვენის შავსვიანის!“

8. სდუმდა მოხუცი და ვერ მიეგო სიტყვა წყურვილისა მომკვლელი. ელმოდა გული და შეიწვებოდა წყლულებითა და ცრემლთა ღვარი გადმოსდიოდა თვალთაგან.

და აღაპყრა თვალნი ზეცად და მიაქცია ყური სმენად ხმისა ღეთისა. ემუდარებოდა მეუფეს განწირულთათვის და ეძიებდა იმედს. მაგრამ იყო დუმილი ერთი და არა ისმოდა რა მალლიდამ.

გადახედა მშობელს მიწას და იხილა სიკვდილი, როჰელი შევიდა ქვეყანად მისად მოსრვად რჩვილთა და მოხუცთა და იხილა სული ბნელი კირთებისა და გვემისა, რომელი დაეშვა ერისა სატანჯველად მისისა. იხილა ჯვარნი აღმართულნი წამებულთათვის და

საფლავნი გათხრილნი თავდადებულთათვის და ესმა ჩუმი კვნესა დედისა გულში ჩამხრჩვალი.

და წარმოსთქვა ხმითა გამწარებულთ: „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რასათვის დამიტევე მე?..“ იდგა ცნობა დაკარგული მღუმარე და რა მოვიდა გრძნობას, კვლავ ჰრქვა ზეციერს ხმითა მიღეულთა: „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რასათვის დაგვივიწყენ ჩვენ?“...

9. იქმნა მწუხრი და იქმნა განთიად და აღიესო მოხუცი გოდებითა და ვაებით. მოსცა ღმერთმა წყალი თავსა და თვალთა მისთა წყარო ცრემლთა სატირლად ერისა მოწყლულისა. არა ნუგეშის მცემელი, არა შემბრალბელი, არა დამამშვიდებელი სწადოდა გულსა მისსა: ზარი და ოხრა, მოთქმა და წრტიალი იყო საამებელი მისი.

გოდებდა: „ნუ დადუმდებით, ნუ დამშვიდდებით, ნუ ინუგეშებთ. აღარ არის ჩვენთვის ნათელი, მზე ჩაესვენა. არღა არს ჩვენთვის სიხარული, გული მოკვდა. არღა არს ჩვენთვის მომავალი, ერი ჩვენი წარტყვენილია და მამული ჩვენი უდაბნო. ისწრაფეთ ყველამ ტირილისათვის, ისწრაფეთ გლოვისათვის და წამთა თქვენთა არ მოაკლდეს ლტობა.

განხეთქნეთ სამოსელნი და გარემოისხით ძაძანი. დასტოვეთ ზრახვა ყოველი და შეიცანით მხოლოდ ტანჯვანი. გული თქვენი გააპეთ და გადმოადინეთ სისხლი, თავსა დაიცით ხელები, დაიხაკეთ სახენი, დაიგლიჯენით თმები და ვაებდეთ დაღუპვისათვის, ვაებდეთ დილით, ვაებდეთ ღლითა, ვაებდეთ ჟამსა ძილისასა. განდევნეთ სული კმაყოფილებისა, განდევნეთ სული სიმშვიდისა. დაიმკიდრეთ მარტოოდენ სული წამებისა, სული გამწარებისა.

10. „ვაი თქვენდა, ნათესავნო ჩემნო, თუ დაიძინოთ ძილი საუკუნო და არ გაიღვიძოთ უკუნისამდე. უღელი რკინისა დევს ქედსა თქვენსა და გზები შეიკრა მკვდრებით. ცეცხლი აღგზნებულ

წყრომისა მოედვას გულებსა თქვენსა, განბანეთ სულელები მოთმინებისაგან და ისწავლოს ენამან თქვენმან მოთქმა მწართა ხმითა.

წამოიბურეთ შავები, დაამსხვრიეთ საკრავნი, ხელნი თქვენნი არა შეეხნენ წინწილთა და ებანთ, არ მისცეთ ხმა სტვირს, არ ააუღეროთ სიმები ჩონგურისა, განდევნეთ სახიობა. არ იმღეროს ვინ. არ იკეკვოს ვინ, არ ილხინოს ვინ. დაჯდეს მხოლოდ ჩამქრალ კერასთან მტირალი დედა, თმა გაწეწილი, მალლად ლალადებდეს ვაგლახობას და სიბეჩავეს დღე-დამწვარის ერისა ჩვენის და ბანი მისცენ მას ზარისა ვაჟკაცთა, დავრდომილთა, და ასულთა—მტრისა წხვეალთ.

გამოჰკეტეთ კარები სახლთა, დააქრეთ სანთელნი, დააუქმეთ შესაკრებელნი თქვენნი. არსად მიხვიდეთ, არვინ მოვიდეს. რა ავად გინდათ ნაშრომი მკლავებისა თქვენის: მტრისა ლუკმაა. ვის უნდა მიუძღვნათ ნაყოფი გონებისა თქვენის: მონა შეილებს? ვინ შეამკოს თქვენი სულის აღფრთოვანებამ: ერი დათრგუნვილი? ვის გაახარებს ლექსი თქვენი: მამულს გარდასრულს? არარაია თქვენი ცხოვრება, ამო არს, ამავოება ყოველი თქვენი ღტოლვა, ფუქია და გამხმარი, ვით თივა, ყოველი კვეთება სულისა თქვენის.

სტიროდეთ მხოლოდ, სტიროდეთ მხოლოდ და დაღვარეთ კრემლი დაუშრობელი.

11. „თუ აღკვეთილია კეთილის ზრახვა, თუ დევნილია ხმის აჟოლება ბოროტის გმობად, თუ ვერა ჰბედავ აღმართო მარჯვენე შენი ბორკილების დასამსხვრევად, ერო ჩემო, ერო ჩემო, დასხედ კერასთან, კარ გამოკეტილ ქობში, სიჩუმით მოსილო ბნელში და სტიროდე, სტიროდე მდუმარედ მაინც, რამეთუ სატირალ არიან დღენი შენნი.

სტიროდე, მოხუცო, ველარ იხილავ მზეს ამოსულს და ჟამსა გაყრისასა სულისა სხეულისაგან არ მიეფინოს შენს ბაგეთ ცხოველი შუქი და არ გააბრწყინოს თმა თეთრი სხივმა მხიარულმა. სტიროდე, ყრმაო, დღე გრძელი შენი—დღე გოლგოთისაა, გზა შენი

სიმწარით მოფენილი, ფერხნი სისხლითა შეღებილნი, სული შეპყრობილი და წამი ერთი ვერ დასცხრე ტკივილებისგან. სტიროდე, ქალო, სტიროდე, რძალო, და არ მისცე მოსვენება თვალითა შენთა და დააღტე სარეცელი, რამეთუ სიტურფე შენი გასმევს სამსალას და სურნელება სხეულისა შენისა მოგივლენს წყევას.

სტოროდე, დედა, და აწვიმე სისხლის ცრემლები, წარწყმდნენ შობილნი შენნი და ვერ გაძღა მიწა მათის გვამებით. სტიროდე და ვაებდე, მამა, რამეთუ გესმა კვილი განგმირულისა ძისა და არ მიხველ საშველად მისა. სტიროდე და გლოვობდე, მოძღვარო, რამეთუ მიხვიდოდე ეკლესიად არა დასაქორწინებლად შეილებისა. დარეკე გლოვის ზარი და ილოცე სულებისათვის მკვდართა ვერ დატირებულთა...

12. „ნათესავნო ჩემნო, აღვამაღლე ხმა გოდებისა ჩემისა, მოკყავთ ყურნი ჩემდა და ისმინეთ ვედრებისა ჩემისა. ისმინეთ ყურითა, იხილეთ თვალითა და გულის ხმა ჰყავით გულითა: დღე აღსასრულისა მოიწია ჩვენზედა და ახლოა ღამე საუკუნო დაძინებისა!

ნათესავნო ჩემნო, აჰა ხრმალი შემქმელი ხორცისა თქვენისა. აჰა ლოდი შემმუსვრელი თქვენისა თავისა; აჰა ზღუდე შემბუთველი სულისა თქვენის. აჰა დაერდომილებანი, იარები კირჩხიპნი და ლებნი თქვენნი. იხილეთ ძვალნი სამარისანი და ისმინეთ სიმწვავენი, გამრავლებულნი უფროს ქვიშისა ზღვისა.

ნუ განგეშორათ გრძნობა ტკივილისა, ნუ დაემონეთ უძლეობებასა, ნუ ხართ დაფრთხალნი, ვით ცხოვარნი უმწყემსონი, მგლისაგან ტყეში. სული უკვდავებისა ნუ წარხოცილა მთლად თქვენგან, ნუ განდგომილხართ მამულისაგან დარბეულნი, და ძრწოდეთ, ძრწოდეთ ვაებისაგან.

ნათესავნო, ნათესავნო ჩემნო, თუ არღა არის ჩვენთვის დღე სიხარულისა, თუ არღა არის სიციოცხლე, თუ წარხოცა მეუფემ სახსენებელი ჩვენი ამიერიდგან და ჰო ვართ ცოცხალთა შორის და მივეახლეთ ადგილსა სამუდამო განსასვენებელს, — ვგლოვობდეთ



მაინც, ვგლოვობდეთ ხმითა საზარით! ვსტიროდეთ მაინც, ვსტიროდეთ და ტირილი მიწვდეს უფსკრულს და ცრემლმა ჩვენმა მორწყოს ღეღამიწა კიღით კიღემღე და იყოს ვაება და ოხრა ჩვენი ვითარცა ქუხილი ცისა“...

13. იქმნა მწუხრი და იქმნა განთიად და იყო სანახავი საშინელი, რომელი იხილეს მოხუცმა და მოწაფეთა მისთა. ბრძოდეს თესლნი ქართველთანი დაცვად მამულისა თვისისა უღვენელი მტრისაგან. იყო ბრძოლა სასტიკი და მრისხანე, რომელი ემსგავსებოდა მეორედ მოსვლასა. მტვერი ფერხთა მათთა იყო ვითარცა ღრუბელი სქელი, ელვა ხრმალთა, ვითარცა ელვა ცისა და ხმა თოფთა და სასროლთა, ვითარცა გრგვინვა და ღვარი სისხლისა მათისა, ვითარცა წარღვნა.

მოდოოდნენ მომძლავრებელნი შავნი, მოდოოდნენ მომძლავრებელნი წითურნი, მოდოოდნენ მომძლავრებელნი თეთრისა კანისანი—ქვეყნითგან მზისა და ქვეყნითგან მთვარისა, მოდოოდნენ გოლიათნი და მეომარნი ციდა-მტკაველნი, ხოლო მკაცრნი, ჭურვილნი რკინითა და რვალითა, ისრითა და ოროლითა ქვის მტყორცნელითა და ზარბაზნითა, და იყო ომი ნიადაგი და ბრძოლა შეუსვენებელი და სვრა უწყალო.

ბრძოდენ ქართველნი, ვით ლომნი განძვინებულნი; ეკვეთნეს მახვილთა გულგმირნი და მიეტევნეს მტერთა ვითარცა ცეცხლი და მიდრიკეს და შეანარცხეს ურთერთს. და არ უკუიქნეს ქართველნი დამაშვრალნი ომისაგან გრძელისა და არ დაუტევეს მომძლავრებელთა სიმაგრენი და წმინდანი საყოფელნი თვისნი. ესმათ მხნე ზახილი შვილთა, რომელნი უღვნენ გვერდით, და ფიცი ცოლთა, რომელნი მიაწვდიდნენ ხრმალთა ახლად ღესულთა, და კვლავ შეუტიეს და იქმნა კვლავ ბრიალი სატევართა, ხეთქება ოროლთა და ქება სასროლთა ცეცხლისათა...

14. და იყო სანახავი სხვა: გამოვიდა კაცი აღძრული შურითა

და რისხვითა, მჯდომარე ცხენსა წუნწუბისა მფრქვეველსა ზედა. გამოვიდა ძალითა მძლავრითა და საშინელებითა, საყვირითა და დაბდაბთა ცემითა და ბუკთა ტკრციალითა. და ჰრქვა მეომართა თვისთა: დაწვა და დაქცევა სამკვიდრებელსა ქართველთა, რათა არაოდეს დაემკვიდრნეს მუნ ძენი საქართველოსანი.

და აღიგზნა ცეცხლი მწველი დაბისა და ქალაქისა, მთისა და ბარისა და იქმნა ძლევა და რბევა, ხოცვა და ტყვევნა შეუსწორებელი. ჩჩვილთა დედათა ძუძუთაგან წარტაცებენ და დედისა წინაშე დაანარცხებენ; რომელსა თვალნი წარსცივია, რომლისა ტვინი დაინთხევა, და მერმე დედასა დაჰკლავენ. მოხუცთა ფოლორცთა შინა ცხენებისა მიერ დათრგუნვენ და ქაბუკთა ლუკმა-ლუკმა დასქრიან. თავი ტანისაგან შორებული, თმა ნაწვეართა შიგან აღრეული, ხორცი სისხლსა შანა გალესილი მტვერსა შიგან ცხენისა ტერფითა იზილებოდა. რომელს მკერდში დასქრიდენ, რომელსა გულს გაუპობდენ და რომელსა ზურგით გაჰკვეთდენ. საზარელთა ხმათაგან იძვროდა ადგილი ყოველი და არეინ იყო დამმარხველი მკვდართა და მოდიოდნენ ძალნი და გაზიდავდენ ლეშთა.

მღვდელთა და ბერთა და ყოველთა მსახურთა ქრისტესთა საკურთხეველსა ზედა შემუსრავდენ და დასწვავდენ. ქალთა შეაგინებდენ და ასულთა უტურფესთა და ვაჟთა ტყვედ წაასხამდენ. აღარ დარჩა საცხოვრებელი, მოისპო ნათესი. აღარ იყო თესვა და მკა, მოახრდა სრულად ქვეყანა და ტყედ გარდაიქცა და ნაცვლად კაცთა მხეცნი და ნადირნი დაემკვიდრენ მას. ცა წვიმდა სისხლსა და სისხლითა რწყავდენ მდინარენი ველებსა...

15. და იყო სანახავეი სხვა: იხილეს ვეშაპი სახითა ლომისა, რომელი გადმოანთხევდა სისხლსა პირისაგან და თვალთაგან მოადენდა ცეცხლსა ლურჯსა. ლომსა ზედა იჯდა კაცი, მხეცი მქამელი გულთა ქრისტეანეთა და ემოსა შუბლსა მთვარე ნახევარი და ეპყრა ხელში მარწუხი ღვიძლისა ამოსაგლეჯი.

და დაარღვია მიწამდე ეკლესიანი და მისცა ალსა ხატნი წმინდანი, წაბილწა და გაძარცვა სვეტი ცხოველი, სახლნი ღვთისანი ჰუნეთა სადგომად შეჰქმნა და საკურთხეველნი აღვილად არაწმინდებისა. შეჰუსრა გუმბათი სიონისა და აღაშენა ზედ საჯდომი უკეთურისა. გამოიტანა ხატნი უფლისა და ყოვლად წმიდისა ღვთისმშობლისა და ბრძანა ყოველთა პყრობილთა ქრისტეანეთა დატევება სჯულისა მართლისა და დათრგუნვა პატიოსანთა ხატთა, და უკეთუ ესე არა ჰყონ, წარკვეთა თავთა მათთა. ხოლო არა თავს იღვეს ქართველთა შეურაცხება სარწმუნოებისა და დატევება ქრისტეანობისა და მიიღეს შარავანდელი წამებისა, და სისხლითა მათითა აღივსო მტკვარი და გადმოვიდა ნაპირთაგან.

და მოიყვანეს ქალი მოსილი შავით და ჰრქვა მას კაცმა გულთა მკამელმან: დედოფალო, ქვეყანა შენი მტვრად ვაქციე, ერი შენი მოვსწყვიტე და შეილნი შენნი მივეც საშინელს საწამებელს, რომლის მსგავსი არა უხილავს კაცისგან შობილს. წვეთ-წვეთად დაღლე შენს სისხლს, სიკვდილს მოგანატრებ და კენესა შენი ცამდე აიწვეს. განვედ ქრისტესაგან და იწამე ღმერთი ჩემი!“

ხოლო ქალი მოსილი შავით იღვა მტკიცედ და შეურყევლად, ვითარცა კლდე ანდამატი და ესრეთ იხილვებოდა მშვენიერი და ბრწყინვალე პირი მისი, ვითარცა ოქრო გამოდნობილი ბრძმედსა შინა, და ლოცულობდა: „იესო, მეუფეო ჩემო, მითვალე სული ჩემი და განმიღე კარი საძლოისა შენისა“...

16. და იყო სანახავი სხვა: აჰა გამოჩნდა კაცი მზაკვარი მჯდომარე ყინულითა მოსილსა ცხენსა ზედა და ყინვითა მოსავდა გარემოსა ყოველსა. იყვნენ თვალნი მისნი მაცდურნი და გადმოსდიოდა პირისაგან სუნი მყრალი და ვინც ისუნთქა სუნი იგი, დაჰკარგა გონება და ცნობა და იყო ჯაბანი და უძრავ. სენმა უკურნებელმა და უცნაურმა შეიპყრა მხილველნი მისნი: იტანჯებოდნენ და არა კვდებოდნენ, ეძიებდნენ სიკვდილსა და ვერა ჰპოვებდნენ...

და გაჰქრა სანახაიეც ესე. იქმნა ძერა დიდი, შეიძრა საფუძველი სოფლისა და შეიძვრნენ მთანი. განაღო მიწამ პირი და მოსკა ძღვლები ყოველთა მკედართა, დასაბამიდან წამებულთა საქართველოსა მიწასა ზედა. შეერთდნენ ძვალნი ძვალთანა, აღმოცენდნენ ძარღვნი და ხორცნი მათზედა და აღსდგნენ მკედრეთით. აჰა მოწამენი და თავდადებულნი, დევნილნი და გვემულნი, ტანჯულნი და განწირულნი. აჰა მოხუცნი მომშთვალნი და მამანი დალურსმულნი, აჰა დედანი კოცონზე შემწვარნი, და ყრმანი ფერხითა დათრგუნვილნი. აჰა დაგვანი, კრილობანი და სისხლნი მათი. სიმრავლე დატანჯულთა ურიცხვი იყო და მშობელი მიწა ველარ იტევდა მათ.

მუხლთ მოიღრიკეს, აღაპყრეს ხელნი ზეცად და დაღად ჰყვეს: „მეუფეო, მეუფეო, აღადგინე მამული ჩვენი!“—ყოფლის მხრით იწყეს ზარებმა რეკა, განათლდენ საყდარნი. კვლავ აღიმართნეს ტაძარნი დანგრეულნი და აღინთო ლამპარი გამქრალი. გაისმა გალობა დიდებისა ღვთისა და მშობლიურსა ვედრებას მოსცეს ხმა ათონმა, სინამ, შავმა მთამ, იერუსალიმმა.

17. დაღადჰყო მოხუცმაც გულითა მხურვალითა: „ღმერთო, ღმერთო, ისმინე ლოცვისა მოწამეთა და ჩჩვილთა უღღეოთა!“—სასოებით მიაპყრა თვალნი ზეცას და ეძიებდა ნიშანსა აღთქმისასა: „მეუფეო, სახიერო, მოუვლინე მონათა შენთა მართლიერება შენი“...

სდუმდა ზეციერი და არ იყო ხმა, არცა ნიშანი: „წარწყდა სარწმუნოება ჩემი!“ აღმოხდა მოხუცს გულიდან. ამოიკენესა და თავქვე დაემხო. მყინვარს მოსკდა მაშინ ყინული კლდე და ქუხილით დაეშვა ძირს. დაფრთხნენ ცხოვარნი და ერთმანეთს ეცნენ დაბნეულნი. ვაი დედაო, წამოიძახა მწყემსმა და მიაშურა საფარველს.

ხოლო რა მომწუხრდა, ჩადგა დამშვიდდა ყველაფერი, დამ-  
ხობილ მოხუცისა და მის მოწაფეთა პირდაპირ მთაზე გამოჩნდა-  
ორი ყრმა: ყრმა ვაჟი და ყრმა ქალი. ვაჟს ხელთ ეჭირა ლამპარი  
აღზნებული და ქალს თავსა ემოსა გვირგვინი ყვავილისა და ნა-  
ყოფის.



## II ღღე რისხვისა

1. იჯდა მოხუცი მდინარის პირას გულითა ცეცხლიანითა და სულითა მშფოთებელითა, მწარედ მგლოვარე და გოდებდა: „ნუ თუ არ არის დასასრული სატანჯველისა ერისა ჩემის? ნუ თუ არ არის სასყიდელი ცოდვათა ჩვენთა და მსხვერპლი შესავედრებლად ღვთისა გამწყრალის? ნუ თუ არ არის ცხებული, გამქარვებელი სიყმილისა და ძალი ნათელი გამფანტველი უკუნეთისა?..“

იყო ნათესავი დიდად ცოდვილი, გამრისხებელი შემოქმედისა ცისა და ქვეყნის, მგმობარი ძისა უფლისა და ჯვარცმველი მისი. სტანჯა ღმერთმა ნათესავი იგი, შემუსრა ქალაქი მისი, სდევნა და დაუმკვიდრა საღვური უცხოთა თესლთა შორის და მისცა თავთაცემა, წვა და დამცირება. ხოლო არ წარუხოცა დამბადებელმა ნათესავსა მას მადლი მწუხარებისა, სული სინანულისა, არ წარუკვეთა სასოება აღდგომისა და ნიჭი გლოვისა. ინთხოდა სისხლი ნათესავისა ამის, სტიროდა ერი და იყო მტკიცე და უღრველქირთა შიგან.

შეუსწორებელ არიან ტანჯვანი ერისა ჩემის. თრევა და კვლანი, ტვირთი და სიმაშვრალენი, სისხლი და ცრემლნი კაცთა ნათესავს არსად მოვლენია ესრეთ საზარი. თვით ჯოჯოხეთის საწამებელი ვერ შეემსგავსოს ნათესავის ჩემის სატანჯველს და იყო ერი ჩემი შეურყეველი, უძლეველი და სულმან მისმან არ იცოდა დაავადება...

აღარსად არის აწ სიმხნევე განსაკრთომელი; აღარსად არის

მკლავი მომგერებელი მოძალისა, გული გაუტეხელი და ქედი მოუხრელი. სდუმს ერი ჩემი, ქვეყანა ჩემი სამარეა და ისმის მხოლოდ ყორანთა ჩხაილი.

2. „დადნა გული და ტანი ჩემი შენისა ვაებისაგან, მამულო ჩემო. სული ჩემი გამხმარია და ულხინო, გაჰქრა ცნობა და სიმშვიდე, დაგკარგე ძილი, დღე დღედ არ მიჩანს და ღამე ღამედ. ერთი და არის საგონებელი ჩემი, ერთი და არის მაცხოვრებელი ჩემი — შენი ბედი უბადრუკი, საწყალობელი.

ვიდრე ვილოდე წყლულებისაგან შენისა? ვიდრე ვილოდე დარღვევისაგან შენისა? ვიდრე ვილოდე წარწმენდისაგან შენისა? ცად რომ აღვიდე, შენ თანა ხარ, ტყვედ რომ გავიქრა—ჩემთან იქნები, ზღვად რომ ჩავიდე უფსკრულში—ვერ დავიმალო შენისა ხატებისაგან. არ არის კიდე ქვეყნისა—სად შენ არ იყო, არ არის ჟამი დროთა, რომ წარმიშალოს სახსენებელი შენი.

ცათა შინა განვისვენებდი უსხეულოთა სამეფოში, ღირს ქმნილი წყალობისა მეუფისა და მარად დღე მხილველი ბრწყინვალეებისა და დიდებისა სახისა მისის. იქ არის შვება და სიხარული, რომელსა არ გაჰკვეთს ურვა, არის ცხოვრება, რომელსა არა შეამღვრევს მწუხარება. და შევცვალე ზენა სუფევა ქვენა მოქალაქობად, მუდარითა შევევდრე მამასა ზეციერსა, რათა მეორედ მოსულ-ვიყავ ამ ქვეყნად და მივიღე ტვირთი სიკვდილისა, რომ გიხილო შენ აღდგენილი!..

3. აწ რა ხარ? დაქცნა ყვაილი, ხეს დასცვივდნენ ფოთოლნი, ცა მობურულია, ისმის ზუზუნი ქარისა და ღმუიან მგლები. ავსა განიგულებენ მტერნი შენნი და კუბოსა განამზადებენ ცხედარისათვის... განხვალ ამ სოფლით, ვითარცა კვამლი და ცვარი განთიადისა, ვითარცა თივა აღიფხვრები. დახუჰკავ თვალებს, შეგეკვრის ფერხნი ხელნი უხმარ და ბაგენი დახშულ გექნება...

აღარც მოვლენ ჰირისუფალნი უკანასკნელი ამბორისათვის,

არცარაინ გიგალობებს საუკუნო განსასვენებელს, უხმოს და უსულოდ მდებარესა. უჩინოდ მიგცემენ საფლავს და სამუდამო დაფარავს მიწა. დაღვებთან მშვენიერებანი პირისანი და იქნები მტვერ, იქმნები სიზმარ, იქნები აჩრდილ... და დაშთება მხოლოდ ღუმილი... მხოლოდ ღუმილი...

ვაი ჩემდა, ვაი ჩემდა, ერო ჩემო! ნუ თუ ეს იყო ბედისწერა შენი? ნუ თუ ტანჯვისთვის მოგანიკა ღმერთმა ყოფა? ნუ თუ ერთხელ მარტო ამოვიდა მზე შენი და საუკუნოდ ჩავსვენა ქვესკნელში? ნუ თუ ეს იყო გზა შენის ცხოვრებისა და ეს არის მსჯავრი ზეცისა სამართალისა? ეს არის არსება სოფლისა და ეს არის მისწრაფება დაუსრულებელ დროთა სრბოლისა?..

‡. „არა! არ წარწყმედს უფალი ნათესავსა ჩემსა. მოიხსენებს და მოხედავს მაცხოვარებითა თვისითა. არა, არ დასცემს ბორკილითა და განარინებს ხელთაგან მოძულეთა. არა, არ იტყვის ალგვასა მამულისა ჩემის პირისაგან დედამიწისა და იხსნის კირთაგან და ვაებათა!..

აღსდევ, სულო ერისა ჩემისაო და ესვიდე მაცხოვარსა ჩვენსა! აღსდევ, სულო ერისა ჩემისაო, და უკუიქვე ძილისა და მყუდროებისაგან! აღსდევ, სულო ერისაო ჩემისა, და შეეუტიე მძლავრობასა შემადრწუნებელთა შენთა! აღსდევ, სულო ერისაო ჩემისაო, და სთქვი: სიკოცხლე! სთქვი აღდგომა და სთქვი აღორძინება. ეკრძაღე შიშსა და სთქვი კვლავ: შეჩვენება მკირთებელთა და მაწვალებელთა შენთა!

წმინდა არს ზრახვა შენი, წმინდა არს კვალი შენი, წმინდა არს სისხლი შენი დანთხეული. აღსდევ და აღმართე თავი და სვეტი ცხოველი იყოს მძლოლი შენი. აღსდევ, აღსდევ, ერო ჩემო, და აღიდე მახვილი გამკურნებელი შენი“!..—და მოუწოდა მოხუცმა მოწაფეთა სწავლებად და მოწვევად ერისა ბრძოლისათვის. და ჰკითხა სულსა თვისსა იღუმალსა: რა არს გზა განკურნებისა? და ეტყოდა გული სიღრმითგან: საშინელება უსაშინელესი.—ღღე



რისხვისა? წარღვნა.—სიკვდილი?—სიკვდილი სრული, თუ არ მოკვდეს სიკვდილისათვის, არ აღსდგეს მკვდრეთით.

5. ვიღოდეს მოციქულნი დაბად და ქალაქად და სიტყვითა ძლიერითა აღაგზნებდეს ნათესავთა ქართველთა: „ლაღაღჳყავით ხმითა მტკიცითა მგვემელთა თქვენთა შორის სახელი მამულისა ჩვენის და აღიდეთ საგალობელით ტკბილით. სთქვით უშიშრად მტერთა შორის: სუფევს მამული ჩვენი, და თაყვანი ეცით მას. აღიარეთ ერი გულითა გაბედულითა და აღიდეთ ღღენი მისნი ამიერითგან უკუნისამდე.

დააცხრეთ უგულობა და მოიქეცით განდგომილებისაგან. შე-მოკრიბენით ყოველნი შეილნი და ეფუცენით მამულსა და სახელი მისი დაიბეჭდეთ გულს. შეიმოსეთ სასტიკობა და გარეშემოირტყით მრისხანება და მოგეცესთ სული სხვა და გული ახალი წარსაწყმენ-დელად საღმობისა, წუხილისა და სულთქმისა. აღივსენით სიძულ-ვილითა მტრისა, ვამოაცხადეთ ღმერთი შურისძიებისა და მიმგე-ბელი მისაგებელისა. განიფიცხეთ გულნი, მიეცით თავნი გამწარე-ბასა და არ მიხვიდეთ განსასვენებელს, თუ არ იხილოთ ერი დახსნილი ხუნდებისაგან.

კურთხეულ არიან, რომელთა ყურად იღეს ოხრანი ერისანი. კურთხეულ არიან, რომელთა დაითმინეს ტანჯვანი მამულისათვის. კურთხეულ არიან მკვდარნი, რომელნი მოსწყდეს მამულისათვის.

6. „რცხვენოდეთ და კდემებოდენ რომელნი არა ეძიებდეს გამოსვლასა ჰირთა და ძვირთაგან. სირცხვილეულ იქმნენ, რომელნი არა ზრახვენ კეთილსა მამულისათვის. სღვენიდეთ და შე-აძრწუნებდეთ მათ და დადნეს, ვით ცვილი ცეცხლისაგან, ვინც ეორგულოს ნათესავსა თვისსა, ვინ არ შესწიროს ერს ყოველი საცხოვარი და მონაგები თვისი. მიჰფინეთ გულისწყრომა და ეწიოს რისხვა ღვთისა, ვინც არ აღსდგეს ღღესა აღტყინებისასა ერისა, არამედ სთქვას: საამებელ არს უღელი ჩვენი.

კრულ არს და შეჩვენებულ, წყულ და განკვეთილ ყოვლისა კრებულისაგან, მშობელისა და წულისაგან, ვინც გამცემელ ექმნეს მამულსა და არ მიხედოს ერსა ტანჯულს, არ აყვედროს მაყვედრებელს, არ მიეშველოს ძმას მიმძღაფრებულს და არ აღმართოს მკლავი შემმუსვრელი მონობის მყოფელთა და მოსისხლეთა, არამედ სთქვას: კეთილ არს ჩვენთვის მძულებელი, დამორგუნველი და მბრძანებელი ყოვლისა სიავისა.

ვაი შვილსა განდგომილსა. ვაი დამტოვებელსა მამულისა და დამვიწყებელსა ერისა! ცეცხლი ცეცხლავდეს საყოფელსა მისსა, მუმლი და მატლი სქამდეს ხორცსა და კეთრი სვამდეს სისხლსა მისსა. იცრემლებოდეს და ვერ ნუგეშიცემდეს, კვდებოდეს და არ მოკვდეს და არ ეღირსოს განსვენებას სოფლისა დასასრულამდე. არ გაიხაროს ახლობელმა და ჩამომავალმა ორგულისა, არ აღმოცენდეს ნათესი მისი, არა მოიგოს საქონელმა მისმა. სდევნიდეთ და ჰნერწყვიდეთ დაუნდობელს, რამეთუ საძაგელ არს უფროს მტრისა დამლახვრელისა!

7 „გამოდით ბრძოლად, გამოდით ბრძოლად, ნათესავენო ჩვენნო! აღიხვენით საჭურველნი, შთაიცივით ჯაჭვენი, ამხედრდით და იპყრენით მახვილნი. დასტოვეთ ეზო და ყოველი, რაიცა არს ეზოსა შინა. მამულს შესწირეთ საქონებელი თქვენი. შიშველ იყვენით და ლატაკ, არარა გინდათ-ერს მიაკუთვნეთ სამოსელი თქვენი, საუნჯე ყოველი თქვენი იყოს ერისა.

დასტოვეთ კერა და სარეცელი თქვენი, დასტოვეთ ცოლი, დასტოვეთ შვილი არარაია ყოველივე მამულისათვის. თავისუფლება მამულისა არის კერა თქვენი, სარეცელი—საკურთხეველი მისი, ცოლი—სიყვარული მისი და ძეა თქვენი—დიდება და სახელი ერისა და მამულის. მოაქციეთ თვალნი თქვენნი დედა წულთაგან და ხედვიდეთ მხოლოდ მამულსა ოხერს და ერსა შებორკილს, დამწიკვლულს, სისხლისგან განუბანელს.

დასტოვეთ მოყვარე თქვენი და ყოველი მოკეთე და მეგობა-

რი არ გინდათ ძღვენი, არ გინდათ სალამი და გამარჯობა მოყვასისაგან. არ გინდათ თანაგრძნობა, ნუგეში, გახარება და სიტყვა-წრფელი გულისა თბილის და აზრის მტკივნეულის მეცნიერისა. ერთი არის მხოლოდ სიხარული და ნუგეში თქვენი—დღე აღდგომისა ერისა, ერთია ძმა და მტე თქვენი—თანამოსაგრე. თანამბრძოლი მამულისათვის. აღმოიხოცეთ ყოველი გრძნობა და ფიქრი და ერთსა ზრახავდეთ მარტო-შვებას მამულის და თხრილის და ერთი გესმოდეთ მხოლოდ—გმინვა ერისა წაქცეულის, გარინდებულის, ერის გვემულის და ჩაწიხლულის.

წ. „ეტო საყვირთა და ლალაღჳყავით ყოველ კიდეს: მოიწია დღე რისხვისა, დღე განკითხვისა, დღე გამწარებისა! სადაც კი იყვნენ ერის შვილები, დასტოვონ მხარე უცხოეთისა, შემოიკრიბნენ მამულისათვის. გასწირონ ოქრო, გასწირონ ვერცხლი, მოსახვეჭელი ყოველი ერსა მიუძღვნან და აღაშენონ ტაძარი სახელისა ერის: იხილონ ერის ბორკილთა მსხვრევანი, ისმინონ ერის დიდების საგლობელი და გაიხარონ მამულითა აყვავებულით.

აღსდევით, მამულიშვილო! ცათა ქუხილნი მიგიწვევენ ბრძოლისა ველზე, ანგელოზები გიგალობებენ ღვთიურს ლოცვას, წმინდა გიორგი დაგილოცავთ გზას და სულნი უკვდავნი წამებულთა ერისათვის ჩვენისა გაგიმართავენ ხელს. დღე ეს არის დღე ერთი. ეს არის ანი, ეს არის ჭე, პირველი და უკანასკნელი, დასაბამი და დასასრული. აღარ დაშთეს კუნძული მცირე თქვენის გულისა, აღარ დაშთეს ძირი ღრმა თქვენის სულისა, აღარ დაშთეს რქა ერთი თქვენის სხეულის—რომ არ ემონოს ამ დღეს რისხვისას და საშინელების. მის არს ცხოვრება თქვენი და ყოველი სავსება და სახელი მისი ვიდოდეს ყოველსა ზედა.

ამაო არის და ცრუ სხვა ზრახვა. განგშორდესთ სხვა ყოველი სიყვარული, ცნობა და მისწრაფება; გაჰქრეს, მოისპოს, წაიშალოს. მამულისაა ოცნება, მამულისაა სიცოცხლე, მამულისაა სიკვდილი. არა არს რა გარეშე მამულისა, არა არს რა თვინიერ ერისა და

აღდგენისა მისისა. აღსდგე, მამულო, და შეიმოსე ძალი ყოველი  
შენი. აღსდგეთ, ძენო; აღსდგეთ, ძმანო; აღსდგეთ, მამანო და  
მოხუცნო!

9. „შეითქვენით და შეიფიცენით მტკიცითა ფიცით. განვლეთ  
სიცოცხლე, განვლეთ სიკვდილი, განვლეთ ყველაზე უფრო საში-  
ნელი და შეიქმენით ახალი ადამიანები, მეორედ შობილნი და  
სთქვით: სიკვდილი ჩვენი ჩვენს უკანა სდგან და რაც უნდა საზარის  
სახით მოგვევლინოს, ვეღარ შეგვარხვეს და მახვილი მისი ვერ გაჰკ-  
ვეთს ჩვენს სხეულს.

„შეიფიცენით, შეჰფიცეთ მამულს თავის დადება. გალესეთ ხრმა-  
ლი, მომართეთ სიათა, გააპრიალეთ ლახვართ მწვეტები და მიდით  
მტერზე—მიდით გმირებად: ან სამუდამოდ დაიმარხენით ბრძო-  
ლისა ველზე ან გამობრუნდით გამარჯვებულნი. სიკვდილი სახე-  
ლოვანი, სიცოცხლე თავისუფალი, მამული ან არაფერი!

„შეიფიცენით, შეჰფიცეთ მამულს სულის სიწმინდით, ნათელის  
სახით, დილის ღიმილით, პირველის სხივის უმანკოებით... არა,  
არა! ხელში აიღეთ სისხლში დაფერილი ხრმლები, ზედ დააპკურეთ  
თქვენი შვილების ნალველი, შესდევით ცეცხლზე მწარეზე და სთქ-  
ვით, სთქვით ისე, რომ ხმამ თქვენმა ზეცათა გვრგვინვა დაადუმოს  
და ფიცს თქვენსას დაემოწმოს ყოველი კიდე, ხმელთა და ზღვათა  
უფსკრული!

10. „აღმოიკვეთეთ გულში სიკეთე, მაღლი და სათნოება,  
აღმოიქერით გული ღმობიერი და განწმინდეთ სისხლი თქვენი  
ყოვლისა სიბრალულისგან. განდევნეთ სული შეწყალებისა, განაგ-  
დეთ სული მიტევებისა და დათმობისა და აღინთენით შურისძიებათ,  
სასტიკობით და მრისხანებით. არა შეუნდოთ არა შემნდობელს,  
არ შეიბრალოთ შეუბრალებელი და დაატყნეთ მეხი თავს, ვინც  
ესრეთ გვემა ერი ჩვენი და წაბილწა მამული ჩვენი მშვენიერი და  
საყვარელი

სვით ნაღველი, სკამეთ სიმწარე და აღიფსენით სიძულვილით, ზიზლით, ძაგებით. არ მიაკაროუ გულის შიში, არა ერიდნეთ ტანჯვასა მტანჯველისასა, არ შეიხაროს წარბი თქვენი სისხლითა მოსისხლისა—ტანჯვა არ იყო ტანჯვა თქვენი? სისხლი არ იყო სისხლი თქვენი? და ვინ მიხედა დედას მვედრებელს ცრემლითა მღულარითა? ვინ შეიწყალა ძუძუთ მწოვარნი ჩჩვილნი, გათელილნი ფერხითა ცხენის? ვინ სთქვა კმარება ვაგებისა თქვენის და დააყენა ხელი წარმწყმენდელი?

საშინელებას მოუწოდეთ, ქარს დამარღვეველს, წვიმასა წამრღვენელს, ცეცხლსა შემწველს და ძალნი ბოროტნი, ძალნი სისხლისა მკამელნი, ძალნი უცთომრად მკვეთელნი, ძალნი უდრეკად ნომაკვდინებელნი იყვნენ თანაშემწენი თქვენნი და მიუვლინეთ მტრისა ბანაკს ზარი და გლოვა, რომელი მოუვლინა მან მამულსა ჩვენსა. ცეცხლი ვიდოდეს წინაშე თქვენსა და შეიმუხროს თავნი მტერთა თხემითურთ მათით, აღარ დაინდოთ ძმაც გამწირველი, ვინც წინ აღუდგეს ერსა მებრძოლსა.

არა არს სიბრალული, არ არის სიკეთე—არის მხოლოდ შურისძიება, ბრძოლა თავდადებული, კვეთება უკანასკნელი, განწირვა სულის, განწირვა გულის, დამსხვრევა ყოვლისა საცხოვრებელის, მსხვერპლობა მამის, შვილის, დედისა, ცოლის. არის სიკვდილი ან სიცოცხლე სრული, არის დამხოზა სამუდამო, ან აღდგენა მამულისა და ერის!...“

11. და დადგა დღე რისხვისა. აღიძრა მტერი და იძვროდა მიწა სიმძიმისაგან ლაშქრისა მისისა და მტვერი ცამდე აღიოდა. შემოაკრბეს მამულიშვილნი ქართველნი თავის-დადებად ერისათვის და განაშაადეს რაზმები ბრძოლად სასტიკად. ორგნითვე იწყეს ცემა ქოსთა, და ყვირილი ბუკთა და იყო ზარი, რომლისაგან თრთოდნენ ხენი და ქვანი. შეუტიეს ერთმანეთსა და მათი შეტევა ვეგანდა ქართა და მათათა ერთმანეთის დატაკებასა. მიეტევნეს მამულიშვილნი ვითარცა ლომნი ჯოგთა მიმართ კანჯართასა და

ვითარცა მგელნი ფარათა ცხვართასა, და ეკვეთნეს ურთიერთს და იქმნა ბრძოლა ძლიერი იმიერ და ამიერ და სვრა და ხოცვა, ვითარცა ნადირთა.

ჰკრგვინავს ცეცხლი, ჰრბის ტყვია, მიაქვს და მოაქვს ღერა სისხლისა, ოხრება და ამოხდომა სულთა. თავში ღვანან რჩეულნი და ქებულნი ქართველთანი და ისმის ყიჟინა და გულის წამღები ხმა მახვილთა ორპირად ლესულთა მათისა. ახეთქებენ ოროლთა და ჰკვეთენ ხრმლითა და სიმწვავე მკლავთა მათთა ემსგავსება სიფიცხესა მღვეთა და გრძნეულთა. ვითარცა ცეცხლი შთანთქმენ თიფასა, ვითარცა შვეარდენნი განფანტავენ ქილყავათა. უშურველად დაანთხევენ სისხლსა, განკაფვენ გზასა ვით მთიბაენი ხელოვანნი და მეცნიერნი და გულითა შეუპოვრითა მიეგებებიან სიკვდილსა მწარესა.

გახშირდა ომი და ცემა. მხეცებრ იბრძვიან თავვაზოდებით მტერნიცა, ხარბად ჰკვეთს ხრმალიცა მათი და ჰმუსრავენ სატევრებითა ქართველთა, უცთომრად ისვრიან თოფითა მაგრითა ფრთენი მათნი და სად შუბითაა გაპოზილი გული ნათესავისა ქართველისა, და სად ტყვიითა განგმირული. დაუბნელდათ თვალნი მეომართ, არრას ხედვენ თავპირ მოსისხლულნი, მაგრამ არ უნდათ დასვენება. გახელებულნი მიისწრაფვიან წინ ერთმანეთისა მოწყვეტას დანატრებულნი და იშვებენ, როცა სისხლი თბილი მოპირდაპირისა ეპკურება სახესა მათსა დაღლილს.

12. მოხუცი სერზე შემდგარა და მოუსვენრად დასცქერის მეგრძოლ მამულიშვილებს. მათთან არის მისი სული, გული ეტანჯვის მათის წყლულითა და ჰკვენისის მოწყვეტილთათვის. ამხნეებს მოძმეებს არ გატეხად და ეტყვის ხმითა ძლიერით: მამულიშვილნო, აჰა წმიდა ქალწული მეოხი ნათესავისა ჩვენის! აღუმართავს ჯვარი ვაზისა და მუხლმოყრილი ცხარე კრემლითა შეავედრებს თქვენს თავს მეუფესა!...

აჰა თამარი ძლევამოსილი, ვინ წარულო ხალიფას დროშა და

ადიდა ერი თვისი—გლოცავთ მხურვალედ: „ძმანო ჩემო, ნუ შეძრწუნდებიან გულნი თქვენნი სიმრავლისათვის მტერთა და სიმცირისათვის თქვენისა, რამეთუ ღმერთი ჩვენთანა არს.“ ფეხშიშველი ლოცულობს ვარძიაში: „ქრისტე ღმერთო ჩემო, შენ შეივდრე ერი ჩემი პატიოსნითა სისხლითა შენითა მოსყიდული“. ლოცულობს თქვენთვის, მამულიშვილნო, და გამაგრდეს მკერდი თქვენი, არ დაეცეს სული თქვენი!

აჰა, დავით, აღმშენებელი დაქცეულისა ქვეყნისა! სული მისი ვით ლომი შეუზახებს მტრებს და ვით გრიგალი დაეცემა მათ... გცმისთ ხმა გიორგისა? იტყვის: „ფრთოვანნო ლომნო ჩემო, მშობელი ერისთვის ჩვენისა აღვიხვნეთ ლახვარნი და უგმირნეთ მოძღვარებელთა: კეთილ არს სიკვდილი მამულისათვის, რამეთუ სახელი და სახე დიდებული საუკუნოდ გზად გყვების!“ აჰა ბაგრატ, გმირი უსწორო; ზახილი მისი ზეცას მიწვდება. ისმინეთ ვედრებისა მისის შეიდგზის ნაწამებისა: „ფრიად უმჯობეს არს და სანატრელ სიკვდილი, ვიდრე მორჩილება და იძულებით შეპყრობა მოძღვრისა მიერ“..

არ დაივიწყოთ წინაპარნი თავდადებულნი. „ხელნი ხრმალსა და სულნი ღმერთსა და ნუ ვრიდებთ თავთა ჩვენთა!“ ამხნეველდეს ერთმანეთს მამანი ჩვენნი. გამხნევდით, მამულიშვილნო. არ შედრკეთ, არ უკუიქცეთ, არ არის წესი ქართველთა, ზურგი უჩვენონ მტრებს!... ცეცხლი გულთა თქვენთა და შურისძიება! ხედავთ ლანგთემურს? კევრით გაღეწა ჩვილნი ყრმანი. აჰა, შაჰ-აბაზ: ათასი ბავშვი გალობით მიეგებება წინ, ხელებს გაუწვდიან და სთხოვენ შეწყალებას; აღეტყინა სიმძაფრე მტარვალს, მიუსია ყრმათ მხედრები და ცხენთა დასთელეს ყველანი! ნუ თუ ქვა არის გული თქვენი და არ ისმენთ წივილსა ბავშვთა, არ შეხედავთ მათ ტვინს გადმონთხეულს და ხორცს დაკუწულს? გამაგრდენ მკერდნი თქვენნი და არ დაეცეს სული თქვენი, მამულიშვილნო!“

ლად ერის შვილები, იბრძვიან დღე, იბრძვიან ღამე თავდავიწყებით, გულითა არ დამცხრალითა, მკლავითა არ მაშვრალითა. აღარ ანათებს მზე. შავი გადეკრა ცას და ნისლი დაეშვა დედამიწას. მრავალთ ამოხდათ სულები, ატირდნენ დედანი, დაქვრივდნენ ცოლნი. თიბავს სიკვდილი ცელითა მქრელითა, მიწადვე მიაქცევს მიწისგან შობილებს და არ უნახავს მოსავალი ესრეთ უხვი. აშენდა ბორცვნი მძორებისა და განიხარეს სვავთა, ძერათა და ყორანთა.

ოცი დღე არის, იბრძვიან შეუდრეკლად მამულიშვილნი. გაწყდეს რაზმები, აღარ არიან ფიცხნი ქაბუკნი, აღარ აღმართვენ ხელებს, თავზარდამცემთა მტრისა, აღარ ჰკვეთს მათი ხრმალი რისხვისა მომვლინებელი და დაშტრა სამუდამოდ ცეცხლი გულსა მათსა ანთებული მსხვერპლისათვის მამულისა შავდლიანის. დავარდეს ცხენნი მხედართა, დაიმსხვრენს შუბნი მათი, დაბლაგვდეს პირნი მახვილთა, შემციოდეს მბრძოლნი დახსნად ერისა კირთებისაგან.

ოცი დღე არის, იბრძვიან გაშმაგებითა ერისშვილები. მოისრნეს ახოვანნი ვაჟაკნი და მოხუცნი და ქალარანი დაშთეს ბრძოლის ველზედ. მწარედ იბრძვიან მეომარნი და ვით გოლიათნი მიესევინან მტრისა რაზმებს. ხოცვენ ურიცხვსა ბასრისა ფოლადითა და ტყვია თოფისა მათის გაუმაძლრად ეწაფება მტრისა გულებს, და შემცირდა სიმრავლე ჯარის დამლუპველისა ერისა ჩვენის.

ოცი დღე არის, იბრძვიან და დაშვრეს მამულიშვილნი, შეიარღვა გული მათი, შედრკეს და შეირყა სასოება მათი. ერთიღა არის იმედი, ერთი ღა არის ხსნა განწირულთა. აღმართულია ციხე მიუდგომელი და წარუღებელი მტრისგან. თუ მიაშურეს მას ქართველთა და მოასწრეს იქ გამაგრება, მოვლენ ძალები ახლები, გაიმარჯვებენ და გაიშლებს დროშა ერისა აღდგენილის, მამულისა თავისუფალის. შეკრული არის შესასვლელი მხოლოდ ციხისა და გზა მისი დედამ იცის, მამულის დედამ.

14. და მოუწოდებს მოხუცი დედას: დედავ ტკბილო, დედავ მშვეებლო, დედავ ნუგეშის მცემლო, დედავ ქირთა გამქარყებ-



ლო და შვილთა ქრილობასა ზედა სალბუნისა დამდებელი! დედა, მოვედი, მოხედე შვილებს—წარწყმდეს მებრძოლნი, განიპო გული და შფოთავს სული მოკვდავისა!

დედაო სანატრელო, დედა კეთილო, ლმობიერო, სიყვარულითა მალხინებელი, დედავ აღმზრდელი, ქირისუფალო, კერის დამცველო, თავის დამდებო შვილებისათვის, დედავ, მოხედე იმედგარდაწყვეტილთა, მოხედე სახლსა სულმწარისა ძისა შენის, შეიწყალე და აცხოვნე!

დედავ-სუფევა მამულისა დედავ-წყარო აღდგენისა ერის, დედავ მთესველო მადლის, შენს ხელთა არის, მოსტეხო რქა ამალღობულსა მტერსა საწყევარს, შენს ხელთა არის თავისუფლების გვირგვინით შეამკო უბლი ერისა საწყალის, ერისა წამებულის.

დედავ, ისმინე ვედრებისა დავრდომილთა, მოხედე ცრემლსა დამწუხრებულთა, იხილე კვეთება შვილთა—მიიპყარ თვალნი, მიუძღვენ გული, შთაბერე სული ძალისა, სული სიცოცხლის და აღდგომისა.

მამულის დედავ, არღა არს ჟამი დახანებისა. მოვიდა წამი დამხობისა და მკირე რაზმი მხნე მეომართა ვერღა გაუძღვებს მოზღვავებულ უცხო თესლის ჯარს. დედავ, სადა ხარ? აჰა, დაეცნეს მეთაურნი და ერთხელ კიდევ შეეხეთქნეს მტერს მამულიშვილნი. დედავ, მოხედე ძეთა ვაებას და უკანასკნელს სულთა ბრძოლას. დედავ დაიხსენ ერთი სახმილისაგან და შეიწყნარე ზღუდითა უძღვევლითა! მამულის დედავ, მამულის დედავ!...“

15. მაგრამ არ ესმის დედას ხადილი მოხუცისა. აღარსად არის მამულის დედა და აღსრულდა ბედი უბედურთა და შეძრწუნდა მიწა მშობლიური და აცრემლდა ცა და იქმნა სიკვდილი საწაღელ მებრძოლი შვილებისათვის. გაისმა ხმა მქუხარე წინამძღოლისა: „მამულიშვილნო ერთგულნო, ძმანო საყვარელნო, უკანასკნელად ვსკვრეტთ სამშობლოს მთებს, უკანასკნელად გვალხენს სიმშენიერე მისი ველისა; გულოს ჩავიმარხოთ სიყვარული და მოგონება მისი სამარადისო და უთხრათ უკანასკნელი საღამი: სასიკვდილონი კურთხევას გიძღენით, მამულო!“

მოსცა მას ხმა სარდალმა მტრისამ: „წარწყდა ერი და ოხერ არს მამული თქვენი. ამო არს აწ ბრძოლა, დაგვემორჩილეთ, დაჰყარეთ იარაღები!“ და ჰრქვა წინამძღოლმა მამულიშვილთა: „მოდო და წაიღე იარაღები ჩვენი. მონები დავიბადენით, მაგრამ მონებად აღარ მოვკვდებით. სიკვდილი ჩვენი სიკოცხლე არის, სიკოცხლე თქვენი კი სიკვდილია!“

და დაიქებეს კვლავ ცეცხლის სასროლთა; მიჰქროლავს ტყვია მალი და მიაქვს რისხვა სიკვდილისა და აფენს თავთავეებს. მოჰყვა ბრძოლა ხელჩართული და ვისაც მისწვდა ხრმალი, მოკვდა გაუნძრევლად, და ვინც განმქვალა მახვილმა, აღარ დასცალდა სულის მოთქმა. აღარას ჰკრძნობენ მეომარნი, აღარ ხედავენ სისხლის მდინარეს, ჰჩებვენ და ჰკაფვენ ურთერთს, ვითარცა ტყეს. სისხლი და ხორცი მოკვეთილი ერთმანეთში აღრეული გადმოსდით სახეთა მკლავთ დაიფიწყეს მოქანცვა და სქრიან, სრვენ, ვით უსულონი და უძარღვონი.

16. მოწყდეს მამულიშვილნი, ასილა დარჩა იმათგან ბრძოლისა ველზედ. გამოელიათ ტყვია-წამლი, დადნა ხრმალი მათი მეტის ბრძოლისაგან და შესქამა სისხლმა მახვილი. მაგრამ არ ტყდება გული მათი, არა ფიქრობენ დამორჩილებას, არ იღრევენ ქედს მომძლავრებელთა წინაშე. გააფთრებულნი, გაცოფებულნი, ვით ლომნი დაკოდილნი, თვალ წავარდნილნი, ხელებ გაწვდილნი მიესივნეს მტრებს და ჰგლეჯდეს კბილებით მათ ხორცს, თხრიდეს თვალებს, ახრჩობდეს მკლავით და ჰხოცდეს სიკვდილითა საშინელით.

მოწყდეს უკანასკნელნი განწირულნიც მამულისათვის... გაღალღებული მტრის სარდალი ფეხით შესდგა მამულიშვილთა წინამძღოლის გათელილ გეგმზე, აიღო ხელ მალა, მიათითა ქართველთა დაბებს და ქალაქებს და სთქვა მეომართა თვისთა: ცეცხლი! და მოედვა ცეცხლი აღზნებული მამულსა ერისა ამოწყვეტილის.

შესაზარი იყო ღამე სოფელი, რომელი სამუდამოდ იწვოდა. მთა, ველი, ხეები, სახლები შავად მოსჩანდეს ხოლო თავები ბრწყინ-

ვიდეს წითლად. ცა სისხლისფრად შეღებილიყო. ზევიდან მუქი ღრუბლები აწვებოდეს დედამიწას, თითქოს ლამობდეს ყველაფრის მოსპობას, თუკი რამ გადარჩებოდა შთანთქმელ ცეცხლს.

ხოლო სოფლის პირდაპირ მთის მწვერვალზე კვლავ გამოჩნდა ორი ყრმა: ყრმა ვაჟი და ყრა ქალი. ვაჟს ხელთ ეჭირა ლამპარი აღგზნებული და ქალსა თავს ემოსა გვირგვინი ყვავილისა და ნაყოფის.



### III. სული წმინდა

1. მოეფინა მტერი ქვეყანას, ვითარცა მკალი, საოხრებლად და არსად იყო ლხინება, შეწევნა და ნუგეშის ცემა. გადმონათხევდა ბაგეთაგან გესლსა ასპიტისასა და ხელი მისი აღსავსე უკეთურებითა ანადგურებდა ყოველსა შენებულსა და ფირხი მისი დაჰსთრგუნვიდა ყოველსა სულდგმულსა და აღარაჲინ დარჩა, გარდა შეხიზნულთა მიუვალ კლდეთა და გამოქვაბულთა შიგან. საესე იყვნეს მოკლულთა მიერ ყოველნი ალაგნი და ვერვინ შემძლბებელ იყო ტყებისა და გლოვისა, ტირილისა და დაფვლისა გვამთა.

მინდვრები უხნავი ხნულებად ჩანდეს სისხლითა მამულიშვილთა გაპოხიერებულნი; ბელტები კდემულთა და ძლეულთა მძოვრები იყო და ხვარბალი—დათესილი ნამსხვრევი იარაღისა მათისა. ზოგან ღრმა ნაკვლევი გაეჭრა სიკვდილისა გუთანსა, ზოგან გორები აღემართა. იქ ბელტი ბელტს მიჰკვროდა, აქ ფრთხილად გადასწოლოდა ერთი მეორეს. ერთ მსხვერპლად შეწირულნი მკედრები გულში ჩახურებოდეს ურთერთს, ზოგს ძმისთვის მიშველებული ხელი გაწვდილად დარჩომოდა, ზოგი ჩაჩოქილი მიწოლილიყო. ტანი მათი კირლობითა იყო დაფარული, სახე დადაღული, სამოსელი დაფლეთილი და მეწამული. შუბლზე გამწარება არასოფლიური აღბეჭდოდათ, ტუჩებს სამულდამო ნიშნად გადაკვროდა წყევა და ღრმად მიმალულს თვალებს მტკიცედ დაემარხათ მოწვევა სამაგიეროს მიგებისათვის.

შავნი ყორანნი სიხარულისა ჩხავილითა მოჰფრინდებოდნენ და გლოვის ფლასად გადაეფარებოდნენ მძოვრთა. ნადირნი ტყისანი მოირბენდნენ ყოვლისა კუთხიდან არანახულისა ნადიმისათვის. ღმუოდნენ, ღრინავდნენ, ზუოდნენ და ხმა ყმუილისა მათისა იყო ნაცვლად კირისუფალთა ზარისა. ლხინობდნენ ფრინველნი ცისანი და მხეცნი ქვეყნისანი და ლხინი მათი იყო აღაპი მამულიშვილთა

თავდადებულთა. წეწლიან ხორცსა მძოვრთასა და შთანთქმიდან ნაცვლად საფლავისა გაუთხრელისა.

2. უდაბნო იყო მიდამო და ბნელი და კაცი სულიერი არსად ჩნდა. არ დასტიროდა დედა საყვარელს შვილებს და არ ხედავდა ცოლი ქმარსა უპატიოვ გდებულსა. მხოლოდ მოხუცი თმა გაწეწილი და ცნობამიხდილი, ანთებულისა თვალებით, შუქმფენის სახითა, ვით სული იმქვეყნიური დადიოდა მკედრებს შორის და გმინვა მისი, ოხრა და მოთქმა გაისმოდა ვით ჯოჯოხეთის ცეცხლის გუგუნი. ხმა რისხვისა ღვთისა ღღესა საშინელისა განსჯისასა ვერ თანაშეესწორებოდა მის სიმწარეს.

„ვაი შვილთა, ვაი შვილთა, ვაი შვილთა!.. გრგვინავდა მოხუცი და სიტყვა მისი ელვასავით გაჰკვეთდა შავსა ღამეს: ჩემის სული-სკან ნაშობნო და ხორც-შესხმულნო ჩემის ნაღვლითა და აღზრდილნო ჩემის გულისა სისხლითი.. ერის ოცნების შექმნილნო, ერის ტანჯვითა გაწვრთილნო, ერის წყლულთა შიგან დანათლულნო, ვაი თქვენდა, ვაი თქვენდა, ვაი თქვენდა!...“

მოხევეოდა მოხუცი გვამებს, გულში იკრავდა მათ სახეს გაცივებულს, უკოცნიდა დაღუმებულ ბაგეთ, ცრემლით ულტობდა გამხმარ იარებს და აღერსით ნაზით, სიყვარულითა მარადისათ დიდხანს უქვრეტდა მათ თვალებში. ეტყოდა: „შვილებო ჩემო, საყვარელებო! აღარ სცემს გული თქვენი აღტყინებული ზრახვითა დიდებულთ, აღარ მეტყველობს ენა თქვენი თავისუფლების მოქმელი, აღარ აღიძვრის მკლავი თქვენი მომგებებელი მღვენელის!.. დაღუმდა ცხოვრება თქვენი და თან წარილო იმედი მამულისა, ბედი ერისა და მომავალი მისი. რაღა დასტოვეთ ამ ქვეყნად ჩემთვისა უბედურისთვის? რად დამიტევეთ მე აქ ნარტოდ დაშთომილი თქვენს მძოვრთა შორის? სადღა წავიდე, ვისღა შევხედო, ვისღა მიენდოს გული ჩემი დადაგული?. . აღარვინაა დამტირებელი თქვენი, აღარვინაა გამთხრელი საფლავისა თქვენის, აღარ არს მამული ჩვენი! ვაი შვილნო, ვაი შვილნო!...“

3. „ესე არიან ტკივილნი თქვენნი, ესე არიან წვანი თქვენნი: ესე არიან გმირვანი.—ეწამენით და მსხვერპლად წმინდად შეეწირენით მამულსა აწ დამბობილს და გარდასულს. მე გადმომეცით ტანჯვანი თქვენნი, ჩემს გულს დაასვით ლახვარნი თქვენს გულს სობილნი, მე დამატეხეთ თავს კრულვა მტრისა: ვიყო წამებული, გვემულ, დანთქულ—ვიტანჯო, რომ სატანჯველი ესრეთ არვის ენახოს კაცთაგანს დასაბამიდან!

ოლონდ განილოს კარი დახშული სიცოცხლისა თქვენის ერთს წამსა, ერთს წუთს. აღახილენით თვალნი ერთს წამს, კვლავ მიჩვენებთ ბრწყინვალება მათი და ერთხელ, კვლავ ერთხელ, ერთს წუთს ვიხილო სიხარული და აღტაცება ჩემი—ვიხილო იმედი ერთსა ძვირთაგან და სიმდაბლეთა დახსნილისა, კვლავ ერთხელ ამოვიკითხო—სახეზე თქვენსა სასოება ამადლებულის მამულის ჩემის, კვლავ ერთხელ, ერთს წუთს მესმას განხეთქანი საკრველთა ნათესავისა ჩემის!...

ვაი ჩემდა! რად ვიშევ ხილვად წარწყმედისა შვილთა ჩემთა?.. ლამობდა გული ჩემი რისხვასა ღვთისა და აღდგენასა მის მიერ, და დაიმსხვრა ყოველი! გათავდა, გაჰქრა და წარიტაცა უფსკრულმა წყვედიადისამა. აღარა დაშთა, ოცნება ჩემი მოჰკლა კაცმა მოსისხლემ და ზრახვა ჩემი დასცა ძირს ხელმა მოძულისამ. არლა არს ერი ჩემი, არლა არს მამული ჩემი—არლა რაი არს...

შვილნო ჩემნო! არა ვარ მანუგეშებელ თქვენი, არავინა მანუგეშებელ ჩემი!... მტანჯეთ ტანჯვითა თქვენით, მაწამეთ წამებითა თქვენით—წარიღეთ სული ჩემი, წარიღეთ ხორცი ჩემი, წარიღეთ სისხლი ჩემი, და მრქვით სიტყვა ერთი უხმო, გამომეცი თხმა მკრთალი, ჩურჩული წყნარი, მხოლოდ ოდნავად შეარხიეთ ბაგენი თქვენნი, მიჩვენეთ მარტოოდენ სუსტი სუნთქვა, მაცხოვნებელნო ჩემნო, ოლონდ ნუ სდუმხართ, ნუ ხართ უძრავნი, ნუ ხართ მკვდრები!...

4. — „შოისრნეს შვილნი ჩემნი, აღმადგენელნი და მალხინე-

ბელნი ჩემნი — რაისათვის? რაისათვის?.. თუ სხვისთვის არის შვება და გახარება, ასპარეზობა, შექცევა—რაისთვის წარხდა ჩემთვისა და ერისა ჩემისათვის? სხვათა შვილები სტკებებიან სილამაზითა სიციცხლისა და გალობენ საგალობელსა სამადლობელს—ჩემი შვილები აქა ყრიან მძოვრებად გასახრწნელად! სხვის სახეს სიცილი არ მოშორდება ბედნიერსა—ჩვენს პირს კი რამ წარხოცა ღიმილი და გადააკრა საბური სევდის, ვაების და სიკვდილისა?..

მესმის დიდება და სახელი ნათესავთა სხვათა; ვხედავ ტაძართა მშვენიერთა, სვეტთა ვერცხლისას, კამარას ოქროისას, იატაკსა ანთრაკისას და საყდარსა მოქვილსა თვალითა ძვირფასითა; უკმევინ საკმეველსა და გუნდრუკსა, აქებენ ორღანოთა ხმოვანითა და შეამკობენ ნელსაცხებლითა ყოვლითა ერსა უცხოსა—ერი კი ჩემი ღატაკი, ძაგებულ და მკვდარ არს. ვაი ჩვენდა, შვილნო წამებულნო!...

რას დაუტევვით სიყვარული ჩემი—არა არის რა მისთვის არც ქვეყნად, არც ზეცად, არც ზღვათა ზედა, არც ხმელთა შიგან. ვიტყოდე—რაისთვის? ვსტიროდე—რაისთვის? თვალი ჩემნი რასა ხედვიდეს, ყური ჩემნი რასა ისმენდეს? თქვენ წახველოთ, სდუმხარო. აღარ მიჩვენებთ პირსა მშვენიერს, არ გამაგონებთ ხმას ტკბილს, ტკბილსა ქართულსა, არ შეტყვივით დღესა ბედნიერს, არ აკურთხებთ გვირგვინს და არ აღავსებთ ველთა ღებინებით. აღარ აღსდგებით აღარ აღსდგებით, შვილნო საყვარელნო!...

5.— „აღარ აღსდგებით... განიმეორა მოხუცმა და დააცქერდა კვლავ დახოცილს გმირებს და ვაჩერდა გარეტებული. იდგა უძრავი, და დადუმებული და თითქოს ახლად გამოღვიძებული, დახსნილი მწარე სიზმართა, იტყოდა ხმითა წყნართა და ფრთხილით და სახით მკრთალ შუქითა განათლებული: გძინავთ, შვილებო სანატრელნო... გძინავთ მხოლოდ... გძინავთ. დაიძინეთ ტკბილად, დაიძინეთ სიამით, დაიძინეთ მხარშეუცვლელად!

სძინავთ ჩემს შვილებს... ჩუმად, ჩუმად! აღარ შეირხეს ხის ფო-

თოლი, ვარსკვლავნი გაჰქრნენ, ცაჲ, დაიმაღე და ნიაფო დადგე, არ მიეკარო მათ პირებს!.. სძინავთ ჩემს შვილებს—სამყარო აღარ შეიძრე, დედამიწავ, შეაჩერე შენი სრბოლა, ქაშნი გაჰქვედნენ და მდინარენი აღარ ვილოდენ!.. სძინავთ ჩემს შვილებს—არვინ სუნთქავდეს და აღარ იყოს აღმოცენება, შობა და ზრდა სიცოცხლისა ახლის, და მათ ნაზს ძილსა უნანაოჲს ქვეყნის ღუმელმა და წყვილიაღმა ქვესკნელისამ სიმშვიდის ზეწარი გადაათაროს მათ სახეებს! იძინეთ, შვილნო, იძინეთ, შვილნო, იძინეთ შვილნო და კვლავ აღსდგით მამულისათვის! აღსდგით ქაშსა მისი წამებისა და მოწვევისა ბრძოლად!.. აღსდგით... აღსდგით...

—„აღარ აღსდგებით? აღარ აღსდგებით?“ შეეკითხა მოხუცი გვამთა და მიჰყო ყური სმენად ჰასუხისა. მოაპყრეს მძოვრთა მკვდარი თვალები და მისცეს ხმა ბავითა უძრავითა: „აღარ აღსდგებით!“ და კენესა ყრუ საშინელი გაისმა კედრით კედრამდის.

6.—„აღარ მწამს ღმერთი, რომელი ვიხილე ცათაშინა!“ დაიყვირა მოხუცმა და გაიქრა ტყელ. დადიოდა გახელებული და ყვირილითა შეაძრწუნებდა არესა. ნაპერწკლებს აფრქვევდა თვალთაგან, დაღეწდა ხეებს, გადალაზავდა კლდეთა და ღრეებს, გადადიოდა წყალსა და ხრამსა, ქუხდა სელა მისი, ფერხთა ხმა ემსგავსებოდა გვრგვინვას და ზახილი—საყვირსა მეორედ მოსვლის წინამორბედსა. მცენარენი გადაიწვეოდნენ შიშისაგან მისისა, დაფრთხალნი ნადირნი გარბოდნენ გზიდან და ფრინველნი ადიოდნენ ცად საფარველისთვის.

და დადასყოფდა მოხუცი: „ცაჲ, დაიქეხე და გადმოახეთქე წვიმა ცეცხლისა, წუნწუბა და გოგირდი. დედამიწავ, გააპე პირი, გადმოადინე კუპრი, შეახეთქე მთები მთებს, ზღვა და ხმელეთი ერთად გალესე, კვამლით აღევსოს მთელი სამყარო და მოედვას აღი წყალსა და ქვასა. დაჰბერეთ, ქარნო ავო სულეზო, გააძლიერეთ ცეცხლი მომსპობი ყოვლისა, რომ ფერფლად იქცეს სოფელი ესე და აღარ დაშთეს კვალი და სახსენებელი კაცთა.



გველნო, ვეშაპნო, მატურნო, ეშმაკეულნო და სატანებო, შემოკრბით ყოველისაგან საყოფელისა თქვენის—აღარსად დარჩეთ, აღარ დაყუდნენ ყურნი თქვენნი სმენად ხმისა ჩემის მახარობელის. შემოკრბით და იღრიალეთ, დასცხეთ ყიჟინა, ჩაებით ფერხულს, იყვირეთ და არ დასცხრეთ მღერად. იმხიარულეთ, გამართეთ ლხინი დალუპვისათვის ქვეყნისა, დაქცევისათვის სოფლისა, გაწყვეტისათვის კაცისა მტრისა თქვენისა, და მოუწოდეთ ერთგულს მსახურებს შემუსრისათვის ყოვლისა შობილისა და ქმნულის.

მოწყდა ერი ჩემი—მოწყდენ ერნი ყოველნი; დაიმხო მამული ჩემი - დაიმხოს სოფელი მთელი. წარწყმდეს შვილნი ჩემნი საყვარელნი და ნულარ ცხოვნიდენ ძენი და ასულნი სხვათა და წვა, მოსვრა, გლოვა, ვაება მთელი სამყაროს იყოს ზარი ჩემთა მკვდართა განსასვენებლად. ტირილი სოფლის ყოვლის იყოს ტირილი ქირისუფალთა მამულის ჩემის დაქცეულის!...“

7. დადიოდა ესე მოხუცი ექვს ღღეს და ღღესა მეშვიდეს დილით ჰპოვეს იგი მოწაფეთა მისთა დაქანცული, დაქრილი, უღონო, გაკირვებითა მსუნთქავი. მიიტანეს მთისა მალლისა ძირს, განუბანეს სახე წყლითა და ასვეს წყარო ცივი. შეუხვევდეს კრილობათ, ნუგეშინის სცემდეს სიტყვითა თბილითა და ცრემლითა ევედრებოდეს შებრალებასა თავისა თვისისა. ხოლო შფოთებდა იგი, სწუხდა, გოდებდა და არ მოისვენებდა.

სალამოს ჟამს მიიძინა მცირე და რა განახილა თვალნი, ჰრქვა მოწაფეთ: „სდევნა მტერმან სული ჩემი და დაამდაბლა ქვეყნად ცხოვრება ჩემი, დამსვა მე ბნელსა შინა, ვითარცა მკვდარი საუკუნო“... მიისვენა და კვლავ ჰრქვა მოსვენებისა შემდეგ: „გარემომადგეს მე სალმობანი სიკვდილისანი და ქირთა ჯოჯოხეთისათა მპოვეს მე“. ძილსა და სიმშვიდეს გამკურნებელსა სთხოვდეს მოწაფენი, ხოლო იგი იტყოდა: „მოუძღურდა გული ჩემი, გახმა ძვალი ჩემი, დაშვრა სული და განაფრთხო ძილი, რული წამთა და განსვენება...“

განვეშორე ღმერთსა, განვეშორე სოფელსა და არსადაა აღგი-

ლი მისასვენებელი ჩემი. სწულ ვარ და გლახაკ, უმწეო და საპყარ. გარემოაქცია უფალმან სახე თვისი პირისაგან ჩემისა და ვერა დავიმაღლე რისხვისაგან მისისა... დამაგდო დავრდომილი უფსკრულსა შიგან და არა მოხედა სისაწყლესა ჩემსა. მომფინა გულისწყრომა თვისი, დაადუმა ვედრება ჩემი, არა მაკჳარა კირი და სახლი ჩემი შემოსა სირცხვილითა...

გავაპე სამოსელი ჩემი, ვიტირე და დავისხი ნაცარი თავსა ზედა. უძლოურ ვარ და გლახაკ, უმწეო და საწყალ და არაფინაა შემწყალელებელი ჩემი!..“

8. მოიგონა მოხუცმა დღენი პირველისა ცხოვრებისა თვისისა ამ ქვეყნად, ჟამი იგი, როდესაც შენდებოდა მამული მისი და ერი განემზადებოდა დიდებისათვის. თვალთ წარმოუდგა ლავრა დიდებული შატბერდისა, სადაც იზრდებოდა ობოლი შეწირული ღვთისა მიმართ და განიპოხებოდა მადლითა წმიდათა მამათა. იქ იხილა პირველად გიორგი მთაწმინდელი, სიხარული და გვირგვინი ნათესავისა ჩვენის, განმამბრძნობელი სულისა და ბრძმედი გულითა, რომელმა აღავსო უსწავლელობა და უმეცრება ჩვენი და აღვრაცხა ელენთა თანა. იქ ისპინა სიტყვა ოქროპირისა ახლისა და ვერ გაძღა სმენითა თაფლისა უტკბესთა სიტყვათა: იმ დღიდან განუყრელად თან ახლდა მას ბრწყინავსა თვალსა ქრისტესა გვამისა, რომელმა შეითვისა ვითარცა შვილი.

მოაგონდა მეფე ბაგრატ, რომელი მუხლმოდრეკილი მიეგება მთაწმინდელს და ეტყოდა: „რაიცა ბრძანოს მამობამან შენმან, ესრეთ შევიწყნარო, ვითარცა პირისაგან მოციქულთა.“ და მიიყვანა ძე თვისი გიორგი და ხელი მისი ხელთა ჩაუდვა და თქვა: „აჰა, მოგცემ სულსა ამის ყრმისასა და წინაშე ღვთისა გთხოვ.“ ხოლო მან აკურთხა, ულოცა და ჰრქვა: „უფალმან ორითავე ცხოვრებითა აღიდენ, ვითარცა დიდი კოსტანტინე, შიშსა შინა ღვთისა თვისსა დაუმორჩილენ ყოველნი მტერნი მისნი.“ და სწავლანი ღვთივ სულიერნი და მცნებანი აღუწერა და მისცა, რათა სამარადისად სოდ იკითხვიდეს და იწვრთოდეს.

ხუთს წელს მიმოიყლიდა საქართველოს მთიები ქვეყნისა და მზეებრ მიჰფენდა სხივ-კამკამებასა ნათესავთა ჩვენთა და მადლითა მოპრწყავდა მამულსა. პირველად ყოვლისა აღლესა მახვილი მხილცხისა მეფისა წინააღმდეგ მრავლისა უწესოებისათვის, რათა არა ჰყიდდეს საეპისკოპოსთა, რათა უსჯიდეს ობოლთა და ქვრივთა, არა გაამრუდებდეს სასწოროსა სიმატლისასა, წყალობა შეიტკბოს, უწესობა და არაწმინდა მოსპოს. მერმე იწყო მღვდელ-მოძღვართა მიმართ, რათა უღირსთა მღვდელთა არა აკურთხევედენ, სწყალობდენ გლახაკთა და უღონოთა; მდიდართა ასწავებდა წყალობად ღარიბთა, დაცემულთა აღმართავდა, მოწყულულთა განკურნებდა. წიგნნი საღმრთონი განავრცელა და გზანი საუკუნისა ცხოვრებისანი ასწავა უმეცართა...

მოიგონა ყოველივე მოხუცება, ნაღვლით აღევსო გული და უარესად გაუმწარდა ღღე აწინდელი და დაუმძიმდა სული.

9. „რა საწადელ და სანატრელ არიან ღღენი გარდასრულენი!“ წარმოსთქვა წყნართა და მწუხართა ხმით: „ნუ თუ ბედნიერება წარსულის მოგონებაა მარტოდენ და არაოდეს არაა აწმყო, ყოფადი?“

მოიგონებდა კვლავ: იწყეს ნიავთა ცხოვრებისათა მობერვა და ღრუბელთა საამებელთა აღმოკვირობა, ბნელსა უკუნსა შიგან იწყო აღმოცისკრება მზემან ნათესავთა ჩვენთა. მოსდრიკნეს ურჩინი აზნაურნი და მთავარნი და შეაერთნეს განდგომილნი ტომნი და თესლნი ერისანი; განდევნეს მტერი შემოსეული და დაიხსნეს ქალაქნი ხარკებისაგან. თურქნი და არაბნი ძრწოდეს შიშისაგან მათისა, ბერძნები მეგობრობასა და შეველას ითხოვდეს. ხალიფა მშვიდობისა მვედრებელ იყო, სულტანნი, ათაბაგნი და ამირანი ნიქთა და განძთა კმასაყოფელთა ძღვნად წარმოუგზავნიდეს.

აღივსებოდა მამული ოქროითა და ვერცხლითა და არ იყო მიმძღავრებელი და მიმძღავრებული, არცა მტაცებელი, არცა მეკობრე და მპარავი, არცა მავნებელი გინა ვნებული. გლახაკნი გან-

კითხულ იყვნეს, ობოლნი შეწყალებულ, ქვრივნი პატივცემულ და ტყვენი განთავისუფლებულ. იხარებდეს და იშვებდეს ყველანი.

ეკლესიათა და პალატთა აღაშენებდეს, მონასტერთა დაამშვენებდეს, ხილთა და გზათა გამართავდეს და საწყინოდ სავალთა ქვითა მოჰფენდეს. წიგნთა განამრავლებდეს, სწავლულებასა ეწაფებოდეს და ლექსსა და მხატვრობასა შინა განიწვრთებოდეს...

ხან-მოკლე იყო სიხარული და დასრულდა ბედნიერება ესე, ვითა სიზმარი და იქმნა ღღე, ღღე უმზეო და მწარე, დაუსრულებელი ტანჯვისა!—კვლავ ამოიოხრა მოხუცმა და მყის დადუმდა ქვე დამხობილი მიწაზე.

10. შუა ღამე გადასულ იყო, როცა თავი ასწია მაღლა, მიიხედ-მოიხედა, აუჩუყდა გული და დაიწყო ტირილი, ტირილი არა მრისხანე და მქუხარე. არა, სტიროდა ვით ბავშვი პატარა, ვით ობოლი უდებოდა; უთვისტომო ეული, სნეული დავარდნილი. იცრემლებოდეს მოწაფენი და ვერ შემძლებელ იქმნეს მის დაყუჩებად. არა იყო გამკურნებელი ცოდვილისა და დავიწყებულის, არა იყო აღმადგენელი მისი საუკუნოდ დანთქმულისა, არა იყო მომცემი შვებისა სულისა წაღებულისათვის, გულისა დამიწებულისათვის.

აღაპყრა თვალნი ზევით და თქვა ხმითა შესაბრალისითა: „გიორგი, მამაო და აღმზრდელო ჩემო, იხილე საღმობანი და რუდუნებანი ჩემნი და მომხედე, წყალობაო და შესავედრებელო ჩემო! მოვედ, გულთა-მხილველო და სახეო სიბრძნისა სულისა, და მაუწყე გზა, რომელსა ვიდოდე; მასწავე, რათა ვყო ნება შენი, და ხელი შენი მიძლოდეს. მრქვი: არა სანდომ არს ნათესავი ჩვენი მეუფისათვის და აღსრულდა :ღე მისი? დაქცევა მამულისა გზა უფლისაა და მით მიგვაახლოვებს სასუფეველსა თვისსა? თუ სხვას განიგულებს გონება-მიუწოდამელი და კაცისგან განუსაზღვრელი სახიერება მისი და წყალობითა დაუსაბამოისა აღსდგება ერა ჩვენი მკვდრეთით და შეიმოსავს ნათელსა ბრწყინვალეს? მრქვი, მწვრთნელო სულისა ჩემისა, შემწეო და მხსნელო ჩემო!“

ვევლრებოდა და ლოცულობდა მხურვალედ. და გამოეცხადა იგი მნათობი სხივოსანი, ხატი ცხოველი და ძეგლი პირმეტყველი ნათესავისა ჩვენის. ემოსა იგივ ძაძა ფიცხელი, მას ზედა ჩოხა საფარველად, ხოლო თავსა ედგა გვირგივინად შარავანდელი ზეციური. და ჰრქვა გიორგი მთაწმინდელმა ლმობიერად: „შვილო ჩემო ტანჯულო და წამებულო, დამშვიდდი და ნუ დაიწვის გული შენი, რამეთუ ნუგეშის-მცემელ ვარ. თვალი უფლისა სიყვარულია და ყური-სიკეთე და ყოველი დევნილი წყლულებისაგან მის ფრთეთა ქვეშე განისვენებს.“—და ეამბორა წმიდა თვალთა, სახესა და მკერდსა მოხუცისა და მისცა კურნება, განუმრთელა სხეული და განაცხოველა შებითა სული მისი.

11. და იყო სიტყვა მისი მეტყველი მოხუცისა მიმართ: „არავინ მივიდეს კარსა უფლისასა და არ დაემკვიდროს სასუფეველსა მისსა, თუ არ დაადგეს გზასა ერისასა და არ განვლოს ბქენი მამულისანი. ნებავეს ღმერთსა ყოველთა კაცთა ცხოვრება და მცნციერებასა ქეშმარიტებისასა მისვლა, ხოლო არა ღირს იქმნენ განდგოვილნი და დამტევებელნი ნათესავისა თვისისა.

ზრახვა ზეცისა გამოცხადების სიტყვითა ერისათა და მიუახლოვდება მის განგებასა მიუწლომელსა სული გამოხურვებული დედისა ენასა შინა და იხილავს სიდიადეს სოფლისას გონება წვრთნილი მამულიშვილთა მიერ და დასტკბება მადლითა სიმშვენიერი სი გული განწმენდილი უცხოთა მძლავრობისაგან. გული წრფელ, გონება საღ და თვალნი მკრელნი არიან ერისა კალთასა შინა ზრდილისა და მამულისა მზისა სხივითა გაცისკროვნებულისა.

არა ამწვანდენ ველნი და არ შეიმოსნენ ბორცვნი, არ აყვავდენ ვენახნი და არ განამრავლეს ღელეთა იფქლი; ვერ გაძღეს სული და ვერ გაძღეს ხორცი, ვინ დაივიწყა ერი თვისი და არ ეფუცა მამულსა. დიდება ღვთისა ერისგანაა, სიხარული კაცისა მამულისაგან და დამკარგველმა ნათესავისა ველარ ისმინოს სახელი

უფლისა და არ შობილმა მამულისა მიერ ვერ გაითენოს დღე ბედნიერი, მისმა სულმა ვერ აღმოაცენოს კემშარიტება და სიპართლე, პირმა მისმან ვერ სთქვას სიბრძნე.

12. „ნეტარ არიან, რომელნი დაემკვიდრნეს მამულსა თავისუფალსა და განიმტკიცეს სჯული ერისა. ნეტარ არიან, რომელნი არა ემონეს თესლსა უცხოთა, მისცემენ ნათესავსა თვისსა მადლსა და დიდებას და არ მოაკლებენ კეთილსა და სიყვარულს. ნეტარ არიან შვილნი, რომელთა დაიმარხეს მცნებანი ერისანი, დასხდეს საკურთხეველსა თანა და არ განშორდეს: ძლიერ არიან საქმენი მათნი, წარმართულ შრომა და მტერნი მათნი შერცხვენილ.

ნეტარ არიან, რომელნი აღიარებენ ერსა და მარად დღე უთხრობენ სახელსა მისსა, აკურთხებენ და იტყვიან ქებულებასა. ნეტარ არიან მოქმედნი: საყვარელ არიან საყოფელნი შენნი, მამულო! გული ჩვენი, სული ჩვენი იხარებდეს შენისა ხილვით. ნეტარ არიან არ დამვიწყებელნი მოცემულისა ერის და გამომძიებელნი სიმდიდრისა მისის, რომელთა სახითა ერისა შემოსეს სახლი, შესაკრებელი, სასწავლებელი და ყოველი საცხოვრებელი თვისი.

აღიღეს ფსალმუნი და წინწილი და აქებდეს მამულსა ხმითა კეთილითა და მწყობრითა. ხოლო არა შეიძულეს ნათესავი უცხო და არ შეიძაგეს ერი სხვა სათნოებისა მისისა და სიკეთისათვის. პატივსა სცემდენ ნათქვამსა გონიერსა უცხო თესლისასა და შეიყვარებდენ საქმესა მისსა მართალსა, ისწავებდენ მისგან მეცნიერებასა და არა უგნურებასა, ეკრძალებოდენ ბოროტსა უცხოისას და ესწრაფებოდენ მართალსა და ნათელსა. ძმანი არიან ერნი და შეითვისებდენ ერთმანეთს, ხოლო არ შეიყვაროს ნათესავმა მიმძღაერებულმა ნათესავი მომძღაერებელი და არ ემოყვროს მას!...“

13—„ერი ჩვენი, ერი ვითარ აღსდგების წამხდარი?“ ჰკითხავდა წმიდასა მოხუცი. და ეტყოდა გიორგი მთაწმინდელი მეტყველი: „დიდ არს განსაცდელი ნათესავისა ჩვენის, დიდ არს ჰირვე-

ბა და დაერდომილება მისი და მიეახლა იგი სამარესა. მწუხარებამ დაისადგურა მამულსა ჩვენსა, ტირილმა ვერ ნუგეშინისცემულმა აღავსო სახლი ჩვენი და მრავალ არიან მტერნი აღდგომილნი მას ზედა. წარიტაცეს ყოველი სამკაული მისი და ნაცვლად თავისუფლებისა იქმნა მონებასა შინა.

ხოლო ვერ განარინებს მოძულეთა მკლავი აღმართული და ვერ დაიხსნის მამულსა ტყვეობისაგან მახვილი ამოწვილი. ვერ მოუვლენს მანანასა ერსა მშვიერს ბრძოლა ველსა ზედა და ვერ მისცემს ჰურსა, ვერ გამოიყვანს საკანით პერობილსა და ვერ ახდის უღელსა კირთებისასა შებორკილსა. ძალნი მოძულეთანი ვერა შემუსროს ძალმა აღდგომილმა, გესლი მათი ვერ ამოხოცოს და ნაკვეთნი მათი ვერ განკურნოს კაცმა შექურვილმა ხრმლითა. ვერ აღადგინოს ქაბუკნი შექმულნი რკინისაგან მტრისა და ქალნი გინებულნი და შეურაცხებულნი ვერ დაიფაროს სირცხვილისაგან ფარმა და ლახვარმა მამისა მეომარისა და ვერ მოიწმინდოს ცრემლი დედამ, რომელი მოუწოდებს მხედარსა განგმირავსა შუბითა.

ესე არ არის გზა ხსნისა და გამარჯვებისა ერის. არა ხრმალი, არამედ სული, სული წმინდა; სული ძლიერი და გული მტკიცე სიყვარულისა—აჰა მაცხოვრებელი მამულის და აღმადგენელი ნათესავისა ჩვენის. ვერვინ ჰპოვოს ღმერთი, რომელი არ დამკვიდრებულა მის გულსა შინა; ვერვინ ჰპოვოს მამული თვისი, რომლის სულსა და გულს არ დაეუფლა მამული იგი. ერი არს და ისმის დიდება მისი, თუ ჩვენი არსება იტყვის დიდებასა მისსა მზის ამოსვლიდან ვიდრე დასვლამდე და არ დასცხრება ხსენებად სახელისა მისისა სარეცელსა ზედა. ძლიერ და უძლეველ არს ერი და განიბნევიან მტერნი, თუ მას ეკუთვნის სავსება სულისა ჩვენისა და შევიყვარეთ სრულითა გულითა ჩვენითა.“

14— „ამო იყო ბრძოლა ჩვენი უკანასკნელი და დღე რისხვისა? “ ჰკითხავდა კვლავ მოხუცი მამასა წმიდასა და ეტყოდა გიორგი მთაწმინდელი მეტყველი: „ეძინა ერსა მძიმედ და განუფრთხო

ძილი წყევამ ღეთისამ. ტანჯვათაგან იშვა განახლება მისი, იხილავს განსაცდელსა, რომელსა ვერა ხედავდა, და შვიგნებს უბედურებასა, იგრძნობს ბედსა გამწარებულსა და გაიგონებს ხმასა ოხრებისა და კვნესისას და იტყვის: წარვიხოცო დამცილება ჩემი, განვიმრთელო კრილობანი, განვშორდე სნეულებასა და მივიდე ტაძარსა შვებად და ღზინებად.

იტყვის ნათესავეი ჩვენი განდგომას მონებისაგან და დაუფლებას მამულისას. ხოლო მტერი მისი და დამმონებელი არის სული მისი და გული ცთუნებული და დაავადებული. აღუდგეს სულსა პაროტსა თვისსა და ებრძოლოს გულსა უკეთურსა. მტერი მისი არაა გარეშე მისა, არამედ თვით არის მტერი და დამლუპველი სამკვიდრებელისა თვისის. რაისათვის სთქვას: მტერო ჩემო, შენ დაარღვიე საყდარი ჩემი და ეკლესია და სად ვილოცო მე სჯულისაებრ ჩემისა,—თუ გული მისი არა მიწევს ლოცვისათვის? რაისათვის ჰყვედრიდეს ნათესავსა სხვასა, არა ასწავლი შევილსა ჩემსა ენასა ცედი-სასა, და თვით კი უბნობდეს სახლსა შინა თვისსა ენასა უცხოთა? რაისათვის სწყევლიდეს მოძულესა სიძულისათვის, და თვით კი არა ჰქონდეს სიყვარული და ერთგულება ერისა და მამულისა?

დაემკვიდროს ერი და მამული სულსა ნათესავისა ჩვენისა, განიწმიდოს გული მისი სხვა ყოვლისა ზრახვისაგან, შეიყვაროს საყოფელი თვისი სიყვარულითა დიდითა, არა ეკრძალოს ფრიალთა ღვაწლთა და მსხვერპლთა დიდებისათვის მისისა; მისთვისა ზრდიდეს დედა ძესა, მის ხატებას არ წარიხოცდეს ყრმა არცა ღღესა სიხარულისა, არცა ღღესა სიმწარისა, მას მიუძღვნას საგონებელი და ოცნება თვისი ყოველმა შობილმა... აღარ იქნება მაშინ მტერი მამულისა ჩვენისა, ვერა შესდრეკს მომძლავრებელი ერსა ჩვენსა და მახვილი მტრისა ვერ შეეხება გულსა ნათესავისა ჩვენისა. დაძლეულია მტერი ძლეული სულსა ჩვენსა შიგან, უძლეველია მამული შეთვისებული და შესისხლ-ხორცებული ყოვლისა შეილისაგან.“



15. და იყო სიტყვა გიორგი მთაწმინდელისა მეტყველის: „აღსდგეს მამულიშვილნი და მოსისხლეთა მოსრნეს იგინი უწყალოდ. დიდ არს სახელი მათი, დიდ არს დიდება მათი, დიდ არს სიკველლე მათი და სიყვარული. ხოლო არ იყო სიყვარული ერისა მთელის, არ აღსდგა ერი ყველა წყურვილითა შემუსვრისა ხუნდებისა, არ აღმართა ქედი და არა სთქვა, არ ძალმიძს მე მონებად უცხოთა თესლთა.“

გვამნი თავგანწირულთა, სახელოვანთა, სამარადისოდ საქებელთა შვილთა, მოეფინნეს ველსა მამულისა და სიკვდილი მათი ძეგლია უცვალებელი და წაუშლელი ნათესავეთათვის ჩვენთა მომავალთა: შვილმა ყოველმა შეიყვაროს მამული ჩვენი სიყვარულითა ესრეთ ძლიერითა, ესრეთ აღენთოს ყველას ცეცხლი მადლისა და სიკეთისა, ესრეთ აღეძრას ყველას ნდობა თავისუფლების, თავის დაცვის, ერის სახელის, ესრეთ მზად იყენენ ყველანი—ძე, ქალი, დედა და მამა—არ დაშურებად სიკოცხლისა მამულისათვის, და მაშინ, შვილო ჩემო ნაწამებო, მეტიღა არის ხრმალი ლესული, თოფი და ლახვარი, ბრძოლა და სისხლის ღვარი! თავისუფალი არის უკვე მაშინ ერი ჩვენი და არა არის ძალი ქვეყანასა ზედა დამდაბლებელი, შემგინებელი და შემარცხვენელი მისი.

სული უკვდავი არის მაშინ სული მისი, გული ღვთისაა და სხეული მისი განუკვეთელია. წმინდა არის ერი კეთილშობილი, რომელი არა დაადგა გზასა წარწყმენდისასა, წმინდა არის საქმე მისი, წმინდა არს სიტყვა მისი და ბქენი ჯოჯოხეთისანი ვერა წინააღუდგენ მას...“

16. დაღუმდა წმიდა მამა, გაიხედა დაბლა მამულისაკენ და კვლავ ჰრქვა მოხუცს: „დიდ არს... დიდ არს განსაცდელი ნათესავისა ჩვენის და მრავალია მსხვერპლი დახსნად მისა, მწარეა გზა მისისა აღდგომისა, ფრიაღია წარსაგებელი. ხოლო ამოვა მზე მამულისა ჩვენის და ძენი დღევანდელთა იხილვენ თავისუფლებას და განამტკიცებენ ურთერთს შორის ძმობას და თანასწორობას, ერთო-

ბას შეუძვრელს და სიმართლეს უზაკველს, და არ იქნება ბატონი არცა უცხო და არცა შინაგანი, არცა მმონებელი გინა მონებული...“

და გამოჩნდა მაშინ სანახაფი იგი უცნაური — ყრმა ორი: ყრმა ვაფი და ყრმა ქალი. ვაფს ხელთ ეჭირა ლამპარი აღგზნებული და ქალს თავსა ემოსა გვირგვინი ყვავილისა და ნაყოფის. და ჰკითხა მოხუცმა წმიდასა: „რა არს სასწაული და ნიშანი ესე?“ და რქვა გიორგი მთაწმინდელმა: „იქ არის შობა მომავალისა ნათესავისა ჩვენის — შრომა და სიმართლე, მეცნიერება და სიყვარული მიწისა მამულის!...“

სთქვა და სასოებით გადაისახა ჯვარი და მასთან ერთად გადაიწერეს პირჯვარი მუხუცმა და მოწაფეთა მისთა. — მუქი ცისფერი ღრუბლები ჩამოსწოლოდნენ დადუმებულს დედამიწას, აღარ მოსჩანდნენ მთის მწვერვალნი, მხოლოდ სადაც იდგნენ მზრახველნი მამულისათვის, იმ ალაგს საგანგებოდ ანათებდა ჩამავალი მთვარის შუქი. ძირს მდინარე საშინლად ხუვოდა და ყვირილი მისი დუმილს უფრო აძლიერებდა...

1912. I-30.

სამ. ფირცხალავა.



სამწუხაროდ ეს კრებული ვერ გამოვიდა ისე სრული როგორც განსწავლელი იყო და ზოგი მასალა დაუბეჭდავი დარჩა.

## ს ა რ ჩ ე კ ი :

- |   |        |
|---|--------|
| 1, შოთა რუსთაველი, გრ რობაქიძისა.                 | 11 გვ. |
| 2, სუმერული და ქართული, მ. წერეთლისა.             | 27     |
| 3, ოჰიდის მეთე, საფოკლესი, თარგმ. პ. ქავთარაძისა. | 121    |
| 4, მეთე მგოსანი, ალ. შანშიაშვილისა.               | 185    |
| 5, ღამე, ს. ფირცხალავასი.                         | 261    |
| 6, გლოვის ზარი, ს. ფირცხალავასი.                  | 277    |
-